ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№15

ბრონეულების ჟამი

უჩუმრად გასცდი დუმილის მღვიმეს
ბრონეულებმა როს შემოგცინეს
სიზმრის სამკვიდროს მიწამ იომა
წინ ჩაგვიქროლა გალაკტიონმა
ღმერთკაცმა ლექსის საიქიოდან...

მხრებს დაეფერფლოს სევდახედები
დემონის სუნთქვად დამებედები
ჩვენმა სიცილმა იბრონეულა
დაზამთრდეს სივრცე გულებში წყლულად
ჩვენი ჟამი თუ გადაწურულა!

იკა ქადაგიძე

1.12. 2018

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

№15

2022

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი (საპატიო წევრი)
რეზო ემელიანე ადამია (საპატიო წევრი)
ნომადი ბართაია (საპატიო წევრი)
ვახტანგ ბახტაძე
აკაკი ბრეგაძე (საპატიო წევრი)
ვანო გელაშვილი (საპატიო წევრი)
მარინა თექთუმანიძე (საპატიო წევრი)
ერეკლე საღლიანი (საპატიო წევრი)
მარსიანი
თეიმურაზ ნადარეიშვილი
გიორგი შიშნიაშვილი

წინა ყდა: მხატვარი: მარსიანი – **გალაქტიკური ტორნადო**
უკანა ყდა: მხატვარი: ელენე დობორჯგინიძე – **ძახველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ელენე დობორჯგინიძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა 5

პუბლიცისტიკა

იკა ქადაგიძე – კოვიდფაშიზმის პარადიგმები 7

რეცენზია

ჟუჟუნა შაინიძე – რეცენზია პოეტ პოეტიშვილის ლექსების კრებულზე: „ტიტები ფუჟერში“ 22

ინტერნეტსპექტრი

პოეტ პოეტიშვილი –პარიზული ციკლი 23

მოსაგონარი

ვანო გელაშვილი – იყო შაშვი მგალობელი 25

ემიგრანტული სარკმელი

ჯენი ჩხეიძე – ემიგრანტული პოეზია 28

ლიტერატურათმცოდნეობა

მარეხ ბეჟანიშვილის რეცენზია – ემზარ ხვიჩიას წერილზე: „თამარ მეფე და რუსთველი“ 31

პროზა

ნანა შალამბერიძე – ბრაიტონ ბიჩი 36

საბავშვო პოეზია

ლელა შურუპოვა – საბავშვო ლექსები 39

ლიტერატურათმცოდნეობა

მედგარ ჭელიძე – ო, ძვირფასო ვერონიკა 41

კრიტიკა

მარსიანი – ვაჟა -ფშაველას არაპოპულარულ პოემათა შესახებ 45

საიუბილეო სიტყვა

ვახტანგ ბახტაძე – ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა 51

ესეისტიკა
მარიამ ტოხიშვილი – ზურგზე ოჯახი მაწევს 54

ერთი ლექსის გაელვება
მარსიანი, იკა ქადაგიძე – 56

თარგმანი
ნინი ქუთელია - სენეკა ბედნიერი ცხოვრების შესახებ 57

ფანტასტიკა
თამაზ თაბუაშვილი (ტომ ანიდინი) – ფანტასტიკური მოთხრობა უადამიანესის დაბადება 61

მითოლოგიური პოემა
ერეკლე საღლიანი - მედეა 64

წარსულის მოზაიკა
როსტომ შამუგია - ილორსა ვარ მონათლული!... 67

ესეისტიკა
თეიმურაზ ნადარეიშვილი - ჰამლეტი (შექსპირული ჩანახატები) 69

რედაქტორის წინათქმა

2022 წელს ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალი "ისინდი" კვლავ აქტუალური, საჭიბოროტო სატკივარის ამსახველი მწვავე პუბლიკაციებით ხვდება, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველთვის ეროვნული ღირებულებების სადარაჯოზე ვდგავართ და ცივილიზაციის საპირწონედ კულტურის ღირსებას მყარად ვიცავთ. კულტურის, რომლის არეალის გეზმიმართული შეზღუდვა საერთაშორისო ასპარეზზე თვალსაჩინოა, რადგან ტექნოლოგიურ "პროგრესს" ადევნებულ ინფანტილურ კაცობრიობას მატერიალური კომფორტის საბაბით მოაზროვნე ადამიანების რიცხვის შემცირება გულში მტკიცედ ამოუჭრია.

აქედან გამომდინარე, ლიბერასტული დემოკრატიის მომიზეზებით კულტურის გაუფასურების მცდელობა პერმანენტულად გრძელდება, რაც სასიკეთოს არაფერს გვიქადის, თუკი მიმდინარე პროცესების გააზრების ნაცვლად თავსმოხვეულ, მავნებლურ დოქტრინებს ბრმად და შეუმოწმებლად მივიღებთ, პანდემიური მოცემულობის, როგორც მსფლიოს ტოტალური კონტროლის დამყარების კვალდაკვალ იმ ფაზაში შევაჯიბეთ, როდესაც მსოფლიოს მოწინავე ზესახელმწიფოები ახალი დღის წესრიგის დასამყარებლად მავნე და ყალბ ვირტუალურ პროპაგანდასაც არ ერიდებიან და საჯაროდ ომებს აანონსებენ, რაც სინამდვილეში სხვების წაქეზების ხარისხს ამძაფრებს და ისედაც დაძაბულ ვითარებას უკიდურესად ამწვავებს. ამის საილუსტრაციოდ უკრაინის გარშემო განვითარებული მოვლენები გამოდგება, რაც სინამდვილეში სხვისი ხელით ნარის გლეჯის პოლიტიკას ემყარება; სამწუხაროდ, მსგავს პრეცედენტთა სიმრავლე ყველა სფეროში ფესვგადგმულია და ამ მხრივ არც მწერლობაა გამონაკლისი, რომელიც მოდერნიზებული სიყალბის ექოს რელიეფურად ირეკლავს. აქვე საცნაურდება უმთავრესი საკითხი, რაც პროფესიონალიზმის უგულებელყოფის ხარჯზე სიცრუეს აბატონებს და დროულ რეაგირებას საჭიროებს. ამის ქრესტომათიული მაგალითია გახმაურებული ლიტერატურული სკანდალი დარიანულ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც დასასრული არა და არ უჩანს. აქვე დავაზუსტებ, რომ ერთადერთ ლიტერატურულ მისტიფიკაციას წლების წინ ჩვენს ჟურნალში მარსიანის ბრწყინვალე პუბლიკაციით გამოვეხმაურეთ და

რადგან ამჯერად ფალსიფიკაციის საკითხი სხვა მიმართულებით წარმოიშვა, "ისინდის" მომდევნო ნომერში დარიანულ სატკივარს ორი წერილით უთუოდ მიმოვიხილავთ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ის, რაც თანამედროვე ქართული მწერლობის მზარდ ინტერესს განაპირობებს, ყველაზე მებრძოლი, ეროვნული ჟურნალის ფურცლებზე ჩვეული მიუკერძოებლობითა და სათანადო ფაქტების მეშვეობით დროულად აისახება. ცალკე საკითხია, რამდენად ართმევენ თავს უახლეს გამოწვევებს პროფესიონალი კრიტიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები ან რამდენად ეძლევათ შესაძლებლობა და სურვილი წლობით დაგროვილი პრობლემები დადებითად გადაჭრან, რათა მიმდინარე მოვლენებს ერთხელ და სამუდამოდ თავისი სახელი ეწოდოს, რის გარეშეც სრულფასოვანი სამწერლო პროცესების ჯანსაღი განვითარება უბრალოდ წარმოუდგენელია.

ამდენად, "ისინდი" კვლავ ჩვეული შემართებით ასახავს სიმართლეს და თავის ერთგულ, მყარ და გემოვნებიან პუბლიკას მაღალმხატვრული ნაწარმოებების კვალდაკვალ ობიექტურ სინამდვილეს შეუფერხებლად სთავაზობს, რაც კრიტიკული მიმართულების მრავალფეროვან არჩევანსა და ხარისხს ემყარება.

იკა ქადაგიძე

კოვიდფაშიზმის პარადიგმები

„ჩემი სიტყვა ცეცხლივითაა,- სიტყვა უფლისა,
და ურისავით ამტვრევს კლდეს!“
წინასწარმეტყველი იერემია

საცაა ორი წელი შესრულდება, რაც ცრუპანდემიის მარწუხებში მოქცეული დედამიწა უთვალავი შეზღუდვით იტანჯება. ამ ხნის მანძილზე კოვიდფაშიზმის დიქტატურის არსის გააზრება საზოგადოების მხოლოდ მებრძოლმა, გაბედულმა ნაწილმა შეძლო, უმრავლესობა კი ლიბერასტული ტელეკანალიზაციების მიერ უწყვეტად ტირაჟირებულ მავნე და ყალბ პროპაგანდას ემსხვერპლა. საყოველთაოდ გამასხრებული ყბადაღებული შეთქმულების თეორიები იმდენად მოულოდნელად ახდა, საგანგებოდ გამარგინალებულმა “ნათელმხილველებმა“ ნიშნისმოგებით შეიცხადეს: ხომ გეუბნებოდით, კოვიდტერორი სინამდვილეში უმდიდრესი ოლიგარქების კარგად შემუშავებული ცივსისხლიანი გეგმის განხორციელებაა, რაც მთელ პლანეტაზე ადამიანების გენოციდს გამოიწვევს, თავის დროზე სასაცილოდ რომ არ გყოფნიდათო. საკითხავია, დაუსრულებელი მარჩიელობის ფონზე, პანდემიის აჩრდილით დაზაფრული ადამიანები საპირისპირო ბანაკებში რომ განლაგდნენ და საკითხში წვდომის ნაცვლად ერთმანეთს უნაპირო აგრესია და ლანძღვა-გუნება თავს დაატეხეს, სიმართლის მარცვალი სად ურევია?! ამის დასადგენად კოვიდფაშიზმის პარადიგმის არსს ზოგადად მაინც უნდა გავეცნოთ რათა მიუკერძოებელი დასკვნის გამოტანისას თვითგადარჩენის ინსტინქტს არ წავუყრუოთ და მავანთა სათამაშო ტიკინებად გადაკეთებულები სასაკლაოზე მორჩილი ცხვრის ფარსავით არ გაგვირეკონ. ვერაფერს იტყვი, არც თუ აკადემიური შესავალია, მაგრამ როდესაც მსოფლიო მანამდე გაუგონარი მასშტაბის პანიკამ მოიცვა, მაღალფარდოვნების საჭიროება მექანიკურად უქმდება, ვინაიდან საცდელი ბოცვერის როლი სინამდვილეში არავის აკმაყოფილებს.

და მაინც, დაუსრულებელი ვნებათაღელვის კვალდაკვალ საკუთარ თავს ჩამჭრელი კითხვა გულწრფელად დავუსვათ: ამ ცოდვისტრიალში რასთან გვაქვს საქმე? კოვიდფაშიზმი მხოლოდ მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე უმდიდრესი კასტის მიერ ინსპირირებულ-მოდერნიზებული “შავი ჭირია“ თუ კომერციული წარმატების განსამტკიცებლად აგორებული საერთაშორისო მასშტაბის აფერა, რომლის უკან მიმალული კვაზიფილანტროპის მანტიით შენიღბული თანამედროვე ელიტა კოლოსალურ მოგებას ხარბად იხვეჭს?! საიდუმლო აღარავისთვისაა, რომ სიმართლის დასადგენად ციფრული ეპოქა ხელმისაწვდომი ინფორმაციის ულევ ოკეანეს გვთავაზობს, თუმცა ნუ ავჩქარდებით, ვინაიდან დახვეწილი ცენზურა მედუზა გორგონასავით სახიფათოა და მრავალფეროვანი არჩევანის ილუზიას მაცდურად ქმნის, სინამდვილეში კი საგულდაგულოდ გაფილტრულ ცნობებს იმისდა მიხედვით გვაწვდის, როგორც ეს ამა ქვეყნის ძლიერთა კასტას მოეპრიანება. ამის დასტური მედიებისადმი გამოვლენილი საყოველთაო უნდობლობაა, რაც მსოფლიო მოვლენაა და გვერდს ვერავინ აუქცევს. ამერიკის მაგალითზე (აქვე ევროპაც მოიაზრება) ცნობილი ტელეარხების გაკოტრების პარალელურად ვიწრო სტუდიებში გადასროლილმა სახალხო სიმართლემ - დამოუკიდებელი ბლოგერების სახით არნახული რეიტინგი მოიპოვა, რაც მედიის, როგორ სიყალბის იარაღთან ასოციაციის სიმბოლოა. ამ უთანასწორო ბრძოლაში ზემოდან დაფინანსებული მედია ყველგან დამარცხდა, რაც სავსებით ლოგიკურია და დამატებით თავსატეხს ნამდვილად არ წარმოადგენს. მედია ვირუსია! გამორთეთ ტელევიზორები! ამ ტიპის უმწვავესმა ლოზუნგებმა მთელი მსოფლიო შემოიარა და გაზულუქებულ ჟურნალისტებს, ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში მაღალანაზღაურებად, გულქვა დივერსანტებად რომ იქცნენ, ყველა ასპექტით დიდი დარტყმა

მიაყენა. სიყალბის ზეწოლამ არც თანამედროვე ოლიმპოდ წოდებული სამსახიობო "ნაკრძალი" დაინდო. ჰოლივუდის დაჯილდოების ცერემონიალისადმი გამოვლენილი ხაზგასმული უყურადღებობა, დაბალ რეიტინგად რომ შეფასდა, სწორედ ელიტის მიერ მწარედ მოტყუებული ხალხის რისხვის ადეკვატური რეაქციაა. კოვიდფაშიზმის დინამიკურმა პერიპეტიებმა ეს მოცემულობა ისე გაამყარა, სადღეისოდ მხოლოდ მსუყე გასამრჯელოს დახარბებული უტიფარი დემაგოგი ან გონებასუსტი სნობი თუ უარყოფს, მედიის ტერორის დახმარებით ადამიანებზე განხორციელებულ ტოტალურ კონტროლს რაოდენ ნეგატიური შედეგი ახლავს თან. ამდენად თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ კოვიდფაშიზმის პარადიგმას უამრავი განტოტება ახასიათებს, რისი მოხელთებაც მხოლოდ მათ ძალუძთ, ვინც მას თვალყურს არა მარტო ფხიზლად ადევნებს და ფაქტების მეშვეობით აკრიტიკებს, არამედ მის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობს. როგორ ჩანს, ასთვალა არგუსის საპატიო და ამავდროულად უმადურ სტატუსს დამსახურებულად გამოვკარი ხელი და ვეცდები, კეთილსინდისიერი კოლეგებისა და მადლიერი მკითხველების ნდობა კვლავ გავამართლო, სიმართლის ძალა ხომ წინაღუდგომელია! აქვე დავაზუსტებ, რომ ჩემი წერილი არც მშრალი ფაქტების ამსახველი სამედიცინო ტრაქტატია, არც ხმაურიან სკანდალზე დამეცადინებული ჟურნალისტური გამოძიება, სადღეისო პოპულარობის მოსახვეჭად იაფფასიან ფანდებს რომ არ თაკილობს და არც ოსირისის მიცვალებულების მისტიკური სამსჯავრო, სადაც ყოველი ადამიანის გულს სასწორზე პედანტურად წონიან, რაც არ გამორიცხავს, ჯალათს ბუმბულის სიმსუბუქე აღმოუჩინონ და შეცდომით გმირად შერაცხონ ან პირიქით. მოკლედ, თავად განსაჯეთ მოურჯულებელი მწერლის ნააზრევი რამდენად გიღირთ; კაცობრიობის წინაშე ჩემი ვალი პირნათლად და რაც მთავარია, ცხელ კვალზე მოვიხადე, თორემ 50 წლის შემდეგ ნომენკლატურულად გაშინაურებული კოვიდფაშიზმის თემაზე დაცულ მომგებიან დისერტაციებს ჩალის ფასი ედება, ვინაიდან რაც ნებადართულია და საშიშროებას აღარ წარმოადგენს, ის კაბინეტის უსისხლო ჭიების კარიერული წინსვლის ბანალური გზაა და სხვა არაფერი. „რა კარგია, დროულად ნათქვამი სიტყვა!" სოლომონ მეფის ზედროული სიბრძნის მიხედვით სიმართლე მაშინ უნდა გახმოვანდეს, როდესაც მას ადამიანების გამოფხიზლებისა და გადარჩენის მადლი ახლავს თან, რაც კამათს არ ექვემდებარება.

მაშასადამე, კოვიდფაშიზმის სათავეს მივუბრუნდეთ. როდის გამოცხადდა პანდემია? მავანს ეგებ მიამიტურ კითხვაზე გაეცინოს, მაგრამ ამ წვრილმანს გადამწყვეტი მნიშნელობა ეკისრება იმის გასააზრებლად, კოვიდტერორს წინ რა პროცესები უძღოდა. თუ არ ვცდები, 10 წლის წინ (ან უფრო ადრე, ზუსტად აღარ მახსოვს) მსოფლიოს ერთ-ერთმა მაგნატმა, ბილ გეითსმა თავისი სანუკვარი ჩანაფიქრი გაასაჯაროვა, რომლის მიხედვითაც 7 მილიარდამდე გაზრდილი კაცობრიობის მოსახლეობა დედამიწას არნახულ დემოგრაფიულ თუ ეკონომიკურ- ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნიდა და საჭიროება მოითხოვდა მისი რიცხვი „ოქროს 1 მილიარდზე" დაეყვანათ. სხვათა შორის, ამ მიზნით 2015 წელს საგანგებო სამეცნიერო-ეკონომიკური ფორუმები გამართეს, სადაც როკფელერ-როტშილდის, მასკის, სოროსისა და მეტწილად ებრაული წამომავლობის ტრილიარდერთა პრივილეგირებულმა კასტამ წამყვან მეცნიერებთან ერთად კოვიდ19 ის გეგმა შეიმუშავა და პანდემიის სახელწოდებით 2020 წელს ეს მეგა პროექტი წარმოებაში ჩასაშვებად დაამტკიცა. ამის დამადასტურებელი ვიდეორგოლები სოციალურ ქსელში უმალ გავრცელდა, როგორც კი კოვიდტერორით დაზომბირებული ხალხი შინ გამოგვამწყვდიეს და ყველაფერი გულმოდგინედ ჩაკეტეს. მსოფლიო ბატონობის დამყარება უახლესი ტექნოლოგიების დახმარებით ნებისმიერი ქვეყნის სრულ კონტროლს მოითხოვს და ამ პროცესში მედიებს დამრტყმელი ძალის ფუნქცია დაეკისრათ. პანდემიის მომიზეზებით ახალდაწესებული რეპრესიები ხალხზე ზრუნვისა და დემოკრატიის სახელით ინიღბებოდა, რომელსაც სათავეში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (ჯანმო) ჩაუდგა. იგი 1948 წელს შეიქმნა, რაც მოწმობს, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე გავლენიანმა ფინანსურმა მაგნატებმა ახალი დღის წესრიგის გამოცხადება სანიტარული რეჟიმის დამყარებით განიზრახეს. დეტალურ პუნქტებად გაწერილი სპეციალური დოქტრინა ამის ნათელი დასტურია; ექიმების მხარდამხარ წარმატებული ფინანსისტების მოზიდვის პარალელურად რჩეულთა კასტის გამოისობით მსოფლიო მთავრობების გადასაბირებლად ეკონომიკური მექანიზმი გეზმიმართულად ამოქმედდა. ლიბერასტულმა დემოკრატიამ ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე ობიექტური სინამდვილის

ნაცვლად მხოლოდ მისთვის სასურველი აღქმები გააბატონა, რომლის მიხედვითაც სამყარო მრუდე სარკეში ისე ირეკლება, როგორც ფულიხვეჭია მონსტრებს ნებავთ. ფაქტი სახეზეა. ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში ამერიკის ერთ-ერთმა საუკეთესო პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა საოცრად ზუსტად იწინასწარმეტყველა, რომ თუ მსოფლიოში ფაშიზმი აღდგებოდა, ის ლიბერალიზმის სახით დაბრუნდებოდა. ჩვენ ამ ისტორიულ მომენტს არა თუ მოვესწარით, არამედ მის უფსკერო სტომაქში ჩათრეულები თავისუფლების მოსაპოვებლად უწყვეტად ვფართხალებთ. ეს სიტყვა ყურს უხეშად ხვდება, თუმცა ბრძოლა მაშინაა გაჩაღებული, როდესაც ერი და ბერი საერთო მიზნის მისაღწევად მთავრობას აიძულებს უცხოელი ზედამხედველების ულმობელი და ანტიხალხური გადაწყვეტილებები უყოყმანოდ გაუქმოს. ჩვენ ნიშნავს, რომ ეს სატკივარი პლანეტარულია და მთელ მსოფლიოს ანთროპოლოგიურად ემუქრება, რადგან ადამიანის, როგორც სახეობის დაღუპვას განაპირობებს. მესამე მსოფლიო ომის თეზა-ანტითეზა ფილოსოფიური წიაღსვლებისგან დამოუკიდებლად მის უსისხლო და ამავდროულად უსასტიკეს გამოცხადებაში თანამყოფობს. იმჟამად იოანეს გამოცხადება ყველას პირზე ეკერა, როგორც კი გადამრჩენელ ვაქცინად შემოსაღებული გენური ინექციის მეშვეობით ადამის მოდგმის განადგურების საშიშროების შესახებ საყოველთაოდ გაცხადდა. შინ გამოკეტილი, უძლეველი ვირუსის შიშით ფსიქოლოგიურად დამფრთხალი კაცობრიობა მეორედ მოსვლაზე ხმაშეწყობილად ალაპარაკდა.

2020 წლის 20 მარტს ჩვენში საკარანტინო რეჟიმი შემოიღეს (წინა დღით სტამბიდან ჩვენი ჟურნალის, "ისინდის" მეცხრე ნომრის გამოტანა ბედად მოვასწარი!) და თვალისდახამხამებაში ციფრული კონცლაგერის საწყისი ეტაპის ტყვეებად ვიქეცით. მსოფლიო ერთბაშად ამოყირავდა და მანამ უცნობ, დაუჯერებელ დღის წესრიგს ძალადობრივად მოერგო. ვერცერთი ფანტასტი მწერლის ექსცენტრული ფანტაზია აღწერდა იმ უახლესი „ტექნოლოგიური პროგრესის მონაპოვარს", რომლის მძევლობაც ნებიერმა და ფულის დიქტატურით ზურგგამაგრებულმა ოლიგარქებმა პანდემიური საბაბით მოგვისაჯეს. უჰანის ლაბოროტარიიდან ღამურის მეშვეობით გავრცელებულმა ვირუსმა ჯერ თავისი სამშობლო- ჩინეთი დააზარალა, თუმცა მრავალმილიარდიანი ქვეყანა იმდენად სწრაფად გაუმკლავდა „მომაკვდინებელ" საფრთხეს, მაშინვე ჩაისახა ეჭვი, რომ მსგავსი ტალღების აგორება და მართვა ბუნებრივი გზით შეუძლებელი იყო. მოარული ხმების თანახმად ამ გასაიდუმლოებულ კვლევით დაწესებულებაში გენური კოდის შესაცვლელი ექსპერიმენტი მომზადდა, რომლის ექსპორტი მსოფლიო მასშტაბით წლების წინ საგანგებოდ დააანონსეს. ამგვარი ცდების წამოება იდეოლოგიური საყრდენის გარეშე გამორიცხულია. შესაბამისად, საჭირბოროტო კითხვა უმალ დაისვა: საცდელი ვირუსის არნახული გავრცელება ვის ინტერესთა სფეროს მოიცავდა, რომლის საერთაშორისო პროპაგანდა პანდემიის ეგიდით ყველგან მსგავსი სცენარით მიმდინარეობდა. „ღამურაჭამია" ჩინელების უკან აშკარად სხვა ძალები იდგნენ, ჩინური ბაზრის გახსნის კვალდაკვალ უფრო გლობალური მიზნების ხორცშესხმა რომ განეზრახათ. ლიბერასტული ფაშიზმის ერთ-ერთი მამალი იდეოლოგი ჟაკ ატალი, პირწავარდნილი მარქსისტი და მეგალომანი, მსოფლიოს მართვის დოქტრინიდან განსაკუთრებით შიშის ფაქტორს გამოყოფდა, რომლის ჩანერგვა მასობრივი საშუალებების- ტელევიზიების დახმარებით პანდემიის-ყველაზე საპატიო მიზეზით უნდა მომხდარიყო. პანდემია, როგორც ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვის ურყევი იარაღი ადამიანის უზენაესი უფლებების დასარღვევად იდეალურ ჯავშანს წარმოადგენს. უფრო ადრეულ ნააზრევს თუ გავიხსენებთ, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ლიბერასტების მიერ გაპიარებული ფილოსოფოსის, მიშელ ფუკოს მრავლისმეტყველი ნაშრომი: „ბიოპოლიტიკის შესახებ", რომელიც დისციპლინარულ ტენდენციას გამოყოფს და მის მახასიათებლებზე მსჯელობისას ფილოსოფიურ ჭრილში გვიჩვენებს, რომ მე-17-ე საუკუნის ბოლოსა და მე-18 -ე საუკუნის დასაწყისში მეცნიერება პოლიტიკის სამსახურშია ჩაყენებული და მმართველი ძალა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების ცოდნით ადამიანის უფლებების შეზღუდვას სპეციალური დოქტრინებით გეგმავს. პოლიტიკური ნების დემონსტრირებისას წინა პლანზე ხელისუფლების ხედვა გადმოდის, რომელიც მოსახლეობას პოლიტიკურ პრობლემად აღიქვამს და მის დასამორჩილებლად განვითარებული ტექნოლოგიების მეშვეობით ახალ ბიოპოლიტიკურ ბერკეტებს ქმნის. ამ დროს მეცნიერება პოლიტიკის საიმედო იარაღადაა გარდაქმნილი, რისი პრეცედენტი გერმანიაში ფაშიზმმა ნათლად გვიჩვენა. ამ ძალზე საინტერესო ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებების

კვალდაკვალ ახალი მეთოდებით გამდიდრებული ძველი გამოცდილება ბრუნდება: მოსახლეობის დასაშოშმინებლად ხელისუფლება მედიცინას კვლავ ძალაუფლების იარაღად იყენებს, რაც ტექნოლოგიების განვითარების გამოისობით გაცილებით მასშტაბურ ხასიათს იძენს. სწორედ ამიტომ კოვიდფაშიზმს სანიტარულ დიქტატურასაც უწოდენენ, რაც ექიმების პასუხისმგებლობის ხარისხს განუზომლად ზრდის. ნიურნბერგი-2 პროცესის შეუქცევადობა სახეზეა. მაშასადამე, უზომოდ გავლენიანმა ოლიგარქებმა სამედიცინო სფეროს დახმარებით საქმეში მათზე დამოკიდებული მედიკოსები ჩართეს, რამაც მზაკვრულ ჩანაფიქრს კომპეტენტური საფარველი შეუქმნა. თუ დააკვირდებით, უმალ დარწმუნდებით, ყველა დეტალი და ნიუანსი ზედმიწევნითაა გაანგარიშებული, რაც წერტილოვანი დარტყმების მიყენებით სანუკვარ მიზანთან აახლოებთ. შესაბამისად, სიკვდილის შიშით დაზაფრულმა ხალხმა იხუვლა და მხსნელ ექიმებს მასიურად მიაწყდა, რომლებიც თავის მხრივ ფარმაცევტულ ფირმებთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ. მეტიც, პანდემიურ ფერხულში ჩაბმულ „ჰუმანურ“ ესკულაპებს იმხელა ბიზნესი აღმოაჩნდათ, აგერ ჩვენში ლუგარის ლაბორატორიის ტრიუმვირატმა: სამარის კარს მიღწეულმა ვეტერანმა ექიმებმა: გამყრელიძემ, იმნაძემ და ცერცვაძემ უცბად უზარმაზარი ქონება დააგროვეს და სამ ჯალათ მუშკეტერად გარდაქმნილები ტელეკანალიზაციების ეკრანებიდან დღენიადაგ კუბოების ცვენით იმუქრებოდნენ, რაც სამწუხაროდ იტალიაში განხორციელდა. ცალკე საკითხია, რომ იტალიელმა ჟურნალისტმა ექიმების გულმხეცობის ამბავი ფაქტებით გაასაჯაროვა და დაამტკიცა, რომ ჰიპოკრატეს ფიცის დამრღვევ ფულიხვეჭია კასტას (მათი რიცხვი არც ისე მცირეა!) საავადმყოფოებში პრემიის სახით 1500 ევროს უხდიდნენ თუკი ნებისმიერ დაავადებით გარდაცვლილ პაციენტს კოვიდით დაღუპულების განგებ გაზრდილ სტატისტიკაში გაამწესებდნენ, რაც ხალხის ფსიქოლოგიური ტერორის უნაკლო სართაშორისო სქემად იქცა! ამავდროულად ევროკავშირის რეზოლუციები საპირისპირო დადგენილებებს მოიცავს, რაც ორმაგი სტანდარტის კლასიკური მაგალითია! სანამ ვითარება გამწვავდებოდა და ექიმები ჯალათებად გარდაიქმნებოდნენ, პანდემიის საწყის ეტაპზე კორონას პირველი ტალღა წარმატებით მოვიგერიეთ და მსოფლიო მასშტაბით ხუთოსნების დაფაზე სამაგალითოდაც გამოგვაკრეს; ამასობაში კაცობრიობის ბედზე „მზრუნველმა ფილანტროპმა“ ბილ გეიტსმა კორონას გართულება, ვირუსის ახალი შტამების წარმოქმნა დ უსაფრთხოების მიზნით სავალდებულო ვაქცინაციის შემოღება დააანონსა, რასაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა და სამართლიანადაც. ამერიკაში პოლიტიკური ვექტორის სახიფათო რყევამ ცხადყო, გლობალისტების თაოსნობით გაჩაღებული პანდემიური ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა და კონსერვატიული ფლანგის გაძლიერების კვალდაკვალ მავანნი ლიბერასტული დიქტატურის შესანარჩუნებლად გაცილებით მკაცრი რეპრესიებისთვის ემზადებოდნენ. იმ “დეტალს“ რომ თავი გავანებოთ, პანდემია მასობრივ ვაქცინაციას რომ თავისთავად გამორიცხავს, რაზეც წამყვანმა მეცნიერებმა კატეგორიულად მიუთითეს; ნობელიანტმა ფიზიკოსმა ლუკ მონტელიემ პირდაპირ განაცხადა, რომ პანდემიის დროს მოსახლეობის მასიური აცრა ყოვლად დაუშვებელია და ეს საყოველთაო მეცნიერულ გადაწყვეტილებას ცალსახად ეწინააღმდეგება. ისტორიული დუელი შედგა: ნამდვილმა მეცნიერმა ფსევდოკორპორაციების კომერციული სიყალბე საქვეყნოდ ამხილა, რაც ცხადყოფს, რომ კოლოსალური მოგების აზარტით ატანილ უზნეო კასტას გამდიდრება ხალხის მასობრივი ამოწყვეტის ხარჯზე „ცივილიზაციურად“ ნებავს! მაშინ მოსყიდული აიბოლიტები შემოვლით გზებზე აჭაჭყანდნენ, ხოლო ამერიკის ღირსეულმა პრეზიდენტმა ტრამპმა ამ უკანონო და ნებისმიერი დემოკრატიული და სრულფასოვანი ქვეყნის კონსტიტუციის შემლახველი გადაწყვეტილების აღსაკვეთად უმნიშვნელოვანესი რეფორმა გაატარა: მსოფლიოს ჯანმოს მავნე ინიციატივა დაგმო, ეს ორგანიზაცია ფინანსების არამიზნობრივი გაფლანგვისთვის პასუხისგებაში მისცა, რაც ავტომატურად ჯანმოზე მიბმულ თეთრი სახლის სამედიცინო მრჩეველის, (ამერიკულ სამედიცინო სფეროს რომ განაგებს) ენტონი ფაუჩის შავბნელ საქმიანობის შესწავლასა და შეფასებას მოითხოვდა, რომელმაც უჰანის ლაბორატორიიდან „გაჟონილი“ ხელოვნური ვირუსის შესახებ ინფორმაცია საგანგებოდ დამალა. ამავე თემის გაგრძელებაა პიტერ დაშაკის დასკვნა, რომლის გამოსაქვეყნებლადაც სოლიდურ მეცნიერულ ჟურნალ „lancet-ს“ 16 თვე დასჭირდა ინტერესთა კონფლიქტის ამსახველი მემორანდუმის დაბეჭდვა გაერისკა, რაც ფაუჩისა და დაშაკის საეჭვოდ ნაგვიანევ რეაქციასა და საზოგადებისთვის პანდემიის ნამდვილი მიზეზის მიჩქმალვაზე მიუთითებს. თაღლითობაში მხილებული ფაუჩი

ამერიკის კონგრესმა დაკითხვაზე დაიბარა; პანდემიურმა რეზონანსმა ავსტრალიაშიც შესაბამისი გამოხმაურება ჰპოვა. ავსტრალია, რომელიც კოვიდფაშიზმის წამყვან ქვეყნად იქცა, ვინაიდან აუცრელ ადამიანებს გესტაპოელებივით ეპყრობა, კარანტინის ხანგრძლივობის თვალსაზრისით გინესის რეკორდების წიგშია შესატანი. მისი პრემიერ მინისტრი დენიელ ენდრიუსი სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დაადანაშაულეს, რისი დამტკიცების შემთხვევაშიც თაღლიოთობის მუხლით მსჯავრდებულ ავსტრალიელ უმაღლეს პირს სიკვდილით დასჯა ემუქრება. ესეც პანდემიური პარადიგმის მორიგი საცეცი, რომელიც საერთაშორისო ელიტის კორუფციის ხარისხს დაუფარავად ამზეურებს! და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ლიბერასტების უვადო კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულმა ამერიკის გაბედულმა პრეზიდენტმა 280 სახელმწიფოსთან შეთანხმებით სავალდებულო (იგივე მანდატურული) ვაქცინაციის შემოღებასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი არჩევანის უფლება დააკანონა და ადამიანის უზენაესი უფლებების დასაცავად ლიბერალ ფაშისტებს ჟენევის ცნობილი კონვენცია ცხვირწინ აუფრიალა, რითაც შეახსენა, რომ ძალდატანებითი აცრა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულია! ამავე დროს ტრამპმა ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში ბიბლია სავალდებულო საგნად გამოაცხადა, რამაც უღმერთო „ფილანტროპები“ იმდენად გააცოფა, არჩევნების სამზადისში გართულ პრეზიდენტს სოციალურ ქსელებში ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს და პირადი გვერდები ზედიზედ დაუბლოკეს, რაც ცენზურის უმაგალითო წნეხზე მეტყველებს! როდესაც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოს მეთაურზე მსგავსი ზეწოლა საერთაშორისო მასშტაბით ხორციელდება, გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, ამგვარი “დემოკრატიის პირობებში“ მიყრუებულ პროვინციად მიჩნეული რიგითი მოქალაქის უფლებები რამდენად დაცულია?! 2021 წლის 6 იანვარს ამერიკის არჩევნების ტოტალური გაყალბების გამო კაპიტოლიუმზე შტურმის შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, დანაჩენი „ტერორისტები“ ციხეში ჩაყარეს, ხოლო ტრამპის მომხრეებს სასტიკად გაუსწორდნენ. ამერიკის, როგორც დემოკრატიის ყავლგაუსვლელი შუქურის მითი უკვალოდ გაცამტვერდა, რამაც იმპერიის დაღმასვლას საფუძველი დაუდო. ამ ავბედით ანალოგიას გულდამძიმებული ვიხსენებ, რადგან 1991 წლის 6 იანვარს პუტჩისტებმა მოწამე პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოდან გააძევეს, რაც ეროვნული ხელისუფლების დამხობად იქცა და ახლა, ამდენი წლის შემდეგ ტრაგიკული თარიღის დამთხვევამ ამერიკული დემოკრატიის დასასრული ოფიციალურად გააფორმა! ამავდროულად დასამარდა იაპონური წარმომავლობის ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსის: ფუკუიამას ყბადაღებული წინასწარმეტყველება, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში ლიბერალიზმის დემოკრატიის მუდმივობას ქადაგებდა და ახლახან, ბოლოდროინდელი პროცესების დინამიკიდან გამომდინარე მან, საკუთარი შეხედულების სიმცდარე საქვეყნოდ აღიარა. ფილოსოფიური ოპუსი პოლიტიკური ნების კვალდაკვალ გადაისინჯა და აგონიაში შესულმა ლიბერალიზმმა ახალი ადმინისტრაციის დღის წესრიგის დამყარებისთანავე დემოკრატიულად შენიღბული კლანჭები დაუფარავად გამოაჩინა. ვინც პანდემიურ სინამდვილეს სხვების მიერ ნაკარნახევი ემოციების მიღმა, ფაქტების მეშვეობით აკვირდება, უპრიანია ცნობილი რუსი მეცნიერის, ანდრეი ფურსოვის საგულისხმო სალექციო კურსი: „გლობალისტების საიდუმლო პატაკი „მოისმინოს რათა სამერმისო სამყაროს უახლეს მოდელზე წარმოდგენა შეექმნას და კარზე მოდგარ საშიშროებას თვალი რეალურად გაუსწოროს. ჩვენ ადამიანის, როგორც ანთროპოლოგიური სახეობის განადგურების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით, რაც ბიოლოგიური იარაღის მეშვეობით პლანეტარული მასშტაბით ხორციელდება, ლიბერასტების გაუკუღმართებული აღქმა იქამდე დავიდა, რომ არ არის გამორიცხული დემოკრატიის საბაბით ადამიანთან ცხოველების გათანაბრების საკითხი დაისვას, რაც ღვთის მიერ დაწესებულ იერარქიას აუქმებს. ფაქტია, ლიბერასტული დემოკრატიის შიგთავსი ადამიანის უზენაესი უფლებების დაცვის საფარველქვეშ მის თავისუფალ არჩევანს კატეგორიულად კრძალავს, რის გამოხატულებადაც პანდემია იქცა.

ამერიკული არჩევნების უპრეცედენტო გაყალბებისა და ამ ფაქტით უკმაყოფილო დემონსტრანტების დასჯის ფონზე მსოფლიო მიხვდა, რომ ტრამპის გადაგდების შემდეგ პანდემიურ ჯავშანს ამოფარებული ბნელი ძალის მიერ მსოფლიო ბატონობის გეგმა გაცილებით ხისტად და რაც ნიშანდობლივია, დაჩქარებული რიტმით წარიმართებოდა. არც შევმცდარვართ. როგორც კი ოლიგარქებმა ტრამპი, როგორც ბოროტების შემაკავებელი ძალა გზიდან უხეშად ჩამოიშორეს (არადა, ტრამპს ამერიკის მოსახლეობის 75 მილ-

იონი მხარს დღესაც მყარად მხარს უჭერს !), დიქტატორული უფლებამოსილებით აღჭურვილი ჯანმოს რეკომენდაციით კოვიდფაშიზმის პოლიტიკა ყველგან გამკაცრდა. აცრის აუცილებლობის გაჟღერების კვალდაკვალ ფარმაცევტული ფირმების მიერ უხვად გამოშვებული ვაქცინების უფასო დოზები სპეციალური დირექტივების (ე.წ.გაიდლაინების) თანხლებით მსოფლიოში ელვისებური სისაწრაფით გადანაწილდა, თუმცა სანამ 2021 წლის გლობალურ კოვიდფაშისტურ პერიპეტიებს უფრო დაწვრილებით შევეხებით, უპრიანია ჩვენს მრავალჭირგამოვლილ სამშობლოს დავუბრუნდეთ სრული სურათის აღწერისას ადგილობრივი დეტალები რომ არ დაგვაკლდეს.

2020 წლის 17 აპრილს საქართველოში პირბადეების ტარების ოფიციალური ბრძანება გამოიცა. ცალკე საკითხია, ამ ალიკაპის მიუღებლობამ მოქალაქეების დაჯარიმების ხარჯზე ეს ახალგამოჩეკილი ბიზნესი როგორ ააყვავა და რამდენ ისედაც შეჭირვებულ ადამიანს ჯიბე ულმობლად დაუცარიელა! დახურულ სივრცეში ამ მავნე ძონძის სავალდებულო დაწესების კვალდაკვალ (პირბადეს დღემდე ასე ვუწოდებ) ფილტვების დაჩრდილვის საფრთხეზე მოკამათე ურიცხვმა ესკულაპებმა ორჭოფული პოზიცია დაიკავეს, რითაც ცეცხლზე ნავთი დაასხეს და დატერორებული საზოგადოება უარესად დააბნიეს. სადღეისოდ, პირბადეებისადმი ფანატიკური ერთგულებით მსოფლიოს ორად ორი ქვეყანა: ავსტრალია და ჩვენი ბედკრული სამშობლო გამოირჩევა; მეტიც, გარე სივრცეში პირბადის მოუშორებლობის ხარისხით თვით კოვიდფაშიზმის აკვანს-ავსტრალიასაც გადავუსწარით, რაც შიშით დაზომბირებული ადამიანების რეაქციის გამოძახილია! ვიმედოვნებ, ტრაბახში არ ჩამომერთმევა თუ დავაზუსტებ, რომ კორონოვანი სინამდვილის დამყარებისთანავე ჩემი სტატუსების უმთავრეს საგნად სწორედ პანდემიური დღის წესრიგის აღწერა-გაანალიზება იქცა. კოვიდის ციკლში უამრავი სტატია გავაერთიანე, სადაც ცრუპანდემიური სიახლეები ქრონოლოგიურადაა აღწერილი და გააზრებული, ოდესმე ეგებ ცალკე წიგნადაც გამოვცე კოვიდტერორის რეალიების სახელწოდებით. კორონოვანი ციკლის პირველი მერცხალია სტატია: „ჩინური საფრთხე“, სადაც ვწერდი, რომ უჰანის ლაბორატორიიდან „გაჟონილი“ ვირუსის გავრცელება ჩინელების კომერციულ ინტერესს ძალუმად თანხვდებოდა, რასაც ამერიკელებმა ხელი შეუწყეს, მაშინ ფაუჩის გასაიდუმლოებული 900 გვერდიანი დოკუმენტი (მიმოწერის სახით) მსოფლიოს ჯერ ხელში არ ჩავარდნოდა და არც ამ ავადსახსენებელ საკვლევ ლაბორატორიაში დატუსაღებული თუ საეჭვოდ გაქრალი მეცნიერების ბედ-იღბალზე გვსმენოდა რაიმე; მოგვიანებით ცნობილმა ნობელიანტმა ფიზიკოსებმა განგაში რომ ატეხეს და კოლეგების ასავალ-დასავალი ხმამაღლა მოიკითხეს. მაშინ ფაუჩმადიდებლების არმია სიძლიერის ზენიტში იმყოფებოდა; სიმართლეს გაუმარჯოს, იმხანად ჩვენში ადგილობრივი ექიმების ეფექტურმა მუშაობამ კორონა ისე გააქცია, მთელი მსოფლიო ქართველი ესკულაპების კომპეტენტურობაზე აალაპარაკა. სწორედ ამ დროს, სახელდობრ, 2020 წლის 25 მარტს საკუთარ ფესბუქზე ერთმოქმედებიანი პიესა: “პირადად კორონა“ გამოვაქვეყნე (ეს პიესა მოგვიანებით, “ისინდის“ მეთორმეტე ნომერში დაიბეჭდა, როგორც საკარანტინო სინამდვილის ამსახველი მხატვრული ნაწარმოები.)

სამწუხაროდ, ვითარება უმალ დამძიმდა, როდესაც აღდგომის მოახლოებისთანავე მსოფლიო მასშტაბით ოლიგარქების ნებას დამორჩილებულმა მთავრობებმა ტაძრების დაკეტვა, ღვთისმსახურების შეწყვეტა და წმინდა ზიარების შეჩერება პანდემიური ზეწოლიდან გამომდინარე მოითხოვეს, რაც ლიბერასტული დიქტატურის სატანურ არსს დაუფარავად აშიშვლებს. მედიატერარიუმების გავეშებული ანტირელიგიური კამპანიის ფონზე ჩვენი სანაქებო ოპოზიცია უახლეს ტენდენციას არ ჩამორჩა; საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით ნაცები და მათი სატელიტები აქტიურობდნენ; ეს აგრესიული, დაუცხრომელი რევანშისტები ძალაუფლების დასაბრუნებლად საკუთარი ელექტორატის მეშვეობით დესტრუქციულობას პანდემიურ პირობებშიც არ იშლიდნენ და ყველას ჯიბრზე საპროტესტო მიტინგებს გაუთავებლად მართავდნენ, ხოლო რეგულაციების დაცვა მხოლოდ მაშინ მოაგონდათ, როგორც კი ამის თაობაზე ჯანმომ საყოველთაო აკრძალვის დეკრეტი გამოსცა! დასავლეთის მოდერნიზებულმა ეკლესიებმა ბრძანება უმალ შეასრულეს, სამწუხაროდ, მათ არც მართლმადიდებელი ბერძნები, სერბები, უკრაინელები და რუსები ჩამორჩნენ. ერთადერთი ქვეყანა, სადაც სააღდგომო წირვა შეუფერხებლად ჩატარდა და მრევლმა ტაძარში ტრადიციულად ღამე გაათია, საქართველო გამოდგა, რაც მართლაც უპრეცედენტო და საამაყო მაგალითად იქცა! ქრისტიანული სარწმუნებისათვის თავდადებულმა საქართველომ ურწმუნო მსოფლიოს ნათლად უჩვენა, რომ

ყოველივე ფულით არ იზომება და ქართველებს გაუსაძლისი პირობების მიუხედავად მუდამ შესწევთ უნარი მამაპაპური სარწმუნოება უდრეკად დაიცვან, რაც მსოფლიო ქარტეხილების შუაგულში ყოფნის მოუხედავად ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზაა! ამერიკის პრეზიდენტმა ტრამპმა ქართველთა ღირსეული საქციელი სათანადოდ შეაფასა და მსოფლიოს მოუწოდა ჩვენთვის, როგორც სამაგალითო ქრისტიანული ქვეყნისთვის მოებაძა. ეს ლიბერასტული უღმერთოების მორიგ გამოწვევას უდრიდა, რაც ამერიკის საუკეთესო პრეზიდენტს არ აპატიეს, რომელიც გლობალისტების მიერ გამოცხადებულ ანტიქრისტიანულ ომს წინ გაბედულად აღუდგა და ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებას ტრადიციული ღირებულებების დასაცავად უშიშრად მოუწოდა, რაც შავბნელ ძალებს ხელს არ აძლევდათ; სასაფალაოების ჩაკეტვითა და ტაძრების დახურვით ლიბერასტებმის "დმოკრატიული არჩევანის უფლება" შეულამაზებლად გაცხადდა; ევროპაში პროტესტანტიზმის გამარჯვების შემდეგ, რაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-ან წლებში დიდმა ფილოსოფოსმა ოსვალდ შპენგლერმა თავის ღრმააზროვან ნაშრომში:"ევროპის დაისი" სულიერებადაშრეტილი, ოდენ მატერიალურ საგებელზე გადაგებული ურწმუნო ევროპის ზნეობრივი დაცემა ზუსტად იწინასწარმეტყველა,. "უახლესი პროგრესის" სახელით სოდომ-გომორის დასამკვიდრებლად პრივილეგირებული ლგბტ სექტის გაძლიერების მოსურნე დასავლეთმა განსაკუთრებული სიმწვავით მართლმადიდებლურ ქვეყნებს შეუტია, რათა გლობალური კონტროლის დამყარებას წინ ქრისტიანობა არ გადაღობებოდა, რომლის დისკრედიტაციასაც ეკლესიის წიაღში შეგზავნილი ფსევდოსასულიერო პირების ორგანიზებული საბოტაჟი განაპირობებს, მრევლში მართლმადიდებლობის არსის დასაკნინებლად კვაზიმეუფეებისა და მღვდლების უღირსი ქმედებების წახალისებით სასურველ შედეგს რომ მიაღწიონ. წინა ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციის მეშვეობით ანტირელიგიური ნაცზონდერმღვდლების სექტის დივერსიული ქმედებების სერია უკვე აღვწერე და ამიტომ აქ ესოდენ სახიფათო საკითხს გაკვრით შევეხები. ფაქტია, მსოფლიო ბატონობის მოსურნე გავლენიანი კასტა ქრისტიანობის წინააღმდეგ გამოცხადებულ ჯვაროსნულ ომში გასამარჯვებლად ამოუწურავ რესურსებს არ იშურებს, სადაც პანდემიას მოწინავე დროშის როლი აკისრია. ბედის დაცინვაა, რომ საბჭოეთის კრიტიკას ამოფარებული ლიბერასტები ხალხის დამორჩილებისას ზუსტად იმავე მეთოდებს ეყრდნობიან, რასაც გასულ საუკუნეში ბოლშევიკები და ფაშისტები იყენებდნენ, რაც პარადოქსული ნონსენსია. ისტორია მართლაც განმეორებების დედაა. საინტერესოა, ქრისტიანობასთან შეურიგებელი დაპირისპირებისას ამ ცოდვისტრიალში სხვა რელიგიებს რა ადგილს მიაკუთვნებენ?! საკითხავია, თავიანთი ზნე-ჩვეულებების დამცველ მუსლიმებს, ბუდისტებს, იუდეველებს, მაზდეანებსა თუ კიდევ არაერთი რჯულისა და სექტის აღმსარებლებს გლობალისტები ასე გააფთრებით რატომ არ ერჩიან?! მეტიც, ევროპაში მუსლიმთა ინტენსიური შედინებისა და დამკვიდრების პრობლემა უკვე იმდენად ყოვლისმომცველია, დემოკრატი ევროპელები თავადვე წინასწარმეტყველებენ, რომ ლიბერასტული იდეოლოგიის გაძლიერების შემთხვევაში ევროპის „გათათრებას" წინ აღარაფერი უდგას. ამ საფრთხეს საფრანგეთში ძალზე მტკივნეულად ეხმაურებიან, არც გერმანია თვლემს, თუმცა ბოლო 50 წლის განმავლობაში მოწინავე ევროპულ ქვეყენებში ლიბერასტული იდეოლოგიის მავნე პროპაგანდამ ეროვნული ცნობიერება ისე დაადამბლავა, აღმოსავლეთ ევროპელებისგან განსხვავებით, სადაც საპირისპირო სურათია, კომფორტს დაჩვეული „ყველაზე ცივილიზებული ევროპელები" ცივილიზებულად გვარდებიან და ადგილს რიცხობრივად ჭარბ, ახალგაზრდა აღმოსავლელებს დემოკრატიული კანონების გამოისობით უსისხლოდ უთმობენ. სანამ ევროპაში კონსერვატიული ფლანგი სათანადოდ დაირაზმება და ადეკვატურად ამოქმედდება, კვლავ უთვალავი მტრით გარემოცულ საქართველოს დავუბრუნდეთ, რომლის მტკიცე ქრისტიანული მრწამსი გლობალისტებს გულზე ეკლად ესობათ და მის ამოსაძირკვად უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით უწყვეტად მავნებლობენ. აქედან გამომდინარე, გლობალისტური წნეხის სიმძიმე მართლმადიდებლობის აღმსარებელთათვის განსაკუთრებით სასტიკია, ვინაიდან სოდომ-გომორის ცოდვა ქრისტიანული სარწმუნოებისთვის ცალსახად მიუღებელია. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად ჩვენში დასავლეთის დაჟინებული ულტიმატუმის მიუხედავად გეი-აღლუმი ვერა და ვერ ჩაატარეს, რასაც ახალი შეზღუდვებისა და ეკონომიკური სანქციების სეტყვა მოჰყვა, რაც 30 წელია დასავლეთის პროტექტორატის უღლის ქვეშ მგმინავ ხელოვნურად გაღატაკებულ და დაქსაქსულ საქართველოს წელში

გამართვის უფლებასა და საშუალებას არ აძლევს! და რადგან ამ უშეღავათო ბრძოლაში სარწმუნოების ფაქტორი გადამწყვეტია, ბარემ აქვე აღვნიშნავთ: 2021 წლის 12 სექტემბერს, ამერიკაში, კერძოდ, ფლორიდის შტატის ქალაქ ტემპაში ამერიკელმა დოქტორმა ქერი მადეიმ ჯანმრთელობისა და თავისუფლების კონფერენციაზე სენსაციური ცნობები გაათვალსაჩინოვა. მან შეკრებილ საზოგადოებას მოუთხრო, რომ წლების წინ ბილ გეითსის მიერ შერჩეულ მედიკოსთა საგანგებო ბიზნესფორუმზე მიიწვიეს, სადაც პანდემიური პროექტი დაწვრილებით განიხილეს და ფავორიტ მონაწილეებს თავიანთი ფუნქცია საზეიმოდ მიაკუთვნეს. მადეი ხელოვნურ ინტელექტზე მსჯელობისას ციფრული პირადობის მოწმობის შემოღების პერსპექტივამ აღაშფოთა, რაც ადამიანის სრულ კონტროლს და მის დამონებას ნიშნავს, რომ მაგნატები ცდებს თავდაპირველად ღატაკ აფრიკელებზე ატარებდნენ და ვინც ამ ახალ წესრიგს არ დაეთანხმება, მას საარსებო ფინანსურ წყაროს გადაუკეტავენ! მოკლედ, სეგრეგაციის დაკანონების კვალდაკვალ აუცრელების სრული იზოლაცია გარანტირებულია, თუმცა დროთა განმავლობაში ციფრული შტრიხკოდის მიმღები ადამიანი პიროვნულ უფლებებს ცალსახად კარგავს და უსახო, დანომრილ მონად იქცევა, რომელსაც პატრონი ტექნოლოგიების დახმარებით სურვილისამებრ მომართავს; სავალდებულო ვაქცინაციის ძალადობრივი შემოღებით ბნელ ძალას უფლება ეძლევა ნებისმიერი ადამიანის ქცევა გააკონტროლოს, მეტიც, მისი გენეტიკური კოდი სურვილისამებრ შეცვალოს, რაც ტრანსჰუმანიზაციისა და კოვიდინექციის გლობალური პროექტის უმთავრესი დანიშნულებაა. ცხადია, გეითსი და მისი კლანი არ ელოდნენ, რომ უზარმაზარი გასამრჯელოს შეთავაზებისა და მომგებიანი თანამშრომლობის სანაცვლოდ მადეი მათ იატაკქვეშა გეგმას სააშკარაოზე გამოიტანდა. მეტიც, ამ ჯოჯოხეთური გეგმის პუნქტებს მსოფლიოს გასაგონად ჯანმრთელობისა და თავისუფლების კონფერენციაზე ახდილად განიხილავდა, რაც ამ კეთისინდისიერი მედიკოსის სამაგალითო გაბედულებაზე მიუთითებს. ამავე გზას დაადგა გეითსის ყოფილი თანაკლასელი და თანაშემწე, რომელმაც კარზე მოდგარი საშიშროების დეტალური ანალიზი სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა. გაბედულ ადამიანებს მუდამ უფლის რწმენა ასულდგმულებთ, რომლის დახმარებითაც უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმას არასდროს უფრთხიან. მადეიმ თავის გამოსვლაში ადამიანებს ქრისტიანობის განსამტკიცებლად მოუწოდა: „მათ არ სურთ ჩვენ ქრისტეს ვემსახუროთ! ისინი პედოფილ ებშტაინის კუნძულზე იმყოფებიან და უფლის მიერ შექმნილი სამყაროს გაუკულმართებულ ინვერსიას გვთავაზობენ, რაც ღვთის გმობაა! ამ ინექციით ადამიანებს აპროგრამებენ და იმონებენ. არადა, ჩვენ გვაქვს ძალა, მათ შევეწინააღმდეგოთ და ამ ბრძოლაში ღმერთი დაგვიცავს! ამიტომ ციფრულ პასპორტებზე უარი ვთქვათ რათა გლობალისტების მზაკვრული გეგმა ჩავშალოთ!“

ცოდვა გამხელილი სჯობს, ამ გამოსვლის მოსმენისას თავი ფანტასტიკური ჟანრის ტრილერის თავგადაკლული პერსონაჟი მეგონა, რომელსაც ყველაზე საზარელი და ამავდრულად დაუჯერებელი კოშმარი დაუკითხავად აუხდა! ესეც განგებ განქიქებული შეთქმულების თეორიის ნამდვილი არსი, რომლის ახდენაც გეზმიმიმართულად მიმდინარეობს. პასპორტების ხსენებაზე დროა, კოვიდპასპორტის ყბადაღებული თემა განვიხილოთ, რომლის ქართულმა, შერბილებულმა ვარიანტმა ჯანმოს მორჩილი ფაშისტური საკოორდინაციო საბჭოს სამი ჯალათი მუშკეტერი ფრიად აღაშფოთა, ვინაიდან პრემიერ ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით მწვანე პასპორტების მიღების უფლება აცრილების გარდა კოვიდგადატანილებსაც მიეკუთვნათ, რასაც ცნობილი ვაქსერების გულისამრევი გნიასი და წყევლა-კრულვა მოჰყვა. წინასაარჩევნოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ჩვენში სავალდებულო აცრის შემოღებას არ დაუშვებს და მიუხედავად ჯანმოს უპრეცედენტო ზეწოლისა, ცდილობს უმკაცრეს რეგულაციებს თავი აარიდოს, რაც საკოორდინაციო საბჭოს წევრების დიდ გულისწყრომას იწვევს. აქვე დავაზუსტებ, რომ გამყრელიძე-იმნაძე-ცერცვაძის გესტაპო უშუალოდ ჯანმოს ექვემდებარება და მთავრობის მძევლად აყვანის საპირწონედ მისგან კატეგორიულ მორჩილებას ითხოვს. ეს ავადასხსენებელი საბჭო ხელისუფლებას კრიჭაში უდგას. მეტიც, ნაცების გულხურვალე მხარდამჭერია და მსოფლიო ზედამხედველის: ჯანმოს ბრძანებების უყოყმანო გატარებისკენ ხისტად მოუწოდებს! მაშ როგორ! 2021 წლიდან ბაიდენის ადმინისტრაციის ამოქმედებისთანავე კოვიდტერორის მეორე ტალღის თანახმად ჯანმოს ზეწოლიდან გამომდინარე, ფარმაცევტულ ბაზარზე თაღლითობაში არაერთგზის მხილებულმა და სოლიდურ ჯარიმაკიდებულმა ფაიზერმა ამ ლაქების მიუხედავად კონკურენტი

ფირმები: მოდერნა, ასტრაზენეკა, ჩინური სინოვაკი და სინოფარმი, აგრეთვე რუსული სპუტნიკი სწრაფად დაჩრდილა და ჩაანაცვლა, იმის მიუხედავად რომ საცდელ ვაქცინებზე პასუხისმგებლობას არავინ კისრულობდა, ვინაიდან სახიფათო პრეპარატები ორ თვეში შეიმუშავეს ისე, რომ გვერდითი მოვლენების შედეგები არავის დაუდგენია, მაშინ, როდესაც ნებისმიერი ვაქცინის გამოსაცდელად სულ მცირე, ხუთი წელი აუცილებელია. სხვათა შორის ფაიზერის დამფუძნებელმა ცინიკურად ბრძანა, რომ ის აცრას არ აპირებს, რადგან შესაშური ჯანმრთელობა გააჩნია და მხოლოდ 64 წლისაა. ესეც სინდისგარეცხილი აფერისტების ლოგიკა! როდესაც მცირეწლოვანი ბავშვების ვაქცინაციას ჯიუტად აკანონებენ მაშინ, ამის საჭიროება ბუნებაში რომ არ არსებობს და აცრის დროს მამაკაცებს გულის კუნთის ანთების გზით სერიოზული დაავადება უვითარდებათ, ხოლო ქალები უნაყოფობისთვის არიან განწირულები, ამ დროს თურმე ყალთაბანდური ფარმაკოლოგიის გიგანტის, 64 წლის "წიწკვის" ხელშეუხებლობა გარანტირებულია! იმ "დეტალზე" აღარ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს საცდელი და მავნე ვაქცინები აბორტის შედეგად მოკლული ბავშვების ემბრიონული მასალით დამზადდა! ესეც თაღლითთა სანაქებო კეთილსინდისიერება, რომელსაც მსოფლიო მოსახლეობის გულუბრყვილო ნაწილი ეწირება. ამ მკრეხელობის კვალდაკვალ გარე ძალისგან დაფინანსებული არასამთავრობო სექტორი საპატრიარქოს ჯიუტად მოუწოდებდა და ავალდებულებდა მრევლის სავალდებულო აცრაზე კურთხევა ცალსახად გაეცა! ამგვარი მარაზმი ცხადყოფს, მეორედ მოსვლას წინ რა გარემოებები უძღვის და საყოველთაოდ დაუცველ ადამის მოდგმას ღვთის გარეშე გადარჩენა რომ არ უწერია. მაშასადამე, რელიგიური ომის კვალდაკვალ ცრუპანდემიის ახალი ფაქტორი: კომერციული სარგებელის კოლოსალური ზრდის კოეფიციენტი გამოიკვეთა, რომელმაც იარაღით ვაჭრობას, ტრეფიკინგსა და ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებლსაც საგრძნობლად გაუსწრო და სამომხმარებლო ბაზარზე ერთპიროვნული ლიდერობა მოიპოვა! პარადოქსი პარადოქსის წილ: საცდელი ვაქცინის წარმოებითა და გასაღებით მსოფლიო ელიტამ არნახულად იხეირა, რასაც ადამიანების მხრიდან დიდი მსხვერპლი მოჰყვა. უსისხლო, ბიოლოგიური ომის პარადიგმა „უძლეველი შპრიცების „სახით გამოვლინდა. გონებაგამჭრიახი ადამიანები მდარედ ხუმრობდნენ: ამქვეყნად ყველაზე ძვირი წამლებია და რაღა ამ ვაქცინას გვირიგებენ უფასოდ და თან ცინიკურად დაგვცინიან, არ გავალდებულებთ, მხოლოდ ვინც არ აიცრება, ჯერ სამსახურებიდან დაითხოვენ და გადადგილებას აუკრძალავენ, შემდეგ კი სასურათო მაღაზიებშიც აღარ შეუშვებენ და შიმშილით სულს ამოხდიანნო! გასული საუკუნის 30-იან წლებში უკრაინის შიმშილობის პრეცედენტი გამახსენდა, რომელმაც 32 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რაზეც „ცივილიებული" დასავლეთი დიპლომატიურად დუმდა, მეტიც მათი გამოჩენილი მწერლები საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას ამ გაუგონარ რეპრესიებს ისე ამართლებდნენ, კანიბალებად ქცეული მშობლებისა და ჩონჩხადქცეული ბავშვების შემხედვარე ამტკიცებდნენ, რომ მსგავსი რამ ახალი ფორმციის ასაშენებლად გამართლებულია! არადა, როდესაც ანალოგიური სურათი გერმანელმა მაღალჩინოსნებმა საკონცენტრაციო ბანაკებში ნახეს, გარკვეულმა ნაწილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თავს ნუ მოვიტყუებთ, ლიბერასტული გაქანების ფაშისტებს აქამდე ბარემ ბევრი უკლიათ! ცალკე თემაა, აცრების შემდეგ იმუნიტეტდაქვეითებული ხალხის უმრავლესობა არასწორი მკურნალობის გზით რომ დაიხოცა და რაც ყველაზე ამაზრზენია, ფაშისტებად ქცეული ფულიხვეჭია აიბოლიტები უპატრონო მიცვალებულებს შავ პარკებში გულგრილად ხვევდნენ და თავსაც არ იწუხებდნენ იმის შესამოწმებლად, ჭირისუფალს ხშირად სხვის ცხედარს რომ ატანდნენ! ეს სამარცხვინო სტატისტიკა იატაკქვეშეთიდან მაინც ჟონავდა იმის მიუხედავად, რომ გარდაცვლილთა ახლობლები თავდაპირველად დუმილს არ არღვევდნენ. ამ თვალსაზრისით პოპულარული სახის, დეა ადამიას აქტიურობამ ნაყოფი გამოიღო. მას კოვიდსასტუმროში გაიდლაინებით მკურნალობისას დედა მოუკლეს, რის გამოც განგაში ატეხა, რითაც მთავრობის ყურადღება მიიქცია; კერძო სასტუმროებში განხორციელებულმა რეიდმა ცხადყო, რომ ჯანმოს პროტოკოლის გამოისობით ექიმთა გულგრილობით ყველასგან იზოლირებული პაციენტები სწრაფად იხოცებოდნენ, რაც კოვიდფაშიზმის მტაცებლურ არსს რეკლამის მიღმა დაუნდობლად აშიშვლებდა. ჯანმოს გაიდლაინს დამონებული ესკულაპების მავნებლობა ადრე თუ გვიან სისხლის სამართლის დანაშაულად შეფასდება, რასაც ვერავინ შეაჩერებს. პანდემიის თანმდევი მნიშვნელოვანი ფაქტორი: გულმხეცი ექიმების მიერ დახოცილი ადამიანების გასაიდუმლოებული რიცხვია, რაც ფულიხვეჭია

ესკულაპების ჯალათთან ასოცირების ტოლფასია. საქვეყნო უნდობლობა სწორედ ამ საშინელი პრაქტიკიდან იღებს სათავეს. ახლაც ჟრუანტელი მივლის, როცა მახსენდება, შარშან, თებერვალში ასტრაზენეკათი აცრილი ახალგაზრდა, 28 წლის აჭარელი ექთანი ვაქცინციიდან 20 წუთში როგორ დაიღუპა! ის, როგორც მსხვერპლი, კოლეგებმა დაუნდობლად გასწირეს; მეტიც, ვაქცინაციის რეკლამა გააკეთებინეს, როდესაც იცოდნენ, რომ ორი მცირეწლოვანი შვილის ახალგაზრდა დედას გარდუვალი სიკვდილი ელოდა! ამის შემდეგ ჯანმოზე დამოკიდებულ ჩვენს უნიათო მთავრობას კოლოსალური ძალისხმევა დასჭირდა მოსახლეობა აცრაზე დაეთანხმებინა, თუმცა პროცენტული მაჩვენებელი 33 პროცეტს არ აღემატებოდა, არადა, ესენი ხუთწლედის გეგმას - ანუ აცრილების 85 პროცენტამდე გაზრდას ვარაუდობდნენ! ამ მხრივ ლუგარის ტრიუმვირატის ჯალათები ისე აქტიურობდნენ, მედიების თანხლებით აღმა-დაღმა გაცოფებული მგლებივით დაგელავდნენ ვაქცინაციის გეგმის შესრულებით დამატებითი დივიდენდები რომ გამოემუშავებინათ!

2021 წლის 10 დეკემბერს, ადგილობრივი საავადმყოფოების სავალალო მდგომარეობაზე ოფიციალური აღიარება პოსტიდან გადაყენებული ჯანდაცვის ყოფილი მინისტრის, ეკატერინე ტიკარაძისგან მოვისმინეთ, რომელიც პანდემიის დასაწყისში ხისტ პოლიტიკას არ ემხრობოდა, მაგრამ დასავლური ზეწოლიდან გამომდინარე, მალე პოზიცია შეიცვალა და ლუგარის ტრიუმვირატის ჯალათთა მარჯვენა ხელადიქცა. ამ ნიადაგზე ტიკარაძეს პრემიერთან ურთიერთობა დაეძაბა. გაირკვა, რომ დეკემბრის დასაწყისში გამართულ საკოორდინაციო საბჭოზე მძაფრი შეხლა-შემოხლის შემდეგ ტიკარაძემ და გამყრელიძემ საბჭოს სხდომა დატოვეს, რაც ტიკარაძის გადაყენებით დასრულდა. ცალკე საკითხია, რომ საკოორდინაციო საბჭოს გაუქმების მოთხოვნით მოქალაქეებმა პეტიცია შეიმუშავეს, რაც ცხადყოფს, რომ ეს ყბადაღებული საბჭო ანტიქართული პოლიტიკის გამტარებელია და ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ჩვენს ისედაც საგანგაშო დემოგრაფიულ მდგომარეობას ხელოვნურად ამძიმებს!

აუცრელი ადამიანის დასამცირებლად შექმნილი ტერმინი ანტივაქსერი სწორედ მაშინ დამკვიდრდა, თუმცა პროვოკატორებს მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ ანტივაქერი ბუნებაში უბრალოდ არ არსებობს, ვინაიდან სავსებით აუცრელი ადამიანი თითზე ჩამოსთვლელია! შესაბამისად, კოვიდტერორის გასაძლიერებლად გლობალისტებმა ადამიანების დასაყოფად ახალი განხეთქილების ვაშლი ამჯერად ამ ფორმით შემოაგდეს და ახალი საომარი კერის დინამიკას ხელების ფშვნეტით თვალყურს სადისტური კმაყოფილებით ადევნებდნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჯანმოს ბრძანებებს დაქვემდებარებული ჯალათი ექიმების „რჩეული“ ესკორტის წინააღმდეგ უთანასწორო ომში ჩაბმული პატიოსანი და კომპეტენტური ექიმები: თინა თოფურია, გიორგი კანდელაკი და იაგო ფრანგიშვილი (სხვების ვინაობა ნაკლებადაა ცნობილი და იმედია, მომიტევებენ, თუმცა მიხარია, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტია!) ჯალათთა უცვლელ სამიზნედ იქცნენ, თუმცა გარღვევას წინ ვერავინ აღუდგა: კოვიდფაშიზმის მოწინააღმდეგე ექიმებმა იურისტებთან და გაბედულ, მოაზროვნე ადამიანებთან ერთად საზოგადოების საუკეთესო, მებრძოლი ნაწილის შეკავშირება შეძლეს, რაც გარდამტეხ ფაქტორად იქცა. ჩვენში კოვიდფაშიზმის საპროტესტო ტალღა კონსერვატიული მოძრაობის: „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერმა, ზვიად ტომარაძემ თავის თანამებრძოლებთან ერთად ააზვირთა და ეს მანამ მოიმოქმედა სანამ პოლიტიკურ პარტიას დააარსებდა. ამ დეტალის დაზუსტება ცხადყოფს, რომ კოვიდტერორის წინააღმდეგ წარმოქმნილი პროტესტი სახალხო ხასიათისაა, რაც არაჯანსაღ პოლიტიკურ ანგაჟირებას საფუძველშივე გამორიცხავს. ენერგიულ და გაწონასწორებულ ტომარაძეს, მხარში ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები დაუდგნენ; მათ შორის გამოვყოფ წონიან პოლიტოლოგ სოსო მანჯავიძეს, რომლის შემეცნებითი სატელევიზიო ციკლი კოვიდფაშიზმზე ნამდვილად აღსანიშნავია, ისევე როგორც ამ პროტესტის გამოკვეთილი სახალხო ლიდერი: ახალგაზრდა ბლოგერი ბექა ვარდოსანიძე, რომლის ძალისხმევითაც ინფორმაციულ ვაკუუმში მომწყვდეული საზოგადოება ყოველდღიურ რეჟიმში კოვიდის თემის ამსახველ უამრავ უცხოურ პუბლიკაციას (რომელსაც ვარდოსანიძე დაუღალავად თარგმნის და გვაწვდის) დროულად ეცნობა. ვარდოსანიძის მეტსახელი: სახალხო ტელევიზია ცხადყოფს, რომ მონდომების შემთხვევაში სათანადოდ მოტივირებულ ერთ ადამიანს თავდადებული შრომის ფასად შეუძლია 4-5 კარგად დაფინანსებული მავნე ტელეარხების დივერსიულ დეზინფორმაციას პატარა სტუდიიდან ჩვეულებრივი ტელეფონით უწყვეტი ცეცხლი გაუხსნას და რეიტინგის კვალდაკვალ მრავალრიცხოვანი

აუდიტორია ცხვირწინ აართვას, რაც სიმართლის მოთხოვნილებითაა განპირობებული და გაბედული ბლოგერის მაღალ რეიტინგს დამსახურებულად განაპირობებს. მისასალმებელია, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში ახალშექმნილი კონსერვატიული პარტია: „კონესრვატიული მოძრაობა“ იგივე ალტ ინფოს ბიჭები ჩაებნენ, რომელთა აქტიურობითაც 5 ივლისს გეი-აღლუმი ჩაიშალა, რაც ამ მებრძოლი გუნდის მიმართ ლიბერასტების ისტერიულ მიუღეობლობას განაპირობებს. და მაინც, კოვიდაშიზმის ავანგარდში ზვიად ტომარაძე დგას, რომელმაც ჯერ კიდევ წლების წინ მერყევი ხელისუფლება აიძულა ეროვნული ღირებულებების დასაცავად და ხალხის სასარგებლოდ მთელი რიგი კანონები მიეღო. ცალკე თემაა დაპირისპირება საზოგადოებრივი მაუწყებლის ორმაგი სტანდარტის გამოსააშკარავებლად. ტომარაძე-ვარდოსანიძის ენერგიული ბრძოლა ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ საეთერო დროის გამოსაყოფად მოწმობს, რომ ჩვენ (და უკვე მთელ მსოფლიოში) მიერ დაფინანსებული მედია მტრის დავალებას ასრულებს. ჩამჭრელი კითხვებით კედელთან მიმწყვდეულმა ჟურნალისტებმა აღიარეს, რომ დირექტივის თანახმად კოვიდის თემის წაყრუების პოლიტიკას ერთხმად მისდევდნენ და სადისკუსიო ფორმატის შემოღებას ენერგიულად ეწინააღმდეგებოდნენ; როდესაც ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო და საეთერო დრო გაჩნდა, დებატების მონაწილე მეორე მხარეს არგუმენტების ნაცვლად დემაგოგობის გარდა არაფერი გამოუვლენია, რის საუკეთესო ნიმუშადაც ტომარაძე-კულუმბეგოვის დუელის კვალდაკვალ ტომარაძე-ხატია შამუგიას, ვინმე ექიმ ამაღლობელისა და პეტრე კოლხის შერეული კვარტეტი იყო, სადაც მოწინააღმდეგეების უსახურ საუბარს ხალხი ცალსახად უარყოფითი კომენტარების სეტყვით დახვდა. ამ ფაქტმა გამოაჩინა, რომ მგლის თავზე სახარების კითხვა უშედეგოა, თუმცა ის დეტალიც გამოიკვეთა, ნომენკლატურა ხალხის ხელფასებით დაფინანსებულ ტელეარხებს მის საწინააღმდეგოდ როგორ იყენებს! შარლატან ესკულაპეთა გალერიიდან მესიე ფხაკუას (გიორგი ფხაკაძეს) ოდიოზური შეგონებები ავლენს, რომ არეულ წყალში თევზის ჭერა თბილისი პრაიდის წევრ აიბოლიტსაც ფრიად ყვარებია და თავისი მდიდრული რეზიდენციიდან ხალხს ისე ინფანტილურად ამუნათებს, ფსიქიატრიული ღია რომ იყოს, თავისი ანგარებიანი დოსტეებიანად უმალ იქ მიაბრძანებდნენ! ქართველი დოქტორ ჰაუსისგიორგი ღოღობერიძის შოუმენურმა ილეთებმა ბევრს იმედი გაუცრუა და სამართლიანადაც, რადგან ახალგაზრდა ესკულაპის მეტამორფოზამ გამოააშკარავა, ზოგი ხალხის ნდობასა და სიყვარულს ბოროტად როგორ ეთამაშება! ამრევების თემას შევეხეთ და ძალიან საწყენია, რომ ზვიად ტომარაძეს მიკრობიოლოგების გუნდი დაუპირისპირდა. მათი ერთ-ერთი ლიდერი, ზვიად გოგიაშვილი ჩინებული პროფესიონალია, თუმცა ამ კოზირით ტომარაძისა და ვარდოსანიძის დაცინვა და მეცნიერული რეგალიებით უადგილო თავმომწონეობა უთანასწორო ომში ჩაბმული სახალხო მოძრაობის დაკნინება და მტრის წისქვილზე წყლის დასხმაა! საერთო მიზნის მისაღწევად ერთ მუშტად შეკვრა რომ აუცილებელია, ეს „დეტალი“ ქართველობამ ახლა მაინც უნდა გააცნობიეროს, როდესაც პლანეტარული ქარტეხილების პირისპირ მდგარ მცირერიცხოვან ერს უფსკრულში გადაჩეხვის საფრთხე ემუქრება, ამ დროს ერთსულოვნების გამოვლენა გადამწყვეტია, ხოლო „უჩემოდ ვით უმღერეთას“ სეპარატისტული ჰანგი ცალსახად წამგებიანი! მიკრობიოლოგების პრეტენზიული განაცხადი, რომ საპროტესტო ტალღა მათ ააგორეს და შემდგომში ზვიად ტომრაძემ მხარდამჭერები წაართვა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია; თქვენს მონ-მორჩილს არც ერთი აქცია არ გაუცდენია. მახსოვს, მიკრობიოლოგებმა მიტინგს შინაარსი როგორ უცვალეს და პარტიული ლოზუნგები ააფრიალეს: მთავრობა გადავაყენოთ და ჩვენ აგვირჩიეთო, უცბად განაცხადეს, რამაც ელექტორატი დააკარგინა და ახლა ამის სხვაზე გადაბრალება რა საკადრისია, როცა ხალხის დაკვეთა უპირობო გაერთიანების მოთხოვნას თანხვდება. ზვიად ტომარაძის თაოსნობით გამართულ 13 აქციას არ გამოვკლებივარ და იქ იმდენი მებრძოლი და გულანთებული ადამიანი გავიცანი, დადებითი მუხტით ავივსე. და რაც აუცილებლად ხაზგასასმელია, მიტინგების მრავარიცხოვნების მიუხედავად მშვიდობაინი ატმოსფერო არასდროს დარღვეულა; ერთადერთხელ მოხდა ექსცესი, ისიც ტვ პირველის პროვოკატორების მხრიდან, პოლიციამ ოპერატიულად რომ განმუხტა. ამდენად, ქართული კოვიდფაშიზმის საპროტესტო აქციების მშვიდობიან და ამავდროულად მტკიცე პროტესტის მუხტს მსოფლიო კეთილმოსურნედ აღიქვამს და ეხმიანება მაშინ, როდესაც კანონმორჩილი ევროპელების მანიფესტაციებზე არეულობები, პოლიციასთან შეტაკება, მანქანების დაწვა და სხვა ექსცესები სახეზეა, რაც ნათლად მოწმობს, ამტანი

ქართველობის მწყობრიდან გამოყვანა არც ისე ადვილია, თუმცა როდესაც მოთმინების ფიალა ივსება, მისი შეჩერება შეუძლებელია. 1 დეკემბერს ჩვენში მწვანე პასპორტების შემოღებამ სეგრეგაცის ხარისხი გაზარდა. აქციაზე გაცილებით მეტი ადამიანი გამოვიდა, მათ შორის აცრილები, რომლებიც ამ დამამცირებელ წესს აუცრელებთან ერთად გმობდნენ. ამ მხრივ ყველაზე დიდი სოლიდარობა იტალიაში გამოვლინდა, სადაც აცრილებმა მწვანე პასპორტები მთავარ მოედანზე დაწვეს და მსოფლიო უჩვენეს, რომ ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოება მსგავს დაყოფას არასდროს შეეგუება. ეს სერიოზული დარტყმა აღმოჩნდა ჩვენი რესტორატორებისთვის, რომლებიც უცხოელი კოლეგებისგან განსხვავებით ბიზნესის გაჩერების ან შემცირების შემთხვევაში სათანადო კომპენსაციას არსდროს იღებენ და ამის მიუხედავად, 200 საქმოსნიდან მხოლოდ ორ ღირსეულ რესტორატორ ქალბატონს ეყო გამბედაობა კეთილსინდისიერება მთავრობის ბრძანება არ შეესრულებინათ და სეგრეგაციას არ დამორჩილებოდნენ. მათი აქტიურობა და ბრძოლა ამ მიმართულებით მისაბაძი მაგალითია და კიდევ ერთხელ, ფემინისტური იარლიყის მიღმა ამტკიცებს უძველესი გამოცდილების არსს: დედაბოძი, დედა ენა, დედამიწა და ა. შ. აქვე აღსანიშნავია, რომ პრემიერმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ ხალხის უპირობო მოთხოვნას წინ არ აღუდგებოდა თუკი რესტორნის მეპატრონეები მასიურ პროტესტს გამოხატავდნენ, რაც ჯერჯერობით სამწუხაროდ არ განხორციელდა. ცოდვა გამხელილი სჯობს, გაფიცვების კლასითა და გამოცდილებით უცხოელები აშკარად გვისწრებენ და საფრანგეთი ამის საუკეთესო მაგალითია: ცნობილი საკურორტო ქალაქების ორგანიზებულმა პროტესტმა ხელისუფლება აიძულა მწვანე პასპორტები გაეუქმებინა. კოვიდფაშიზმის კიდევ ერთი და უმთავრესი ფაქტორი: საშუალო ფენის გაქრობაა, რაც ავტომატურად წვრილ მეწარმეთა გაკოტრებას განაპიროებს, რაც უმდიდრეს კასტას საშუალებას აძლევს გაღატაკებული პლებსი სურვილისამებრ მართოს! ისედაც გაჩანაგებული ქართული ეკონომიკისთვის პანდემიური ჩაკეტვები და შემდგომში მწვანე პასპორტებით მიყენებული „ევოლუციური“ ზარალი ქვეყნის ძირის გამოთხრაა, რაც სხვის დაქვემდებარებაში კაბალურ ყოფნას უვადოდ ახანგრძლივებს. ცხადია, პანდემიური პროექტის მესვეურ ფინასისტებს ეს „დეტალი“ ამხელთ: საშუალო ფენის გაკოტრება მსოფლიო ბატონობის გზაზე აუცილებელი პირობაა, ჩვენში 30 წელია რაც ეს ფენა აღესრულა, კომპენსაციის ნაცვლად კი გართულებული ცხოვრება ყოველდღიურად ძვირდება. რომ იტყვიან, ჩვენ იმდენი საპალნე გვაწევს, გასაკვირიია, აქამდე როგორ მოვაღწიეთ! ეკონომიკური ფაქტორის კვალდაკვალ მწვანე პასპორტები საყოველთაო აცრის დაკანონების აუცილებელი წინაპირობაა; ამასწინათ ისრაელის პრემიერს წამოსცდა, რომ მწვანე პასპორტებს ხალხის დაშინების ფუნქცია აკისრია. ამაზე ნათქვამი, გამგებმა გაიგოსო; ისრაელი, რომელიც ვაქცინაციის ხარისხით მისაბაძ ქვეყნად მიიჩნეოდა, პანდემიურ დოღს უცბად ჩამოშორდა, რაც ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ქვეყანა პანდემიაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებს, რაც ჯანმოსთვის არასასურველი მოულოდნელობა აღმოჩნდა.

ის ფაქტი, რომ ჯანმოს მესვეურნი ხალხს არწმუნებდნენ, რომ აცრის შემდეგ ყველაფერი სწრაფად დასრულდებოდა, ტყუილი გამოდგა და მეორე ტალღის შემდეგ უკვე განმეორებით აცრაზე, შემდეგ კი ბუსტერ დოზებზე ალაპარაკდნენ, რაც იმავე პრინციპით ხორციელდება, როგორც ნარკოტიკების მიღების სიხშირე და რაც ყველაზე საგანგაშოა, აცრილები კოვიდით უფრო მძიმედ ავადდებიან ვიდრე აუცრელები, ვინაიდან ვაქცინა ადამიანის თანდაყოლილ ბუნებრივ იმუნიტეტს ანგრევს, რაც აგრეთვე დამალეს, რამაც ვაქცინაციით გამწვავებული დაავადებების საფუძველზე უამრავი ადამიანის გარდაცვალება დააჩქარა! პანდემიური აფერის მთავარი არსი მავნე პროპაგანდის მიუხედავად გამოიკვეთა: აცრის მიუხედავად კოვიდის წინაშე აცრილიცა და აუცრელიც მოწყვლადია და მეტიც, აცრილები აუცრელებს ვირუსს გადასდებენ და მათ აავადებენ. არადა, მედიები და მოსყიდული ექიმები საპირისპირო მოსაზრებებს ავრცელებდნენ და აუცრელების წინააღმდეგ ფაშისტური აკრძალვების დაწესებას ისტერიულად მოითხოდნენ! ამ მხრივ ჩვენმა ბნელიტამ ტრადიციულად „თავი გამოიჩინა“, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ხალხსა და მმართველ ფენას შორის გათხრილ უფსკრულს პლანეტარული მასშტაბის საფრთხეც ვერ შეამცირებს.

ამასობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კოვიდფაშიზმის წინააღმდეგ უზარმაზარი საპროტესტო აქციები აგორდა; მათგან განსაკუთრებით ბრაზილიის ვეებერთელა მიტინგი გამოირჩეოდა, რომლის პრეზიდენტიც სავალდებულო აცრის შემოღებას თავიდანვე კატეგორიულად უარყოფდა, აქაურმა ჰაკერებმა სპეციალური ბაზაც კი

გატეხეს და პანდემიური მონაცემები გააქრეს! იტალიასა და საფრანგეთში დრაკონული წესების დამკვიდრებას მთავრობა ლობირებს; იტალიაში აუცრელებისთვის მწვანე პასპორტების გარეშე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებაც აიკრძალა, ავსტრიამ და გერმანიამ კი ავსტრალიის რეკორდიც მოხსნეს და 1 თებერვალს სავალდებულო ვაქცინაცია დააანონსეს! ნიდერლანდებში მომიტინგეებს პოლიციამ ძაღლები მიუსია; ჩრდილოეთის ქვეყნების ხისტი კოვიდფაშისტური პოლიტიკა ჯერ შვედეთმა, ხოლო შემდეგ დანიამ შეარბილა. საბერძნეთში მძიმე ვითარების პარალელურად უკმაყოფილი ჯგუფების აღშფოთება მატულობს; ამერიკაში ბაიდენის მიერ გამოცხადებული სავალდებულო ვაქცინქცია 27 შტატმა გააპროტესტა, შტატის გუბერნატორები (აცრას კონსერვატორები ეწინააღმდეგებიან) ჯანმოს რეკომენდაციებს არ ემორჩილებიან. მეტიც, ფლორიდის შტატში 5000 დოლარიანი ჯარიმა დაწესდა მოსახლეობის სეგრეგაციისთვის. იგივე ვითარებაა ტეხასსა და დაკოტაში, სადაც ხალხი დემოკრატების მიერ დაწესებულ პანდემიურ რეგულაციებს მასიურად უჯანყდება. ამ კატაკლიზმების თაობაზე ცნობილი ამერიკული ტელეარხის: „foqsniusis“ წამყვანმა კარლსონ ტაკერმა (fosniusma გაკოტრებული სიენენი ჩაანაცვლა) შავი იუმორის თანხლებით „იხუმრა“: როგორ გაგიჟდა ამერიკა, რომელიც ბაიდენის გაპრეზიდენტებისთანავე დაღმართში დაეშვა, ავღანეთის მაგალითმა ეს მოცემულობა გაამყარა. ამერიკის უძლეველობის შესუსტების ფონზე ჩინეთის მზარდი წინსვლა ბრმისთვისაც შესამჩნევია. აქაური პანდემიური პოლიტიკა იმდენად ჩახლართულია და წინააღმდეგობრივი, ერთმნიშვნელოვანი პროგნოზირება შეუძლებელია; ამ საყოველთაო მღელვარებისას აზიის ქვეყნები წონასწორობას ინარჩუნებენ და ჯანმოს რეკომენდაციებს არ ითვალისწინებენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პანდემიურმა განგაშმა აზიას გვერდი ოსტატურად აუარა, ვინაიდან ამ ქვეყნების მეთაურები ჯანმოს მიერ დაანონსებულ სამხედრო დიქტატურას არ ემხრობიან. მეტიც, ჩრდილოეთ კორეამ აცრა საერთოდ აკრძალა. რუსეთი გზაჯვარედინზე ირყევა. ერთის მხრივ პუტინმა საჯაროდ განაცხადა, რომ ლიბერალიზმის მიერ შემოღებულ დღის წესრიგს არ გაატარებს და ქრისტიანობასა და ჩვეულ ტრადიციებს არ გადასინჯავს; არამედ, პირიქით, დასავლეთის მიერ პრივილეგირებულ უსქესოთა პროპაგანდის წახალისებას არ დაუშვებს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის მეთაური, თუმცა ამავდროულად პანდემიური რეგულაციების გამკაცრებას ეთახმება; ცალკე საკითხია, რომ მწვანე პასპორტების პოლიტიკამ ოკუპანტების ვრცელ სამფლობელოში არ გაამართლა. ბელორუსია ამ თვალსაზრისით მისაბაძი სახელმწიფოა, სადაც პანდემიურმა სინამდვილემ ფეხი ვერ მოიკიდა, ვინაიდან ლუკაშენკოს დაბალანსებული პოლიტიკის გამოისობით ქვეყანა ჩვეულ რეჟიმში ცხოვრობს და ეკონომიკისთვის დამანგრეველ ჩაკეტვებს არ ახორციელებს. გასაკვირია და აფრიკის ქვეყნების მთავრობებმა მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ვაქცინები გაანადგურეს მაშინ, როდესაც შუაგულ ევროპაში კოვიდფაშიზმი დღითიდღე ძლიერდება; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები განსხვავებულ პლატფორმაზე დგანან და საკუთარი მოსახლეობის ინტერესს ითვალისწინებენ, რაც ევროკავშირთან მუდმივ დაძაბულობას იწვევს, ვინაიდან ეს ორგანიზაცია ორმაგ სტანდარტს მისდევს და „ფურცელზე დაწერილ კანონებსა და დეკლარაციებს“ სურვილისამებრ არღვევს. ეს პანდემიური ზოგადი კოლაჟი იმიტომ შემოგთავაზეთ, რათა მედიების მიერ დაზომბირებულმა ადამიანებმა შეიგნონ, რომ მსოფლიოზე ბატონობის მესვეურთა მზაკვრულ გეგმას მსოფლიო ერთმნიშვნელოვნად არ აჰყვა, რამაც მისი განხორციელება გაართულა. ეს გარემოება იმედს აღვივებს, რომ ყოველდღიური გამოფხიზლება პანდემიური კოშმარის დასასრულთან გვაახლოებს. 2021 წლის ბოლოს კაცობრიობა მიხვდა, რომ კოვიდფაშიზმი უნდა დასრულდეს, ვინაიდან აცრილების უსაფრთხოება ყალბი მითი გამოდგა და ვერც ჯოგური იმუნიტეტის შექმნის იდეამ გაამართლა, რომ ბავშვების აცრამ ბრიტანეთში ჯანმრთელი ბავშვების სიკვდილიანობა ორჯერ გაზარდა, რისი გაგრძელებაც დაუშვებელია! და ამ ფონზე ჩვენი ტელეტერარიუმები და ადგილობრივი ფაშისტები მსოფლიო სიახლეებს გულმოდგინედ გვიმალავენ; მეტიც, ვინც ახალ ინფორმაციებს აჟღერებს, მათ მიზანმიმართულად ებრძვიან. ამის მაგალითია 31 დეკემბერს ბლოგერ ბექა ვარდოსანიძის დაპატიმრება ვითომდა ჟურნალისტის შეურაცხყოფის ბრალდებით. სინამდვილეში ეს გზავნილი გამაფრთხილებელ მუქარას შეიცავდა რათა კოვიდფაშიზმის საპროტესტო აქციებზე გამოსულ ხალხს ფარ-ხმალი დაეყარა და ლუგარის ტრიუმვირატის ბრძანებების თანახმად ვაქცინაციის იდეალური შედეგი დაედო. ახალი, 2022 წლის დადგომა გაბედული ბლოგერის დაკავებით ჩაგვამწარეს. ორი დღის შემდეგ “სეზამი “

გაიღო და სახალხო ტელევიზიას კვლავ გზა გაეხსნა. ბრძოლას ყოველთვის თან ახლავს შედეგი!

ადამიანებმა ისიც კი გაიხსენეს, რომ თავის დროზე სტალინმა სსრკ ჯანმოდან გამოიყვანა, რაც ერთიანი მსოფლიო მმართველობის შექმნას ეწინააღმდეგებოდა. ამ ფონზე კატის კნავილად გაისმის ადგილობრივი ფაშისტი აიბოლიტების მოწოდება, ჯანმოს მორჩილებისკენ მგზნებარედ რომ მოგვიწოდებენ; როგორც 25 თებერვალს ბოლშევიკებმა სიონში შეყრილი თავადაზნაურობა რუსეთის მეფის ერთგულებაზე ძალით დააფიცეს, ეს მოსყიდული გადმონაშთები ჯანმოს სამხედრო დიქტატურის დასამყარებლად გამალებით იღწვიან, სხვაგვარად ჩვენში როტშილდის ვიზიტს რა ახსნა მოეძებნება?! მისი დათაფლული დაპირება ეკონომიკური წინსვლის შესახებ მორიგი სიცრუეა, რითაც 30 წელია დასავლეთი უწყვეტად თავბრუს გვახვევს და რისი გამოისობითაც საქართველო, როგორც სახელმწიფო ლამის აღარ არსებობს, ვინაიდან მოსახლეობის უმრავლესობა უცხოეთში საარსებო წყაროს მოსაპოვებლადაა გადახვეწილი, უმუშევრობა პიკს აღწევს და ამ ფონზე უფასო ვაქცინის დაძალებით ახალ ოქროს მთებს გვპირდებიან! მადლობა ღმერთს, ყოველი დღე ცრუპანდემიურ მზაკვრულ ხერხებს ააშკარავებს, რაც ნიშნავს, რომ საკუთარი თავი ჩვენვე უნდა დავიცვათ და მავანთა შეპირებულ ოქროს გალიას როგორმე თავი დავაღწიოთ.

2022 წლის დადგომამ პანდემიური ბურუსი საბოლოოდ გაფანტა. 9 იანვარს, იტალიის პარლამენტის წევრმა სერჯიო ბერლატომ კოვიდის არსი საჯაროდ დაუფარავად ამხილა. ის, რაც აქამდეც ვიცოდით, უკვე ოფიციალური ტრიბუნიდან ყველას გასაგონად ოფიციალურად გაჟღერდა. სახელდობრ, რომ აცრის შემდეგ კაცობრიობა ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა, ტყუილი გამოდგა! რომ აცრილთა 85 პროცენტი დაცული იყო, ესეც ტყუილია ისევე, როგორც გრეენ პასს-ი გადაარჩენს შობას და ეკონომიკას განმუხტავს, ესეც თვალის ასახვევი ტყუილია, საგანგებო მდგომარეობის დროებით შემოღებაც ტყუილია და ა. შ. მოკლედ, რასაც რიხით გვიცხადებდნენ, ყველაფერი უზარმაზარი და რაც ყველაზე სახიფათოა, დაუსრულებელი სიცრუის უგვანი ნაერთია. ამდენად, მსოფლიოს დაპყრობის თანამედროვე გეგმა უწყვეტი სიცრუის ტირაჟირებაზე გადის, ამას წყალი აღარ გაუვა და თუ ვინმე საწინააღმდეგო აგიტაციას ჩააბულბულებს, ამ საყოველთაო აფერის რომელიღაც უსახო ჭანჭიკია და ქიმიური ნარჩენებით მომწამვლელი სიცრუის მეშვეობით თავს მსუყე გასამრჯელოს ხათრით იტყუებს ერთი ჩვენი აიბოლიტი ფაშისტების სიფათები მაჩვენა, ამ გაბედულ მხილებას გულამრეზილები რომ მოისმენდნენ და კეთილსინდისიერ პარლამენტარს გუნებაში მწარედ შეუკურთხებდნენ. ისე, გინების ღირსი ვინცაა, ამას დიდი ახსნა-განმარტება არ ესაჭიროება. მე თუ მკითხავთ, ეს ფრიად ჰუმანური გადაწყვეტილებაა ფულიხვეჭია ზვიგენების დასაოკებლად, რომლებიც საკუთარი ქონების გსაათკეცებლად პლანეტის მთელ მოსახლეობას უყოყმანოდ მარილზე უშვებენ. და კიდევ, ნიდერლანდებში კოვიდტერორის საპროტესტო აქციაზე დონალდ ტრამპის პლაკატების გამოჩენა ცხადყოფს, რომ ლიბერასტული „დემოკრატიით“ გათანგული ევროპა თანდათან იღვიძებს და თუ ამ საქმეში ვეფხვი დროულად გაერია, იცოცხლე, ყველა ქვეყნის ყარაბას ბარბას დასტაქრებსა და ფარმაცევტული ბიზნესის ქარიყლაპიებს ვეგეტარიანული დესერტი მშვიდად ვეღარ შეერგებათ...

პანდემიური კალეიდოსკოპის მოკლე ნათება: აფრიკის ქვეყნების ხელისფლებამ ხალხის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ვაქცინები საჯაროდ გაანადგურა. ამ ფაქტის გაგონებაზე ლიბერასტის ქრესტომათიული ოხვრა: ოჰ, ეს ჩამორჩენილი აფრიკა! როგორც ჩანს, საცდელი ბოცვერის როლი მობეზრდა, რაც ჩვენთვის ფინანსურად წამგებიანია...

სამაგიეროდ ცივილიზაციის შუაგულში, კერძოდ, მოწინავე ავსტრიაში 9 წლის ბავშვი ჩრდილოურ ყინვაში კლასიდან იმის გამო გააგდეს, პირბადე რომ არ ეკეთა. არადა, სამედიცინო ცნობა მის უფლებას იცავდა, რადგან სუნთქვის პრობლემა აწუხებდა და ამის მიუხედავად საკონტროლო წერა გარეთ მიესაჯა. ბოლშევიკის რეაქცია: ეს ლენინმა ასწავლა თუ თავისით მოიგონეს? ლიბერასტის რეაქცია: ბრავო! ასე გააგრძელეთ და მალე მთელი მსოფლიო ჩვენია! ჩვენი ადგილობრივი ფაშისტისა და ვეტერანების ახალგაზრდა საფრთობელა კულუმბეგოვის საოცნებო რეპლიკა: მე მინდა საქართველომ ავსტრიასა და გერმანიას მიბაძოს! ჩემი დასკვნა: ავსტრიაში “ყინვა და მოწაფე“ კლასგარეშე ლიტერატურის განხრით რომ გაევლოთ, ბავშვებს მგელთან თამაშსაც დაამადლიდნენ. ფულიხვეჭია სნობ კულუმბეგოვს კი დემოკრატიული სოლიდარობის ნიშნად ნაინანატრ ფაშისტებს დაუნანებლად გადავულოცავდ, ნაციზმით დამეწყრილი ქვეყნები ასე პანდემიურად რომ ეძვირფასება. ბარემ გამოსცადოს ის, რაც ასე ეხარბება, რასაკვირველია, საკუთარ ტყავზე...

„მე ჯერ მართლმადიდებელი სერბი ვარ და შემდეგ სპორტსმენი!“- მსოფლიოს ნომერ პირვე-

ლი ჩოგბურთელის, ნოვაკ ჯოკოვიჩის ფრაზა მოწმობს, რომ თვით უკიდურესად გაუფასურებულ ეპოქასაც ჰყავს დაუმარცხებელი ლეგენდები, რომლებსაც ხელოვნურად კი არ აკონიწებენ მავანნი, არამედ განსაცდელი ავლენს ვინ ნამდვილია და ვინ სხვების მიერ შექმნილი თიხის ფეხებზე მდგარი გოლიათი. ჯოკოვიჩმა სრულიად მტრული იზოლაციისა და არაკოლეგიალობის საპირწონედ კოვიდფაშიზმის მესვეურების გამოწვევას ჭეშმარიტად მეფური, ჩემპიონისთვის თანმდევი ჟესტით უპასუხა, რაც სამწუხაროდ სხვა, არანაკლებ ტიტულოვანმა სპორტსმენებმა ვერ გამოავლინეს. სიმბოლურია, რომ 7 იანვარს, ქრისტიანული სამყაროს ყველაზე განუმეორებელი - შობის დღესასწაული დაუმარცხებელმა ჯოკოვიჩმა პატიმრობაში გაატარა. მას ავსტრალიის "დემოკრატიულმა სახელმწიფომ" ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე ასპარეზობა აუკრძალა, თუმცა ქვეყანაში შესვლის ნება დართო, შემდგომში სხვების დასაშინებლად ტროას ცხენის ეფექტი რომ გაეთამაშებინა. პარადოქსი ისაა, რომ ავსტრალიის სასამართლომ სეგრეგაციის მოწინააღმდეგე ცნობილი სერბი სპორტსმენი გაამართლა, ხოლო სახელმწიფომ სამართლიანი განაჩენი გააუქმა და უდანაშაულო ჯოკოვიჩი "მოწინავე ქვეყნიდან" გააძევა. ის ფაქტი, რომ ნომერი პირველი ჩოგანი არ აიცრა, ცრუპანდემიის მესვეურთათვის სახიფათო მოცემულობად იქცა; კოვიდფაშისტები შეშინდნენ, რომ უშიშარ ჩემპიონს სხვებიც მიბაძავდნენ, რასაც უმსგავსი და რაც მთავარია, უკანონო გადაწყვეტილება მოჰყვა; უკვე მერამდენედ დამტკიცდა: იქ, სადაც ლიბერალური დემოკრატია ყვავის, ქრისტიანობას გეზმიმართულად ებრძვიან; სერბის ეპოქალურმა პასუხმა ეს გაბედული სიმართლე მთელი მსოფლიოს გასაგონად გააჟღერა, ამიტომაცაა ის სამაგალითო , სულიერად მდიდარი პიროვნება უსულობით ამორფულ ციფრულ სამყაროში; უმთავრესი, რაც კაცს ცხოველისგან განასხვავებს და მასზე აღმატებულს ხდის, ზნეობაა, რომლის აღმოსაფხვრელადაც ოქროს კვერთხის მეშვეობით ლიბერასტები გააფთრებით იბრძვიან. სხვადასხვა სახის მიღწევები უკვე ამის შემდეგ განიხილება თუკი კაცობრიობა ჯანსაღ სიმაღლეს ინარჩუნებს. ჯოკოვიჩმა მატერიალიზმში ჩაძირულ ადამიანებს უმთავრესი ჭეშმარიტება შეახსენა: რომ ქრისტე უზენაესია და ვინც მას უერთგულებს, მსოფლიო ქარტეხილების გამძაფრებისას მხოლოდ ის გადარჩება. ეს გულიდან ამოთქმული წრფელი გზავნილია, მას ნამდვილი ქრისტიანები გვერდს ვერ აუვლიან, მით უფრო წარმართნი, რომელთაც ქრისტეს ღვთაებრივი სიმართლის ძალმოსილება არნახულად აშინებთ. ჯოკოვიჩმა განაცხადა, რომ რწმენასთან შენივთული სიმართლე წინაღუდგომელია და ესოდენ ფესვგადგმულ ბოროტებას აუცილებლად დაამარცხებს; ეს მოწოდება ღვთის გარეგანთა მოდგმისთვის, ფულის დიქტატურის დამკვიდრებით მსოფლიო მასშტაბით ადამიანების დამონებას რომ მზაკვრულად გეგმავს, საბედისწერო დარტყმაა, რაც მათი ძალმომრეობის დასასრულის დასაწყისია. სერბების ყველაზე გამორჩეული სულიერი მამა -ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი) ამ სამაგალითო პრეცედენტს რომ შესწრებოდა, თავისი ღირსეული თანამემამულის ეპოქალური ჟესტით უყოყმანოდ იამაყებდა. „ღმერთი მართლაც ყველაფერს ხედავს!" საკითხავია, ჩვენ, ადამიანები რამდენად მზად ვართ უმაღლესი ღირებულებების დასაცავად ბოლომდე ჩემპიონური თავდადებითა და შემართებით ვიბრძოლოთ...

ტრიუმვირატის ერთ-ერთმა ჯალათმა აიბოლიტმა ცერცვაძემ, სამარიდან ამოღებულს რომ წააგავს, ახლახან ჯორჯიან თაიმსის რადიოგადაცემაში ერთ-ერთი მაყურებლის კითხვაზე: თუ რატომ არ გააჩნია ჯალათებისგან დაკომპლექტებულ ჩვენს საკოორდინაციო საბჭოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება, ბატი ტასიკოს გამოთაყვანებული ღიმილის თანხლებით უცბად გაგვანათლა: გადაწყვეტილებებს დიდი სახელმწიფოები იღებენ, ჩვენისთანა პატარა ქვეყანას გლობალური გადაწყვეტილების მიღების უფლება არ აქვს და ამიტომ ჯანმოსა და ამერიკის დაავადებათა კანტროლის უფროსი ბრძანებებს უნდა დაველოდოთო.

ჰოდა, ელოდე და იმედი იქონიე, „როგორც კი ჯანმოს წყალი შეუდგება, კედელზე ცერცვივით რომ მიგასრესენ და შენივე დოსტის, ამირან კრამიტოვიჩის საზიარო ჯაჭვით გადაბმულ მესამე კუდთან ერთად უჰანის ლაბარატორიის ღამურების რინგზე დემოკრატიულად რომ დაგკითხავენ. აი მაშინ ჩვენი- ჯანსაღად მოაზროვნე კაცობრიობის დრო დაიქუხებს და თანაც როგორ!

19-21 იანვარი, 2022 წელი

ჟუჟუნა შაინიძე

რეცენზია პოეტ პოეტიშვილის ლექსების კრებულზე: „ტიტები ფუჟერში“

„ვარ ჯვარზე ცმული გალა ვნებიდან”
ანუ
მამისა და ძის დამოკიდებულების საკითხი
პაატა სურმანიძის (პოეტ პოეტიშვილის) პოეზიაში

პაატა სურმანიძის (პოეტ პოეტიშვილის), როგორც პოეტის თვითდამკვიდრების გზაზე, აშკარად არის გამოკვეთილი სხვა პოეტების, უპირატესად კი, გალაკტიონის პოეზიისადმი ამბივალენტური დამოკიდებულება. თუ ჰაროლდ ბლუმის („იელის კრიტიკოსთა“ ჯგუფის ერთ—ერთი ღირსეული წარმომადგენელი) თეორიის მიხედვით ვიმსჯელებთ, წინამორბედი პოეტის შემოქმედების სიდიადით გაკვირვება, აღტაცება და მისი, როგორც წინაპრად, მამად გამოცხადება („უშვილო რომ ხართ გალაკტიონი,მეც ობოლი ვარ და გეშვილებით.“) აშკარად მიგვანიშნებს, რომ ახალ პოეტს ქართული პოეზიის განვითარების წინაღობად („ანგელოზთა დასები, სულთა იქ დამხვედრები. ჩემი წინამორბედი იქონიებს გავლენას“) გალაკტიონი მიაჩნია, რომელიც უნდა დაიძლიოს და გადაილახოს ანუ მომავლის პოეზიამ ახალი გზები უნდა მოძებნოს ორიგინალურობისა და თავისთავადობის მისაღწევად.

გავლენა, გაოცება, გაკვირვება, ლტოლვა და გამოწვევა („მეფე პოეტი დუელში მიწვევ, ჩვიდმეტი მარტის ხელთათმანს მესვრი.“) თავდაცვის ისეთივე მექანიზმებია, როგორც მასთან სულიერი თანაზიარობის გამოცხადება. პაატა სურმანიძე სხვა სიმბოლური ნიშნებისა და თანხვედრების (დაბადების დღე (17:17), „კრებულებს შორის ასი წელია“ (17—71), ზოდიაქოს ნიშანი („ღვიძლი შვილი ვარ მე მორიელის,“) და ა.შ. გასიმბოლურებით, წინა პლანზე აყენებს სულიერ ნათესაობას წინაპარ პოეტთან, რომელიც ერთდროულად არის ორპირი (ტესებრი) ქარივით დაუნდობელი დაბრკოლება, წინაღობა („ვარ ჯვარზე ცმული გალა ვნებიდან, უთავო ქარი დაქრის ტესებრი.“), ასევე სტიმული, იმპულსი. (“რომ მაზიარე მე გალამ პიონს,დღეს მზის თარით ვარ მოთარე შენი.”) ამ მხრივ სახასიათოა შემდეგი ტაეპებიც, რომელშიც მეტონიმიურად არის გამოხატული ახალი პოეტის დამოკიდებულება წინაპრისადმი: „დავდივარ ყოველ ცისმარ ტაბიძეს და მიხარია წინამორბედით.”

კრებულში „ტიტა ფუჟერში“ საქმე გვაქვს გალაკტიონის, როგორც მამა—პოეტის —და— პაატა სურმანიძის, როგორც შვილი—პოეტის ანუ ჰ. ბლუმის ტერმინით — ეფებოსის ურთიერთმიმართების არა უბრალოდ დემონსტრირების მცდელობასთან, არამედ, ტრადიციიდან ნოვაციისაკენ რთული გარდასახვის ლიტერატურულ ფაქტთან, არტეფაქტთან:

„ვხტები, მათხოვებს არტის-ტურებით,
მთვარის პარაშუტს გალაკტიონი.“ („არტისტური ყვავილებით“)
შევდგები ცისფერ კალმის ევერესტს,
თეთრ ბუნიკს ხელი გალამ დარია.“ (ცისფერი დროშა)

პაატა სურმანიძის ლექსების კრებულში („ტიტა ფუჟერში“) წარმოდგენილი ლექსების სტილი, მანერა, ხმა, ინტონაცია აშკარად მიგვანიშნებს, რომ ავტორისათვის უპიროვნო პოეზიისაკენ მიმავალ გზაწვრილზე თავდაუზოგავი ბრძოლის მემკვიდრეობითი ხაზი ძირითადად გალაკტიონზე გადის: „პეგასებზე გადმოსხდნენ ლურჯ ცხენების მხედრები, სხეულები დატოვეს, სულის გამოსავლენად.“ („პეგასი“). ავტორს, ახალ მხედარს, სრულიად გაცნობიერებული აქვს, რომ დიად ორიგინალთან, დიდ წინაპართან სულიერი თანხვედრისთანავე დგება მისგან განდგომის, გადახრის ნამი, რადგან დიდ წინამავალზე პირდაპირი მიბაძვა ეპიგონობით მთავრდება, ამიტომ საჭიროა მისი მემკვიდრეობის ღრმად ათვისება, მის შემოქმედებით ველში ისე გავლა, რომ მოხდეს განმსგავსება, გათავისუფლება, ძველი ფესვებიდან ახალი ყლორტის აღმოცენება და თუ ამ ჭიდილში ეფებოსი (ახალი პოეტი, შვილი პოეტი) დამარცხდა, პოეზიის განახლება—განვითარება აღარ მოხდება. ჩემი აზრით, პაატა სურმანიძის ლექსების კრებული, “ტიტა ფუჟერში” არის ერთგვარი სტრუქტურალისტური მეტატექსტი, ავტორის მსოფლმხედველობრივ—ესთეტიკური კონცეფცია, რომელიც მეთოდოლოგიურად გვიკვალავს გზას თავისივე პოეტური სამყაროს ლაბირინთებში.

თუ ჰაროლდ ბლუმის თეორიას გავყვებით, ძირითადი ფსიქოლიტერატურული მიმართება, რომელიც პაატა სურმანიძის პოეზიაში ხორციელდება, არის „ტესერა“, როგორც გალაკტიონთან სულიერი ნათესაობის „ამოსაცნობი ნიშანი.“ იგი აისახება პოეტური კრებულის, როგორც ერთიანი პოეტური ქსოვილის სტილზე, რიტმზე, ინტონაციაზე. ახალი პოეტი (ეფებოსი) ფიქრობს, რომ გალაკტიონის, როგორც წინამორბედის „განსრულება“ თანამედროვე ეპოქაში სხვაგვარად უნდა მოხდეს, რაც ერთგვარ პაროდიულ—გროტესკულ ელფერს სძენს ახალ ტექსტებს.

კრებულში ასევე მკვეთრად, გაცნობიერებულად არის წარმოჩენილი ფსიქოლიტერატურული პოზიცია, რომელიც ჰ. ბლუმის გავლენის თეორიაში აპოფრადესის (ტროპულად — მეტალეპსისი) სახელით არის ცნობილი. ეს მიმართება გულისხმობს ძლევამოსილი წინაპრების განსხეულება ახალი პოეტის ანუ ეფებოსის სამოსელში. ეს არის წინაპრის ერთგვარი დაბრუნება—გარდასახვა, ახლებურად წაკითხვა—გახმოვანება.

კრებულში „ტიტა ფუჟერში“ აპოფრადესის ნიმუშებია: „ახალ მთვარის პოეტად მელის მკვდრეთით აღდგომა“ („მთვარის სონეტი“)

„გამჩნევ სახეზე ოხვრას იანუსს,
ჩემი სახით გსურს მეორედ მოსვლა...“
“ტანზე დამახატე რეინ კარნაცია,
ელვებით დავდივარ ქაღალდის ვატმანი.
პოეტის ხელახლა რეინკარნაცია,
რომ წიგნის კარს მიხსნის კარმა და ატმანი...”
ან კიდევ:

პოეტ პოეტიშვილი

პარიზული ციკლი

მუზის მონუმენტორი

მომინატრებს მონმარტრი მონოტონურ მენტორით,
თვით ცხედარი აკლდა მას-კენოტაფის აკლდამას.
ძეგლს ავუგებ პარნასელს მუზის მონუმენტორი,
ჩემზე იტყვით: "სიყვარულს თავი გადააკლა, მან"!
პოეტური ქმნილება რომ არ მოქანდა კეში,
ჰორაციუს, ვის ხედავ, პოეტ მოქანდაკეში?!
ფანტასტიკურ ვარსკვლავზე ვკვდები მულტი-ფა-ტუმით,
მორიელის ინსტინქტით, მარტის ულტიმატუმით...
თვით ხელოვნურ სიკვდილსაც ებრძვის „Memento mori"!
ტონს ატყორცნის ნოტიოდ პლატონურად ტენორი!
ორი სახით ერთ ძეგლად ვდგავართ მომენტად ორი,
ჩვენ პარისულ ანდროგინს ვაგებ, მონუმენტორი!
აღმავალმა აღალმამ, იანუსად ხმოვანმა,
მსურს სულიერ ნატურით მიმოფანტო მატური,
რომ პოეტმა მაღალმა, სახით ორსახოვანმა,
დღე და ღამე გაჩვენოთ წყვილად ფანტომატური!
ძეგლის გახსნა იქნება, მზე რომ ჩამოიქნება,
პიგმალიონს ვუმადლი ქანდაკების კულტურას.
რაც "ვენერას ხელებით" ხელთუქმნელად იქმნება,
პომპეზურად მიიღებთ სიყვარულის სკულპტურას.

აღალმა-გამოქანდაკეგული სახე ფრანცისა

გიმღერს პოეტთა დასი ფრანცისა,
მთვარე ბეთჰოვენს ასონატურებს.
მხატვრის ბრალია და სიანცისა,
რომ მოუკალი სასო ნატურებს.
მეფე-მზის ციცა ხელთ გყავს ფრანგ ციცას,
აფსუს, რომ არ ვარ შავ კაბარეში.
მუზას მოვყავარ შენთან, ფრანცისა,
როდესაც ვწვები ნამგალმთვარეში.
ანგელოზი ხარ მიწის, ხან ცისა,
რადგანაც ათას დამას აფლავებ.
ფრანს ვატან ფრან-გულ ბარათს, ფრანცისა,
წიგნში თუ გვერდით დამასაფლავებ!
სულს ვღაფავ! დგება გაცლა ქანცისა...
გადმომენერგე ვენერას სულად.
ამურის ისრით ამცარ ფრანცისა,
გული თავს გიკრავს რევერანსულად.
დაგიდგი ლექსის მეგა გორები...
სიფრიფან ხელით ფრან-გულ ფრანს იცავ,
რადგანაც ვცხოვრობ მე გაორებით,
ხან სულს უყვარხარ, ხან გულს ფრანცისავ.

ფრინა ჰეტერა

დამათრობს შენი ბადაგი, ფრინა,
ეპოქალურ ქალს გიქმნი მეტ ერას,
გედის ვარსკვლავმა გადაგიფრინა,
გიმღერს ეროსის ჰიმნით ჰეტერას!
გული, რომელიც გაქანდა ქებით,
დაგინიშნია დამღით ჰეტერას!
შიშველი ტანის აქანდაკებით
მზის შუქზე გხედავ ღამის ვენერად!
ღვინით ძველი დრო გამახსენდება,
ვკვდები უშენოდ, ლამის, ჰეტერა!
ეს ღამეც თავზე დამათენდება
უძილო პოეტს - ღამის ვეტერანს!
მე და გალა ვწერთ ლექსს ჰეტერებზე,
რომ დაადგები სამარს, არილო,
ხორბლისფერ მკერდს შლი, დღეს ეტერებზე
და ტანს, სპილოს ძვლით სამარმარილოს.
როცა ნოემბერს მარტში შევურევ,
ფეხს სხვაგან აღარ ვადგამ, ჰეტერა!
მუზების მუზავ, შენი შემყურე
ყველა პოეტი გადამემტერა!

შანსონი

შნო შევიშნოვე ფრანგულ შანსონის,
თვალი პარიზზე დარჩა გიტარას.
ცისკენ აფრენდით ფრანს უშანსონი,
ვინც ეს ფოკუსი არ ჩაგიტარათ!
ლექსში მუზის როლს პოეზი ელის,
როცა აჰყვება მისით სიმს ჟღერა!
მონპარნასელი პოეზიელის,
ახლა ქართულად ისმის სიმღერა!
ცა ხსნის პიაფის ვარსკვლავს, კიაფით,
განა შანსონით არ მკლავს ვიანი?
ობლის სამხრეზე მაკრავს სიაფით
ოცნება, გვიან ვარსკვლავიანი!
ცისკენ აფრენდით ფრანს უშანსონი,
ვინც ეს ფოკუსი არ ჩაგიტარათ!
შნო შევიშნოვე ფრანგულ შანსონის,
თვალი პარიზზე დარჩა გიტარას.

ფრანგული მარში

შორიდან მიხმობდა პარად ის,
წერილით, მოწვევით, პატიჟით,
დიდებულ მარადისს, პარადის
ეს მარში მომიტანს, პარიჟით!
ნიღაბი ეკიდა ცას კარად,
ვუალი მოგარგო დრომ, ინოს,
ვთამაშობ აშკარად მასკარადს,

ვინდომებ დომინუს დომინოს!
სახეებს მიცვლიდი იერო,
როდესაც მათრობდა კაპიტო,
დღეს ვგავარ ტრუბადურ პიეროს,
რომელსაც დაენგრა შაპიტო!
გადვივლი მირაბოს ხიდს უმალ,
დაწყევლილ პოეტის პროფილით.
უეცრად ატყორცნის იდუმალ
სივრცეში, უკვდავ ძეგლს, დრო ფილით!
ფერს უცვლის ვენებზე ინა ხავსს,
ვერაფრით ჩამაბეს ყალბ ომში!
დრო პოეტს მზის თაფლში მინახავს,
ზემუზა პარნასის ალბომში!
ბახუსმაც მომენტი მინახა,
ყანწს სწევდა ადათის თამასად!
ღვინო წევს მთვარეში ინახად,
ალავერდს მზე მაწვდის თამადას!
ცრემლით ვბან სისხლიან ყვავილებს,
სხივებით მიმოდის მზის მარში!
გვირილა ყმაწვილებს გვაწყვილებს,
პარიზის ზეციურ სიზმარში!
დღე-ღამე გვერდიგვერდ მომწოლი,
ორსულ მზეს ეზრდება პლაცენტა,
მთვარის ბავშვს პოეტურ მომყოლით,
მიშვილებს ვენერას პლანეტა!

პარიზის ვარსკვლავი

როცა თავს ვაფარებთ დირიჟაბლს ჟიფარის,
ჰაერზე ვაცურებთ ზეციურ მეგა ტივს,
მზე, მადამ ეიფელს, ფოლადის ჟირაფით
გიღებს და კოლაჟით გიმჟღავნებს ნეგატივს.
მათრობს და თვალებს მჭრის ვუალის აჟური,
ვერავინ გაიგო ფრანტი ვარ, თუ პაჟი.
დავწურე შენ მკერდით ფუჟერში ნაჟური,
ღვინო ხარ- ქართულ და ფრანგული კუპაჟი.
ჰაერში ვბანაობთ, ბირდაბირ ეთერში,
ციცინათელები, თვალებში ციცინით
ინთება ამაღამ პირდაპირ ეთერში,
როდესაც ცრემლებით მე და შენ ვიცინით!
ზეციურ ანბანმა გადამდო მთვარმკლავი,
ჩვენს შორის იქმნება ციური ანკლავი.
ცისკრიდან გაგვიღებს დახურულ კარს კვლავ ის,
ცოცხლებს რომ გაგვიხსნას პარიზის ვარსკვლავი.

პარიზის ბოშა

ლექსით რომ გვიწყობს რომანს ეროსი,
გვქსაქსავს არაქნეს ქსელით, ბრბო შურით.
ლორკას ბოშური რომანსეროსი
გესმის ახალი სქელი ბროშურით.
რადგანაც ჩემთვის ესმერალდდები,
რადგანაც გიწვევს დასი "კარმენის",
სიკვდილს მისჯიან დღეს მე ბრალდებით,
რომ შენი მჯერა და სიკარმენის.
ნუ იტყვი, ჯალზეც არა მკითხაო,
მწვავს სხვა გრენგუარს ტრფობისგან გრევი.
ვენერას ბორცვზე არაკს მკითხაობ,
ჩემს გულს იყოლებს წლობით ნანგრევი..
ფრან-გულ ალამს ვწევ მზისკენ, დროშურად,
რომ გწვავს პარიზის ბოშას ბრბო შურით,
ქარით მიიწევ ცისკენ ბოშურად
და გიბნევ გულზე ბროშად, ბროშურით

თეთრი და შავი ვენერა

ლექსებით გიხდი მარადიულ ვალს.
თქვი, მელანია, ღამით ევნე რას?
რადგანაც აგდებ არად დიუვალს,
შავ ვენერაზე შავი ვენერა,
შორს ნუ დაიწყებ, ამბორ-ოტებას.
შავ ხმას გამოსცემს ცა, ყვავი, ლარი.
მკლავ და გპატიობ ამ ბოროტებას,
სხეული მრჩება ნაყვავილარი.
პიკის ქალიდან მარადიულ ქალს
ჰქმნი, ეპოქალურ შერთვით, შენ ერას.
დღისით აჯობე ჟანა დიუვალს,
რომ შვი შენს თავში თეთრი ვენერაც.
დღეს წრეზე ასეთ სიტყვას უვლიან,
უცებ მეძლევი უძლურ ვილიანს,
მიჩენ სიძულვილს სიყვარულიანს,
მიზრდი სიყვარულს სიძულვილიანს.

თოვლის ეიფელი

მოითოვლები შორი მთოველით,
რომ სატანჯველი მოგერთო ვნებით.
ერთ დიდ სიყვარულს ორში მოველით,
პარიზის თოვლის მოერთოვნებით.
დიდ გრძნობით მარტში ჩამო, მოვლილი,
მიკრძალავ ამ გულს, პატარავ, ძალვით,
სდუმს დედოფალი ჩამოთოვლილი,
რომ მორცხვობ ახალ პატარძალივით.
გაქვს ანგელოსის და ცის იერი,
სახეს მიმალავ მე, ფარ-ფატებით,
თოვლის პეპლები და ცისიერი,
ორივე სულში მეფარფატებით.
მადამ, ირთვები სატაძრალ კრძალვით,
როცა თოვლის ხელს თრთოლვით გთხოვ, ნებით.
დგას ეიფელიც, პატარძალივით,
შენი სიმაღლის განსახოვნებით.

ᲕᲐᲜᲝ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲧᲝ ᲨᲐᲨᲕᲘ ᲛᲒᲐᲚᲝᲒᲔᲚᲘ

/ᲝᲛᲐᲠ ᲙᲔᲚᲐᲞᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ/

რა იცოდი, რომ დღეს სიტყვას იბერიულს,
შენს მაგიერ სალამური იტყოდა!

***

სალამური რომ უძველესი ქართულ-იბერიული საკრავია ამას არაერთი ლიტერატურული წყაროც ადასტურებს. „დაბადების“ მიხედვით სალამურის შექმნა და მისი გავრცელება ქართველთა წინაპრებს, თუბალებს (იბერიელებს) მიეწერება. „დაბადების“ ებრაულ ტექსტებში ნათქვამია: თუბალი იყო მამა ყოველთა დამკვრელთა სალამურსა და ბარბითზეო“. ბარბითი, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ძველი ქართული სიმებიანი საერო საკრავია, რომელიც მიემსგავსება ფანდურს; „მოვშორდი ლხინსა ყოველსა ჩანგსა, ბარბითსა და ნასა, “ - ამბობს შოთა რუსთაველი.

სალამურზე არსებულ მდიდარ მითოლოგიურ მასალას დღესაც ემჩნევა ანტიკური ხანის, თუ ქრისტეს აქეთა პერიოდის კვალი. ზოგიერთი თქმულების მიხედვით, ადამიანს სალამური ღვთაებისაგან მიუღია. აკი იგი ღვთაებრივ საკრავად არის მიჩნეული. ხალხს უთქვამს:

შენი კვნესა და წკრიალი,
ეშხს ჰმატებს მთას და მდელოსა,
რა ჯადოსნური ძალა გაქვს,
ლერწმის პატარა ღეროსა.

-და სწორედ „ლერწმის პატარა ღერომ“ და მერე, კავთისხევის პატარა მდინარის პირას გაზრდილმა ჭერმის

ᲝᲛᲐᲠ ᲙᲔᲚᲐᲞᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

არსებობენ ადამიანები, რომელთა გენიალობის წარმოსაჩენად ნებისმიერი ხატოვანი სიტყვა უძლურია. სწორედ ამ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს სახალხო არტისტი, სალამურის დიდოსტატი, მრავალი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი - ომარ კელაპტრიშვილი.

ომარ კელაპტრიშვილი 1943 წლის პირველ იანვარს დაიბადა კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში. იმ დღეს უცნაურად თბილი ამინდი იდგა. სახლიდან ქალების ჟრიამულის და ბავშვის ტირილის ხმა შემოგვესმა, იგონებს ომარის უფროსი ძმა გერისო.

-ბიჭია, ბიჭი! მამაჩემს ახარეს. გასაოცარი რამ მოხდა: პატარა ჩიტი სახლის სახურავიდან გადმოფრინდა, აივნის კოჭზე შემოჯდა და აჭიკჭიკდა. ყველამ მას მივაქციეთ ყურადღება . ნიკა ბიძიამ მამაჩემს უთხრა: „მიშა გაიგონე, ეს ჩიტი რას გეუბნება? ბიჭი შენსავით დამკვრელი გამოვაო.“ (მამა შესანიშნავად მღეროდა, კარგად უკრავდა სალამურზე და სხვა საკრავებზე.) ბიძიას ხუმრობანარევ წინასწარმეტყველებას განხორციელება ეწერა. ომარი ანსამბლ „რუსთავის“ დაარსებიდან მისი ღირსეული და უცვლელი წევრი იყო. მას ყველგან ვირტუოზის სახელით ამკობდნენ. აი რას წერდა უცხოური პრესა: ომარ კელაპტრიშვილმა, ანსამბლის სოლისტმა სალამურის დაკვრით ნამდვილი ფურორი შეიტანა მაყურებელში. წარმოუდგენელი ვირტუოზობით უკრავდა არა მარტო ერთ, არამედ ორ სალამურზე“.

ომარ კელაპტრიშვილმა თავისი მოღვაწეობის მანძილზე მსოფლიოს არაერთი საკონცერტო დარბაზის მსმენელი დატოვა გაოგნებული და აზიარა მუსიკალური ხელოვნების იმ მწვერვალს, რომლისთვისაც თითზე ჩამოსათვლელ შემსრულებელს თუ მიუღწევია.

1938 წელს ივანე ჯავახიშვილმა არქეოლოგიური გათხრებისას მცხეთაში აღმოაჩინა პატარა მწყემსი ბიჭის საფლავი, რომლისთვისაც ჭირისუფალს უენო სალამური ჩაუყოლებია. დღეს ეს სალამური ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. „საზღვარი არ ქონდა ჩემს გაოცებას, როცა მე ამ სალამურს ჩავბერე და 2500 წლის წინ დადუმებული სალამური ავახმიანე“, - ამბობდა ომარ კელაპტრიშვილი. სწორედ ამ მწყემსი ბიჭის სალამურს უძღვნა ომარმა ლექსი „დავალ გზებზე ემაგ შენი სალამურით“:

რას გშველოდა ნეტავ გულზედ სალამური,
შენი ცოდვით ალბათ ქვაც კი იწვოდა’

ხის ღეროდან დამზადებულმა სალამურმა კავთისხეველ ბიჭის, ომარ კელაპტრიშვილის მსოფლიო შემოატარა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თამარი, სადაც კირილე ვაშაკიძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ამ დიდებულ ზურნასა, დუდუკს, გადადის, კონსერვატორიაში და ეუფლება ფლეიტას. ამასობაში მუსიკოსს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიც დაუმთავრებია, ლექსების წერაშიც მოუსინჯავს ბედი:

ჯადოსნური თილისმით ვარ მუდამ მთვრალი,
შენი სული ამომღერის საკრავიდან,
მტლად ედება, ენაცვლება იბერიონს,
შენი მცხეთა დღესაცა დგას ნათელ სვეტად,
კვლავ უყვარხარ უბერებელ კავკასიონს.

ომარის დიდ სულიერებას ლექსი უძღვნა მწერალმა ნორა ედიშერაშვილმა:

კაბადონზე მთვარე გაშლის დიადემას,
წაიშლება ღამის ბნელი ყიამეთი...
კავთისხევი ნათლის სვეტით დიადდება,
სულს განაბავს რულდაკრული თრიალეთი...
ვაჟა ოთარაშვილმა:
სალამური შენი სულის კელაპტრად ენთო,
ქვათახევთან ჩანაცრულო, ჰანგად დანაღვენთო,
კავთურასთან შეუერთდი გონაშვილის საძმოს.
თემურ ჩალაბაშვილმა:
ცას შერევია მაგ ხმის ნათელი,
სამშობლოს ძარღვთან რა ახლოს მოხველ,
გალობს და ყვავის მცხეთის კალთები,
სიცოცხლე შენდა პაწია ლერწამს,
რომ აღავლინოთ მამულზე ლოცვა.

ომარ კელაპტრიშვილს არც ქართველ მოღვაწეთაგან დაჰკლებია აღიარება და ყურადღება:

რეზო თაბუკაშვილი „ომარის კონცერტებს სულგანაბული ვუსმენდი ხოლმე, გული მუბნებოდა ომარი ვირტუოზია, ნამდვილი ვირტუოზი, მისი შემოქმედება სიამაყის ფურცელია ქართული კულტურის ისტორიაში, მისი მუსიკა ლოცვასავით ეფინება სრულიად საქართველოს“.

ანზორ ერქომაიშვილი: „ომარ კელაპტრიშვილი ანსამბლ „რუსთავში“ მისი დაარსებიდან მოღვაწეობდა, მე მინახავს მისი საოცარი წარმატებები მსოფლიოს საკონცერტო დარბაზებში.

ფრიდონ სულაბერიძე: ომარის სურვილი იყო ცეკვის შესავალი დაწყებულიყო ქართული საკრავებით.

ლევან ღვინჯილია: ომარ კელაპტრიშვილი განსაკუთრებული მოვლენა იყო ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში.

ზურაბ ქაფიანიძე: ომარმა ბევრი გააკეთა საქართველოსთვის. თავისი უბადლო შემოქმედება ლამაზად მიართვა თავის ქვეყანას „მადლობა ერისგან, მადლობა ბერისაგან...

ჯანსუღ ჩარკვიანი: ამ კაცს სალამურზე ანგელოსები უსხედანო.

დათო მაღრაძე: ომარ კელელაპტრიშვილის შემოქმედებას დედაენის სურნელი დასდევს. მისი უბადლო მუსიკა დედაენასავით გადაეშლება პატარა მკითხველს.

ზურაბ ანჯაფარიძე: მას შეუძლია მსოფლიო სენსაცია გამოიწვიოს. მან ქართულ სალამურს აკადემიზმი შესძინა.

აქ, საქართველოს პოეტთა თუ საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამებია, მაგრამ რა ხდებოდა ქვეყნის გარეთ როდესაც ანსამბლ „რუსთავთან ერთად უხდებოდა საგასტროლოდ წასვლა ევროპაში: პარიზი, გერმანია, იტალია, აგრეთვე თურქეთი.

ყველა ერთხმად, გაზეთები თუ ტელევიზიები საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ: ვირტუოზულად ჟღერს მუსიკალური ტრიო, ჩონგურის, ფანდური, სალამურის შემადგენლობით ოღონდ სალამურზე შესრულებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დაუვიწყარია სალამურზე დამკვრელის ვირტუოზულობა, რომელიც ტოროლას სიმღერას გვაგონებს.

ომარ კელაპტრიშვილის ხალხურმა ინსტრუმენტულმა ტრიომ მსოფლიოში ნამდვილი სენსაცია მოახდინა, განუწყვეტელი “ბისით“ კვლავ და კვლავ იწვევდნენ სცენაზე. ყვიროდნენი ტალიელები, ამერიკელები, ფრანგები, ესპანელები, სცენიდან არ უშვებდნენ ომარს, მაგრამ ყველაზე დიდი სენსაცია მაინც საბერძნეთში გასტროლების დროს შეემთხვა ომარს: 1971 წლის ზამთრის მიწურულს ომარი მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტთან ერთად საბერძნეთს ესტუმრა, მათ შორის იყო ცნობილი რუსი ბალერინა ნინა ტიმოფეევა. მის გამოსვლას ყველა განსაკუთრებული ინტერესით ელოდა. სენ-სანსის „მომაკვდავი გედის“ ცეკვა უნდა შეესრულებინა . მოულოდნელად ავად გახდა ჩელოზე დამკვრელი. საჭირო გახდა მისი შემცვლელის გამონახვა. ჯგუფის ხელმძღვანელმა ლევ კოპალეტმა ომარს სთხოვა სალამურით შეეცვალა ჩელოზე დამკვრელი. პირველი, ვინც ეს ამბავი იუცხოვა, თვითონ ტიმოფეევა იყო. მან განაცხადა: „სალამურზე გედს ვერ ვიცეკვებო“. ჯგუფის ხელმძღვანელი სხვა აზრისა იყო. ომარმა მთელი ღამე რეპეტიციაში გაატარა და დილით ნომერი მზად ჰქონდა. ტიმოფეევას რეპეტიციაზე, როცა იგი სალამურის ჰანგზე ცეკვავდა, აღფრთოვანებით წამოიძახა: კარგია, შესანიშნავია, ასეთი ემოციით არასოდეს მიცეკვიაო. კონცერტმა ბრწყინვალედ ჩაიარა. ადგილობრივმა ტელევიზიამ ეს ნომერი ფირზე აღბეჭდა და ოქროს ფონდში შეიტანა.

-სრული „ამონარიდი“ ომარის მოგონებიდან.

ჩემის მხრიდან: იდგა 1970 წელი. მე, როგორც რეჟისორმა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის მუსიკალურ რედაქციაში დავიწყე მუშაობა, სადაც მთავარი რედაქტორი იყო ქართული ეროვნული კულტურის მუსიკალური ხელოვნების დიდი მოჭირნახულე და ქომაგი, სოლომონ ლაფაური. მალე მუსიკალურ რედაქციას გამოეყო ხალხური შემოქმედების განყოფილება და ცალკე შეიქმნა მთავარი რედაქცია, სადაც მე სხვა კოლეგებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ომარ ჩიტაია და გოგი კრაწაშვილი, ამ მთავარი რედაქციის ჯგუფში მოვხვდით. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მთავარი რედაქცია, როგორიც იმ დროს იყო ქართული ხალხური შემოქმედებისა, მართლაც მოვლენა იყო იმ დროის ქართული ხელოვნების კულტურისა, სადაც მთლიანად მოიცვა სრულიად საქართველო, კინო კამერებით თუ მოძრავი ტელეკამერებით გაწყობილი დიდი მანქანა ხშირი სტუმარი იყო საქართველოს თითქმის ყველა რეგიონისა, ვაწყობდით ტელე გადაცემებს. ვიდეოჩანაწერებს უშუალოდ ადგილებიდან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს, ინდივიდუალური შემსრულებლებისა და ხელოვნების სხვა დარგებს, ამ მოძრავი სადგურით, უამრავი კონცერტი გვქონდა ჩაწერილი, ეწყობოდა ფესტივალები და უშუალოდ პირდაპირი ტრანსლაციები რეგიონებიდან დედაქალაქში და მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიითაც. და როდესაც ამ მთავარმა რედაქციამ ქართული ხალხური თვითშემოქმედებისა დიდი პოპულარობა და სიყვარული დაიმსახურა ქართველ ხალხში, მოდიოდა ჩვენს სახელზე წერილები მადლობისა, და მათ შორის კასპის მკვიდრის, ნორა ედიშერაშვილის გამოხმაურება ომარ კელაპტრიშვილზე.

-დამიძახა მთავარმა რედაქტორმა, სოლომონ ლაფაურმა და ეს სცენარი გადმომცა. აბა შენ იციო, მომაძახა. ავიღე, წავიკითხე და პირველ რიგში რაც გავაკეთე, მოვძებნე ომარი და მისი სოფლიდან, კავთისხევიდან დავიწყე კინო გადაღება.გადავიღეთ მისი სოფელი, დედა, მისი უფროსი ძმა გერისო კელაპტრიშვილი და სოფლის ცენტრში, მის თანასოფლელებთან ერთად გადავიღეთ კინოფირზე კონცერტი.

უნდა ითქვას, რომ ამ კონცერტმა, სადაც ომარ კელაპტრიშვილი თავის ძმასთან ერთად უკრავდა სალამურს, სოფლელებში დიდი სიყვარული გამოიწვია.შემდეგ სტუდიაში რა თქმა უნდა გადავიღეთ ვიდეოფირზე და გადავეცით ტელევიზიით. არ შეწყვეტილა მოლოცვები, წერილობით, თუ ზარის რეკვებით. გვთხოვდნენ გამეორებას, რამეთუ ომარ კელაპტრიშვილი ასე საჯაროდ არ წარდგენილა ქართველი ხალხის წინაშე.

არ ვტრაბახობ, მაგრამ მე მხვდა წილად ვყოფილიყავი პირველი რეჟისორი, ვინც ომარ კელაპტრიშვილი პირველად გამოიყვანა ეკრანზე.

აქედან დაიწყო ომარ კელაპტრიშვილის ტრიუმფი, გულახდილად ვიტყოდი, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიო მასშტაბით.

***

ბევრი ითქვა, დაიწერა და ტელევიზიით გადაიცა ომარ კელაპტრიშვილის შემოქმედებაზე. ალბათ ბევრიც დაიწერება და მოიგონებენ მისი შთამომავლები, ქართველი ხალხი არ დაივიწყებს მას. რაც მთავარია მისი ნიჭის გამგრძელებლებიც გამოჩნდა, მისი შვილი ომარ კელაპტრიშვილი-უმცროსი, რომელიც მამის წამოწყებულ საქმეს აგრძელებს, რა თქმა უნდა, დედის ხელშეწყობით.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი: მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. თბილისში გაუხსნა ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სკვერი, სადაც დაიდგა მისი ბრინჯაოს ბიუსტი. მშობლიურ სოფელ კავთისხევში დაარსდა ხელოვანის სახლ-მუზეუმი, რომელიც ისტორიული მნიშვნელობისაა.

ომარ კელაპტრიშვილი დიდი ქომაგი იყო მშობლიური კუთხის. მან ასახელა თავისი სამშობლო, კუთხე ქალაქი კასპი, სადაც იგი სიჭაბუკის წლებში მუშაობდა კულტურის სახლის დირექტორად.

მუსიკოსი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ქართველ ხალხს. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის განვითარებაში. გავა წლები, უამრავი ახალგაზრდა დაუკრავს სალამურს. მისი მოსმენისას ქართველი ხალხი იტყვის: აი, ეს ის ჰანგია, რასაც ომარ კელაპტრიშვილის ნიჭი გამოსცემდაო.

მართალია, ჩვენს შორის აღარაა ღირსეული მამულიშვილი, უბადლო მუსიკოსი, შესანიშნავი ოჯახის პატრონი, რომელმაც დაგვიტოვა შემოქმედების განუმეორებელი ხიბლი, განშორების ტკივილი და სინანული, მაგრამ ომარი მაინც ჩვენთან რჩება; მისი ჯადოსნური, ღვთითკურთხეული სალამური მუდამ იჟღერებს საქართველოში.

ომარ კელაპტრიშვილი1992 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა 49 წლის ასაკში. იგი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, დიდი მაესტროს, რეჟისორ მიხეილ თუმანიშვილის გვერდით. მისი საფლავის ქვას მისივე ეპიტაფია აწერია: **„სალამურს ენა ჩაუდგი, ბულბულის ყელის დარადა“.**

ქართველობამ კარგად უწყოდა ომარ კელაპტრიშვილის ფასი, იცოდა, რომ იგი ჩვენი „ცოცხალი განძი“ იყო და რაოდენ გაგვაღარიბა უიმისობამ, ამას მომავალში უკეთ ვიგრძნობთ.

12.12.2021

ჯენი ჩხეიძე

ემიგრანტული პოეზია

* * *

სინათლით სავსე
ვარსკვლავების
მბზინავ ფუჟერებს
გამოალაგებს წვიმის
შემდეგ ცა უმკრთალესი,
წვიმს, მოთრთის წვიმა,
ვსველდები და ალღოს ვუჯერებ,
რომ მალე მოხვალ,
მომეკრობი, ვით გულთან ლექსი.
ვუსმენ სიოთა უმსუბუქეს
ქროლვის რექვიემს,
ღამე კი ხეთა მწკრივს
ეფრქვევა და დააბოტებს,
წვიმა თუ ქარი, რომელი ვარ?
ვერ გავერკვიე,
იქნებ ტიტა ვარ, ავი ქარი,
რომ ალეწს ყლორტებს.
როგორ მწყურია შენი სითბო,
ლტოლვა, ამბორი,
წვიმაში ცეკვა, სულში ძვრომა,
თითების ხლართვა,
დაგროვდა ბევრი
ემოცია და საამბობი
და რა ძნელია, რომ ვდუმდე
და სიტყვაც კი არ ვთქვა.
შორს ხარ, გულის ხმას,
მხოლოდ ლექსით თუ გაგაგონებ,
სიშორევ, აღარ მოკლდები
და სევდავ, მომწყინდი!
წვიმასთან ერთად მოვყვებოდი ღრუბლის ვაგონებს
და სულს, თვალებს და
მაგ თლილ თითებს დაგიკოცნიდი.
და რა ვიღონო, შენი ხილვა არ შემიძლია,
გული კი მხოლოდ, სული მხოლოდ შენკენ მიმ-
იწევს,
თითქოს ვადგავარ დაბურულ გზას, მარად ნისლიანს,
მახსოვხარ, ისე სიკვდილამდე ვერ დაგივიწყებ.

* * *

ცაზე ვარსკვლავთა
ველი ბიბინებს,
ნისლში ეხვევა
მთვარის ბულული,
ქარი ასკდება
ფანჯრის ცივ მინებს,
გაწვიმდა, ვდგავარ
მე გალუმპული.
ცა გრგვინავს,
რაღაც მძიმე გოდებით,
ზეცა გაფატრეს
ელვის დანებმა,
ნეტავ ვიცოდე
ვის ველოდები,
ვინ მადარდებს
და ვინ მენანება.
წვიმის წყლით
გრძელი თმა დამიმძიმდა,
ამიკანკალდა
შიშველი მხრები,
გუშინაც ასე
უნორმოდ წვიმდა,
ღრუბლები იდგნენ,
როგორც მაყრები.
მე გელოდები,
შენ კი არ ჩანხარ,
მე გელოდები,
ისევ წვიმს უხვად,
ბედმა ქარიშხლის
ფრთას შემაჯახა,
დაგაგვიანდა,
გდარდობ და ვწუხვარ.
გათენდება და
იქნება დარი,
გაყვება წვიმა
ღრუბელთ მაყრიონს,
განიავდება...
ჩადგება ქარი,
შევეგებები
მზიან ალიონს.
მაგრამ მზე აბა,
რა მზე იქნება,
შენ თუ არ გაჩნდი
ჩემ თვალთა წინა,
უშენოდ სულ არ
მეზეიმება,
სჯობს ისევ ღამე,
ქარი და წვიმა...

* * *

თქვენ გიცეკვიათ
მკრთალ შუქზე

მთვარის,
ხანგრძლივ სიკვდილთან
დამღლელი ტანგო?!
სულს, როცა თოშავს
შიშის ზამთარი,
ქარი კი ცდილობს
რომ დაგეტაკოს.
მე ვგრძნობდი სიკვდილს
სიცოცხლის ზღვართან
ახლოს მისული
და დაზაფრული,
ვგრძნობდი, სიმწვავეს
ცრემლების ზღვათა
და ის ტირილი
იყო ზღაპრული.
ვგრძნობდი, გაყინულ
თითებს მოხვეულს
წელზე... მე ვძრწოდი,
თვალს ვაცეცებდი,
ვაფრიალებდი უხორცო
სხეულს,
შენ გიხსენებდი
და დაგეძებდი.
დავბრუნდი,ბოლო
მოეღო ტანჯვას,
დაღვრემილს ასე
გაგაღიმებდი,
ვიცოდე კიდევ
რამდენი დამრჩა,
ნეტავ, თუ მქონდეს
ხვალის იმედი?!

* * *

უსაშველოდ მენატრები და
უშენოდ ვერ ვძლებ,
ნეტავ, სადმე აქვე იჯდე
ჩემს წინ, ანდაც გვერდზე.
ჩემო გიჟო ქარიშხალო,
სულის ველზე მქროლო,
შენით ვსუნთქავ,
შენით ვცოცხლობ,
შენ მიყვარხარ მხოლოდ.
თითქოს წვიმის ქვეშ ვდგავართ და
უღვთოდ გვლუმპავს თქორი,
მაგრამ მიუწვდომელი ხარ,
შორი, ცაზე შორი.
მოდი, გულზე მიმიკარი,
მსურს, რომ გაჩნდე აქვე,
ახლა უშენობა მტკივა

მხატვარი მარსიანი

და ცხელ ცრემლებს ვაფრქვევ.
კაეშანმა და დარდებმა
სული გამომფიტეს,
სიზმრად გხედავ მოდიხარ და
მჩუქნი წითელ ტიტებს.
გაივლის ეს დეპრესია,
მოლოდინი მძიმე,
მოხვალ, თვალებს დამიკოცნი,
შენთვის მოციმციმეს.
ოი, როგორ მენატრები
და მაკლიხარ ტკბილო,
ამ ლექსს გიწერ, რადგან ლექსში
მაინც შეგხვდე, ვცდილობ.
ვმალავ გაუსაძლის ტკივილს,
გულის ფსკერში ვმარხავ,
მალე სამყაროს შევძახებ:
-რომ მე შენ მიყვარხარ.

* * *

გარეთ ველური
ქარი წრიალებს
და ზრიალებენ
სარკმლის მინები,
ვხუჭავ და ვახელ
ნაღვლიან თვალებს,
ვცხოვრობ წვალებით
და მოთმინებით.
ქალის ცხოვრება
უფრო მძიმეა
და უფრო მეტად
პოეტი ქალის,
მოსაღამოვდა

და სიცივეა,
უფერულია ზეცა
და მქრქალი.
ალბათ ამ ღამეს
მარტო გავათევ,
იქნება ფიქრი
და მოლოდინი,
ღმერთებმა ცაზე
მთვარე აანთეს
და მთვარის შუქზე
ბზინავს ლოგინი.
ვოცნებობ თითქოს
ნისლებზე ვწევარ
და იძინებენ
გარეთ ქუჩები,
ქრის, ნეკერჩხალი
ქარზე ირწევა
და მე შენს თეთრ
ლანდს ვებღაუჭები.

* * *

გარეთ ნისლიანი ამინდია,
გზაზე დაწრიალებს ავი ქარი,
იქნებ წარმოსახვა და მითია,
გულში ისე მაგრად ჩაგიკარი...
გულში, რომელიც მე შენ მოგეცი,
მწარე ტკივილით რომ დამეშანთა,
ვუმზერ მთაზე ნისლებს შემოკეცილს,
ვრჩები, მარად ერთგულ კაეშანთან.
ცაზე მკრთალი მთვარე და ღრუბლები
თითქოს ერთმანეთში ირევიან,
როგორ აყვავილდნენ ალუბლები,
ყველგან ბალბები და იებია,
ახლა თითქოს ჭიამაია ვარ
და შენს ტანჯულ სულზე ავცოცდები,
სიომ სული ისე დამიამა,
ცრემლი სიტყვასავით წამომცდება.

* * *

ყავა, სანაპირო,
ტიტა,
ვზივარ მოწყენილი,
მარტო...
მწარე უშენობას
ვიტან,
გნატრობ, უსაშველოდ
გნატრობ.
ქარებს ტალღა მოაქვთ
პლაჟთან,
ცაში ჩაიხატა ელვა...
მოსჩანს რემა,
ღრუბლის რაშთა
და ზღვაც ამ სულივით
ღელავს.

ეს, მხარზე რომ ვგრძნობ, შენი ხელია,
ხან ცხადზე ცხადო, ხანაც ფარულო.
ცხოვრება მართლა მოსაწყენია
- უსიყვარულოდ!

* * *

წვიმს ჩემ ქალაქში
და ვაღებ სარკმელს,
შემოდის წვიმა
სველი ფეხებით,
ქალი ვარ გვერდზე
გადავდებ საქმეს
და სველ ხელებზე
ხელით ვეხები.
ო, მიკვირს ციცქნა
ოთახი ჩემი,
ამ მთელი ქვეყნის
წვიმას რომ იტევს,
მეხვევა წვიმა?
თუ ვტირი
ცრემლით?
ან რა ატირებთ
ვაზაში ტიტებს?
შევყურებ ასე
ცრემლით და
სევდით
და ღაპაღუპით
მეხვევა წვიმა,
ასეა, თურმე,
სადაც კი შედის
იქცევა გულის
სევდიან სიმად.
ტიტები ტირის,
ვტირი ტიტებთან,
ვნებდები უხმოდ,
ვერ ვეურჩები,
მეხება თმაზე
მხვევს სველ
თითებს და
წვიმაა,
მკოცნის
სველი ტუჩებით.

მარეხ ბეჭანიშვილის რეცენზია

ემზარ ხვიჩიას წერილზე: „თამარ მეფე და რუსთველი“

გენდერული პარადიგმების კონფლიქტის საკითხი საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მომრავლებული ორგანიზაციები და მოძრაობები აქტიურად იბრძვიან ე.წ. „გენდერული თანასწორობისა“ და ქალთა უფლებებისათვის. ამასთან, ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული არასწორი შეხედულებების გამო, ქალი (და ზოგადად პიროვნება) მხოლოდ მისი საზოგადოებრივი სტატუსითა და კარიერაში მიღწეული წარმატებით ფასდება, ხოლო პიროვნულ განვითარებაში ძირითადად პროფესიული განვითარება იგულისხმება. ამას ემატება სქესობრივ უმცირესობათა სტატუსის ლეგალიზაციის პრობლემა, რომელიც გარედან თავსმოხვეული იდეოლოგიის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. საქართველოში გენდერული პარადიგმების კონფლიქტის საკითხთა წინ წამოწევა საზოგადოების დიდ ნაწილს სიახლე ჰგონია და ამის გამო მხარს უჭერს ქართველი ერისათვის სრულიად არაკონსტრუქციულ და მიუღებელ მოდელს, რადგან სწორედ ეს მოდელი მიიჩნევა პროგრესისა და განვითარების ინდიკატორად, მაგრამ ირკვევა, რომ ქართულ კულტურაში ეს საკითხი დიდი ხნის გადაწყვეტილი ყოფილა. წინამდებარე სტატია სწორედ ამის დასტურია. მასში „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზზე დაყრდნობით ნაჩვენებია სქესთა შორის ურთიერთობისა და სქესობრივი ქცევის ის მოდელი, რომელიც მისაღები და ბუნებრივია ქართული კულტურისათვის.

ემზარ ხვიჩიამ სტატია პირველად 2013 წელს გამოაქვეყნა ინტერნეტსაიტ ფორ.გე-ზე. რადგან სტატია მეტად აქტუალურ თემას ეხება და რადგან გარეგანი ძალების ზეწოლა, ჩვენი ერისათვის არაკონსტრუქციული მოდელის თავზე მოხვევით, დღესაც გრძელდება, გადავწყვიტეთ, რომ სტატია სწორედ ყველაზე მებრძოლი და ეროვნული ჟურნალის ფურცლებიდან გაგვეცნო მკითხველებისთვის.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ემზარ ხვიჩია „ვეფხისტყაოსანს“ სრულიად ახლებურად, ორიგინალურად, სქესთა შორის ურთიერთობის ჭრილში განიხილავს და კიდევ ერთხელ ასაბუთებს როგორც პოემის ავთენტურობას, ისე მის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის. ემზარ ხვიჩია სტატიაში ეყრდნობა ახალ, ნოოლოგიურ კვლევებს, რომელთა ავტორიც თავადაა. მისი სამეცნიერო კვლევა დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიისა და ფსიქოლოგიის ქართული სკოლის თანმიმდევრული გაგრძელებაა. ავტორმა აღმოაჩინა საზოგადოების თვითორგანიზაციისა და მდგომარეობის ცვლის კანონები და ზუსტად, ამომწურავად განმარტა, რა არის ცივილიზაცია, ერი, პიროვნება, და განვითარების რა კანონზომიერებას ექვემდებარება თითოეული მათგანი. ახალი სამეცნიერო თეორიის, ნოოლოგიის საშუალებით ირკვევა, რომ არსებობს ერთა ოთხი თვისებრივი ტიპი, რომლებიც ცივილიზაციის, როგორც სისტემური ერთიანობის, ფუნქციურ ელემენტებს წარმოადგენენ. დადგინდა, რომ ოთხივე ტიპის ერი თანაბრად აუცილებელია სისტემისთვის.

ერთ-ერთ სტატიაში ემზარ ხვიჩია წერს: „დღეს დედამიწის ნოოსფერო განვითარების კრიტიკულ მომენტს განიცდის: მსოფლიო საზოგადოება მოქცეულია გლობალიზებულ ეგეოსურ ცივილიზაციაში, რომელმაც მიაღწია ერთა ოთხივე თვისებრივი ტიპის წარმომადგენელთა სინქრონული თანაარსებობის ინსტიტუციური უზრუნველყოფის აუცულებლობის მდგომარეობას (იხ. ავტორის წერილი - „ოპტიმალიზმი: ქართული ეროვნული იდეა, გლობალიზმის იმპერატიული პარადიგმა“). ეს ნიშნავს პიროვნების თვითრეალიზაციის ყველა სფეროში, მათ შორის, პიროვნების სქესობრივი თვითრეალიზაციის ანუ გენდერის საკითხზე, ოთხი ერთმანეთზე დაუყვანადი პარადიგმის თანაბარ აქტუალურობას. ჯერჯერობით ეს გარემოება არ არის ასახული წამყვან გეოპოლიტიკურ სუბიექტთა სტრატეგიებსა და სამოქმედო დოქტრინებში. ამის შედეგია ის, რომ მსოფლიოს პოლიტიკური სტაბილიზაციის პირობად მსოფლიოს კულტური-

ული გაერთგვაროვნების, ღირებულებათა სისტემის გლობალური უნიფიცირების მიღწევა იგულისხმება“ („იდეური ომის გენდერული ასპექტი“).

ლიბერალისტური დოქტრინა, რომელიც დღეს გარკვეული გარემოებების გავლენით არის დაწინაურებული, ოთხიდან ერთი თვისებრივი ტიპის ერთა სათანადო ღირებულებათა სისტემას წარმოადგენს, რომელიც დანარჩენი სამი ტიპის ერისთვის თანაბრად მიუღებელია. საგულისხმოა, რომ რუსთველის ეპოქაშიც სწორედ აღნიშნული ღირებულებათა სისტემა გახდა აქტუალური და თამარის მოღვაწეობა ამ გავლენისაგან თავის დასაღწევ თავდაცვით რეაქციად იქცა, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ ამ თავდაცვითი რეაქციის გამართლებას წარმოადგენს.

სტატიაში გამოყენებულია ემზარ ხვიჩიას მიერ შემოტანილი სამეცნიერო ტერმინები, რომელთა განმარტებაც ჩვენს მკითხველს სტატიის უკეთ გაგებაში დაეხმარება:

ემზარ ხვიჩია

თამარ მეფე და რუსთველი

ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, თამარ მეფისა და რუსთველის ეპოქა ქართველი ერის უმაღლესი კეთილდღეობის ხანადაა მიჩნეული. სინამდვილეში კი ეს იყო ხანა ქართველი ერის საარსებო საფრთხის მაქსიმალური აქტუალიზაციისა, რომელიც თვითონ ქართული სახელმწიფოს სიძლიერიდან მომდინარეობდა.

საქმე ისაა, რომ ეგეოსური ცივილიზაციისგან დასავლეთევროპული სამყაროს დამოუკიდებელ ცივილიზაციად გამოკერძოების და ამგვარად შეკვეცილი ეგეოსური ცივილიზაციის სივრცეზე მისი ექსპანსიის შედეგად ბიზანტიის და ისლამური სამყაროს დაქვეითების პირობებში ეგეოსური ცივილიზაციის დაწინაურებულ ცენტრად ქცეული საქართველოს სახელმწიფო, XII საუკუნის შუაწლებში, ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის (XII ს. შუაწლები - XVI ს. მიწურული) დადგომასთან დაკავშირებით, ცხრომის მანიის ეფექტის რეაქტუალიზაციის უპირატეს არედ იქცა ეგეოსურ ცივილიზაციაში. ეს ნიშნავს ქართველ ერში ცხრომის მანიის კლასის ერად მისი ტრანსფორმაციის ტენდენციის განვითარებას.

ცხადია, ეგეოსური ცივილიზაციის, როგორც ქართველი ერის მომცველი თვითერგულირებადი სისტემის, გავლენით განპირობებულ, ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის ტენდენციას ქართველი ერის თავდაცვითი რეაქცია უნდა დაპირისპირებოდა. სწორედ ეს შინაგანი გაორება, რომლის დასაწყისის ამსახველიცაა ხელისუფლებისთვის დიმიტრი I-ის შთამომავლებს შორის გაჩაღებული ბრძოლაც, წარმოადგენს XIII საუკუნიდან ქართული სახელმწიფოებრიობის დაქვეითების ტენდენციის სტაბილიზაციის, მისი თავდაცვის უნარის დიდად შემცირების განმაპირობებელი მთავარ ფაქტორს.

თამარის გამეფების შემდეგ, როდესაც ბაგრატიონთა სამეფო გვარის წარმომადგენელთგან მას კონკურენტი აღარ დარჩა, გარეგანი სისტემური გავლენით განპირობებულ, ქართველი ერის თვისებრივი ტრანსფორმაციის ტენდენციის მატარებელი ძალა შეუნიღბავად გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ თამარ მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით გამოსული დასის ლიდერად ყუთლუ-არსლანი, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი (ფინანსთა მინისტრი), დიდვაჭართა და მსხვილ მიწათმფლობელთა ოლიგარქიის ჩამოყალიბების ინიციატორი მოგვევლინა: - სახელმწოფოს მოწყობაში ცხრომის მანიის ეფექტის დომინანტის გატარება ვაჭარ-ფინანსისტთა ოლიგარქიის დამყარებაში, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების მექანიზმების ფუნდამენტალიზაციაში გამოიხატება.

თამარის მეფობის ხანა ეგეოსური ცივილიზაციის მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დასაწყისის ნაწილია, ამდენად ცხრომის მანიის ეფექტის რეალიზაციების აქტუალობა საქართველოში ამის შემდეგაც არ მოხსნილა (მაგ.: თამარის უშუალო მემკვიდრის, ლაშა-გიორგის სუფიზმით გატაცების ფაქტში, ამ მოვლენამ კონფესიური გამოხატულებაც კი შეიძინა; საქართველოს სამეფო კარზე, მონღოლების ხელშეწყობით, სომეხი დიდვაჭრის, უმეკის აღზევება და მონღოლთა ბატონობის პირობებში ქვეყნის ყოველგვარი აქტივების ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევა, თუმცა კი ეგეოსურ ცივილიზაციაზე გარეგანი გავლენის ამსახველიცაა, ასევე, ცხრომის მანიის ეფექტის გამოხატულებაა). მაგრამ თამარის მეფობის შემდეგ ამ ტენდენციამ ცხრომის მანიის კასტური ეფექტის ქართული ფენომენის (ქართველი ერის გარეგნულად განსხვავების მატარებელი ჯგუფი, მდგრადობის კომპონენტად ცხრომის მანიის ეფექტის წინააზიური ფენომენით) აქტუალიზაციის მნიშვნელობა შეიძინა, რაც ქართველი ერის თვისებრივი ტრანს-

ფორმაციის საფრთხის შემცირების აღმნიშვნელია (სამწუხაროდ, მეორე მხრივ, აღნიშნული გარემოება საქართველოს სახელმწიფოს ეგეოსური ცივილიზაციის დაწინაურებულ ცენტრად სტაბილიზაციის, მთელი დედამიწის მასშტაბით მისი ნოოფილოგენეზური მოწინავეობის შენარჩუნების ხელშემშლელ პირობასაც წარმოადგენდა).

ამრიგად, ქართველი ერის თავდაცვითი რეაქციის პერსონიფიკაციად, კოლხი მედეას შემთხვევის მსგავსად, ამჯერადაც, თამარ მეფის სახით, ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენელი პიროვნება დაფიქსირდა. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან მართვის მანიის კლასის ერის თვისებრივი ტრანსფორმაცია ნებისმიერი სხვა თვისებრივი ტიპის ერად, სწორედ, ე.წ. სუსტი სქესის საზოგადოებრივი სტატუსის დაქვეითებას გულისხმობს.

ამ წერილის თემა ქართველი ერის თავდაცვითი რეაქციის სწორედ ეს ასპექტია (გენდერი).

* * *

არსებობს ობიექტური საფუძველი, ადამიანის შემთხვევაში, ერთმანეთისგან გავარჩიოთ სქესის ბიოლოგიური და არაბიოლოგიური ასპექტები. სქესის ბიოლოგიური ასპექტი ახასიათებს ადამიანს, როგორც ბიოსფეროს ინდივიდს. იგულისხმება სქესობრივი ქცევის ადამიანის ბიოსახეობისთვის დამახასიათებელი მოდუსის ყველა, მათ შორის ბიოსოციალური, ასპექტი. სქესის არაბიოლოგიური ასპექტი კი, რომლის აღმნიშვნელადაც უნდა მივიჩნიოთ ცნება გენდერისა, ახასიათებს ადამიანს, როგორც ნოოსფეროს ინდივიდს.

იგულისხმება ნოოსფეროს დეფინიცია ფსიქიკურ სტიქიათა თეორიის მიხედვით, რომელიც არის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის განვითარება განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის, მისი ოთხი შესაძლო მნიშვნელობის - ოთხი ფსიქიკური სტიქიის (ოთხი დომინანტური ფსიქიკური კომპლექსი): ფორმის მანიის, ძლევის მანიის, ცხრომის მანიის და მართვის მანიის, აღმოჩენის საფუძველზე. ნოოსფერო ადამიანის გამომრჩეველი მახასიათებლის, რომელსაც პიროვნების ცნებით აღვნიშნავთ (განწყობის შინაარსის საზოგადოდ მოუცილებადი მომენტის მნიშვნელობის მიხედვით გადაგვარებულობის მოხსნილობის), გამოვლენების სისტემური ერთობლიობაა, ცივილიზაციები - ნოოსფეროს ალტერნატიული რეალიზაციები (როგორც ბიოცენოზები - ბიოსფეროსი), ერები - ოთხი ფსიქიკური სტიქიის სათანადო, ოთხ თვისებრივ ტიპად არსებული ფუნქციური ელემენტიები ცივილიზაციისა, წარმოდგენილი ერთიდ-



აიმავე ფსიქიკური სტიქიის მატარებელ პიროვნებათა, - ნოოსფეროს ინდივიდთა, ისტორიული საზოგადოებრივი ერთობებით. ერს ბიოსფერული ანალოგი არ მოეპოვება.

ერთა განსხვავებულ თვისებრივ ტიპებს განსხვავებული გენდერული პარადიგმები შეესაბამება. მათგან სამი რადიკალურად უპირისპირდება სქესთაშორის ურთიერთმიმართების (სქესობრივი ქცევის) ადამიანის ბიოსახეობისთვის ბუნებრივ მოდუსსაც და, ამდენად, წარმოაჩენს გენდერულ ურთიერთობებს კონფლიქტურობის (ბიოლოგიური სტანდარტისა და კულტურილი სტანდარტის კონფლიქტის) მომენტის შემცველად. გენდერის ცნების შემოტანის გამამართლებელიც სწორედ ეს მრავალგვარობა და გენდერული პარადიგმების, გარდა ერთისა, მათს ბიოსფერულ პროტოტიპთან დაპირისპირებულობაა.

ცხადია, რომ სქესთა შორის კონფლიქტი, მეტწილად, მდედრობითი სქესის შევიწროების მომტანი იქნება. რასაც ადასტურებს ე.წ. სუსტი სქესის კონცეფციის წარმოშობა და ფართოდ გავრცელებულობა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ოთხი განსხვავებული და ერთმანეთთან შეუთავსებადი გენდერული პარადიგმა. მათი შეუთავსებლობის მნიშვნელობას ამძაფრებს ის გარემოება, რომ ერები წარმოადგენენ არა თვითკმარ ფენომენებს, არამედ ცივილიზაციების, ამ დინამიური თვითრეგულირებადი წარმონაქმნების ფუნქციურ ელემენტებს. კერძოდ, ცივილიზაციის არსებობა მის გარკვეულ მდგომარეობათა - ცივილიზაციურ ფაზათა - გარკვეული კანონზომიერებით მონაცვლეობის პროცესია, რაც სათანადო თვისებრივი ტიპის ერთა პროდუქტიულობის ეტაპთა ცვლაში

გამოიხატება. თავისი თვისებრივი ტიპის შესაბამის ფაზაში, ერი, ავრცელებს გავლენას მისი მომცველი ცივილიზაციის ფარგლებში არსებულ სხვა თვისებრივი ტიპების ერებზე. ამგვარი ექსპანსიის წინააღმდეგ თავდაცვითი რეაქციის აქტები გენდერული პარადიგმების კონფლიქტშიც პოულობს გამოხატულებას. ამის მაგალითია სათანადო ასპექტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა", როგორც ქართველი ერის თავდაცვითი რეაქციის ერთ-ერთი უმაღლესი პროდუქტისა.

ქართველი ერი ეკუთვნის ერთა მართვის მანიის კლასს, რომლის სათანადო გენდერული პარადიგმაც არის, სწორედ, ის, მეოთხე, აღნიშნულ კონფლიქტურობის მომენტს მოკლებული გამონაკლისი, რომელიც ბიოსფერული პროტოტიპის ნოოსფერულ განვითარებად წარმოგვიდგება. მართვის მანიის სათანადო გენდერულ პარადიგმას ადეკვატურად ასახავს ქართულ ტრადიციაში პიროვნების სქესის აღსანიშნავად გამოყენებული სახელები: „დედაკაცი", „მამაკაცი"(იხ. ავტორის წერილი კოლხი მედეას შესახებ). ამგვარ დასახელებაში სქესები გარეშე ელემენტთან - შვილი (რეალური თუ პოტენციური) - მიმართების მიხედვით იდენტიფიცირდებიან (დედა - მამა) და არა ერთმანეთთან მიმართების მეშვეობით, რაც მათ ურთიერთმიმართებაში ერთის მეორისადმი დაქვემდებარების მომენტის შემოტანის შესაძლებლობის გამომრიცხველია.

მართვის მანიის სათანადო გენდერული პარადიგმის მიხედვით დედაკაცი ერის ცხოვრების მიმდინარე სიტუაციური თუ სტრატეგიული ამოცანების იდენტიფიკაცია-ტრანსფარაციის ფუნქციის რეალიზატორად იდენტიფიცირდება; ხოლო მამაკაცი - დედაკაცის (მისი რჩეულის) მიერ განსახიერებულ-მინიშნებული ამოცანების გადამწყვეტის სიტუაციური თუ სტრატეგიული ალგორითმის შემუშავებისა და რეალიზაციის ფუნქციის შემსრულებლად.

სწორედ ამ მართვის მანიის სათანადო გენდერული პარადიგმის უპირატესობის მხატვრული სიტყვის ძალით ცხადყოფას და დაფუძნებას ეძღვნება „ვეფხისტყაოსანი". ამდენად ის ადეკვატურია ქართველი ერის თვისებრივი ტიპის ასახვაში. სწორედ ეს არის ამ წერილის თემის ასპექტით რუსთველის შემოქმედების მნიშვნელობა.

[საზოგადოდ კი, უნდა ითქვას, რომ რუსთველმა თავისი შემოქმედებით ქართველი ერის ნოოფილოგენეზის მესამე საფეხურის დასრულების ფაქტის დაფიქსირებას მიაღწია, რითაც ნოოფილოგენეზის მეორე საფეხურიდან მესამეზე გადასვლის ეტაპზე მყოფი მონღოლი ერის ევრაზიის სივრცეზე დომინირების პირობებში, ქართველ ერს ნოოფილოგენეზური რეგრესისგან დაცვის რესურსი შესძინა.]

პოემის მთავარი გმირებად უმაღლეს ხელისუფალთა (მეფეთა და მათ მემკვიდრეთა) გამოყვანა მათს ქცევაში გენდერული პარადიგმების შეუზღუდველად გამოვლენას უზრუნველყოფს. აქ განხილული ასპექტის მიხედვით „ვეფხისტყაოსანი" ცნობიერი პროცესების (პიროვნების შინაგანი სამყაროს) ფიზიკურ სივრცეში მიმდინარე მოვლენებით ალეგორიული გადმოცემაა (ამით აიხსნება ადამიანური განცდების ჰიპერბოლიზებული გადმოცემა). ასე რომ, გენდერულ პარადიგმათა კონფლიქტიც პოემის სიუჟეტის ფიზიკური პლანის კერძო ასპექტადაა წარმოდგენილი.

პოემის სიუჟეტი ვითარდება როსტევან მეფის ინიციატივის საფუძველზე, რომელმაც, მის სამეფოში არსებული ტრადიციის დარღვევით, მემკვიდრეობა გადასცა ქალიშვილს. როსტევანის გადაწყვეტილება ვაჟიშვილის უყოლობამ განაპირობა და არა მისმა მსოფლმხედველობამ. ეს არის საფუძველი წესრიგის დარღვევის მოლოდინისა, რაც უცნობი მხედრის წინაშე როსტევანის ლაშქრის უღონობის სიუჟეტური ფაქტითაა განსახიერებული. უცნობი მხედრის გამოჩენა მოსალოდნელი ქაოსის ხანმოკლე მოლანდებაა. ამრიგად ცხოვრების მიმდინარე პრობლემად გამოიკვეთა დედაკაცის გახელმწიფებასთან დაკავშირებული საფრთხის არსში გარკვევა. ამას ახალი ხელმწიფე, თინათინი, ავთანდილს ავალებს. ავთანდილის მიერ უცნობი მხედრის ძიება სწორედ დასახელებული პრობლემის კვლევის პროცესის ალეგორიული გადმოცემაა. უცნობ მხედართან, ტარიელთან მისი შეხვედრა განასახიერებს აღნიშნული პრობლემის კვლევის დასრულებას მის მიერ. ეს ახალი ცოდნა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თავგადასავლითაა წარმოდგენილი. ის შეიძლება გადმოვცეთ შემდეგი დებულებით: დედაკაცის გახელმწიფება, მამაკაცის ფუნქციის ნიველირების პირობით, მამაკაცის ძალმოსილების დესტრუქციული აქტუალიზაციის მომტანია.

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობა, ერთი შეხედვით, მართვის მანიის სათანადო გენდერული პარადიგმის რეალიზაციის ნიმუშია, მაგრამ ის შეიცავს არსებით გადახრას: ნესტან-დარეჯანი არა მხოლოდ ახდენს ცხოვრების მიმდინარე პრობლემის იდენტიფიკაციას და მისი გადაჭრისკენ მოწოდების განსახიერება-ტრანსფარაციას, არამედ სამოქმედო ალგორითმსაც თვითონ კარნახობს

მოქმედების პოტენციურ შემსრულებელს; ტარიელს თავისი ბუნების მიხედვით მოქმედების შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ნესტან-დარეჯანს სიშორის გამო არა აქვს მოქმედების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის შესაძლებლობა, როგორც მაგალითად ხატაეთის წინაღმდეგ მის მიერ ინიციირებული ლაშქრობისას; სამეფო კარზე ტარიელი მოქმედებს მხოლოდ მისი მიჯნურის მიერ მითითებული ალგორითმის მიხედვით (მაგ. მიპარვით ჰკლავს ხვარაზმშაჰს), ან უმოქმედობს, როცა ამგვარი მითითება არა აქვს, რაც ნესტან-დარეჯანის მიერ გაუთვალისწინებელ სიტუაციებში ნესტან-დარეჯანის დაუსწრებლად მისი მოხვედრისას ხდება (მაგ. ხვარაზმშაჰის სიძედ წვევის საკითხის განხილვაში თავის პოზიციას არ ავლენს).

მამაკაცის ფუნქციის ამგვარ ნიველირების შედეგად ტარიელისა და მისი მიჯნურის ურთიერთობა ბატონისადმი ყმის სრული მორჩილების მნიშვნელობის მოვლენად გადაგვარებას განიცდის. სწორედ ეს არის დედაკაცის გახელმწიფებასთან დაკავშირებული საფრთხე, რომელის მსხვერპლი თვითონ დედაკაცი ხდება: - დედაკაცის მიერ მამაკაცის ფუნქციის იგნორირება მამაკაცის მიერ დედაკაცის, როგორც შემფასებლის, იგნორირების და, ამდენად, თვითმიზნურ მოქმედებაზე გადასვლის საფუძველია.

ეს ისეთი მდგომარეობის დამყარებაა, როდესაც მამაკაცი აკეთებს მხოლოდ იმას, რაც თვითონვე სურს და დედაკაცის ფუნქციის სრულ იგნორირებას ახდენს ან, უკეთეს შემთხვევაში, აიძულებს მას იქცეს სწორედ ამგვარი მოქმედების განხორციელებისკენ მომწოდებლად. რაც ნიშნავს დედაკაცის მამაკაცის ძალდატანების ობიექტად დაფიქსირებას. დედაკაცს სუბიექტად თვითრეალიზაციის შესაძლებლობა რჩება მხოლოდ მამაკაცის ძალის მცირე დანამატის მნიშვნელობით. „ვეფხისტყაოსანში“ ამ მდგომარეობას განასახიერებს არა მხოლოდ ქაჯეთი, არამედ ფრიდონის სამეფოც, სადაც თვითმიზნური მოქმედებაა გაბატონებული და დედაკაცი არსად ჩანს (სიუჟეტის მიხედვით, ფრიდონმა თვალი მოჰკრა ნესტან-დარეჯანს, მაგრამ თავისი ქვეყნის ცხოვრებაში ის, როგორც სიუჟეტური ფუნქციის პერსონაჟი, ვერ შემოიყვანა) და თვით ველად გაჭრილი ტარიელიც, რომელიც ეხმარება ფრიდონს მისი სამეფოს ამგვარად მოწესრიგებაში, რაც ტარიელის ამავე სტატუსით თვითრეალიზაციის ნაწილია.

ამგვარად, სიუჟეტის მიხედვით, პრობლემის არსის გარკვევამ გამოავლინა თინათინის გახელმწიფებით მამაკაცთა თვითმიზნური მოქმედების მდგომარეობის მის სამფლობელოზეც გავრცელების შესაძლებლობა, რადგან მისი დამოკიდებულება ავთანდილისადმი ნესტან-დარეჯანის ტარიელისადმი დამოკიდებულების ანალოგიური აღმოჩნდა: - თინათინმა მის მიერ სამოქმედოდ ხმობილ ავთანდილს მოქმედების ალგორითმიც უკარნახა.

გაცნობიერებული საფრთხის მიმართ თინათინის რეაქცია მართვის მანიის სათანადო გენდერული პარადიგმის არჩევის ადეკვატურია: - ის კვლავ მოუწოდებს სამოქმედოდ ავთანდილს, მაგრამ ამჯერად მოქმედების ალგორითმის არჩევაში არ ერევა; ავთანდილი თავის თავის წინაშე მარტოდ დარჩენილი აკეთებს არჩევანს და მიემგზავრება ტარიელის დასახმარებლად.

აღნიშნული საფრთხის აცილების, მართვის მანიის სათანადო გენდერული პარადიგმის აქტუალიზაციის გამომხატველი, თინათინის მიერ მოქმედების ალგორითმის კარნახისგან ხელის აღება და ავთანდილის მიერ სამოქმედო ალგორითმის დამოუკიდებლად არჩევა და მოქმედების დამოუკიდებლად დაწყება - საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით ტარიელის მისაშველებლად მისი მეორედ ფარულად გამგზავრების სიუჟეტური ფაქტი - არის კულმინაციური მომენტი, რომელიც, რუსთველის აზრით, ადამიანს სამყაროში მისეულ ადგილს და ამითვე თვით სამყაროს ჰარმონიას უბრუნებს. ამის შემდეგ მოქმედებას აღნიშნული პარადიგმის საყოველთაოდ გავრცელების მცდელობის მნიშვნელობა აქვს. პოემის მიხედვით ამგვარი პარადიგმის შესაბამისად მოქმედ-მოარსებე ადამიანის ესმის მთელს სამყაროს, მას თანაუგრძნობს მთელი სამყარო: „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან... წყლით ქვანიცა გამოსხდიან, ...რა ატირდის, ატირდიან“).

პოემის მიხედვით, აღნიშნული პარადიგმის უპირატესობას მისი აღმოჩენის შემდეგ მისი ადვილად გავრცელების სიუჟეტური ფაქტი ასახავს: ავთანდილის გავლენით ტარიელი წყვეტს თვითმიზნურ მოქმედებას, უიმედოდ ხეტიალს (მას დაკარგული ჰქონდა ნესტან-დარეჯანის პოვნის იმედი და უმიზნოდ მოგზაურობდა - მოქმედებდა მოქმედებისთვის) და ცნობას ნესტან-დარეჯანის მდგომარეობის (ქაჯთაგან მისი დატყვევების) შესახებ ანუ მისი მდგომარეობით განსახიერებულ პრობლემას მის (ნესტან-დარეჯანი) მიერ ნაკარნახევი ალგორითმის იგნორირებით, დამოუკიდებლად არჩეული მოქმედებით (ქაჯეთის ციხეზე სამმხრივი იერიშით) პასუხობს.

* * *

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“, მისი მანდილოსანი პერსონაჟების დახასიათების მიხედვით, ოთხივე გენდერული პარადიგმაა გადმოცემული: ნესტან-დარეჯანი, როგორც მისი მიჯნურის ყოველ მოქმედებაში თანამონაწილე ან ამის მოწადინე (მოქმედების ტემპის, ემოციური დაძაბულობის და მოქმედების ალგორითმის მოკარნახე), ძლევის მანიის სათანადო გენდერულ პარადიგმას განასახიერებს; ასმათი, ტარიელის მხოლოო თანმხლებად დარჩენის პირობებშიც კი, მის, როგორც საპირისპირო სქესის პიროვნების, მოქმედებასთან ყოველგვარ მამოტივირებელ მიმართებას მოკლებული (ავთანდილთან შეხვედრამდე) - ფორმის მანიის სათანადო გენდერულ პარადიგმას; ფატმანი, როგორც ცხოვრების ცალკეული ასპექტების (მაგ. ოჯახი, საზოგადოებრივი მდგომარეობა, სიყვარული) პიროვნული თვითრეალიზაციის დამოუკიდებელ სფეროებად წარმოდგენის საფუძველზე, ქცევაში თავისუფალი, - ცხრომის მანიის სათანადო გენდერულ პარადიგმას; თინათინი, აღნიშნული ცვლილების შემდეგ, - მართვის მანიის სათანადო გენდერულ პარადიგმას.

* * *

„ვეფხისტყაოსანი“ შთაგონებულია თამარის პიროვნული მაგალითით, რომლის ზეობის ხანა, როგორც აღინიშნა, ქართველი ერის მომცველ ეგეოსურ ცივილიზაციაში მეორე ცხრომის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის საწყის ეტაპს ეკუთვნის. ეს ნიშნავს, იმუამად, ქართველი ერის, როგორც ერთა მართვის მანიის კლასის წარმომადგენლის, თავდაცვითი რეაქციის აქტუალობას. ამრიგად, რუსთველი, როგორც იდეურ-ესთეტიკურ პლანში (არა მხოლოდ გენდერული ასპექტით) ამ პრობლემის გადამჭრელი, თამარ მეფის, როგორც დედაკაცის, მიერ განსახიერებული მოწოდების მოპასუხე მამაკაცად იდენტიფიცირდება. ამდენად, მართვის მანიის ფსიქიკური სტიქიის სათანადო გენდერულ პარადიგმასთან სრულ შესაბამისობაშია მათი მიჯნურებად წარმოდგენა ქართულ ფოლკლორში.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ თამარ მეფის ფენომენის მნიშვნელობა არ ამოიწურება მისი აქ წარმოდგენილი ასპექტით. თამარ მეფეს ქართველი ერისთვის კონფესიური თვითიდენტიფიკაციის ელემენტის მნიშვნელობა აქვს.

ნანა შალამბერიძე

ბრაიტონ ბიჩი

გულზე ცუდად მომხვდა თამსის დაბნეული და არაადეკვატური პასუხები მობილურში და ყოველგვარი შეთანხმების გარეშე თავზე დავადექი სახლში.

— ჰა, რა ხდება? რა სახე გაქვს? ახლა მაინც მაღალანაზღაურებადი სამუშაო აქვს საბას ნიუ-იორკ სიტიში.

— გაქრა. გაუჩინარდა. ორი კვირაა, არ შემხმიანებია, — გზა მისცა ცრემლებს თამსის ტკივილიანმა თვალებმა.

— ზარებსაც არ პასუხობს?

— არა აქვს მობილური. ერთი თვეა, დაკარგა, მაგრამ მეგობრებისგან მირეკავდა. სიკეთე არაფერია ამ სიჩუმეში. ჩერდება, ჩერდება და ვერ გაჩერდა გული, — დაიკვნესა თამსიმ.

— ანუ გვაქვს საშუალება მეგობრებში მოვიკითხოთ!

— სამი სხვადასხვა ნომრიდან რეკავდა, მაგრამ მეუხერხულება მათთან დარეკვა. როგორ ამოვთქვა, საკუთარ შვილს ჩემი არსებობა დაავიწყდა და თავი მინდა შევახსენო-მეთქი?

— რა დროს იმიჯია. იქნებ, როგორ სჭირდება ჩვენი დახმარება საბას. ჩქარა მონახე ნომრები, მე დაველაპარაკები.

— რას დაელაპარაკები, ახლა იქ შუაღამეა. აცალე გათენება!

— გათენებამდე სხვა ზომებს მივიღებ. ნუ გეშინია, 24 საათში მივაგნებთ საბას. თავი რატომ მოიკალი დარდისგან?

თამსიმ, გაოცებულმა, ეჭვით შემომხედა. როგორ, რანაირად მოახერხებ ამას, აქედან ნიუ-იორკშიო, დაიკვნესა და თვალებში მომაჩერდა.

— ჩავუსხდეთ ფეისბუქს! დაპატარავდა სამყარო, პაწაწუნა გახდა, ხელისგულის ოდენა.

უკან დაიხია თამსიმ.... იმედი ატივტივდა მის თვალებში...

გადავუქროლე საბას „ვოლს“ ფეისბუკზე და თვალებს არ ვუჯერებდი, იმდენი კეთილისმყოფელი დახვავდა სულ რაღაც წუთებში: ლადო, ლევანი, ვალერა, კრისტინა, დალი... ღმერთო, ეს საკუთარ ქვეყანაშიც კი იშვიათობაა ახლა, ამ თავაწყვეტილ საუკუნეში!

...

— დიახ ქალბატონო, ჩემთან ცხოვრობდა და ჩემგან რეკავდა ბოლო პერიოდი საქართველოში!

— ცოცხალია?

— ეს რამ გაფიქრებინათ, ღმერთმა დაიფაროს! უბრალოდ, სერიოზული პრობლემები აქვს და თავს მარიდებს. ორი კვირაა, დავეძებ....

...

— ვიცნობ. მისი ბიჭუნაც ერთად მოვინახულეთ ამას წინათ. ბოლო ერთი კვირა ჩემთან ცხოვრობდა. არაფერი აკლდა: არც სადილი, არც დესერტი. მაინც გაიპარა. ერთი კვირის წინ წავიდა ჩემგან და დავეძებ...

— ?!

— პრობლემები შეექნა და თავს მარიდებს. თანაც სერიოზული პრობლემები. არ ინერვიულოთ, ვიპოვით და პირდაპირ აეროპორტში გავაქანებთ.

— სამუშაოზე რომ მოიკითხოთ, არა?

— ერთი თვის წინ გამოუშვეს ... პრობლემების გამო... როგორც კი ვიპოვით, შეგეხმიანებით და თვითმფრინავის რეისსაც შეგატყობინებთ...

...

— კი, გავიკითხე. ცოცხალია, ქალბატონო. გუშინ ნახეს მისმა თანაქალაქელებმა. მე ეს ინფორმაცია ერთი ქალბატონისგან მოვიპოვე, ისიც მისი მშობლიური ქალაქიდანაა. ნომერს მოგცემთ, იქნებ, დაუკავშირდეთ და მისგან უფრო მეტი შეიტყოთ...

...

— პირადად არ ვიცნობ საბას, მაგრამ ხმა რომ მომაწვდინეს, მთელი ქართველობა შევძარი. დღეს შემატყობინეს: ვნახეთ, ცოცხალიაო. ვთხოვე ბიჭებს, როგორც კი გადააწყდებიან, მაშინვე დამიკავშირდნენ, რომ საერთო სახსრებით გამოვუშათ საქართველოში. არ მასვენებს დედამისის საცოდაობა....

— ამბობენ, რაღაც პრობლემები აქვსო, თანაც სერიოზულიო. ხომ არა გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის თაობაზე? ხომ არ არის ეს პრობლემა ნარკოტიკთან დაკავშირებული?

— დიახ, სწორედ ნარკოტიკის მოხმარებაა მისი პრობლემა. თავს ვერ ერევა და იმიტომ გაურბის მეგობრებს. ნარკოდამოკიდებულებთან უფრო,,-კომფორტულად“ გრძნობს თავს...

— მადლობელი ვარ, ქალბატონო, ამ მწარე სიმართლისთვის...

— არც მიფიქრია ამის დაფარვა! ეს ოჯახის ღალატია, არა აქვს მნიშვნელობა, ნაცნობია თუ არა. მე ერთი გამწარებული დედა ვარ. ვიცნობ ამ ტკივილს.... რა მნიშვნელობა აქვს, შვილი ნარკოტიკში იკლავს თავს თუ ვიღაც სხვა გამოასალმებს წუთისოფელს... არ მინდა, ვხედავდე დედას, რომელიც ამ ტკივილით სუნთქავს და ვერც სუნთქავს .... საბას ჩვენ ავუღებთ ბილეთს და გამოვამგზავრებთ. დანარჩენს იქ მიხედავთ, ალბათ... ის მაფიქრებს, არ დაგვაგვიანდეს. თვე არ გავა, აქედან ქართველი ბიჭები არ წააასვენონ საქართველოში...

„ეს შეიძლება დროში უსაშველოდ გაიწელოს. უნდა ვიჩქაროთ!“

„ჰო, მართლა! ლეო ხომ ნიუ - იორკ სიტიში ცხოვრობს!“ — ვარსკვლავივით აცურდა და აკაშკაშდა იმედის ნამსხვრევი უცებ...

— ლეო, სურათებს ჩაგიყრი ვაიბერში, იქნებ იცნობ ტიპს. 35-36 წლისაა. კაკალი, თავგზააბნეული... ორი კვირაა არ შეხმიანებია დედამისს.

— არ ვიცნობ. არა უშავს, ხვალვე გავალ ბრაიტონზე, გავიკითხავ. არ ინერვიულოთ, აუცილებლად ვიპოვნი...

,,ბრაიტონი უბანია, ალბათ! ვითომ უბანი, სადაც,,ამბებს“ ყველას და ყველაფრის შესახებ კრიალოსანივით ააცვამ?!“

— გაითვალისწინე, მეგობრებს გაურბის და თავს არიდებს!

— რატომ, ხომ არ იცით?

—ნარკოტიკის მოხმარებას უშლიან ...

— გასაგებია. ადვილად შეიძლება კვალზე გასვლა....

„შემოკლებით ბრაიტონი, იგივე ბრაიტონ ბიჩი, ნიუ-იორკ სიტის, ბრუკლინის ქაუნთის სამხრეთში, ოკეანის პირა კვარტალია. თავად ბრუკლინი, ლონგ აილენდის დასავლეთ ნაწილში მდებარე, თავდაპირველად ჰოლანდიელების კუთვნილება ყოფილა და სახელწოდებაც მათ მიერ დაარსებული დასახლებიდან -,,ბრუკელენიდან“ აღმოცენებულა. მიუხედავად ნიუ-იორკ სიტის კუთვნილებისა, ბრუკლინს დამოუკიდებელი ხასიათი და საკუთარი ქალაქური სტილი აქვს.

ქვიშის რელიეფზე გაშლილი ბრაიტონ ბიჩი და მისი მიმდებარე ტერიტორია ადგილობრივ ამერიკელს იარაღის, შალის საბნისა და ჩაიდნის ფასად

შეუსყიდია 1645 წელს. დასახლება თურმე ფერმერების ცხოვრებით ცხოვრობდა 1860 წლამდე, წარმოადგენდა ქალაქ გრეისვენდის ე.წ.,,შუა დივიზიის“ ნაწილს და ერთადერთ ინგლისურ დასახლებას, კინგს ქაუნტის ექვსი ქალაქიდან შემორჩენილს. მე-18 საუკუნის შუა პერიოდში დივიზიის 39 წილი ინგლისელი კოლონისტების მემკვიდრეებზე გადანაწილებულა, რისი შესყიდვაც მოგვიანებით, 1868 წელს, მთლიანად შეძლო ნიუ-იორკელმა მეწარმემ უილიამ ენგემანმა 20 000 დოლარად და შეუდგა საკურორტო ადგილის გაშენებას სასტუმროებითა და სხვადასხვა გასართობებით. ნელ-ნელა რაიონი ოკეანისპირა მიმზიდველ საკურორტო ზონად იქცა. ხოლო 1878 წელს ამერიკელმა იურისტმა, პოლიტიკოსმა და ისტორიკოსმა ჰენრი მერფმა და ბიზნესმენთა ჯგუფმა მას, ინგლისის სამხრეთით, ლონდონიდან სულ რაღაც 75კმ-ზე, მდებარე საკურორტო ქალაქ ბრაიტონთან მისი მსგავსების, მონატრებისა და მოძალებული ნოსტალგიის გამო ,,ბრაიტონ ბიჩი“ დაარქვეს...

გასული საუკუნის 70-იან წლებში ბრაიტონ ბიჩს რუსეთისა და უკრაინის ებრაელობამ მიაშურა. იმათ, ვისაც საბჭოური წყობა აღიზიანებდათ და აფერხებდათ, ან ვერ გუობდნენ. ხოლო საბჭოთა სისტემის ჩამოშლის შემდგომ, ყოფილი საბჭოეთიდან იქ ჩასული და დასახლებული ემიგრანტების სიმრავლისა და მათი ცხოვრების წესის გამო, ბრაიტონ ბიჩს მეტსახელად, სიყვარულით —,,პატარა ოდესა“ — უკრაინის შავი ზღვისპირა ქალაქ ოდესის სახელი შეერქვა. რუსულენოვან მოსახლეთა სიჭარბე ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეთნიკური მაღაზიების, რესტორნების, კლუბების, ოფისების, ბანკების, სკოლებისა და სათამაშო ცენტრების გახსნას მოჰყვა.

ჩვენი საუკუნის პირველ ათეულში ცენტრალური აზიიდან დაძრულმა მიგრანტებმაც ბრაიტონ ბიჩი არჩიეს ახალი ცხოვრების დასაწყებად. და გუგუნებს ნიუ-იორკ სიტის ბრაიტონ ბიჩი ოდესური ცხოვრებით ყოფილი საბჭოთა მაფიისა და ქურდული სამყაროს შავი ბაზრისა და წილების განახლებული პირობებით. რიგითი მიგრანტებისთვის აქ ყველა სახის სამუშაო ხელმისაწვდომია ნორმალური ანაზღაურებით. დაწყებული რესტორნებში ჭურჭლის მრეცხავის, მზარეულის, ოფიციანტის, ბარმენის, მძღოლისა თუ ნებისმიერი საყოფაცხოვრებო საქმიანობით დამთავრებული. იქ საშოვარზე ჩასულისთვის არანაირი სამუშაო სათაკილო არაა. რაც მთავარია, ინგლისური ენის ცოდნაც თითქმის არაა აუცილებელი. საყველპუროთიც იოლად გახვალ თავს....“

მესინჯერი აწკაპუნდა. ლეო: — ავცდი. მაგრამ ერთ ქართველს გადავეყარე, რომელმაც აღმითქვა, საერთო ნაცნობი გვყავს და იმის მობილურის ნომერს მოგცემ, ოღონდ ჯერ შევუთანხმებო. დამიმესიჯებს ნომერს და დავრეკავ. დამშვიდდით!

,,ეს ყველაფერი რიგითისთვის, ხოლო ბიზნესმენები (ყოფილი მაფიოზები და კანონიერი ქურდები) ანუ,,ზედა ეშელონები“ ფრთებ - და მხრებგაშლილნი არიან ახალი ოდესურ-ამერიკული ყოფით. ნარკობიზნესი, ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციის ფონზე, დროის უმოკლეს მონაკვეთში ახვავებს მილიონებს. მათი ხელის ბიჭები ახალჩამოსულებს დასაქმებაში უწევენ დახმარებას. ყოველკვირეულ ანაზღაურებას მიუჩვეველი ბიჭები ეიფორიაში ადვილად ვარდებიან, დავიწყების ნისლი ფარავს იმ მიზეზებს, რამაც აქ ჩამოიყვანათ. იმასაც კი, მშობლებმა თავი რომ არ აარიდეს საკუთარი საცხოვრებელი ბინების ბანკში ჩაგირავებას, ოღონდაც შვილებისთვის ხელი გაემართათ, როგორმე თავისი უპერსპექტივო ქვეყნიდან გაეღწიათ და ცხოვრება მოეწყოთ“.

ისევ მესინჯერი. ლეო: ველაპარაკე იმ ბიჭს, ვალერას. თურმე საბა მწვანე ბარათის მფლობელია. მართვის მოწმობაც აქ ჰქონია აღებული და დილა-საღამოს ერთ-ერთი კომპანიის ტრანსპორტით მოხუცები გადაჰყავდა პანსიონატში. თვითონაც მთელი დღე პანსიონატში უწევდა ყოფნა. ვის ეღირსება ასეთი იოლი სამუშაო. ამაში 1000$-ს უხდიდნენ კვირის ბოლოს. ვალერამ შეხვედრა დაუთქვა საღამოს. მეც მივალ და თავზე დავადგები. მაგას აქ ვინ გაახარებდა! ეტყობა ხათრიანია. სადმე სხვა შტატში უნდა წავიდეს!

,,შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ნდობამოპოვებული ხელის ბიჭები ნარკოტიკს სთავაზობენ ამ,,ვითომ ფულიან ტიპებს“, ისე კოლორიტისთვის, ზოგჯერ ნისიადაც კი. და,,სამოთხეში“ მოხვედრილი უნებისყოფო, სხვისი ნების ადვილად ამყოლი, უამბიციო ბიჭების შრომით მოპოვებული ათასობით დოლარები მისრიალებენ მაფიოზების ჯიბეებში. მომხმარებლის დანისლული გონება კი ვერ აცნობიერებს, რა ხდება ირგვლივ“.

ისევ მესინჯერი: დავრეკავ. დაგალაპარაკებთ!

— ვინა ხარ? რა გინდა? ვინ არის ეს კაცი? — ისმის საბას გაგულისებული ხმა.

— მე ვარ. რატომ არ რეკავ დედაშენთან? სიკვდილის პირასაა. მე ვთხოვე ლეოს შენი პოვნა. მხოლოდ 24 საათი დასჭირდა ამისთვის. ჩაუჯექი მანქანაში! ლეო და ვალერა გაგიყვანენ აეროპორტში.

— დედა მალაპარაკე, — გატყდა საბა.

— არა მაქვს ფული, დედა, როგორ წამოვიდე? ბოლო კვირის ხელფასს ველოდები. ავიღებ და წამოვალ.

— ბილეთის ფულს ჩვენ ჩავრიცხავთ ლეოს ანგარიშზე. ხელფასს, როცა იქნება, ლეო აიღებს და გამოგიგზავნის, — ცოცხალი თავით არ ვინდობ საბას.

— ერთ კვირაში მანდ ვიქნები, დედა. ისედაც წამოსვლა მინდოდა ცოტა ხნით. მენატრებოდი. შენ, აბა ჩემი, ბილეთისთვის ვალი რატომ უნდა აიღო? — მუდარა შეურია ხმაში საბამ.

— ერთი პირობით, წამოსვლამდე ლეოსთან იცხოვრებ! — თამსიმ ლამის თავზე ხელი გადაუსვა შვილს.

გაოცებული შევყურებდი თამსის. როგორ ამეხსნა მისთვის, რომ ნარკომანს ასეთი სენტიმენტალობა არ დაეჯერებოდა, რომ მას ის ბოლო ხელფასიც ნარკოტიკის შესაძენად ჰქონდა გამიზნული, რომ მისთვის მხოლოდ ერთი ხატი არსებობდა ამქვეყნად და მას არც მეტი, არც ნაკლები — ნ ა რ კ ო ტ ი კ ი ერქვა.

ჭირის ოფლმა დამასხა, რომ წარმოვიდგინე, რა დღეში ვაგდებდი ლეოს. სამუშაოდან სახლში სულ გულისხეთქებით უნდა მობრუნებულიყო, სანამ საბას ცოცხალს დაიგულებდა. მაგრამ ვერც უკან დავიხევდი და თამსის ხელიდან გამოვგლიჯე მობილური.

— საბა, კარგად მომისმინე! შენს ჩამოსვლამდე არ მივატოვებ დედაშენს. გაფრთხილებ, არ გაბედო და არ დაემალო ლეოს, თორემ კიდევ გიპოვნით და ხელბორკილებით ჩამოგიყვანთ. აი, მაშინ კი დაემშვიდობე ,,მწვანე ბარათს“! — ვერ ვცნობდი საკუთარ თავს.

— ვერ გავიგე, რატომ უნდა დავემალო? — გაიპატიოსნა თავი საბამ.

,,იმავე მიზეზით, რატომაც მეგობრებს გაურბიხარ“.

— აბა, რა ვიცი, მაგრამ გაფრთხილებ! ხომ იცი, ზოგჯერ როგორი ბოროტი ვარ!

მთელი ათი დღის მანძილზე, დილა-საღამოს, საბა პატიოსნად ურეკავდა დედამისს ლეოს მობილურიდან.

— დღეს აუღია ხელფასი, მაგრამ ვალი ჰქონია და გადაუხდია! — სხვათაშორის ჩაილაპარაკა თამსიმ ერთ საღამოს, მასთან ოთახში რომ შევედი.

,,აჰა, ბოლო კაპიკებიც გაუშვა ვენაში“.

— არა უშავს, ჩვენ ხომ მაინც მზად ვიყავით ბილეთის საყიდლად! ნებისმიერ ფასად შევიძინოთ და ჩამოვათრიოთ! უსინდისო, მატყუარა, გაიძვერა! რა ჰგონია, ბრმად გვჯერა მისი? ჩამოვიდეს, ლაწა-ლუწი ავუტეხო სიფათში!

— არც მე მჯერა, მაგრამ შვილია და მინდა ცოცხალი მყავდეს! რა ვქნა? — მოგორავდნენ ცრემლები თამსის ბრიალა თვალებიდან.

...

აერობუსის შასები თბილისის აეროპორტის საფრენ ბილიკზე რომ გასრიალდა, თამსიმ შვებით მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა. ამჯერად მისი მეტყველი, ბრიალა თვალები სიხარულის ცრემლებს აშხაპუნებდნენ .....

ლელა შურუპოვა

საბავშვო ლექსები

* * *

ზამთარია, სიცივემ
შეაშინა ბეღურა,
მობუზულს და გაყინულს,
თოვლის ფიფქი ესტუმრა.

ციყვს რა უშავს, ჭირიმე,
თბილ ქერქშია ჩამჯდარი,
არ აშინებს ყინვაც კი,
გაიკეთა მარაგი.

მელაკუდა ცუნცულით
ეპარება საქათმეს,
თურმე ტოვებს ნაკვალევს,
მურას შიშით კანკალებს.

სცივა, სცივა ბეღურას,
მოწყენილი ჟივჟივებს,
,,ალბათ, მალე დათბება“, —
გულს ამითი იმშვიდებს.

* * *

კატის კნუტი მზეზე თბება,
წევს და დარდით ეტირება.
,, რატომ უნდა დავიჭირო?!“ —
კნუტს წრუწუნა ეცოდება.

წრუწუნა კი სოროს ანგრევს,
ის საომრად ემზადება,
საცოდავი კატის კნუტი
წრუწუს იქით ებრალება.

* * *

ელოდება თოვლის პაპა
ახალი წლის მობრძანებას,
ხურჯინები პატარების
სურვილებით გადატენა.

„ეს თაკოსთვის, ეს თიკოსთვის,
დავითისთვის, მეიკოსთვის.
თოჯინები — ტყუპ გოგონებს,
კონსტრუქტორი — ბიჭებისთვის.

არაფერი არ გამომრჩეს,
არავინ არ დამავიწყდეს!
მეგის ციგა უნდა ჩავდო,
თორემ, ვიცი, მარი მიწყენს.

თურმე როგორ მომენატრნენ
სიხარულის კისკისები,
მადლიერი ღიმილები,
ტიტინები, ღიღინები!..“

ელიმება, მოლოდინით
მბრწყინავ თვალებს რომ იხსენებს,
,,ახალი წლის საჩუქრებით
გავახარებ ჩვენს პატარებს!“

* * *

ტყის სკოლაში დაინიშნა
მასწავლებლად მელია.
ამისთანა პედაგოგი,
მართლაც, სანატრელია!

ველარ იტევს კლასი მსმენელს,
უხარია მელიას,
განათლების მსურველი ხომ
ტყეში ძალზედ ბევრია.

კულტურა და ყოფაქცევა
უცებ ყველამ აითვისა
და მიიღეს მაკაკებმაც,
მან რომ შენიშვნები მისცა.

ჟირაფს მოსწონს ისტორია,
ტახს და ირემს — ფერწერა,
პანდამ რაღაც ორ-სამ დღეში
აითვისა მართლწერა.

ოთხს რომ ხუთი მიუმატა,
სიხარულით დათვი ახტა,
დაუარა ფუტკრის სკებს და,
აღარ უჭირს მათი დათვლა.

,,გეო-გეოგრაფია“,
იმახსოვრებს ბაჭია,
ტოლს არ უდებს დაზუთხვაში
მაიმუნი,,მანჭია“.

უცხო ენის გაკვეთილზე
სპილო აქტიურობს,
წლის ბოლომდე ინგლისურად
უნდა ისაუბროს.

ბეჰემოთის საყვარელი
საგანია ცურვა,
დელფინმაც კი ვერ გაასწრო,
ზღვა რომ გადაცურა.

სიხარულით იღვწის მელა,
არ აკლია თავდადება
და მან, მართლაც, შეძლო, ტყეში
დაენერგა განათლება.

მედგარ ჭელიძე

ო, ძვირფასო ვერონიკა

„ერთხელ საღამოთი“ - გალაკტიონის ლექსია, რომელიც დღემდე უცნობი იყო ჩემთვის და ბევრი ასოციაცია და მოგონება გააცოცხლა. ამ ლექსისადმი მიძღვნილი მურმან ჯგუბურიას წერილიც (ჯგუბურია 2019:) საინტერესოა: ხსნის გალაკტიონის ლექსის ბევრ ნიუანსს, მის კავშირს რუსი მწერლის, ბორის ლავრენიევის მოთხრობასთან „ორმოცდამეერთე“, ამასთან მომხიბვლელი ემოციურობითაც არის დაწერილი, მაგრამ რაც მთავარია, დიალოგში ჩამთრევი ნარკვევია...

ჩემი ამ წერილის პირველი ნაწილი - უფრო ლირიკული აღსარებაა, ვიდრე მკაცრი, მეცნიერული მსჯელობის ნიმუში... სარისკო ექსპერიმენტია - ერთ ტექსტში პოეტური რეფლექსიის და ლოგიკური ანალიზის შერწყმა... და მაინც...

ნაწილი 1. ვერონიკა ვერონეზე

გალაკტიონის - ჩემთვის ადრე უცნობმა ლექსმა - „ერთხელ საღამოთი“ - სულ სხვა საღამოთა მოგონებები ააშრიალა, მივიწყებული ვნების სიმებს შეეხო - არაცნობიერიდან გამოიხმო „ჭაღარა გულის ზმანება ავი“.... არა იმიტომ, რომ ეს ლექსი (რომლის სრული ტექსტიც ამ ნარკვევის II ნაწილში მოგვყავს) გალაკტიონის შედევრებს უტოლდება თავისი შთამბეჭდაობით - ასე სულაც არ არის... უბრალოდ, ეს - ჩემი დიდი ხნის და უპასუხო სიყვარულის ისტორიაა - ვერონიკა, რომანტიკულად ამაღლებული და ამავე დროს მომნუსხავი ეროტიზმით გამსჭვალული სახე. „დამწველი თავის სიმშვენიერით“ - ასე ჰქვია გალაკტიონის სხვა - ყველასათვის კარგად ნაცნობ ლექსს:

დამწველი თავის სიმშვენიერით

დამწველი თავის სიმშვენიერით,
დამშვენებული უხვი განგებით -
ფეხთან პერანგი იწვა ცბიერი,
როგორც ელვარე ფარშავანგები.

შიშველი, წმინდა, როგორც ნაკადი!
დიდხანს საჭირო არ იყო ხვეწნა,
უცხო სახეზე შემონახატი,
წარბები - მშვიდი და თმები - ძეწნა.

მე სხვა ქალებს ვერ დავემალები,
მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,
მაგრამ სხვა იყო შენი თვალები
და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!

„ო, ვერონიკა!“.. ვინ არის - ეს მომხიბლავი ქალწული? რომელი ცხრაკლიტულის სარკეები ირეკლავს ამ გონებისწამღებ სილამაზეს? ის რომ ვერონიკა - რომანტიკულ/სიმბოლისტური ქალწულის სახეა, იდეალის მიწიერი ანარეკლი - ისედაც ცხადია და თავად გალაკტიონის მიერაც დადასტურებულია: ლექსში „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“ ვკითხულობთ: „ოცნებიანი ახალგაზრდა ქალი, ირისისფერი ტანსაცმელით, ოქროსფერი თმით, ვერონიკას სახით და ცისფერყდიანი წიგნით ხელში (შელლი ეწერა წიგნს)... მერი. ეს მისი სახელია“. სხვაგან, ლექსის „დღე“ ხელნაწერზე გალაკტიონის ხელით არის გაკეთებული შემდეგი მინაწერი: „ო, ძვირფასო ტატიანა, ო, ძვირფასო ვერონიკა, ო,ძვირფასი თამარ,.. მერი... ის დრო გაჰქრა როგორც ქარი. მერი“... ცხადი ხდება, რომ ვერონიკა - მერის რომანტიკული დობილია. სოფიური სატრფო ხან მისტიკური ხილვის სახით მოეცემა პოეტს და მაშინ ის უსახელო მშვენებაა („ნაცნობი მშვენება ბროლის“, „დედოფალი ალვა“, „ღრუბელი ფერადი და ალვა ტანადი“...), ხან - ასე ნაცნობი და ახლობელი, უკვდავი ლიტერატურული პერსონაჟების წყებად: ოფელია, ლენორა, მერი, ბეატრიჩე, თამარი, ზეინაბი... აი პუშკინის ტატიანაც გამოკრთა არაცნობიერის ბინდიდან. მაგრამ რომელ სამყაროს, რა იდუმალ სივრცეს ეკუთვნის - ვერონიკა? არ იწვევს ეჭვს, რომ ესეც კულტურის დამტვერილი ფოლიანტების სივრცეებიდან ამოზიდული სახეა. გალაკტიონის საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე, ნ.კობალაძის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ლექსი „დამწველი თავის სიმშვენიერით“ ანატოლ ფრანსის რომანის ერთი ეპიზოდით არის ინსპირირებული (კობალაძე 2005: 86). ლექსში წარმოდგენილი სურათი და მიზანსცენის ბევრი დეტალი ეჭვს არ ტოვებს, რომ სიუჟეტური თემა მართლაც ანატოლ ფრანსის რომანში დახატულ სურათთან არის კავშირში. მაგრამ ეს უდავო ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ „ვერონიკას“ პოეტური სახე - ანატოლ ფრანსის რომანის პერსონაჟით (ფელისია, ასე ჰქვია მას) არის შთაგონებული... არც ჰერბერტ უელსის (გალაკტიონისათვის არც თუ უმნიშვნელო მწერლის) პერსონაჟი ანა-ვერონიკა შეიძლება ამ ინსპირაციის წყაროდ ჩაითვალოს. არ შეეფერებიან ეს ლიტერატურული სახეები გალაკტიონის ლექსით გამოწვეული ესთეტიკური და ემოციური განცდის რეგისტრს! ანატოლ ფრანსის სიუჟეტი კარნახობს გალაკტიონს მიზანსცენის დეტალებს, მაგრამ „ვერონიკას“ სახე - სულ სხვა სფეროებიდანაა...

„რაოდენი ცოდნა სილამაზის არის მასში“ ამბობს ერთგან გალაკტიონი გოტიეს შემოქმედების გახსენებისას. იგივეს თქმა შეიძლება გალაკტიონის მიერ შექმნილი ქალწულის სახეზე - სილამაზის რაოდენი ცოდნა არის მასში მოცემული... მხოლოდ გოტიეს რანგის პოეტურ შთაგონებას შეეძლო ეს ხილვა გრძნობად სახედ ექცია... ვერონიკას სახელთან დაკავშირებული ხელოვნების ერთადერთი ნიმუში, ჩემს ხანგრძლივ ძიებათა პროცესში მიკვლეული, რომელიც მსგავს ასოციაციათა რიგს შეესაბამებოდა - შესანიშნავი ინგლისელი პოეტისა და მხატვრის - პრერაფაელიტების სკოლის ყველაზე ნიჭიერი

წარმომადგენლის - დანტე გაბრიელ როსეტის (ინგლ. Dante Gabriel Rossetti დ. 1828 – გ. 1882) ცნობილი სურათი - „ვერონიკა ვერონეზეა“. ამ ჟღალთმიანი მშვენების პორტრეტმა იმდენად დაიპყრო ჩემი გონება, რომ გალაკტიონის ლექსის რუსული თარგმანის გამოქვეყნებისას, ვერ აღვუდექი წინ ცდუნებას და დანტე გაბრიელ როსეტის მიერ შესრულებული ეს პორტრეტიც დავურთე. (რაღა დაგიმალოთ და თავად თარგმანის ტექსტშიც შეაღწია ამ ჩვენებამ: Медь волос - льётся пламенем ржавым!)... და ეს - მიუხედავად იმისა, რომ არ მქონდა არავითარი ლოგიკური საფუძველი დამეკავშირებინა როსეტის სურათი - გალაკტიონის ლექსთან. არავითარი დამატებითი მინიშნება სახელის გარდა. ერთადერთი არგუმენტი, თუ უფრო - ირაციონალური, ინტუიციური კრიტერიუმი - ამ ორი შედევრის, ორი „ვერონიკას“- ესთეტიკური თანაფარდობის განცდა იყო. ორივე ეს შედევრი - გალაკტიონის ტექსტიც და დანტე გაბრიელ როსეტის ფერწერული ტილოც - სილამაზის თითქმის მისტიკური ცოდნით არის შექმნილი. კონფლიქტი ინტუიციურ ხედვის კატეგორიულობასა და ამ ხედვის ფაქტებით და ლოგიკური არგუმენტებით დასაბუთების შეუძლებლობის გამო, დიდი ხანია მაწვალებდა. ამიტომ ამ აღსარების მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს ის ნეტარი შვება, რაც განვიცადე გალაკტიონის - ჩემთვის ადრე უცნობი - ლექსის („ერთხელ საღამოთი“) კითხვისას, შემდეგ სტრიქონებს როდესაც მივადექი: „მახსოვს ქალი, ვერონიკა, ლაღი... ვადარებდით ვერონეზეს ნახატს...“. ცხადია ეს - ფრაზების ნაწყვეტები არაფერსაც არ ამტკიცებს: ვერონეზე, ტიციანთან ერთად გალაკტიონს სხვაგანაც უხსენებია და ვგონებ არა ერთხელ... ვერონეზეს ნახატს მიმგვანებული ვერონიკა, ცხადია სულაც არ არის იგივე, რაც - „ვერონიკა ვერონეზე“. ლოგიკურად არა. მაგრამ გალაკტიონისთვის ჩვეულ მინიშნებათა პოეტიკაში, სიმბოლისტურ ესთეტიკაში - ასეთი „ირიბი რეპრეზენტაცია“ - შესაძლებელი და დასაშვებია, აქ - სხვა კანონზომიერებები მოქმედებს, „არაევკლიდურ გეომეტრიაში“ - ეს ასოციაციური რკალი იკვრება: „ვერონეზეს ნახატი“ - ზოგადად ფერწერულ ტილოზე მინიშნებაც არის და სახელ „ვერონეზეზეც“... ცნობიერების ასოციაციურ სივრცეში ილანდება ფერწერული ტილო, რომელიც სახელ „ვერონეზესთან“ კავშირშია... და ისევ - „ესთეტიკური კრიტერიუმი“: გენიალური ვერონეზეს მხატვრობა - დანტე გაბრიელ როსეტის ფერწერა და პოეზია, მის მიერ შესრულებული ვერონიკა ვერონეზეს პოერტრეტი - გალაკტიონის შთამბეჭდავი, პოეტური სახე - ერთი მასშტაბის ესთეტიკური მოვლენებია, თუ გნებავთ - „სოფიური“ სატრფოს სხვადასხვა ანარეკლი კულტურის სარკეში.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, სულ მთლად ულოგიკობაც არ იქნება - ლოგიკასაც აქვს აქ გარკვეული ხელჩასაჭიდი: ცნობილია, რომ გვიანდელი როსეტის ნამუშევრები ზოგადად და განსაკუთრებით ეს გამორჩეული ფერწერული ტილო - დიდი ვენეციელი მხატვრების და კერძოდ, ვერონეზეს შთაგონებით არის შექმნილი. სურათის სახელიც ვერონეზეს მხატვრობას უკავშირდება და არა გამოსახული პერსონაჟის ვერონულ წარმოშობას. სურათის ჩარჩოზე ამოკვეთილი ციტატიდან, რომელიც ან თავად როსეტის ან ჩარლზ სუინბერნს მიეწერება (McGann, Jerome 2005: ელექტრონული არქივი), ირკვევა, რომ ტილოზე არა უბრალოდ ლამაზი ქალი არის გამოსახული, არამედ - მუსიკის დაბადების შემოქმედებითი მისტერია („მისტიკური განთიადის მსგავსი შემოქმედებითი აქტი“): მხატვარი გადმოსცემს გარინდების იმ ზღვრულ მომენტს, როდესაც ქალის შინაგანი სმენა ცდილობს მისწვდეს უკვე თითქოს გამოკვეთილ, მაგრამ ჯერ კიდევ მოუხელთებელ ღვთიურ მელოდიას („не музыку еще, уже не шум“, როგორც იტყოდა ი.ბროდსკი). ყოველივე ეს გასაგებს ხდის გალაკტიონის ლექსში („ერთხელ საღამოთი“) მშვენიერი ქალის მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებას. ერთის მხრივ, ლოგიკური ხდება ფრაზა „ვადარებდით ვერონეზეს ნახატს“: როსეტის „ვერონიკასაც“ ხომ ამსგავსებდნენ სტილისტურად „ვერონეზეს ნახატს“(თავად ავტორიც და ხელოვნებათმცოდნეების მთელი წყებაც). მეორეც, ეს ქალი, მისტიკის და ხელოვნების სფეროებთანაა შეხებაში და არამიწიერ მშვენებას ასხივებს, ამიტომ ის უნდა შეიცნო, „იგრძნო„ („მე ვიგრძენი მშვენიერი ქალი“ ნათქვამია ლექსში და არა „დავინახე“). როსეტის სურათში ყურადღებას, პირველ ყოვლისა, გამოკვეთილად, ვერონიკას მეოცნებე სახე, მუსიკალური ხილვებით („ზრახვებით“) გასხივოსნებული შუბლი იპყრობს, რაც შეესაბამება, როგორც გალაკტიონის ლექსის პასაჟებს („ვერონიკას მოსწყენოდა შუბლი, ვერონიკას შუბლზე აჩნდა ზრახვა ... მარტოობის ღრუბლი“), ასევე, - მერის რომანტიკული პორტრეტის აღწერასაც ლექსში „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“: „ოცნებიანი ახალგაზრდა ქალი, ვერონიკას სახით“...

ყოველივე ზემოთ თქმულს თუ გავითვალისწინებთ, სხვა კუთხით წარმოჩნდება ლექსში „დამწველი თავის სიმშვენიერით“ - ვერონიკას სამოსისაგან განძარცვის თავბრუდამხვევი სურათიც: ანატოლ ფრანსის მოთხრობის წმინდა ეროტიკული მიზანსცენიდან („პროზა... ქრონიკა...) ჩვენ გადავინაცვლებთ მისტიკური ეროტიზმის და ხელოვნების სფეროში, თვალს ვადევნებთ მშვენიერების სულიერი მზერით ხილვის, „მუსიკის გაშიშვლების“ სცენას: „მე სხვა ქალებს ვერ დავემალები, მათში ბევრია პროზა, ქრონიკა, მაგრამ სხვა იყო შენი თვალები და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!“

დანტე გაბრიელ როსეტი. ვერონიკა ვერონეზე

ახლა კი „მიწაზე დავეშვათ“ და ლოგიკურ დონეზე უფრო გასაგებ რეალიებს დავუბრუნდეთ...

ნაწილი 2. Петроградская Катька и Калужская Верка

დავუბრუნდეთ ახლა საკუთრივ განსახილველ ლექსს და მისი განხილვის დაწყებამდე, ჯერ გავიხსენოთ ლექ-სის სრული ტექსტი:

ერთხელ საღამოთი

ბათუმის მზე ჩასავალად ენთო,
მშვიდი ქარი ხმაურობდა ზღვაზე.
ცხოვრებისგან დაღალული „დენდი“
გემს უცდიდა და მიამბო ასე:
მახსოვს, ქალი, ვერონიკა, ლაღი,
ორკესტრით და ხალხით ფეთქდა ბაღი,
ვერონიკას მოსწყენოდა შუბლი,
ვერონიკას შუბლზე აჩნდა ზრახვა;
ჩამოსულთა მარტოობის ღრუბლი,
არც შეხვედრა, არც ნაცნობის ნახვა.
მეგობრებში მე ყველაზე ადრე
ფიქრში მყოფ ქალს, ახალგაზრდამ, მკრთალი
სალამი და თაიგული ვკადრე
და ვიგრძენი მშვენიერი ქალი.
რა წრის იყო - იკითხავდა ვინა?
ვადარებდით ვერონეზეს ნახატს, -
სადმე ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს,
თუ ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.
შემდეგ მოხდა... პეტროგრადის ხანა:
ახლობელი აქ არავინ მყავდა,
მოწყენილი, მღვრიე ყავახანა
ჩემს უმიზნო მარტოობას ჰგავდა.
გამოვედი გზად ბურანში მყოფი,
ნევას ედგა შენისლების ბუნდი.
ერთ ქალს მხარზე გადაედო თოფი
და გარს ერტყა მეგობრების გუნდი.
ვერონიკა! ვერონიკა დადგა!
აჰ, საით სად! იგი გასცდა ხიდეს,
რა თქმა უნდა ვერ შემიცნო, რადგან
კლასი კლასის წინააღმდეგ მიდის.
მე კი ვიდექ წყალთან საღამომდე,
სადაც მღვრიე დამდგარიყო ღვარი,
„უცხო ქვეყნად მარტოობას გრძნობდე,
ნეტარება არის რაღაცგვარი“.
გავცქეროდი კაფეებს და კინოს,
მივყვებოდი მოგონებათ ნაკადს,
როცა ძვირფასს გადავკრავდი ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდი ქაღალდს.
მეორე დღეს ისევ შემხვდა იგი
და მომესმა საუბარი მისი:
„საქართველო ეს ზღაპრული მზეა,
უკეთესის ბედისაა ღირსი.
ამ მხარეზე უფრო მეტი ვიცი,
იგი უფრო შეიქმნება მშვენი,
როცა ძალა და უფლება მტკიცე
დამყარდება იმ მხარეში ჩვენი.
ერთხელ გრძნობა მარტოობის მდევდა,
ასე მოხდა - კაცია თუ ბედი,
სალამი და ყვავილების კონა
არავისი მახსოვს, ერთის მეტი!
ის დღე, როგორც ახალგაზრდა მუხა,
საუცხოო, ფრიალოზე ნარგი,
ის დღე ჩემთვის ყველაფერი იყო,
ყოველ დღეზე უჩვეულოდ კარგი“.
„ვერონიკა!“ - მსურდა მეთქვა მაშინ,
მაგრამ გრძნობამ შემაჩერა რაღაც,
ჩვენ ხომ... ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.
კლასი კლასის წინააღმდეგ! მკვეთრი
ხმით დაიძრა მესამე დღე რუხი.
რა თქმა უნდა, მე ვიყავი თეთრი,
როს თოფების ატყდა ჭახაჭუხი...
ვერონიკა მე ვიცანი გვიან,
რომ იჭექა და ამღვრეულ ბოლში
მკერდში, გულთან გამიარა ტყვიამ
და დავეცი, სისხლიანი, თოვლში.
„ვერონიკა!“ - დავიძახე მაშინ
და გაფითრდა ქალის თვალთა ცქერა,

რაღაცასი გახსენება სურდა
და, ვერასგზით... და ვერა და ვერა.
ან კი როგორ? სხვა სახელიც ერქვა
ვერონიკას, ხელთ თოფი რომ ეპყრა.
ქარხანაში უწოდებდნენ თურმე:
გაბედული კალუგელი ვერკა.
ან კი როგორ? რომანტიულ სახეს
და ლამაზ ხელს შრომა აჩნდა დაღად.
ჩვენ კი... ძვირფასს გადავკრავდით ღვინოს
და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს.

ის ფაქტი, რომ გალაკტიონის ლექსი „ერთხელ საღამოთი“ ასოციაციურ კავშირშია ალექსანდრ ბლოკის პოემასთან „თორმეტნი“ - მურმან ჯგუბურიამაც აღნიშნა თავის ნარკვევში, თუმცა აღარ განუვითარებია თემა და სხვა საინტერესო ასპექტებზე გადაიტანა ფოკუსი. ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ ეს ლექსი ალექსანდრ ბლოკის სხვა ცნობილ ტექსტებთანაც ამყარებს კავშირს. ბლოკთან გადაძახილი იმდენად მნიშვნელოვანია მთლიანობაში ლექსის შინაარსის გასაგებად, რომ სწორედ აქედან დავიწყებთ მის ანალიზს.

რა ხდის ასე თვალშისაცემს განსახილველი ლექსის კავშირს ბლოკის სამყაროსთან? პირველ რიგში - რევოლუციური პეტროგრადი, უმნიშვნელოვანესი ქრონოტოპოსი, როგორც ბლოკის, ასევე გალაკტიონის შემოქმედებაში. გალაკტიონის პეტროგრადის ტექსტები (ლექსი „ერთხელ საღამოთი“ სწორედ პეტროგრადის ტექსტების რიგს მიეკუთვნება) გამუდმებულ, უწყვეტ აზრობრივ დიალოგში იმყოფება ალექსანდრ ბლოკის ტექსტებთან: ხან ეთანხმება და ავითარებს ბლოკის იდეებს, ხან მწვავე პოლემიკაში შედის ამ ტექსტებთან. ასეთი კავშირის მნიშვნელობას თავად გალაკტიონი უსვამს ხაზს: „თორმეტნი“ ალექსანდრ ბლოკის, - „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ ჩემი“ - ასეთ ორიენტირს გვაძლევს პოეტი „რევოლუციური პეტროგრადის“ სხვა მნიშვნელოვან ტექსტში - პოემაში „ჯონ რიდი“.

მეორე, მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც აკავშირებს გალაკტიონის ლექსს „ერთხელ საღამოთი“ ალექსანდრ ბლოკთან, არის ქალური პერსონაჟი და ამ სახის ევოლუციის სპეციფიკური სტრუქტურა. ამ საკითხზე ღირს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ.

ქალის მხატვრული სახე ცენტრალურია, როგორც ბლოკის, ასევე გალაკტიონის პოეტურ სამყაროში. ბლოკთან ეს სახე ასეთ ევოლუციას განიცდის (ჯერ წმინდა სიმბოლისტური მოდელის, შემდეგ - უფრო გართულებული მსოფლმხედველობრივი სურათის თანახმად): სიმბოლისტური „თეზისის“ იდილიურ, რომანტიკულ ფაზაში დომინირებს მშვენიერი და იდუმალი ქალწულის -„მშვენიერი ბანოვანის“ (Прекрасная дама) სახე, რომელიც მარადქალურის, იდეალის მოუხელთებელი ანარეკლია. „ანტითეზისის“ ნიჰილისტურ ფაზაში დომინირებს ეჭვი იდეალთან კონტაქტის შესაძლებლობაზე: ხომ არ იცვლის ქალწული თავის ზეციურ სახეს შეხვედრისას, ხომ არ აღმოჩნდება ისიც ამ მახინჯი და საშინელი რეალობის ნაწილი, გამოავლენს თავის ნამდვილ - საშინელ ან ბანალურ სახეს (Весь горизонт в огне, и близко появленье,/ Но страшно мне: изменишь облик Ты, /И дерзкое возбудишь подозренье,/ Сменив в конце привычные черты). სინთეზის ფაზა, რაც ზოგადად - მიუღებელ რეალობაში სულიერი საყრდენის ძებნის ფაუსტურ ნარატივს შეესაბამება, ბლოკთან არაერთგვაროვანია: ჯერ ვლ.სოლოვიოვის სიმბოლისტურ მოდელს მისდევს, მერე თანდათან რთულდება, სცილდება ვლ. სოლოვიოვის მისტიკური სისტემის ფარგლებს, მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს კლასიკური რუსული რეალიზმის მოდელებთან, დოსტოევსკის, ნიცშეს იდეებთან. შესაბამის ტრანსფორმაციას განიცდის ქალური არქეტიპიც. სიმბოლისტური „სინთეზის“ ეტაპზე დომინირებს, გვიანდელი სიმბოლიზმისათვის ასე ნიშანდობლივი, დემითოლოგიზაციის და რემითოლოგიზაციის პროცესი, თვითირონია, გროტესკი, მისტიკური სივრცეებიდან - ფოკუსის გადანაცვლება ხელოვნების, შემოქმედების ასპექტებზე. „მშვენიერი ბანოვანი“ - ამ ირონიულ/გროტესკულ სარკეში წარმოჩნდება, როგორც - „მშვენიერი უცნობი ქალი“ (Прекрасная незнакомка). ეს სახე - რეალობის და ნამთვრალევი წარმოსახვის შეხების საზღვარზე არსებობს. მახინჯი ქალაქის ქრონოტოპოსში, მეძავების და რესტორნების დეკადენტურ კვარტალში თავდავიწყების სურვილით მიყვანილ პოეტს, მის ალკოჰოლით შეხურებულ წარმოსახვას - წარმოუდგება ჩვენება - იდუმალებით მოსილი, მშვენიერი უცნობი ქალი. სინამდვილეში - ქალი მეძავია, ამ დეკადენტური ატმოსფეროს ნაწილი, ლოთების და ქალებთან მოსეირნე კავალერების სამყაროს ნაწილი. ღვინო და პოეტური წარმოსახვა გარდაქმნის პეტროგრადელ მეძავს - ქალწულის რომანტიკულ სახედ, იდეალის მისტიკურ ანარეკლად, და ამგვარად აღადგენს „მშვენიერი ბანოვანის“ ამაღლებულ სტატუსს. (სხვათა შორის, დეკადენტურ წრეებში პეტროგრადელ მეძავებს - „კატკებს“ უწოდებდნენ და საზოგადოდ, ისინი ალბათ ისევე უხამსად გამოიყურებოდნენ, როგორც ეს ქართული შრიფტით აკრეფილი „კატკა“ - мягкий знак-ის გარეშე). ბლოკის მიხედვით, სწორედ ეს ნამთვრალევი პოეტური წარმოსახვა არის „ჭეშმარიტება“, უფო მაღალი რანგის რეალობა, ვიდრე სინამდვილე - „In Vino Veritas!“ - როგორც გვახსოვს.

შემოქმედებითი გზის ბოლო ეტაპზე ბლოკისათვის აქტუალური ხდება „ცოდვათა საზღაურის“, „მისაგებელის“ თემა („ლექსების ციკლი და დაუსრულებელი პოემა ერთი და იგივე სათაურით „Возмездие“, ლექსების ციკლი „სამშობლო“, პოემა „თორმეტნი“). ეს უკანასკნელი ნარატივი აერთიანებს ბლოკის წარმოდგენას ისტორიის ციკლიურობის შესახებ და მის ესქატოლოგიურ მოლოდინებს, რევოლუციური სტიქიის, მომავალი კატასტროფების წინათგრძნობას. ამ წარმოდგენების შესაბამისად, დაცემულ, დეგრადირებულ სამყაროს წალეკავს დაუნდობელი, ბრმა რევოლუციური სტიქია და შედეგად, ძველი, უსიცოცხლო და უზნეო სამყაროს ნაცვლად ჩამოყალიბდება ახალი, სოცოცხლისუნარიანი რეალობა. განახლების ქარცეცხლში დაინთქმება ყოველივე, - რაც არის დრომოჭმული, ზნეობისა და სულიერებისაგან დაცლილი, მაგრამ ასევე დაიღუპება - ამ მახინჯ სამყაროში შემორჩენილი, სულიერების კერებიც - დაუცველი და ფაქიზი სილამაზის და სათნოების ასპექტი. ამაში არის რევოლუციური პროცესის ტრაგიკულობა: რევოლუცია არ გაარჩევს მტყუანს და მართალს, ცოდვილს და წმინდანს, მაგრამ მთლიანობაში - რევოლუცია პოზიტიური, მომავლისკენ მიმართული ვექტორია. მნიშვნელოვანია გვესმოდეს (დღევანდელი გადმოსახედიდან მაინც): ბევრისთვის მიუღებელი იმ ფაქტის მიზეზი, რომ ბლოკი მიესალმა რუსეთის ოქტომბრის რევოლუციას, არის რევოლუციის

სწორედ ასეთი, აბსტრაგირებული გააზრება და არა ამ რევოლუციის იდეოლოგიური ან პოლიტიკური შინაარსი. ბლოკი მიესალმა ახალი რეალობის „სტრუქტურას“, „ახალ დინამიკას“ და არა მის პოლიტიკურ „შინაარსს“. ახალი ისტორიული ციკლის დაწყების ნარატივს უკავშირდება პოემაში „თორმეტნი“ ქრისტეს სახის გამოჩენა (რაც გაუგებარი დარჩა ბლოკის თანამედროვეთათვის): ეს სახე გაიაზრება ბლოკის მიერ, როგორც ახალი დროის მესია, ახალი „მხსნელი“, ხოლო თავად „ხსნის“ ნარატივი გარკვეულად იმეორებს ხსნის ძველი, ქრისტიანული ნარატივის სტრუქტურას (ახალი ისტორიული ციკლის ინიციაციას - „ახალი ქრისტე“ სჭირდება - არა კონკრეტული ისტორიული პიროვნება, არამედ მესიანისტური მოდელი, მესიანისტური სტრუქტურა). განხილულ კონტექსტში ხდება „ქალური სახის“ ახალი გააზრება, არქეტიპის ტრანსფორმაცია - ისევე როგორც სხვა იმ პერსონაჟების ტრანსფორმაცია, რომლებიც ამ რევოლუციური დროის და ახალი მომავალის სახეს წარმოადგენენ. მეძავი „კატკა“, რომელიც ადრე „მშვენიერი უცნობი ქალის“ ინსპირაციას იწვევდა დეკადენტ პოეტში, თავისი რეალური, მიწიერი, შეუფერადებელი სახით წარმოჩნდება. ის - ამ მახინჯი და ახლა - საშინელი, რევოლუციურ ქარცეცხლში გაქრობის პირას დამდგარი, სამყაროს ნაწილია, - ბანალური, უხამსი და ამავე დროს - უბრალო, უბრალოდ დაღუპული. სხვა არის ქალის მოტრფიალე, ძირითადი კაცური პერსონაჟიც - ეს აღარ არის ოცნებას და ნამთვრალევი წარმოსახვის თამაშს მიცემული დეკადენტი პოეტი. რომანტიკოსი, მეოცნებე პოეტი ვერ იქნება ახალი, დაუნდობელი რეალობის გმირი. პოეტი, არისტოკრატული ცნობიერება - დეკადენტური სამყაროს ნაწილია და ამ ძველ სამყაროსთან ერთად უნდა დაინთქას. შესაბამისად, პოემის ტექსტში მხოლოდ ლანდივით გაიელვებს დეკადენტი პოეტის გროტესკული ფიგურა, დასაღუპად განწირული ძველი სამყაროს ნანგრევების ბინადარი აჩრდილი:

А это кто? — Длинные волосы
И говорит вполголоса:
— Предатели!
— Погибла Россия!
Должно быть, писатель —
Вития...

ახალი დროის ძირითადი სახე კი სულ სხვა პერსონაჟია - „პეტრუხა“, ერთ–ერთი თორმეტ მოციქულთაგან. ამ სახეში არის პერსონიფიცირებული უხეში, მკაცრი, არარაფინირებული, მდაბიო ვიტალურობა - ის, რაც წალეკავს ძველ სამყაროს და ქმნის ახალი სამყაროს სიცოცხლისუნარიანობის პერსპექტივას.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ჯგუბურია 2019: მურმან ჯგუბურია - გალაკტიონის ერთი ლექსის გამო; ინტერნეტი; https://textualscholarship.blogspot.com/2019/08/blog-post_0.html?view=flipcard&fbclid=IwAR1U5hd9VvAa2fAjRNV5GES3KUGj65a9x18juXNLei3ux3xf3JnRd5OT3j0
2. კობალაძე 2005: კობალაძე ნ. ჟურნალი „კრიტერიუმი“, №13, 2005, გვ. 82-89
3. McGann, Jerome 2005: McGann, Jerome (editor) Veronica Veronese. Rossetti Archive. Institute for Advanced Technology in the Humanities, University of Virginia (2005).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მარსიანი

ვაჟა –ფშაველას არაპოპულარულ პოემათა შესახებ

იკა ქადაგიძის ჟურნალ ''ისინდის“ ძირითადი გუნდის წევრი ვარ, მაგრამ ავადმყოფობის გამო გაუთვალისწინებლად ხანგრძლივი დროით მომიხდა თბილისის დატოვება დ სოფელში ცხოვრება. საიმდროოდ ჟურნალის მხოლოდ ხუთი ნომერი იყო გამოსული და თან მქონდა წაღებული. გამუდმებით ვკითხულობდი ამ ნომრებს, რათა მონატრების სევდა გამექარვებინა. სატელეფონო საუბრის დროს ხშირად ვუმეორებდი უსაშველოდ მონატრებულ მეგობარს - ''ერთი სული მაქვს, როდის დავაცხრები წასაკითხად ახალ ნომრებს, პირველ რიგში თქვენს წერილებს - მეთქი''. მართლაც იკამ ჟურნალის მომდევნო ხუთი ნომერი გამომიგზავნა და მეც სულმოუთქმელად დავიწყე მისი წერილების კითხვა და ამ წერილებიდან ერთ- ერთმა სრულიად მოულოდნელი განცდები და მოგონებები აღძრა ჩემში, რომელთაც ცოტა ქვემოთ შევეხები, ჯერ კი უშუალოდ ამ სტატიაზე ''გენიოსები და კლიშეები'' ვისაუბრებ. იკა განიხილავს ვაჟა-ფშაველას ერთ მომცრო, მგონი ყველასაგან საგანგებოდ მივიწყებულ პოემას ''ჰაოს და ქართლოს''...უთუოდ გაგახსენდებათ ''ისინდის'' პირველსავე ნომერში დაბეჭდილი იკას ლექსი ''მოძმე'', ჩვენს ქვეყანაში შემოსეულ რაგინდარა ჯურის ''მოძმეთა'' პარპაშს რომ ეძღვნება და თავისი მწვავე აქტუალურობის გამო სარეკორდო პოპულარობა და მხარდაჭერა მოიპოვა ინტერნეტსივრცეში. ეს ლექსი თავისი სამოქალაქო-პატრიოტული პათოსით ილიას ''ბედნიერი ერის'' ტოლფასი გახლავთ. ავტორის მიერ აქ ჩამოთვლილი ''მოძმე''ერების სიაში ჰაოსის შთამომავალთ, სომხებს, პირველი ადგილი უჭირავთ: ისინი ხომ კარგახანია თვით ჩრდილოელ გიგანტს, საბჭოურ პერიოდში სოციალისტური ბანაკის წევრი ყველა ქვეყნის ''უფროს ძმად'' თვითაღიარებულს, ეცილებოდნენ ჩვენი (ქართლოსიანების) ''უფროსი ძმის'' სტატუსს, ახლა კი მგონი მთლად უკონკურენტოდ დარჩნენ! ლეონტი მროველიც ისტორიის სიღრმეებიდან მათ ''უჭერს მხარს'' - თარგამოსის ძეთაგან რომ პირველად ჰაოსს ასახელებს, მეორედ-ქართლოსს. ბიბლიაც გავიხსენოთ: ადამის პირველი ძე კაენი, მეორე-აბელი... სხვა საკითხია, რომ ვაჟას პოემაში ჰაოსი ქართლოსის მიერ დათმობილ განჯის, ერევნის მხარეებს ფლობდა და მტრებისაგან შევიწროებულ-დაჩაგრული ქართლოსს შემოეხიზნა. ამ უკანასკნელმაც ძმურად

მიიღო და თავისი კუთვნილი სივრცე უშურველად გაუყო, შემდეგ კი მისი გულუხვობით მოძლიერებულმა ჰაოსმა ეს სიკეთე როგორ გადაუხადა... სხვა თემაა ისიც, რა ''უფროსი ძმებიც'' არიან უკვე მრავალი საუკუნის წინ არმენიზებული ძველი ჰაიები, რომელთა ენა ამჟამად ინდოევროპულია და არა იბერიულ-კავკასიური...

ილიასა და აკაკის დარად ვაჟაც თავის შესანიშნავ პუბლიცისტიკაში ერისათვის საჭირბოროტო მრავალ საკითხს განიხილავს,მაგრამ ამჯერად მხატვრული ნაწარმოებით,მომცრო ეპიკური პოემით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ქართულ-სომხური თემისადმი.

იკა ქადაგიძე ამ პოემას განიხილავს, როგორც რეალური ისტორიული პროცესის მხატვრულ-სიმბოლურ ასახვას.პოემა დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მისი დაწერის დროს, საუკუნეზე მეტი ხნის წინათ იყო. ჟურნალ ''ისინდის'' მკითხველი, რასაკვირველია, იცნობს მკვლევარ-ისტორიკოსის ბონდო არველაძის სტატიებს, ქართულ-სომხურ ურთიერთობებს რომ ეხება და მეცნიერული დასაბუთებით ამხელს სომეხ ისტორიკოსთა ჰიპერტროფირებულ მიმთვისებლურ ჟინს, ე.წ. ''ავადმყოფურ ისტორიზმს'': ისინი გვედავებიან უამრავ ეკლესია-მონასტერს როგორც თვით საქართველოში, ასევე თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალზეც და, რა თქმა უნდა, ჩვენი ქართველი ბოლშევიკების მიერ მათთვის (სომეხთათვის) ნაჩუქარ ტერიტორიებზეც...ყველას გვახსოვს, 90-იან წლებში სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი ვაზგენი როგორ მოუწოდებდა საქართველოში (და განსაკუთრებით აფხაზეთის ტერიტორიაზე) მცხოვრებ თანამემამულეებს, საქართველოს ტერიტორიები დაესაკუთრებინათ...ისიც გვახსოვს, აფხაზეთის ომში სომხებმა, მათმა ე.წ. ''ბაგრამიანის ბატალიონმა'' როგორი ''ძმობა'' გაუწიეს აფხაზეთის ქართველობას...ხოლო უფრო ადრე, XIX საუკუნეში ჩვენი ბედოვლათი და ქეიფ-დროსტარებას გადაყოლილი თავადაზნაურობის მამულები სომხებმა ჩალის ფასად რომ ჩაიგდეს ხელში, ეგ ხომ საყოველთაოდ ცნობილია და ვაჟას პოემის შექმნის იმპულსიც სწორედ ეს გარემოებაა, ოღონდ პოემაში ორი ერის სიმბოლურ განსახიერებად ამ ერთა ეთნარქები -ჰაოსი და ქართლოსი-გამოჰყავს პოეტს, ანუ ქართველი და სომეხი ერების ურთიერთობის სიმბოლური სურათი ამ ეთნარქთა ურთიერთობებით არის ნაჩვენები: პოემა, რასაკვირველია, ზოგად სურათს გვიჩვენებს და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ისტორიულ მომენტს. ქართლოსი, რომელიც შეუპოვარი მეომარი გახლდათ და გარეშე მტრებთან ბრძოლას ალევდა მთელ ძალ-ღონეს, რეალობის გრძნობას მოკლებული აღმოჩნდა ახალ



დროში და მოყვრულად მოსულ მტერს (''მოძმეს'') დაუთმო თავისი საარსებო სივრცე...სამაგიეროდ, მის მეუღლეს თამარს არ დაუკარგავს რეალობის გრძნობა და დაუნდობლად ამხელს როგორც ''მოძმე'' ჰაოსის ავკაცობას, ასევე ქართლოსის სიბეცეს, რისი წყალობითაც ქართლოსის შვილები საკუთარ მიწა-წყალზე უფლებადაკარგულ დევნილებად იქცნენ...იკა ქადაგიძე განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქალის როლს ამგვარ სიტუაციაში და ქართლოსის მეუღლის სახელში (თამარ) ღრმად სიმბოლურ მინიშნებას ხედავს...

ალბათ პოემის იკა ქადაგიძისეულ ანალიზს არსებითად ვერაფერს დავუმატებ, იმდენად ზუსტი და ამომწურავია მისი დასკვნები. ასე რომ, ახლა უკვე შემიძლია ვილაპარაკო იმ განცდებსა და მოგონებებზე, რაც პოემა ''ჰაოსის და ქართლოსის'' გახსენებამ აღძრა ჩემში.

სოფლის მასწავლებლების ოჯახში ვიზრდებოდი. დედა ქართულს ასწავლიდა, მამა-ფიზიკას. პირველი კლასი რომ დავამთავრე და წიგნის კითხვა უკვე თავისუფლად შემეძლო, იმხანად (1961 წ.) ახლად გამოცემულ ვაჟა-ფშაველას აკადემიური ხუთტომეულის პირველ და მეორე ტომს (ლექსებსა და პოემებს) ჩავუჯექი... თუმცა ''ჩავუჯექი'' ფიზიკურ-ვიზუალური გაგებით მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს ჩემს დამოკიდებულებას ამ ტომებთან, უფრო ზუსტი იქნებოდა ''ჩავუწექი''... თითისტოლა ბიჭუნა ტრუსის ამარა თავდაღმა ვიწექი პირდაპირ იატაკზე, წინ გადაშლილი მედო ეს ვეება, ლამის ჩემზე მძიმე ფოლიანტები და მთელი არსებით ვიყავი გადაშვებული ვაჟას ჯადოსნურ სამყაროში...ჩემი ლიტერატორი დედა იატაკიდან ვერ მაგლეჯდა -''მოგკლავს, ბიჭო, ამდენი კითხ-

ვა,ადექი,გაითამაშეო...''

არა, თამაშს როდი ვიკლებდი,საამისო დრო კი მქონდა არდადეგებზე, მაგრამ ამოდენა წიგნებზე ასეთი მიჯაჭვულობა ალბათ მთლად ნორმალურ მოვლენად მაინც არ ჩანდა...ვაჟას პოეზია ჩემთვის იგივე გამოდგა, რაც ჩვილისათვის დედის ძუძუ და პირველი გულუბრყვილო ლექსებიც ვაჟას გავლენით, დაბალი შაირით დავწერე, თუმცა მაღალ შაირსაც მივმართავდი შიგადაშიგ...ვაჟას ბევრი ლექსი შემომესწავლა ზეპირად (განსაკუთრებით იუმორისტული ლექსები) და გამუდმებით ვყვებოდი შინაურებთან, ერთად ვიცინოდით და ვხალისობდით...მაშინ წავიკითხე პოემებიც-საყოველთაოდ ცნობილი ''ალუდა ქეთელაურიდან'' და ''სტუმარ-მასპინძელიდან'' მოყოლებული არავისთვის ცნობილი ''ბრძენი ვირით'' თუ ''ახუნდით'' დამთავრებული...მაშინ წავიკითხე აგრეთვე ''ჰაოს და ქართლოს'': რა თქმა უნდა, იმ დროს წარმოდგენა არა მქონდა, ვინ იყვნენ ჰაოსი და ქართლოსი, მაგრამ ერთი მათგანი რომ ცუდი კაცი იყო და მეორე-კარგი, ამას სულ ადვილად მივხვდი და იმ კარგ კაცზე მგონი კიდეც ვბრაზობდი, იმ ცუდ კაცს რომ ხელში ჩაუგდო თავის საცხოვრისი...

ვაჟას ბევრი ლექსი და პოემა იმდენად მიჩქმალული და ყურადღების მიღმა დარჩენილია ლიტერატურის მესვეურთა მიერ, რომ არათუ უბრალო მკითხველმა, ბევრმა მწერალმაც კი არ იცის ამ ნაწარმოებთა არსებობა.აი, ჩამოვთვლი ზოგ მათგანს (პოემებს) და ვიკითხავ, პირველად ხომ არ გესმით ამგვარი სათაურები?-**''უიღბლო იღბლიანი'', ეთერი'', ''სისხლის ძიება'', ''მეჯლისი ლომისა'', ''დაჭრილი ვეფხვი'', ''ხის ბეჭი'', ''ძაღლიკა ხიმიკაური'', ''ნახევარ-წიწილა'', ''ღილა და კვირისა'', ''გიგლია'', ''ცოლი, ანუ ჩემი თავგადასავალი'', ''საშობაო ამბავი'', ზემოთ ნახსენები ''ბრძენი ვირი'' და ''ახუნდი'', სხვაც არაერთი კიდევ...შეიძლება ''ივანე კოტორაშვილის ამბავი''** გაგახსენდეთ, რადგან მასზე ფილმი არის გადაღებული (მთავარ როლში ზურაბ ქაფიანიძე), თორემ დანარჩენები ალბათ მრავალთათვის მართლაც სრულიად უცნობი იქნება...

აღარც მახსოვს, როდის ამეკვიატა სურვილი-წერილი დამეწერა ვაჟას საბავშვო პოემების შესახებ (ზემოთ ჩამონათვალთაგან უმეტესობა შეიძლება საბავშვოდ ჩაითვალოს), რომლებიც სკოლაში უნდა ისწავლებოდეს დაბალ კლასებიდანვე ან კლასგარეშე საკითხავად მაინც უნდა მიეწოდებოდეს ბავშვებს. მე რომ მკითხოთ, დანაშაულია ამ ნაწარმოებთა დამალვა ქართველი ბავშვებისათვის...მაგრამ ვერასოდეს განვახორციელე ჩემი ჩანაფიქრი, ვერ დავწერე ეს წერილი: კომუნისტურ პერიოდში ვინ დამიჯერებდა ყველასთვის უცნობ ახალგაზრდა ლიტერატორს, თუ რა უნდა შეეტანათ სასკოლო პროგრამაში და რას უნდა შელეოდნენ;მაგ: ''სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის'' და სხვაც არაერთი მისი დონის ნაწარმოებთა მაგივრად ესწავლებინათ სკოლაში ''ღილა და კვირისა'', ''ბრძენი ვირი'', ''მეჯლისი ლომისა'', ''დაჭრილი ვეფხვი'' და რომელი ერთი ჩამოვთვალო, საბავშვო პოეზიის ნამდვილი შედევრები, ვაჟას ღვთაებრივი კალმის ნაყოფი...მეორე-მესამეხარისხოვანი მწერლების ნაწარმოებთა ნაცვლად გენიოსის ნაკალმევს თუ ეზიარებოდა ქართველი ბავშვი რაც შეიძლება ვრცლად, განა არ აჯობებდა?

შემდეგ კი, საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა და თითქოს თავისუფლები გავხდით, ეროვნული ხელისუფლება ერთ წელიწადსაც ვერ ვიგუეთ და ქვეყანა თავზე დავიმხეთ ქართველებმა; ვიღას ეცალა მაშინ სასკოლო პროგრამის ნორმალურად შედგენისათვის...დროთა განმავლობაში გამოვიცვალეთ რამდენიმე არაეროვნული ხელისუფლება, რომელთაც თავიანთი იდეოლოგები ჰყავდა და ჰყავს, ყოველგვარი ეროვნული ფასეულობის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილი: ამათთვის როგორ უნდა შემეთავაზებინა (არც კი მომისმენდნენ) ვაჟა-ფშაველა ასწავლეთ ბავშვებს სკოლაში სწავლის დაწყებიდან სკოლის დამთავრებამდე მეთქი? იკა ქადაგიძე თავის წერილში ერთ-ერთ ამ იდეოლოგთაგანს - ლევან ბერძენიშვილს მოიხსენიებს კიდეც და არცთუ ირონიის მოკლებულ კითხვას სვამს-''გასაკვირია, ეს პოემა (''ჰაოს და ქართლოს'' ავტ) პატივცემულმა ლ.ბერძენიშვილმა გენდერული ბალანსის საილუსტრაციოდ რატომ არ დაიმოწმა, მთის არწივმა (ვაჟამ.ავტ) ხომ თანამედროვე ლიბერალებზე გაცილებით ადრე განჭვრიტა და დაასკვნა, რომ ერის გადარჩენა მეწვრილმანეობის (მათ შორის სქესობრივი ანტაგონიზმიც იგულისხმება) დაძლევით მიიღწევა და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ქალს გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის, რაც მამაკაცებს პასუხისმგებლობისაგან სრულებითაც არ ათავისუფლებს''...მაგრამ, თავისთავად ცხადია ბ-ნი ლ.ბერძენიშვილი და მისი ტიპის სხვა იდეოლოგები, თუკი ქართულ, ეროვნულ ღირებულებებზე საუბარს დაისაჭიროებენ, უთუოდ ნიჰილისტურ მიქსტურად უნდა შეაზავონ თავიანთი შეხედულებები ამ ღირებულებათა შესახებ და თავიანთ ავტორიტეტს გულუბრყვილოდ მინდობილი არაერთი ახალგაზრდის სულიერ დეზორინტაციას მისცენ ბიძგი... ბ-ნი ლ.ბერძენიშვილი, რომელიც ერთხანს ილია ჭავჭავაძის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გახლდათ, თურმე ''არ იცნობს'' ილიას, როგორც მწერალს...ვაჟას რაც შეეხება, ბ-ნი ლ.ბერძენიშვილი მასთან დაკავშირებით არაერთ თითიდან გამოწოვილ შეხედულებას თუ თეორიას

ახვევს თავს პუბლიკას, თანაც ისე მოწყალე ტონით გვამცნობს ''ჰო, მე მისი რამდენიმე ნაწარმოები მომწონსო'', თითქოს რაღაც დიდ დათმობაზე მიდიოდეს...წლების წინათ მან ასეთი რამ გვამცნო: მავანთ და მავანთ მომთხოვეს, ზაქარია ფალიაშვილი დიდ, მსოფლიო დონის კომპოზიტორად მეღიარებინაო და შემდეგ ნიშნისმოგებით დასძენს-იქნებ ის მაინც არ ჩამეთვალოს სამშობლოს ღალატად, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიოს ათას საუკეთესო კომპოზიტორს შორის ზ.ფალიაშვილი დასახელებული არ არისო.ბ-ნი ლევანის ენამახვილობას ამჯერად ვაფასებთ, ის გულუბრყვილო პატრიოტები ალბათ მართლაც ამგვარ მოსწრებულ პასუხს იმსახურებდნენ,მაგრამ აი, სხვა მაგალითი გავიხსენოთ: არცთუ დიდი ხნის წინათ ევროპაში მიხეილ ჯავახიშვილი ევროპის ათ საუკეთესო თანამედროვე რომანისტს შორის დაუსახელებიათ; რა ვქნათ ახლა ისევ ზოგ ჩვენს იდეოლოგს დავუჯეროთ, რომელსაც ჯავახიშვილი ''ორღობის მწერლად'' ესახება, თუ იმ ევროპელ შემფასებელთა გემოვნებას ვენდოთ?

ისევ ვაჟას დავუბრუნდეთ წერილი ბოლოს: არც კი ვიცი, რომელ ინსტანციას უნდა მივმართო-განათლების სამინისტროს თუ რომელიმე სხვას-პირველი კლასიდან მეთორმეტეს ჩათვლით გამუდმებით ვასწავლოთ ბავშვებს ვაჟას შემოქმედება -მეთქი...და თუნდაც მივმართო, ვითომ ყურს შეიბერტყავს ვინმე?

''ჰაოს და ქართლოსს'' რაც შეეხება, ეს მიჩქმალული პოემა ინტერნეტში უნდა დაიდოს ყველაზე გამოსაჩენ ადგილას, ისე, რომ ვერც მოყვარემ, ვერც მტერმა გვერდი ვერ აუაროს, ყველას თვალში უნდა მოხვდეს და ყველამ უნდა წაიკითხოს-ქართველმაც, სომეხმაც და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყველა ეროვნების წარმომადგენელმა!

აგვისტო-სექტემბერი.2020

ვაჟა – აკაკის მოშურნე და მიმგაძველი

ქართულ მწერლობაში ფშავლებსა და იმერლებს (უფრო სწორად, მათ ნაწილს) ერთი ბალღური სადავო საკითხი გასჩენიათ დიდი ხანია: ვინ უფრო დიდი პოეტია, ვაჟა-ფშაველა თუ აკაკი წერეთელი? ეს დავა ზოგჯერ ისეთ სერიოზულ გაგულისებაში, პირად ნაწყენობაში გადადის ხოლმე, რომ გაკვირვებულ რჩები: ნუთუ მართლა შეიძლება ასეთი მიამიტური მიკერძოება, ნუთუ შეიძლება რომელიმე ამ მგოსანს უპირატესობა იმის მიხედვით მიანიჭო, შენ თვითონ იმერელი ხარ თუ ფშაველი? არა, ნამდვილად არ მესმის არც ამ იმერლებისა და არც ამ ფშავლებისა: ეს რაღაც უცხო ფსიქოლოგიაა ჩემთვის, რაღაც უცნობი კომპლექსია: მე თვითონ იმერელი ვარ, მაგრამ სავსებით ვეთანხმები ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც იმთავითვე ამოიცნო ვაჟას გენია და განაცხადა: რუსთაველის შემდეგ ჩვენ, ქართველებს ამოდენა ნიჭით ცხებული პოეტი არ გვყოლიაო.მახსენდება აგრეთვე, რას ასკვნის გრ.რობაქიძე, როცა ვაჟას და აკაკის შემოქმედებას ადარებს ერთმანეთს:''და მაინც ვაჟა გადასძლევს''. რობაქიძეც ხომ იმერელია, მაგრამ მაინც ვაჟას ანიჭებს უპირატესობას, როგორც უნივერსალურ გენიას, მსოფლიო მასშტაბის შემოქმედს. და მეც ვეთანხმები რობაქიძესეულ შეფასებას.კ.გამსახურდიას სიტყვებიც გავიხსენოთ: ''საქართველო მუდამ იამაყებს სამი დიდი გენიოსით:ესენია რუსთაველი,ვაჟა დ გალაკტიონი''. ჩემი მოძმე იმერლები გამირისხდებიან და ღალატს დამწამებენ ალბათ, არადა ამ წერილის სათაურით ხომ მათ წისქვილზე ვასხამ წყალს თითქოს, ხომ უკვე განრისხებული მყავს ფშაველთა მხარე-რასქვია,ვაჟა აკაკის მოშურნე და მიმბაძველი იყოო! და ახლა, რაკი ორივე მხარე განვარისხე (ასე მოუხდებათ თავიანთი კუთხური პატრიოტიზმისათვის), ''ფშაველ-იმერლობის'' საკითს უცერემონიოდ ვდებ განზე და უშუალოდ ვაჟასა და აკაკის პოეტურ ურთიერთამოკიდებულებაზე ვილაპარაკებ.

ერთობ ბევრი დაიწერა და ითქვა ამ ორი პოეტის ურთიერთობის შესახებ და მეტწილად ერთ საკითხს უტრიალებდა ყველა: ენას რომ ''უწუნებდა'' აკაკი ვაჟას და ვაჟა ამით გულნატკენი იყო; იმასაც დასძენდნენ, ამ ამბების მიუხედავად პოეტები დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთსო. ჩვენი ფსიქიკა იმდენად გადაჩვეულია კამათის, პოლემიკის დროს ნორმალურ, კეთილშობილურ დამოკიდებულებას მოპირდაპირე მხარისადმი, რომ გვიკვირს და აღტაცებასაც კი გვგვრის ძველთა რაინდული მაგალითი: მაინდამაინც სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა გადაკიდებოდნენ ერთმანეთს პოეტები-აი ეს იქნებოდა ჩვენი ჭკუით უფრო ბუნებრივი! თორემ აბა რა გვიხარია, ვაჟა თუ აკაკის დიდ პატივს სცემდა! განა ასეც არ უნდა ყოფილიყო? რად ვამტკიცებთ ასე დაბეჯითებით, რომ სცდებიან მავანნი, როცა ჰგონიათ, რომ ვაჟა თითქოს აკაკის შარიანობისა თუ შურიანობის ''მსხვერპლი'' გამხდარიყოს? ყველა-ყველა და აკაკის არავისი შესაშური არაფერი სჭირდაო, ამაყად დასძენს რომელიმე ჩვენი ლიტერატორი და რატომღაც არ ახსენდება, რომ ლეონარდოსა და მიქელანჯელოს შორის სწორედ შური, ჯიბრი და მტრობა იყო მოციქულად და არა სხვა, უფრო კეთილშობილური გრძნობა!მტრობა ნამდვილად არ ყოფილა ვაჟასა და აკაკის შორის, მაგრამ შურისა და ჯიბრის გრძნობა ვითომ რატომ არუნდა ყოფილიყო? -თეთრი შური!- წამოისვრის

ვინმე ამ მოდურ გამოთქმას: ჯერჯერობით ''თეთრი ჯიბრი'' არ გამიგონია, მაგრამ თეთრია თუ მწვანე, შური და ჯიბრი მაინც შური და ჯიბრია და ამგვარი ვნებები ხშირად სდევს კოლეგების ურთიერთდამოკიდებულებას. ამაში არაბუნებრივი და გასაკვირი არაფერია, თუმცა ამ შურისა და ჯიბრის ცალკეული გამოვლინებები რომ დიდად მოსაწონი არ გახლავთ, ესეც ფაქტია. გავიხსენოთ როგორი ალერგია სჭირდა კოლაუ ნადირაძეს გალაკტიონის მიმართ. ეს ნამდვილად პათოლოგიური გამოვლინებაა შურისა და ჯიბრისა.

ისე, მართალი გითხრათ, ჩემთვის ძნელი ამოსაცნობია, გამოკვეთილად ჰქონდა თუ არა აკაკის ვაჟას მიმართ მეტოქეების გრძნობა: მართალია იგი ამბობდა ''გოგოთურ და აფშინა'' ერთი უკეთესთაგანია ქართულ ლიტერატურაშიო, მაგრამ ჰქონდა კი მას გაცნობიერებული ვაჟას სხვა, უფრო დიდი ნაწარმოებების ჭეშმარიტი ღირებულება? მასაც ილიას დარად ჰქონდა შეგნებული ვაჟას მთელი სიდიადე? საეჭვოა.ქვეცნობიერად აკაკი უთუოდ იგრძნობდა ვაჟას ტალანტის სახიფათო სიძლიერეს, მაგრამ ერის მიერ პოეზიის უგვირგვინო მეფედ,სახალხო მგოსნად და ბულბულად აღიარებული ბატონკაცი ალბათ მაინც არავის მიიჩნევდა თავის სწორად, მითუმეტეს, რომ ვაჟა მაშინდელი (და შემდეგდროინდელიც!) საყოველთაო ცრუ შეხედულების თანახმად, მიჩნეული იყო კუთხურად კარჩაკეტილ, ''ეთნოგრაფიულ'' პოეტად (ილიას დიდი ავტორიტეტიც უძლური იყო ამ ცრუ შეხედულებასთან).

ასე რომ, აკაკის ფსიქოლოგია სწორედ ბატონკაცურობის გამო, რამდენადმე გამოუცნობია ჩემთვის და დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ: აკაკი მაინც ერთგვარად ''ნეტარი'' იყო, ხალხის ნებიერი მგოსანი; ამგვარ პიროვნებას კი ბოლომდე ალბათ მხოლოდ ის გაუგებს, ვინც მის მსგავს პირობებში აღმოჩნდება: აი ვაჟაზე კი უფრო დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მას ნამდვილად ჰქონდა აკაკის მიმართ შურისა და ჯიბრის გრძნობა (''თეთრი'' რასაკვირველია). ამ ასპექტში თითქოს ხელისგულზე მედოს, ისე კარგად ვხედავ ვაჟას ფარულ სულიერ ვნებებს: ის ხომ ატყობდა, რომ ქართველი ერი მისი ნიჭის საკადრის პატივს არ მიაგებდა, მაინც მეორეხარისხოვან შემოქმედად ჰყავდა მიჩნეული: ბუნებრივია, აკაკის საყოველთაო აღიარება და მისდამი ხალხის სიყვარული შურს აღუძრავდა პატივმოყვარე, მეფური ბუნების ვაჟას. მან ხომ თავაც მშვენივრად იცოდა, რომ რუსთაველის გარდა ქართულ ლიტერატურაში არავინ იყო მისებრ უნივერსალური და ზოგადსაკაცობრიო:,მან ხომ იცოდა, თუ აკაკი ბულბული იყო, თვითონ არწივი გახლდათ ქართული პოეზიისა! ვაჟას ლიტერატურულ წერილებში დაკვირვებულ მკითხველი ადვილად იპოვის ამ მოსაზრების დასტურს: როცა იგი პარალელს ავლებს თავისსა და, ვთქვათ, გოეთეს ან ტოლსტოის შემოქმედებას შორის და თავმოსაწყლებით ამბობს, აბა მე რა სახსენებელი ვარ ამ გენიოსებთან, მაგრამ შემოქმედებითი პრინციპები გვაქვსო საერთო, მისმა მოჩვენებითმა თავმდაბლობამ არ უნდა შეგვაცდინოს და უნდა მივხვდეთ, რომ სწორედ იმიტომ ახსენებს თავს ამ გენიოსების გვერდით,რათა ჩვენ თვითონ გვიბიძგოს შედარებისაკენ და ჩვენივე პირით გვათქმევინოს, რით არის იმათზე ნაკლებიო!

არა მარტო აკაკის სახელ-დიდება, ვაჟას უთუოდ შურს აღუძრავდა მისი ჯადოსნური ლირიკაც: პოეტურ ეპოსში თვითონ ჰქონდა უპირატესობა, ეს კარგად იცოდა, მაგრამ ხელოვანის გული (მითუმეტეს გენიალური და უნივერსალური ხელოვანისა) გაუმაძღარია, მას ყველაფერში პირველობა სურს, ყველა ჟანრში თუ სფეროში: ვაჟა, რასაკვირველია, დიდი იყო პროზაშიც, დრამატურგიაშიც და ლირიკაშიც (თუმცა კი ერთი კრიტიკოსი, მგონი კიტა აბაშიძე, მას, როგორც ლირიკოსს, არათუ აკაკის, არამედ რაფიელ ერისთავისა და თავისავე ძმის, ბაჩანას დონეზეც არ აყენებდა), ოღონდ ქართული ლირიკის მეტრი მაინც აკაკი იყო: მისი ლექსის საოცარმა ემოციურმა შთამწვდომობამ,სუგესტიურობამ, ფორმის გენიალურმა სიმარტივემ მრავალნი აცთუნა და მიბაძვის სურვილი აღუძრა; შეიქმნა აკაკის სკოლა, რომლის მოწაფეობასაც თვით მომდევნო ეპოქის, მეოცე საუკუნის გენია-გალაკტიონი ვერ ასცდა სიჭაბუკის ჟამს.

ვაჟა ხომ თავისი ორიგინალური ენობრივი პოზიციით ციდან ჩამოვარდნილივით გამოიყურებოდა მაშინდელ ქართულ მწერლობაში, აკაკის პოეზიის ჯადომ ისიც კი შებოჭა სხვადასხვა დროს, ცალკეულ მომენტებში; რასაკვირველია, ის აკაკის სკოლის პოეტი ვერ გახდებოდა, საამისოდ ერთობ განსხვავებული იყო მისი გეზი და ერთობ მძლავრი იყო მისი თვითმყოფადი ტალანტი: მაგრამ აი პირველად კითხულობს ახლადდაბეჭდილ ''განთიადს'' (წარმოვიდგინოთ ეს სურათი-ღვთაებრივი ''განთიადი'' ახალი დაწერილია და პირველად ვკითხულობთ მას) და თუმცა უკვე ''ალუდა ქეთელაურის'' ავტორია (ანუ უკვე დაპყრობილი აქვს თავისი შემოქმედების ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი)[1], ვაჟა სულით-ხორცამდე შეძრული, შოკირებული რჩება: ლექსის პირველი ოთხი სტროფი, თხრობითი ხასიათი რომ აქვს, ეპიურად მშვიდი და მხატვრული ხარისხითაც თუმც შესანიშნავი,მაგრამ მაინც ნორმალური, ადამიანური ძალისაა, ხოლო მეხუთე სტროფიდან, სამშობლოსადმი აღვლენილი ღაღადისის პირველი სიტყვებიდანვე იწყება პოეტური სასწაული, რაღაც თავზარდამცემად ნათელმოსილი, ღვთაებრივად უბრალო და მარტივი ''ცა-ფირუზ,ხ-

1 **არ ვიცი, ''ბახტრიონიც'' ჰქონდა თუ არა დაწერილი. ყოველ შემთხვევაში, ''განთიადს'' და ''ბახტრიონს'' ერთი თარიღი აქვს - 1892 წელი (ავტორი)**

მელეთ-ზურმუხტო...'' (ამის დაწერას რა უნდოდა, რატომ მე არ დავწერე, როგორ დამასწრო!!!) და ეს სასწაული გრძელდება შ ვ ი დ ი სტროფის მანძილზე (საკრალური რიცხვია!): ოცდარვა ბედნიერი სტრიქონის მანძილზე ციალებს, თრთის, ფეთქავს არაქვეყნიური, კოსმიური ნათელი, მგოსნის სულიდან ამოხეთქილი და ყოველგვარი ბნელის შემმუსვრელი; ეს სული გახსნილია კიდით-კიდემდე და ძალუძს მთელი სამყარო დაიტიოს, თავისი წიაღის ნეტარ,ხანგრძლივ,უსასრულო ამოკვნესად აქციოს ყოველი...და ნუთუ ეს სტრიქონები ახლა დაიწერა (განცდა ისეთია, თითქოს დიდი ხნის წინათ წამეკითხოს), ნუთუ ეს ლექსი ყოველთვის არ ამშვენებდა ქართულ პოეზიას, ნუთუ ეს სიტყვები სამყაროს დასაბამიდანვე თან არ სდევდა ქართველი კაცის სულს? ეს სიტყვები, ეს ჯადოსნური სურათხატები, ეს მდუღარება სულისა განა ჩემშიც არ იყო ოდითგანვე? ...რატომ მე არ დავწერე?...

დასცქერის ბუმბერაზი ვაჟა ერთიბეწო ფარატინა ფურცელზე დატეულ ამ საოცრებას და გული ეკუმშება ნეტარების,ბედნიერების, შფოთისა და შურისაგან...

''განთიადის'' დაწერის თარიღია 1892 წელი. 1893 წელს კი ვაჟას კიდევ ერთი უდიდესი შედევრი, ''სტუმარ-მასპინძელი'' დაიწერა. პოემის მეთოთხმეტე თავის პირველი თორმეტი სტრიქონი გაწყობილია რითმებით-არემარეო, შაიწყალეო,შაიყვარეო,დაიყარეო,მიიბარეო, გადიყარეო...აკაკის ''ჩემო სამშობლო მხარეოს'' არცთუ ისე თვალსაჩინო გავლენა ამჯერად მხოლოდ ამ მიჯრით დახვავებულმა რითმებმა და ვედრების,ღაღადისის კილომ გამოამჟღავნა: ერთობ მაღალია ვაჟას ამ სტრიქონების მხატვრული დონე, თუმცა ვაჟას პოეტური სასწაულების რიცხვს (''სტუმარ-მასპინძელისავე'' ბოლო თავის მსგავსს)) ეს თორმეტი სტრიქონი სრული უფლებით მაინც ვერ მიეკუთვნება და ამდენად, მთლად მაინც ვერ უტოლდება აკაკისეულ სასწაულსაც. ''განთიადი'' კი კვლავ და კვლავ ციმციმებს ქართული ლირიკის აწ უკვე სრულუფლებიან შედევრად, მარგალიტად: გადის წლები-ერთი, ორი,სამი...ათი...თექვსმეტი...1909 წელია. თითქოს საუკუნეებმა განვლო მას შემდეგ, რაც პირველად წაიკითხა ''განთიადი''...თვითონ უკვე ''გველისმჭამელიც'' დაწერილი აქვს...ოღონდ ეს პოემაა, ეპოსია; ჰო, მაგრამ ''არწივის'' ავტორიც ხომ თვითონაა...''რამ შემქმნა ადამიანად...'' ''ბუნება მბრძანებელია...'' ''კაი ყმა...'' ''იას უთხარით ტურფასა...'' ერთ გენიალურ პოეტს ხომ მხოლოდ ეს ლექსებიც ეყოფოდა? ისევ ჩაიკითხავს ''განთიადს'': ''ცა-ფირუზ,ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო...''რა მოხდა, მაინც რა არის აქ ისეთი,განსაკუთრებული და შემძვრელი (მომავალში ქართველი ბავშვი დედის რძესთან ერთად რომ შეითვისებს და სასიცოცხლო დვრიტად დაიუნჯებს სულშიცა და სხეულშიც)?-ცა ლურჯია და ხმელეთი მწვანე-დიდი ამბავი!..''წინ მამეგებენ ღიმილით შენი მზე,შენი მთვარეო,გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,მოკაშკაშ-მოელვარეო!'' ყოველი მიეგება, მთელი კოსმოსი (საქართველოსი) მიეგება აკაკის...სახალხო მგოსანს,საქართველოს ბულბულს, პოეზიის მეფეს...მაგრამ მეც ვთქვი-თანაც ორი წლით ადრე (1890 წელი)-''მთას ვიყავ,მწვერვალზე ვიდეგ,თვალწინ მეფინა ქვეყანა,გულზედ მესვენა მზე-მთვარე,ვლაპარაკობდი ღმერთთანა!'' განა ნაკლები ნათქვამია?...მაგრამ იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ: ''ეხლა თავ-თავქვე მოვდივარ...'' აქ უკვე დაცემაა: ''მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა, ვაჰმე, რა მეტად ძნელია!''ის კი რას ამბობს? ''დედა-შვილობამ,ბევრს არ გთხოვ: შენს მიწას მიმაბარეო''...აქ ქვეყნიური ვალის მოხდის შემდეგ განსვენებაა, ღირსეული დასარული...''მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა'' კი ხელმოცარულის სასოწარკვეთაა...როგორ, ვაჟა და ხელისმოცარვა?!ჰო,ალბათ ხელისმოცარვაა, როცა შენს სამშობლოს ერთი ვინმე მთიელი მელექსე ჰგონიხარ მხოლოდ და ზოგჯერ ყურსაც კი აგიწევს შენი ახირებული ''ფშაური კილოს'' გამო...

ეჰ, ''ჩემო სამშობლო მხარეო''...

საშველი აღარაა და პლაგიატს აკეთებს, არა მარტო თემას, მოტივს, განწყობილებას თუ რითმებს, თვით ფრაზებს, მთელ სტრიქონსაც კი იმეორებს აკაკისას: ''ჩემი კაცობის გვირგვინო,ჩემო სამშობლო მხარეო...'' ივიწყებს, რომ აკაკისეულად აკაკის დონეზე წერა მხოლოდ აკაკის შეუძლია და სხვა ვერავინ შეძლებს თუნდაც ერთხელ გარდაისახოს აკაკიდ; ივიწყებს, რომ მიბაძვით შეჯიბრი წამგებიანია, იმთავითვე მარცხისათვის განწირული: თუ ვინმეს კვალდაკვალ მისდევ და გვერდის აქცევა ვერ მოგიხერხებია, როგორღა გინდა გაუთანასწორდე, ან, მითუმეტეს, გადაასწრო?

შესანიშნავი, ოსტატურად დაწერილი ლექსია ''ჩემი კაცობის გვირგვინო'', მაგრამ ''განთიადის'' იდუმალი სიღრმისა, გრძნეული ხიბლისა და უსასრულო სამყაროში განფენილობისა არაფერი სცხია: ეს არის გონების პრიმატით შეთხზული ნაწარმოები, სადაც ემოციების უშუალო ჩვენებას ემოციებზე ლაპარაკი სჭარბობს (''მზის სხივებივით ბრწყინავენ,რაც მე ცრემლები ვღვარეო'').ზემოთ რომ ვახსენე მიბაძვის ობიექტისადმი ''გვერდის აქცევა'',არის აქ ამის მცდელობაც,მაგრამ საკმაოდ უღონო: აკაკი თავის სამშობლოს ''დედაშვილობით'' მიმართავს და გულდაჯერებით სთხოვს ''შენს მიწას მიმაბარეო''.ვაჟა ამბობს:''მოვკვდე,კაცთ ხელი არ მინდა,ოცნებავ დაგიბარეო, მარტო შენ მნახე, გულზედაც მიწა შენ მომაყარეო''. აქ წინასწარ არის განჭვრეტილი, რომ ვაჟას იმგვარი პატივით დაკრძალვა არ ეღირსება, როგორიც აკაკის გარანტირებული აქვს და ამიტომაც ქვეცნობიერად

განაწყენებულს ''კაცთ ხელი არ უნდა'', ოცნებას ანდობს თავისი ღირსების შესაფერ მოპყრობას თავისი ნეშტისადმი. მაგრამ ამგვარი შინაარსობრივი გადახრები საქმეს ვერ შველის: რიტმი,მელოდია,მთლიანი ფორმა ლექსისა იმდენად არის აკაკის მოუგერიებელი გრძნებით შეკრული, რომ მისგან თავის დაღწევის ცდა ამაოა - ''ჩემი კაცობის გვრგვინო'' მაინც ეპიგონურ ნაწარმოებად რჩება...[2]

ფშავლები და იმერლები კვლავაც განაგრძობენ ალბათ დროდადრო თავიანთ დავას და ამით ქვეყანა არ დაიქცევა; ხოლო ის დიდი ფშაველი და დიდი იმერელი-აწ გარდასულნი,მაგრამ მარად თანამდევი უკვდავი სულნი საქართველოსი,ქართული პოეზიისა - წარმოსდგებიან ჩემს წარმოსახვაში და შემწყნარებლური ღიმილით მომაპყრობენ მზერას; და მე სათანადო მოკრძალებით, მაგრამ ოდნავ ეშმაკური ღიმილითაც მივმართავ მათ:

-განა მართალი არა ვარ?

P.S. არ მახსოვს, რომელ წელს დავწერე ეს წერილი, ვიცი რომ ოთხმოცდაათიანი წლები იყო და მგონი დავბეჭდე კიდეც ქუთაისის ჟურნალ ''განთიადში'', სადაც იმხანად ვმუშაობდი.

ვახტანგ ბახტაძე

ზვიად გამსახურდიას 80 წლისთავის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა

„რაც უფრო რთულია ბრძოლა,მით უფრო დიდია ტრიუმფი!“

შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზვიად გამსახურდიას სახელობის ახალდაარსებულ აუდიტორიაში (პირველი კორპუსი,მე-3სართ.317-ე აუდიტორია, 18:00)

თსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა თაოსნობით მოწყობილი საიუბილეო საღამო (80 წლისთავი), მიძღვნილი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური მოღვაწეობისა და მისი შემოქმედებისადმი. საჯარო ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ჟურნალისტი და პუბლიცისტი ვახტანგ ბახტაძე.

თბილისი 2019 წლის 31 მარტი

გამოსვლის დროს

ვახტანგ ბახტაძე - ჟურნალისტი და პუბლიცისტი. -ყოფილ საბჭოთა კავშირში მოღვაწე-ქართული დისიდენტური (მოძრაობის -(1978-1989წ.წ) და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი(1987 წლიდან დღემდე) .ზვიად გამსახურდიას წიგნის - "საქართველოს სულიერი მისსია" - შემდგენელ-რედაქტორი, ყოფილ საბჭოთა სივრცეში პირველი არასაბჭოური, ოპოზიციური სააგენტო "მაცნეს" დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ბიულეტენ "მაცნეს ქრონიკის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა, ორგანიზაციათა და ინდივიდუალურ პირთა გაერთიანება „მრგვალი მაგიდის“ ინდივიდუალური წევრი და პრეს-სპიკერი, ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთ "ფორუმის" მთავარი რედაქტორი; აღსანიშნავია მისი წიგნები: 1. „ილიას მართალი სიტყვა ქართულ სიტყვიერებაში“ (2016); 2. „გამოთხოვება საქართველოს ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავასთან“ (1992); 3. „დიახ, იყო წამებული, წამებული ჟურნალისტი ნაზი შამანაური“(1999),როსტომ ჩხეიძე " ძენი მუსიკის,დღენი ქარიშხლის,მერაბ კოსტავას ცხოვრება“ წიგნის რედაქტორი (2018-თბილისი)

ვახტანგ ბახტაძე-30-ე წიგნის რედაქტორი და შემდგენელ-რედაქტორი.

გთავაზობთ აღნიშნულ მოხსენებას

„ჩვენ უნდა ვიცხოვროთ იდეისათვის...“ „ღვთისა და მამულისათვის თავგანწირვა დღეს გზაა გადარჩენისა.“

„ყველაფერი შეიძლება წაართვა პიროვნებას, ერს, მაგრამ ვერავინ შეძლებს თავისუფლების შეგრძნება წაართვა მას.“ „ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობა ქრისტიანუ-

2 სხვათაშორის, ვაჟას ''იას უთხარი ტურფასა'' და აკაკის ''ურიული მოთქმით ტირილი საქართველოში'',''ახა,ნარინჯო,ნარინჯო, შე ბროწეულო,იაო...'' ერთმანეთს ძალიან წააგავს რითმებით, განწყობილებით, ზოგი ფრაზითაც.მე არ ვიცი აკაკის ლექსის დაწერის თარიღი და ამდენად ვერ ვიტყვი, რომ აქ მაინცდამაინც აკაკის გავლენა აქვს ვაჟას.შესაძლოა პირიქით იყოს.მსგავსება კი ამ ორ ლექსს შორის საკმაოდ აშკარაა (ავტორი).

ლი ეთიკისა და პრაქსისის საფუძველთა საფუძველია."

„რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას,
ნექტარი წავიღე და შხამიც იმდენი..."

ზვიად გამსახურდია

ქალბატონებო და ბატონებო!

ძვირფასო სტუმრებო!

გულითადად მოგესალმებით. მსურს ყველას მოგილოცოთ მთელი საქართველოსთვის, ისე როგორც სრულიად კავკასიისთვის ესოდენ ძვირფასი დღე!

ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანის სახეს ვხედავ დღევანდელ შეხვედრაზე, აქ, თქვენთან, უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა დღევანდელი იუბილარი. მერწმუნეთ, ფრიად მახარებს და უკეთესი მერმისის იმედს მისახავს თქვენთან, ახალგაზრდობასთან შეხვედრა, დღევანდელი ავი დროების, ყოველდღიური საარსებო ლუკმა-პურისთვის გადადებული ადამიანებით, ქანცგაწყვეტილი ყოფა-ცხოვრებით აღსავსე საქართველოში.

დღეს რომ არის, ასეთ საქართველოზე არ უოცნებიათ და არც ამისთვის უბრძოლიათ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას.

ახლა, ამ წუთებში ალბათ აღელვებული განწყობილება მალაპარაკებს. მაგრამ მე მაინც ტატო ბარათაშვილს მოვუხმობ, „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება."

თითქოს მარტივი და უკვე ბევრჯერ გაგონილი სიტყვებია, მაგრამ ბევრჯერ მხოლოდ იმიტომ გავიგონეთ, რომ ის ოდესღაც ერთხელ დაიწერა...

მინდა მოგმართოთ ჩვენი გმირებისებურად:

მამულიშვილნო, დანო და ძმანო!

დიდება მაღალ ღმერთს სიცოცხლისათვის, ივერიაში, ქართველური მოდგმის მიწა-წყალზე გაჩენისათვის. ამდენი სახელოვანი გმირი წინაპრისათვის, „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა, და ან ცაზე ვარსკვლავები?.." ამ მუხთალი წუთისოფლის გზას კვლავაც გვიკვალავს ჩვენ დიდ წინაპართა, საერო და სასულიერო მოღვაწეთა უკვდავი სიტყვანი, მათი ღირსეული საქმენი. ისინი გაუმქრალ კელაპტრებად ანთიან. სწორედ ასეთი კაცნი ჰყავდა მხედველობაში ერთ ქადაგს, რომელმაც, ჩემი ყმაწვილკაცობის დროს მთაში ყოფნისას მითხრა: ვიწრო კლდიან, ეკლიან, სიბნელიდან სინათლისაკენ მიმავალ გზაზე უნდა აღმოვაჩინოთ ის დვრიტა, სამშვიდობოზე გასასვლელი ერთადერთი ბილიკი, რომელსაც ღვთის ჭეშმარიტი ბილიკი ჰქვიაო.

დღესაც სუფთა ჰაერივით გვესაჭიროება მათი სწავლა-დარიგებანი და საგულისხმო შეგონებანი. ღმერთმა მოგვცეს ძალ-ღონე, კეთილგონიერება და გულისხმიერება, რათა დღევანდელმა ქართველობამ საქმით აღვასრულოთ ის, რაც მათ არა მხოლოდ სიტყვით გვითხრეს. რათა არ ჩატყდეს ცხოველმყოფელი ხიდი და დღევანდელი ქართველობა უნაყოფო, საცეცხლედ გამზადებულ ხეს არ დავემსგავსოთ.

სამხილის სააშკარაოზე გამოტანა, სიმართლის თქმა - ეს იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის ზვიად გამსახურდიას და ეროვნული ხელისუფლების მთავარი იარაღი, რომლის წინაშე ნამსხვრევებად იქცევიან მტერთა და ავისმქმნელთა ფლიდობანი და სიცრუენი.

საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვან დღეს, მინდა შევეხო მარტში, აპრილში, მაისსა და ოქტომბერში მოახლოებულ მთელი ქართველი ერისთვის ფრიად საგულისხმო თარიღებს: ქართველ ხალხს უმნიშვნელოვანესი დღეები გველის, როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო- სახალხო, სახელმწიფოებრივი.

წელს, დღევანდელ დღეს, 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან საიუბილეო, 80 წელი უსრულდება.

ასევე წელს, დღევანდელ დღეს, 31 მარტს, 28 წელი სრულდება საქართველოს რესპუბლიკაში გამართულ საერთო-სახალხო რეფერენდუმიდან.

წელს, დღევანდელ დღეს, 31 მარტს, 28 წელი სრულდება საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული პირველი კანონიერი ადგილობრივი არჩევნებიდან.

ასევე წლევანდელ წელს, 26 მაისს, საქართველოს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას საიუბილეო, 80 წელი უსრულდება, ხოლო გარდაცვალებიდან - 30 წლისთავი.

წლევანდელ წელს, 26 მაისს, 28 წელი სრულდება საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული პირველი კანონიერი საერთო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებიდან.

წლევანდელ წელს, 26 მაისს, 28 წელი სრულდება საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარებული პირველი კანონიერი საერთო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებიდან.

წლევანდელ წელს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის (რესპუბლიკის) აღდგენის (1918-1919 წწ) 100 წლისთავია.

ასევე წლევანდელ წელს, 28 ოქტომბერს, სრულდება 29 წელი ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნებიდან.

წლევანდელ წელს, სულ მალე, რამდენიმე დღეში 30 წელი სრულდება 1989 წლის 9 აპრილიდან როცა თბილისში, გამთენიისას რუსთაველზე, საქართველოს სსრ მთავრობის სახლის წინ გამართული მშვიდობიანი, არაძალადობრივი, მრავალათასიანი მიტინგიდან სანთლებით ხელში, მაშინ სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნას საბჭოთა ხელისუფლებამ, სამართლებრივი არგუმენტების უქონლობის გამო, შიშველი ძალა დაუპირისპირა:მისი ბრძანებით საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა ტანკებით, ორლესული ნიჩბებით და მომწამლავი გაზების გამოყენებით სისხლში ჩაახშეს საპროტესტო პოლი-

ტიკური აქცია, რასაც მრავალი ადამიანის (უმეტესად ქალების) მსხვერპლი მოჰყვა.

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველად (იგი უკანასკნელიც გამოდგა), გადაწყვიტა რეფერენდუმის ჩატარება 1991 წლის 17 მარტს „საბჭოთა კავშირის, როგორც განახლებული ფედერაციის“ შენარჩუნების საკითხზე. ხალხის ნებაზე აპელირებით ცენტრი (კრემლი) ცდილობდა, შეეჩერებინა საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი.

1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ხელისუფლებამ მიიღო, უეჭველად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - საქართველოს რესპუბლიკას არ უნდა მიეღო მონაწილეობა საკავშირო ღონისძიებაში (რეფერენდუმი), და, ამის საპირისპიროდ,ჩაგვეტარებინა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე.

ერთი სიტყვით, რეფერენდუმს რეფერენდუმითვე უნდა დავპირისპირებოდით!..

ეს სამართლებრივი და პოლიტიკური ბრძოლა იმდროინდელ საბჭოთა სივრცეში უიშვიათესი მოვლენა გახლდათ, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია!..

საქართველოს რესპუბლიკამ 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო.

...და მაინც მინდა დღევანდელ დღეს გავიხსენო ის, რაც ყველამ კარგად ვუწყით: 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში გამართული საერთო-სახალხო რეფერენდუმით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. სწორედ დამოუკიდებლობის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგები გახდა უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნება.

ეს ორმაგი ბუნება 9 აპრილისა, კერძოდ, ეროვნული გლოვის დღე და ეროვნული დღესასწაულის დღე მის ოფიციალურ სახელწოდებაშიც აისახა, როგორც „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე - საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.“

ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დარტყმა საბჭოთა იმპერიული მანქანისაგან, მსხვერპლი გაიღო ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის და ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, რითაც საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა და გეოპოლიტიკური წარმონაქმნის რღვევის პროცესი ძალზე დააჩქარა.

31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმმა არა მხოლოდ დეკლარაციით (როგორც ეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურმა ელიტამ გააკეთა 1918 წელს), არამედ უშუალოდ ხალხის მიერ საყოველთაო კენჭისყრით, რეფერენდუმით გადაწყვიტა. რეფერენდუმს განსაკუთრებული იურიდიული ძალმოსილება ენიჭება, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმის ყველაზე მაღალ სტანდარტს წარმოადგენს. მისი გაუთვალისწინებლობა საქართველოს რესპუბლიკის ხალხის ნების უგულებელყოფად აღიქმება. სწორედ ამიტომ 1991 წლის 31 მარტს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს ყოველმხრივ მყარი საფუძველი შეუქმნა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ეფუძნება ქართველი ხალხის ურყევ ნებას, რომელიც იურიდიულად1991 წლის 31 მარტს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დადასტურდა. იგი უსათუოდ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას მოასწავებს, მეტადრე იმ ერისათვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციები და დიდი ისტორია აქვს.

საქართველოს ტერიტორია იმავდროულად ქართული ეროვნული სახელმწიფოებრივი ტერიტორიაა და იგი სრულიად საქართველოსი და ქართველი ხალხის შემოქმედებაა. სწორედ ამიტომ ქართველი ერი და საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია იმთავითვე განუყოფელ ისტორიულ ერთობად განიხილებოდა.

ოდითგანვე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტერიტორიის ხელყოფა, მისი, თუნდაც მცირედი ნაწილის დაკარგვა განუზომელ სახალხო გლოვასა და წუხილს იწვევდა მუდამ. ქვეყნის საჭეთპყრობელნი და ქართველი ხალხი ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ღვთისაგან დაკისრებულ უპირველეს საზრუნავად მიიჩნევდნენ. თუ ქართველი სახელმწიფოს მეთაურნი ამ წმიდათა წმიდა მოვალეობას თავს ვერ ართმევდნენ, ისინი „მწუხარებასა შინა დიდსა“ ტოვებდნენ წუთისოფელს, ხოლო თუ ღირსეულად პატრონობდნენ მამა-პაპათაგან დანატოვარ მიწა-წყალს, მაშინ „ნუგეშის ცემულნი დიდად“ აღესრულებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთი ამგვარი საჩინო მაგალითია.

საქართველომ საბჭოთა რუსეთის აგრესიის, ოკუპაციისა და ანექსიის (1921 წ.) შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა რეფერენდუმის საფუძველზე, რომელიც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარდა, მათ შორის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.ამ ისტორიულ დღეს საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის (მათ შორის ამ რეგიონებში მცხოვრებთა) უმრავლესობამ, რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ამ ორი (იგულისხმება 31 მარტი და 9 აპრილი), უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტის საფუძველზე და შედეგად, საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიიღეს იმ საზღვრებში და იმ ტერიტორიული მდგომარეობით, რომელიც მას გააჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტში, აფხაზეთისა და ყოფილი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიების ჩათვლით.

დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ“. საკონსტიტუციო კომისიას დაევალა საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავება „1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წ. 14 ნოემბრის კანონი. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობა კი შესაბამისობაში უნდა მოეყვანათ 1991 წლის 9 აპრილს დამტკიცებულ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან.“

მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვაში კი ხაზგასმული იყო საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედებები და ითხოვდნენ მხარი დაეჭირათ „თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეალებისათვის მებრძოლი ხალხისათვის“, არ დაეშვათ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება და ხელი შეეწყოთ საქართველოს რესპუბლიკის ცნობისა და დამკვიდრებისათვის „დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“.

გამოვთქვამ რწმენას, რომ მომავალში, ღვთის ნებით, გამოჩნდებიან ჯეროვანი ზნეობის, ჭკუის, უნაკლო ბიოგრაფიის და განსაკუთრებული სიმამაცის მქონე ჭეშმრიტად ეროვნული მსოფლმხედველობის,სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცნი, რომლებიც შეძლებენ საქართველოს უბოროტესი მტრების მიერ წართმეული ლეგიტიმური, სამართლებრივი და სუვერენული სახელმწიფოს, ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაბრუნებას.ამ სხივოსანი იმედით „მოველით განქარვებასა ყოველთა ჭირთა ჩუენთასა“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მარიამ ტოხიშვილი

ზურგზე ოჯახი მაწევს

ხვალ ახალი დილა გათენდება...წინანდელისგან განსხვავებული, თუმცა ისევ ისეთი მზიანი, ისეთივე თბილი,მაგრამ უჩემო, დედის სითბოს მოკლებული, შვილო... ჩემს მაგივრად მზე გაგათბობთ თავისი კაშკაშა სხივებით,ჩემო თვალხატულა...

მივდივარ... ზურგზე ოჯახი მაწევს... არა, კი არ მივდივარ, უნდა წავიდე, უნდა წავიდე, რომ ჩემმა პატარა ანგელოზებმა შიმშილი არასდროს იგრძნონ... რომ არ შესცივდეთ ან არ მოსწყურდეთ... უნდა წავიდე, რომ გავუმკლავდე ამ ავბედითი წუთისოფლის ჩარხის უკუღმა ტრიალს! უნდა გაჭამოთ, უნდა ჩაგაცვათ, გასწავლოთ, გაგზარდოთ და რაც მთავარია სწორ გზაზე დაგაყენოთ, ჩემო პატარა.

ინვალიდ მამიკოსთან გტოვებთ, შენ უნდა იყო შენი და-ძმის პატრონი... ჩემი პირველი სიხარულის იმედად ვტოვებ ოჯახს.

მაპატიე, რომ შენს ოქროს დაბადების დღეს შენს გვერდით არ ვიქნები, თუმცა გპირდები, ყველანაირად ვეცდები,ეს დღე არასოდეს დაგავიწყდეს... ღმერთო ჩემო, რა უცებ გაირბინა თორმეტმა წელმა...

ხომ იცი, ხომ მიცნობ, ვერ შევძლებ, არ შემწევს ძალა ვუყურო თქვენს ტანჯვას...

უკვე დიდი გოგო ხარ, დედი, ცრემლი შეიმშრალე, ფეხზე მყარად დადექი, შვილო, ვიცი ხვდები, რომ არა უკიდურესად რთული სიტუაცია, ჩემს საყვარელ ოჯახს, თბილ კერას არ დავტოვებდი და არ წავიდოდი სადღაც შორს... თქვენგან ძალიან შორს... თუმცა ისევ თქვენთვის...

რთულია ემიგრანტის ხვედრი, მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ ამით ჩემს ოჯახს ასე თუ ისე ვუზრუნველვოფ, მაბედნიერებს.

მოგონებები თუ ამატანინებს უთქვენობას, ტკბილი მოგონებები, იმედი და უფლის რწმენა, ჩემო შვილო. ხომ იცი, კაცი იმედით ცხოვრობს... დაიმახსოვრე, ოჯახზე ფასეული ამქვეყნად არაფერია! ზოგჯერ ცხოვრებაში გვხვდება ისეთი ეტაპები,რომლის გადალახვაც რთულად გვეჩვენება, მაგრამ თუ ერთად დავდგებით, თუ ერთმანეთს ზურგს გავუმაგრებთ, ჩვენ ამასაც დავძლევთ... ესეც გაივლის...

მიყვარხარ, ჩემო იმედო...

კიდევ ბევრს გეტყოდი, მაგრამ ავტობუსზე მაგვიანდება, დედიკო, არ მინდა გაგაღვიძოთ, თქვენს ცრემლებს ჩემი გული ვეღარ გაუძლებს... უნდა მივუსწრო, უნდა მივუსწრო ჩემი ოჯახის ბედნიერ მომავალს, თუმცა უჩემოს...

ცხოვრების ეპილოგი

„სიკვდილი უფრო ადვილია,როცა სიკვდილზე არ ფიქრობ,ვიდრე სიკვდილზე ფიქრი,როცა სიკვდილი არ გემუქრება” /ბლეზ პასკალი/

,,სიკვდილო,თუკი ადვილი ხარ, ერთხელ შენ თვთონ რად არ მაჰკვდი?!”

მოკვდა! - გარდაიცვალა!

და მხოლოდ ამ აზრთან შეგუების პროცესში აანალი-

ზებ, რომ ის უბრალოდ, ხო აი ასე უბრალოდ აღარ არის და აღარც არასდროს იქნება...

გაქრება... წავა... გაიჯახუნებს რეალობის მძიმე კარს რეალობითვე დამძიმებული და შეერევა ფიქრებს... ოცნებებს... მოგონებებს...

თავიდან დიდი ტკივილი იქნება... მერე ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად განელდება, დაკარგავს პირვანდელ სახეს და გადაიქცევა მონატრებად, ოღონდ ისეთად კი არა, ზოგჯერ რომ მოენატრებათ, არა, - მუდმივ გრძნობად, გულის პატარა კუთხეში მიჩქმალულად...

მერე იშვიათად თუ გაიხსენებენ და ისიც სუფრებზე, ჭიქით ხელში. ამაყი თამადა დალევს მის, მოსაგონარს" უკვე დიდი ხნის ჭირისუფლების გულის მოსაგებად.

გაიხსენებენ...ზოგჯერ გაიხსენებენ...

გავა დრო... დღეები.. წლები...ტკივილი ნელ-ნელა შესუსტდება, მონატრებაც თანდათან გაქრება,,,დროც თავის სათქმელს იტყვის..."

მერე? - მერე არაფერი... - სიცარიელე... სიბნელე... სიცივე... უღიმღამობა... რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, ჩემო კარგო...

ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო!..

ვზივარ ახლა და ვფიქრობ... ვფიქრობ იმაზე, თუ რად ვიქეცით, სად წავიდა, სად გაქრა ამ მრავალსაუკუნოვანი ერის ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები?! როდის გავაშიშვლეთ ნამუსი, როდის ჩამოვრეცხეთ მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი კულტურის სისპეტაკე ჩვენს ქართველობას?! რატომ? რისთვის? ვისთვის? როდიდან? ან სადამდე? - ერის დაცემამდე, დაშლამდე, დეგრადაციამდე?! რანი ვიყავით და რად ვიქეცით?! ვისი შთამომავლობა ვის შთამომავლად გადავიქცევით სულ მცირე ხანში? სად გაქრა ქართული სული?! ჩაკვდა ერთმანეთის დახმარების, გვერდში დგომის, ატანისა და,,გატანის" მრავალწლოვანი თვისებები?! დაიფერფლა? თუ რამემ დაჩრდილა? იქნებ, უბრალოდ მიიძინა გონების ბნელ კუნჭულში?! იქნებ ეშინია გამოჩენის, ეშინია დაცინვის, რომელსაც დღევანდელ,,თანამედროვედ მოაზროვნეთაგან" მიიღებს, თუკი ოდესმე გამოჩენა ეღირსა?! ან იქნებ იმედიც გადავიწუროთ? მაგრამ არა! არა, არა, იმედი ბოლოს კვდება! ამ ბოლო ნაპერწკალს თუ ვერ გავაღვივებთ, მოვუფრთხილდეთ მაინც, არ ჩავაქროთ და გულის ნათელ კუთხეში მივუჩინოთ ბინა, ჩვენივე საიმედოდ.

ადამიანმა თანამედროვეობას ფეხი უნდა აუწყოს, დინებას უნდა მიჰყვეს, მაგრამ არ უნდა გადაასწროს, არ უნდა დააჩლუნგოს სიახლემ, არ უნდა გარდაქმნას უარესობისკენ მისი მსოფლმხედველობა და არ უნდა მოაქციოს თავის მარწუხებში...

მაგრამ, ვაი, თუ მან გადაფარა ყოველგვარი ეროვნული... რას მივიღებთ? - უზრდელობის, უხამსობისა და სიძულვილის მატარებელ,,ქმნილებებს"! დიახ, დიახ-,,ქმნილებებს", რომლებიც დარწმუნებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი აზრის სისწორეში და მეტი არაფერი.

ვფიქრობ, მათ არათუ მხოლოდ თავი, არამედ ღირებულებებიც დაკარგული აქვთ, ანდა დათრგუნული.

და თქვენი აზრით, როგორ მოხდა, რომ ეს ერთი მუჭა ხალხი დღემდე ვარსებობთ? რომ არ,,გადავშენდით"? იქნებ ხასიათის დამსახურებაა? - იმ უტეხი ხასიათის, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა? ან იქნებ რელიგიის? იქნებ შემწყნარებელი რელიგიის, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში ასეთ დიდ პატივს სცემდნენ? თუმცა, დღეს თითქმის ესეც დავკარგეთ. უფლის სიყვარული, რწმენა, იმედი და სულიერი საზრდო დავკარგეთ. ხელი ავიღეთ რჯულზე, სარწმუნოებაზე და რატომ და რისთვის? - პასუხი დაუდგენელია.

მიმბაძველები გავხდით! მაგრამ ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, სხვა ქვეყნებს,,სიკარგეში" რომ ვბაძავდეთ. არა, არა! ჩვენ მოგვწონს და გადმოგვაქვს ყველაფერი ცუდი, რისი მოწონება და გამეორებაც შეიძლება და ვერ ვხვდებით, რომ ამით ნელ-ნელა ვჩლუნგდებით, ვცოტავდებით, ვიძირკვებით... დაფესვიანებისა და გამრავლების მაგიერ...

თუმცა, რა აზრი აქვს,,,ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო!" - ნათქვამია...

შთაგონება: რეალური ამბავი, რომელსაც დღეს ავტობუსში ცრემლების გარეშე ვერ ვუყურე

წვიმდა...გადაუღებლად წვიმდა...

ბებო ჩამომდნარი, მწუხარებაგაყინული სახით უაზროდ გასცქეროდა ავტობუსის ფანჯრებს, რომელსაც ცა ხარბად ახეთქებდა მარტის წვიმის გაყინულ წვეთებს... ამინდიც მის განწყობასავით უფერული იყო...

ტაძრიდან მოდიოდა დაღლილი ბებია... მისი პალტოც სიძველისფრად იყო გახუნებული. სახლში არავინ ელოდა სიბერეში წვეული მარტოობის მეტი. იჯდა და ფიქრი არ ასვენებდა; ფიქრობდა ხვალინდელ დღეზე, უდარდელად განვლილ ახალგაზრდობაზე, შვილის საფლავზე, რომელსაც ახლა წვიმა ასე უმოწყალოდ ასველებდა; სწორედ მისკენ მიეჩქარებოდა სანთლებით სავსე, სიბერისგან დამჭკნარ ხელებს... გაჩერებაც ახლოვდებოდა... ჯიბეები მოიჩხრიკა, ახლაღა შეამჩნია რომ სამგზავრო ბარათი სადღაც დაეკარგა... გაშრა, გაფითრდა, სირცხვილის ფერი დაედო... განაგრძო ძებნა, იქნებ ის,,50 თეთრიანი" მაინც მონახოს დილით რომ იპოვა სახლისკენ მიმავალ აღმართზე... ვერ იპოვა...ახლაღა გაახსენდა რომ ტაძრის შესაწირ ყუთში ჩააგდო შვილის სულისთვის მლოცავმა... ფიქრმა დაუღალა გონება; სირცხვილმა ღაწვები აუწითლა...

ვერავინ შეამჩნია მოხუცის მწუხარება, ვერც მის გულისტკივილს ჩასწვდა ვინმე; დადგა ჩასასვლელ კართან საცოდავი სახით... უცებ ვიღაცის ხელი იგრძნო მხარზე, მიხედვა ვერ მოასწრო უკან რომ ქალის ხმამ გაიჟღერა :,,თქვენი გადახდილია ბებო!"; თითქოს გახუნებული პალტოს გაცვეთილ ჯიბესთანაც იგრძნო შეხება, მაგრამ ავტობუსი დაიძრა და უკვე ჩასულმა და მომხდარისგან გაოცებულმა ისღა მოასწრო მადლიერი თვალებით შეეხედა სრულიად უცნობი პიროვნებისთვის, რომელმაც იგი,,სირცხვილისგან იხსნა"... გულში სითბო და სიხარული ჩაეღვარა, მიხვდა, რას გრძნობენ ადამიანები, როცა მათ უსასყიდლოდ ეხმარებიან... ეამა ადამიანობა... მომხდარით გაბრუებულმა ახლაღა შეამჩნია რამდენიმე გაჩერებით შორს რომ ჩამოსულიყო სასაფლაოდან, მაგრამ ბედად, სახლი იქვე იყო. კართან მისულმა ჯიბეში გასაღების ძებნა დაიწყო და ხელში 100 ლარიანთან ერთად ბარათი შერჩა წარწერით:,,შენ მარტო არ ხარ, ბებო!"...

გარეთ კი წვიმდა... გადაუღებლად წვიმდა..

მარსიანი

მიმართვა მწერლებს

კაი ხალხი ხართ თქვენ, პოეტებო,
მეწველი ფური გგონიათ სიტყვა,
რითმის გულისთვის კაცს გაიმეტებთ
და საკუთარი ლექსები გიყვართ.

კრიტიკოსებო, თქვენ ებრძვით მორევს,
საფრთხეს არიდებთ მშობლიურ ენას,
ნაბან წყალს ხშირად ბავშვს გააყოლებთ,
გადასარევი ხალხი ხართ თქვენაც.

აბა, ჰე, განი, რომანისტებო,
მე თქვენს რიგებშიც შემოვიჭერი.
ორ თვეში სამ ტომს ჩააგვირისტებთ,
გენიალური თქვენ ხართ ბიჭები.

დრამატურგებო, ჩაგრულო ძმებო,
სიმწრის, სირცხვილის აგდით ალმური,
არსად, არასდროს არ იბეჭდებით,
არ იყოთ მაინც გენიალურნი.

პუბლიცისტებო, თქვე კაი ხალხო,
ჰალსტუხს გაფიცებთ, მეფურ ღირსებას,
ერთხელ სიმართლეც რომ დაიძახოთ,
როგორ გგონიათ, ცა დაიქცევა?

ჰეი, მწერლებო ყველა გორისა,
სიმართლეს ეცით თავდავიწყებით,
ღრენაც რომ გესმათ დიქტატორისა,
ნუ დაფეთდებით, როგორც ვირთხები.

ნუ დაფეთდებით და ნუ მოცოცხავთ,
თქვენ გენაცვალეთ მაგ ჭკვიან თავში,
მე თქვენი თავი ღმერთმა მიცოცხლოს
და გაუმარჯოს მწერალთა კავშირს!

1988

იკა ქადაგიძე

პავეტების სამიკიტნო

ინტერნეტში პავეტების სამიკიტნო ტიტინებს,
ვაჰ, რომ ბოლო აღარ უჩანთ ამ ჭრელსახა ტიკინებს,
ყველა გენიოსია და იჭიმება "ლაიქით",
მეფობას ეპოტინება დაბადებით პაიკი!

მოყვარულთა ურდოების ისმის კაკაფონია,
გალაკტიონს იწუნებენ, ნარცისების ფონია,
ამ ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში
ურიცხვ ჭკუისკოლოფებს
ჯილდოებით დაუთვლიან მწყერებსა და ოფოფებს!

ობობები კლანებს რთავენ ზვიგენების
კუპლეტით,
არნახულად გაჯეჯილდა მასხარა თუ დუპლეტი,
ინკოგნიტოების გვერდით პლაგიატი გრიმიტობს,
კინტო მოსე-მწერალი რომ მოდაშია, იმიტომ!

მოკლედ წერეთ, კითხვა გვიჭირს, ფოტოები
გვეყოფა,
ასე ბრძანებს თვალმახარა დილეტანტთა
სერობა,
ქუხს, ბობოქრობს, აღარ ცხრება ცხელი
შემოსევები,
ნეტავ ვიღას აგონდება ჭეშმარიტი მწერლები...

თვითმარქვიების აღლუმებს გვერდს შიშით რომ
უვლიან,
დილეტანტის იარაღი უსინდისო შუბლია,
ჩინურ კედელსაც შელეწავს ნებაზე თუ მიუშვებ,
ოფლს მოადენს მათი როკვა ვაჟასა თუ მიუსეს...

ჰოდა რადგან პავეტების სამიკიტნო ტიტინებს,
მომე პიტნა, შოლტზე მეტად უყვართ თურმე
ტიკინებს,
რომ შეთხელდეს სულელების
მეფედ აბურთავება,
პავეტების ფიცი-მტკიცი დღეს ვის ეუკვდავება?!

2018

ნინი ქუთელია

Lucius Annaeus Seneca[3]
ლუციუს ანნეუს სენეკა
De Vita Beata
ბედნიერი ცხოვრების შესახებ

თავი V

[1] რადგან ასე თავისუფლად და ვრცლად საუბარი დავიწყე, შემიძლია ბედნიერი ვუწოდო მას, ვისაც გონების წყალობით არც შიში იპყრობს და არც სურვილი. შიში და მწუხარება ქვებმაც არ იციან, ასევე ცხოველებმაც, მაგრამ მათ ბედნიერთ ვერ ვუწოდებ, რადგან არ ესმით, რა არის ბედნიერება.

[2] ამავე ადგილას არიან ის ადამიანები, რომლებიც ბუნებამ და საკუთარმა უგნურებამ მხეცებსა და პირუტყვებს შორის შეყარა. ერთსა და მეორეს შორის განსხვავება არ არის, რადგან უკანასკნელთ გონება არ აქვთ, ხოლო პირველთა გონება მანკიერ მხარეს და თავისივე თავის საზიანოდაა მიმართული. მას, ვინც ჭეშმარიტებას განშორებულია, არ შეიძლება ბედნიერი ეწოდოს.

[3] მაშასადამე, ბედნიერი ცხოვრება სწორ, მართებულ და ჭეშმარიტ განსჯაში მდგომარეობს და მას სიმყარე და უცვლელობა ახასიათებს. სწორედ ამ დროსაა სული ყოველგვარი უკეთურობისგან წმინდა და თავისუფალი — როცა ის არა მხოლოდ ჭრილობას, არამედ განაკაწრსაც კი აირიდებს, მუდამ იქ დადგება, სადაც იდგა და თავის სამყოფელს დაიცავს, როცა ბედი განურისხდება.

[4] სიამოვნება შეიძლება სულს ყოველი მხრიდან შემოერტყას და ყოველი მხრიდან მასში ჩაიღვაროს; ის თავისი ხიბლით ადუნებს [სულს] და მის თითოეულ ნაწილს აღაგზნებს. მოკვდავთაგან ვის შეიძლება სურდეს დღისითა და ღამით ამგვარი აღგზნებით და სულის უარყოფით სხეულის სიამოვნებას მიეცეს, თუკი მას ადამიანურობის რაღაც კვალი მაინც შერჩენია?

თავი VI

[1] ამბობენ: „სულსაც შეუძლია თავისი სიამოვნებანი ჰქონდეს“. ცხადია, შეუძლია და შეუძლია ისიც, რომ მათზე დამკვირვებელი გახდეს, მათზე იმსჯელოს, თავი აღივსოს იმ ყველაფრით, რაც, ჩვეულებრივ, გრძნობისმიერია. შემდეგ ის ძველსა და განვლილს მიუბრუნდება და მივიწყებულ სიამეთა გახსენებისას თითქოს შეხტება და წარსულიდან მომავლისკენ გაიხედავს, იმედებსა და სურვილებს მიეცემა და სანამ სხეული ამ ყველაფრით ავსებული უძრავად წევს, სული ფიქრებს მომავლისკენ გზავნის. ეს ყველაფერი მე უბადრუკად მეჩვენება, რადგან სიგიჟე და უგუნურებაა, ადამიანმა სიკეთეს ბოროტება არჩიოს. მავანი არ შეიძლება ბედნიერი იყოს სიჯანსაღის გარეშე, ხოლო ჯანსაღი არ არის

3 დასაწყისი იხ. ''ისინდი'' №14

ის, ვინც თავის დამღუპველი სიამოვნებებისკენ ისწრაფვის.

[2] მაშასადამე, ბედნიერია ის, ვისი განსჯაც სწორი და მართებულია. ბედნიერია, ის ვინც აწმყოთი, ამ წამითაა ბედნიერი, ვინც თავისი ბედისა და საქმის კმაყოფილია. ბედნიერია ის, ვისაც გონება კარნახობს, როგორ უნდა მოიქცეს ამა თუ იმ ვითარებაში.

თავი VII

[1] მიუხედავად იმისა, რომ მათ, ვინც ამბობენ, რომ უმაღლესი სიკეთე სიამოვნებაშია, მისთვის მაინც არ აქვთ მინიჭებული ღირსეული ადგილი. და თუმცა, მათი თქმით, სიამოვნება განუყოფელია სიქველისა და კეთილშობილებისგან, ისინი იმასაც ამბობენ, რომ მავანი არ ცხოვრობს პატიოსნად, თუ არ ცხოვრობს სიამოვნებით და თუ არ ცხოვრობს პატიოსნად. ვერაფრით ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ასეთი განსხვავებული რაღაცეები ერთმანეთს დაუკავშირდეს და ერთი თოკით გადაინასკვოს? გთხოვთ, მითხრათ, რატომ არ შეიძლება სიამოვნების სიქველისაგან გამიჯვნა. განა ცხადი არაა, რომ ყველა სიკეთე სიქველისგან იღებს საწყისს და სწორედ ამ ფესვებისგან იწყება ის, რაც თქვენ გიყვართ და ესწრაფვით? მაგრამ ისინი რომ განუყოფელნი ყოფილიყვნენ, ვერ ვნახავდით ვერაფერს საამოს, თუ ის პატიოსანი არ იქნებოდა და პირიქით. ვერ ვნახავდით რაიმე ჭეშმარიტად ყველაზე ღირსეულს, რომელიც ტანჯვითა და ტკივილით მისაღწევი არ ყოფილიყო.

[2] ისიც დაამატე, რომ სიამოვნებას კაცი ყველაზე სამარცხვინო ცხოვრებისკენ მიჰყავს, მაგრამ სიქველე უღირს ცხოვრებას ადამიანამდე არ უშვებს. მავანნი უბედურნი არიან არა სიამოვნე-

ბათა გარეშე, არამედ სწორედ სიამოვნების გამო. ეს არ მოხდებოდა, თუკი სიამოვნება თავის თავში მიიღებდა სიქველეს და მისი განუყოფელი ნაწილი გახდებოდა. სიქველეს ხშირად საერთოდ არ მოსდევს სიამოვნება, მაგრამ არც ისეა, რომ საერთოდ არ ჰქონდეს.

[3] როგორ აერთიანებთ განსხვავებულთ, მეტიც, ურთიერთსაწინააღმდეგოს? სიქველე არის რაღაც ამაღლებული, ზეციური, შესანიშნავი, მეფური, დაუძლეველი და დაუღალავი. სიამოვნება კი მდაბალი, მონური, სუსტი, დაცემული, საროსკიპოა მისი საცხოვრებელი და დუქანი — მისი სახლი. სიქველეს შეხვდები ტაძარში, ფორუმზე, კურიაში, კედლებთან მდგომს, ჭუჭყიანსა და მტვერში ამოგანგლულს, ხელებზე გადამსკდარი და გაუხეშებული კანით. სიამოვნება კი ბნელ კუთხეებს ეტანება, ოფლის მომდენ ორთქლის აბანოებს ესწრაფვის, მცველების თვალსმოფარებულ ადგილებში ტრიალებს, ღვინითა და ნელსაცხებლებითაა გაჟღენთილი, ან სრულიად ფერმიხდილია ან პირიქით, ფერუმარილით დაფარული, როგორც წამლებით განბანილი ცხედარი.

[4] უმაღლესი სიკეთე უკვდავია; მან არც გაქცევა იცის, არც მოყირჭება, არც სინანული. რადგან მართებული გასჯა და აზრი გეზს არასოდეს იცვლის, არც ბედნიერ ცხოვრებას გადაუხვევს და ამიტომ არც თავისი თავის სიძულვილი აქვს. ხოლო სიამოვნება მაშინ ქრება, როცა ყველაზე სასიამოვნო ხდება. ის სწრაფად იზრდება, ივსება და მოსაბეზრებელი ხდება, პირველი ვნება მოეძალება და შემდეგ უკვე სუსტდება. არ შეიძლება მყარი იყოს, ის, რისი ბუნებაც მოძრაობაშია. ამრიგად, როგორ შეიძლება რაიმე არსი ჰქონდეს იმას, რაც უსწრაფესად მოდის და მიდის, და მაშინ ქრება, როცა მას იყენებ? როცა გვეჩვენება, რომ ის იზრდება, სინამდვილეში მცირდება და როცა იწყება, მისი მზერა უკვე დასასრულისკენაა მიმართული.

თავი VIII

[1] სიამოვნება დამახასათებელია როგორც კეთილი, ისე ბოროტი ადამიანებისათვის. ასევე ისიც უნდა ითქვას, რომ უღირსთა სიამოვნება თავიანთი სამარცხვინო სიამეებისაგან არა ნაკლებია, ვიდრე ღირსეულთათვის ღირსეულ საქმეთაგან მიღებული სიამენი. სწორედ ამის გამო გვირჩია ძველმა ხალხმა, მივყოლოდით საუკეთესო, ღირსეულ და არა სიამოვნებით სავსე ცხოვრებას. სიამოვნება კეთილი ნებისა და აზრის თანმხლები უნდა იყოს და არა მისი წინამძღოლი. წინამძღოლად ბუნება უნდა ავირჩიოთ — გონება სწორედ მას აკვირდება და რჩევას იღებს.

[2] მაშასადამე, ვიცხოვროთ ბედნიერად ნიშნავს მივდიოთ ბუნებას. ეს რა არის, ახლავე ავხსნი: თუკი ბუნების მიერ ნაბოძებ ნიჭსა და სხეულის შესაძლებლობებს საგულდაგულოდ მოვუფრთხილდებით, მართალია, ერთ დღეს ეს ყველაფერი ხელიდან გამოგვეცლება, მაგრამ მათ მონებად არ გადავიქცევით. თუ სხეულისათვის სიამოვნება და შემთხვევითობა ისეთივე ადგილს დაიჭერს, როგორსაც ბანაკებში დამხმარე ჯარი და მსუბუქი აღჭურვილობა — ისინი ემორჩილებიან, მაგრამ ბრძანებას არ გასცემენ — ეს გონებისთვის მხოლოდ სასარგებლო იქნება.

[3] ადამიანი გარესამყაროსგან შეურყვნელი და დაუძლეველი უნდა იყოს: თავისი თავის თაყვანისმცემელი, სულის ერთგული, მზადმყოფი კარგისთვისაც და ცუდისთვისაც, თავისი ცხოვრების შემოქმედი. მისი თვითრწმენა არ არსებობს ცოდნის გარეშე, ხოლო ცოდნა — სიმტკიცის გარეშე. მისთვის ერთხელ მიღებული შეხედულებები არ იცვლება და არც მის გადაწყვეტილებებშია რაიმე გამოსასწორებელი. მეტი რომ არაფერი ვთქვა, გასაგებია, რომ ასეთი კაცი გაწონასწორებული და მოწესრიგებული იქნება და იმ საქმეებსაც, რომელთაც წამოიწყებს, კეთილი ზნითა და დიდებულად აღასრულებს.

[4] გონება გრძნობების გარეგან გამღიზიანებლებს ეძებს და თითქოს საწყისიდანვე „იჭერს“. ეს იმიტომ ხდება, რომ არ არსებობს სხვა რამ, საიდანაც მოძრაობას დაიწყებს ან საიდანაც ჭეშმარიტ ძალას მიესწრაფება, რათა კვლავ თავის თავს დაუბრუნდეს. ყოვლისმომცველი სამყაროც და სამყაროს მბრძანებელი ღმერთის ძალაც გარედან, გარეგანი მხრიდან ვრცელდება, მაგრამ მაინც მუდამ იმას ესწრაფვის, რომ ყოველი მხრიდან შიგნით, საკუთარი თავისკენ დაბრუნდეს. ჩვენი გონებაც ასევე უნდა იქცეოდეს. როცა გრძნობებს მიჰყვება, მათი მეშვეობით გარესამყაროს აღწევს. გონება უნდა ეცადოს, რომ გრძნობების მბრძანებელიც გახდეს და საკუთარი თავისაც.

[5] სწორედ ამგვარად მიიღწევა [ადამიანში] ერთიანი, თანხმიერებაში მყოფი ძალა და შესაძლებლობები. სწორედ მაშინ იშვება გონება, რომელსაც არ აქვს შეუთანხმებელი, მერყევი შეხედულებები, აღქმა და მოსაზრებანი; ის თავის თავს იწესრიგებს, რათა მისი არც ერთი ნაწილი მეორეს არ შეეწინააღმდეგოს, სხვაგვარად რომ ვთქვა, ერთმანეთს შეუხმატკბილდეს, და ასე მიაღწიოს უმაღლეს სიკეთეს. მასში არ იქნება არაფერი მანკიერი, არც რაიმე მაცდუნებელი, არც მასზე აღმატებული, მას არც არაფერი შეარყევს და არც სიმტკიცეს დააკარგვინებს.

[6] ყველაფერი [გონების] ნებით გაკეთდება და არაფერი გაუთვალისწინებელი არ მოხდება; რაც არ უნდა გაკეთდეს, ყველაფერი იოლად, სწრაფად და დაბრკოლების გარეშე სიკეთედ იქცევა. სიზარმაცე, უმოქმედობა და მერყეობა თავის არიდების სურ-

ვილსა და არამდგრადობაზე მიუთითებს. ამიტომ, თამამად შეიძლება განაცხადო, რომ უმაღლესი სიკეთე არის სულის თანხმობა. სიქველე არის იქ, სადაც თანხმობა და ერთიანობაა, ხოლო მანკიერება იქ — სადაც შეუთანხმებლობაა.

თავი IX

[1] მავანი ასე იტყვის: „შენ მხოლოდ იმიტომ გაღელვებს სიქველე, რომ მისგან რაიმე სიამოვნების მიღების იმედი გაქვს “. ჯერ ერთი, სიქველე და სიკეთის ქმნა სიამოვნებებზე წინ უნდა დავაყენოთ, მაგრამ მას მხოლოდ ამიტომ არ უნდა ვესწრაფოთ. სიქველეს მოსდევს სიამოვნება, უფრო სწორად — სიამოვნებაც მოსდევს. სიქველე სიამოვნებისთვის კი არ იღწვის და შრომობს, არამედ სიამოვნება სწორედ ამ ღწვისა და შრომის შედეგად მოდის.

[2] წარმოვიდგინოთ [დამუშავებული] მინდორი, რომელშიც ხნულია გავლებული, მინდვრის შუაგულში ყვავილები იზრდება, მაგრამ ამ პატარა მცენარეებისათვის, თუმცაღა მათი დანახვა თვალს ახარებს, ამდენი შრომა არ იყო გაწეული. ხორბალი მინდორში გააზრებულად და დაფიქრებით დაითესა, ხოლო ყვავილები მოულოდნელად და შემთხვევით აღმოცენდა. ასევე, სიამოვნება არის არა სიქველის რაიმე ჯილდო ან მიზეზი, არამედ მხოლოდ დამატება, რომელიც იმიტომ არაა სასურველი, რომ სიამოვნებას გვრის, მაგრამ თუ სასურველია, სიამოვნების მონიჭებაც შეუძლია.

[3] უმაღლესი სიკეთე განსჯასა და ყველაზე კეთილშობილი სულის ქცევასა და მოქმედებაში მდგომარეობს. როდესაც ის თავის გზას დაასრულებს და საკუთარ თავს თავისივე საზღვრებში მოაქცევს, სრულყოფილებას მიაღწევს, რომელსაც უკვე რაიმეთი შევსება და რისამე დამატება აღარ სჭირდება. არაფერი არსებობს სისრულის გარეშე და დასასრულის მიღმაც არაფერია. ამგვარად, შენ ცდები, როდესაც მეკითხები რა არის ის, რის გამოც სიკეთესა და სიქველეს ვესწრაფვი.

[4] იგივეა მკითხო, რა არის უმაღლესის ზემოთ. შენ მეკითხები, რას ვიღებ სიქველისგან? თავად მას ვიღებ. მას არაფერი აქვს უკეთესი, თავადაა საკუთარი თავის ჯილდო და საზღაური. ნუთუ ეს საკმარისზე მეტი არაა? ასე გეტყვი: „უმაღლესი სიკეთე არის სულის გაუტეხელი სიმტკიცე, წინდახედულება, ამაღლებულობა, სიჯანსაღე, თავისუფლება, თანხმობა, მშვენიერება“. ნუთუ შენ რაიმე უფრო მეტს ითხოვ ისე, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მის დამატებად იქცნენ? რატომ ახსენებ ჩემთან სიამოვნებას? მე ადამიანის სიკეთეს ვეძებ და არა მისი მუცლის სიამოვნებას, რაც განცხრომაა პირუტყვებისა და მხეცებისათვის.

თავი X

[1] მავანი მეტყვის: „შენ ჩემს ნათქვამს ამახინჯებ. რადგან მე უარვყოფ, რომ ვინმეს შეუძლია სიამოვნებით იცხოვროს, თუ ამავდროულად პატიოსნად არ ცხოვრობს. მას უკვე ვეღარ მივაკუთვნებთ უტყვ ცხოველებს, არც მათ, ვინც უმაღლეს სიკეთეს თავისი მუცლის განცხრომით ზომავს.“ ვუპასუხებ: „ამაში ცხადად და ნათლად დამემოწმება ის ცხოვრება, რომელსაც საამოსა და სასიამოვნოს ვუწოდებ, რადგან ასეთ ცხოვრებას ვერ მივაღწევთ, თუკი სიქველე და სიკეთე არ იქნება“.

[2] განა ვინმეს ძალუძს უარყოს, რომ ამ თქვენს სიამოვნებებში თუ ვინმე ჩაფლულა, სწორედ ყველაზე დიდი ბრიყვები არიან. უბადრუკობა და უნიათობა იხრჩობა სიამოვნებებში და თავად სული თავის თავში სიამეთა მრავალ უკუღმართ სახეობას იგროვებს. უპირველესად, ესაა ქედმაღლობა და მედიდურობა, გადაჭარბებული თვითშეფასება და საკუთარი თავის სხვებზე აღმატება, პირადი საქმეების და საზრუნავის ბრმა სიყვარული, გართობის და სიამეთა დევნა, უმნიშვნელო, პატარა და ბავშვური მიზეზებით აღტკინება, გესლიანობა, სხვისი წყენინებით გახარება, მცონარობა, გაზარმაცებული და მიძინებული სულის გახრწნა.

[3] ყოველივე ამას სიქველე უკუაგდებს, ყურთასმენის მიღმა უშვებს, მას შეუძლია შეაფასოს სიამოვნება მანამ, სანამ თავისთან დაუშვებს. იმ სიამოვნებას, რომელსაც არავითარი ფასი არ აქვს, არც კი გაიკარებს. სიქველე ხარობს არა მათი სარგებლობით, არამედ ზომიერებით. მაგრამ ზომიერება, როცა ის სიამოვნებას ამცირებს, უმაღლესი სიკეთისათვის საზიანოა. შენ სიამოვნებას აგროვებ და ესწრაფი, მე კი — ვზღუდავ; შენ სიამოვნებით ტკბები, მე კი მას სასარგებლოდ ვიყენებს; შენ მას უმაღლეს სიკეთედ მიიჩნევ, მე — არა; შენ სიამოვნებისათვის ყველაფერს აკეთებ, მე — არაფერს.

თავი XI

[1] როდესაც ვამბობ, რომ არაფერს ვაკეთებ სიამოვნებისათვის, ვგულისხმობ არა პირადად ჩემს თავს, არამედ ბრძენს, რომელსაც, შენი აზრით, ერთადერთს ძალუძს სიამოვნების განცდა. პირადად მე ბრძენს არ ვუწოდებ ადამიანს, რომლის მაღლა ვიღაც ან რაღაც არის, რომელზეც ვინმე ან რამე ბატონობს, რომ აღარაფერი ითქვას სიამოვნებაზე. სიამოვნებით შეპყრობილი ადამიანი როგორ შეძლებს შეეჭიდოს შრომას, წინ აღუდგეს ხიფათსა და საშიშროებას, რომელიც გარს ახვევია ადამიანის ცხოვრებას? როგორ შეძლებს სიკვდილთან შეგუებას და მისთვის თვალის გასწორებას? როგორ აიტანს ტანჯვასა და ტკივილს? ან ქვეყნის დაქცევასა და განადგურებას როგორ შეხვდება ან უსასტიკეს მტერთა სიმრავლეს როგორ დაუპირისპირდება? ის მხოლოდ იმას აკეთებს, რისკენაც სიამოვნება აქე-

ზებს. შეხედე! ნუთუ ვერ ხედავ რამდენად ბევრნი არიან ისინი, ვინც ამ წაქეზებას აჰყოლია.

[2] მავანი იტყვის: „[სიამოვნებას] არ ძალუძს რაიმე სამარცხვინო ურჩიოს ადამიანს ან წააქეზოს, რადგან ის განუყოფლად დაკავშირებულია სიკეთესთან და სიქველესთან“. ნუთუ ვერ ამჩნევ, რომ უმაღლეს სიკეთეს დაცვა სჭირდება იმისთვის, რომ სიკეთედ დარჩეს? ანდა როგორ შეძლებს სიკეთე მართოს და უწინამძღვროს სიამოვნებას, თუკი მისი მდევნელი და მორჩილი იქნება? დევნა და მორჩილება დამორჩილებულთა საქმეა, მართვა და მბრძანებლობა — მბრძანებლისა. მას, ვინც მართავს, ზურგს უკან უქმნი დაბრკოლებას. სიქველე თქვენთვის სიამოვნებათა დათრგუნვით კეთილ საქმეს სჩადის.

[3] ბოლოს ჩვენ დავინახავთ, შეუძლია თუ არა სიქველეს დარჩეს მათთან, ვინც ასე ამცირებს და აკნინებს. რადგან [სიქველე] თავისი მდგომარეობის დაკარგვისას თავის სახელსა და მნიშვნელობასაც კარგავს. მაგალითად მოგიყვან სიამოვნებით შეპყრობილ ადამიანებს, რომელთაც ბედმა და ფორტუნამ ყველანაირი ძღვენი უბოძეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შენც კი ვერ უარყოფ, რომ ისინი ბოროტნი არიან. შეხედე ნომენტანუმსა და აპიკიუსს,[4] რომლებიც, როგორც თავად ამბობენ, მიწისა და ზღვის ძღვენით ტკბებიან და გაშლილ სუფრაზე ცხოველთა ყველა სახეობას სწავლობენ. შეხედე, ამაღლებული ადგილიდან როგორ გადმოსქცერიან თავიანთივე დუქანს. მათი ყურები მუდამ მუსიკის ჰანგებით ტკბება, თვალები — სხვადასხვა სანახაობით, პირი — გემოთა მრავალგვარობით. მათ სხეულებს ნაზი და რბილი ქსოვილი ელამუნება, მათი ნესტოები არ ჩერდება, რადგან ის ადგილი, სადაც სიამოვნებას ეძლევიან, სხვადასხვა სურნელით გაღუენთილა. ცხადია, შენ იტყვი, რომ ისინი სიამოვნებაში არიან. მაგრამ ეს არაა მათთვის კარგის მომტანი, რადგან სიკეთით ვერ ხარობენ.

თავი XII

[1] მავანი იტყვის: „შეიძლება მართლაც არ იყოს კარგის მომტანი, რადგან მათ ცხოვრებაში გამუდმებით იქნება ისეთი გარემოებანი, რომლებიც სულს აშფოთებენ და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, რომლებიც მათ გონებას ამღვრევს.“ ეს რომ ასეა, ვაღიარებ. მაგრამ ეს ბრიყვი და გაუწონასწორებელი ადამიანები, რომელთაც არაფერი იცავთ სინანულის ჩხვლეტისაგან, მაინც დიდ სიამოვნებას ეძლევიან. ისინი ყველანარ გასაჭირსა და საზრუნავს უფრო ადრე არ შეიგრძნობენ, ვიდრე კეთილგონიერებას, თითქოს მხიარული სიგიჟით დასნებულებულან და ბოდვა სიცილ-ხარხარით გამოიხატება.

[2] საპირისპიროდ, ბრძენთა სიამოვნებანი მშვიდი, ზომიერი და თითქოს მიძინებულიც კია; დაფარული და ძლივს შესამჩნევი. ისინი თავისით მოდიან, ყველანაირი პატიჟის გარეშე. და ასე საკუთარი ნებით მოსულთ არც პატივით იღებენ და არც სიხარულით მასპინძლობენ. მათ ცხოვრებაში ისე შეურევენ, როგორ თამაშსა და ხუმრობას სერიოზულ საქმეში.

[3] ზოგიერთები შეუსაბამობათა დაწყვილებასა და სიქველის სიამოვნებასთან დაკავშირებას ცდილობენ. ამ მანკიერების და შეცდომის დახმარებით ისინი ყველაზე ცუდ ადამიანებს ეპირფერებიან. მან, ვინც სიამოვნებაში ჩაფლულა, სასმელით გაჭყეპილა და მერე გემრიელად აბოყინებს, იცის, რომ სიამოვნებათა გარეშე ვერ იცხოვრებს, მაგრამ, ამავდროულად იმისიც სწამს, რომ კეთილშობილურად ცხოვრობს. მას სმენია, რომ სიამოვნების სიკეთისაგან გამოყოფა შეუძლებელია, ამიტომ თავის მანკიერებებს სიბრძნეს მიაწერს და დაფარულს მთელს ქვეყანას მოსდებს.

[4] ამგვარად, ფუფუნებასა და სიამტკბილობას ეპიკურეს მიმდევრნი კი არ ეძლევიან, არამედ მანკიერებებს დამონებულნი, რომლებიც თავიანთ თავაშვებულობას ფილოსოფიის საბურველქვეშ მალავენ და იქით ისწრაფვიან, საიდანაც სიამეთა ქება ესმით. ისინი ვერც კი ხვდებიან, რამდენად „ფხიზელი“ ან უბრალოა ეპიკურეს სიამოვნებანი (მე, ვფიცავ ჰერკულესს, ეს ასე მესმის); ისინი თავისი სახელის გაგონებაზე ადგილიდან მოწყდებიან და თავიანთი სურვილებისათვის საიმედო თავშესაფარს ეძებენ.

[5] ასე კარგავენ ისინი იმ ერთადერთ სიკეთეს, რომელიც ამდენ ცუდს შორის ჰქონდათ — შეცოდებებისათვის სირცხვილს თმობენ, იმას აქებენ, რის გამოც უნდა წითლდებოდნენ, თავიანთი მანკიერებებით მოაქვთ თავი. ამის გამო შეიძლება ახალგაზრდობაც ასცდეს გზას, რადგან სამარცხვინომ ღირსეულის სახელი მიიღო. აი, რატომაა სიამოვნებათა ხოტბა დამღუპველი, რადგან ღირსება შიგნით იმალება, ხოლო ის, რაც რყვნის და ღუპავს, თვალსაჩინოა და დამღუპველი.

შენიშვნები

[4]ნაყროვანებისა და სმა-ჭამის სიყვარულით განთქმული პირების ავგუსტუსისა და ტიბერიუსის ეპოქაში. სახელი აპიკიუსი რომში ცნობილი კოგნომენი (საზოგადო სახელი) იყო. ავგუსტუსის ეპოქაში მცხოვრებ პირს მარკუს გავიუსი ერქვა, აპიკიუსს მას უწოდებდნენ კიმბრიული ომების პერიოდის განთქმული ღორმუცელას გამო. აღორძინების ეპოქის ჰუმანისტები აპიკიუსს მიაწერდნენ კულინარიული წიგნის (De re coquinaria libri tres) ავტორობას, რომელშიც შესული იყო ყველაზე ეგზოტიკური კერძების რეცეპტები. თუმცა, სხვა მოსაზრებით წიგნი შედგენილი უნდა ყოფილიყო მე-5 საუკუნეში;

თამაზ თაბუაშვილი (ტომ ანიდინი)

ფანტასტიკური მოთხრობა

უადამიანესის დაბადება

თავი I

არაფერი ზედმეტი –
კოსმოსის ერთ-ერთი კანონი

1. ღრმადპატივცემული მეი.

საათების ხელმძღვანელთა კოორდინატორი, ადამიანის განვითარების თეორიის პროფესორი, ღრმადპატივცემული მეი ჩაფიქრებული იჯდა დარბაზში. ინტუიციით გრძნობდა, რომ დღეს რაღაც არაჩვეულებრივი მოხდებოდა დედამიწაზე. იმ სამი საათის მანძილზე, რაც იგი თავის სამუშაო დარბაზში იმყოფებოდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მრავალრიცხოვანი ეკრანებიდან ჩანდა, რომ დედამიწაზე, მთვარეზე და მარსზე ცხოვრება ჩვეული რიტმით მიდიოდა.

მეიმ კოლოფიდან ამოიღო ნატურალური სიგარა და მოუკიდა. იშვიათად ეწეოდა, მაგრამ თუ ეწეოდა –მხოლოდ ნატურალურს. დღევანდელი სამუშაო დღის დამთავრებამდე ოცი წუთი რჩებოდა. შემდეგ ერთსაათიან ლექციას წაუკითხავს სტუდენტებს ადამიანის განვითარების თეორიაში, შემდეგ.....

ფიქრი საათების ხელმძღვანელის ხმამ შეაწყვეტინა.

–ღრმადპატივცემულო მეი, სასწრაფო შეტყობინებაა ანტარქტიდიდან.

–გისმენთ.

–თხილამურებით სრიალის მოყვარულთა ჯგუფმა ყინულებში იპოვა ახალგაზრდა ქალის კარგად შენახული გვამი, სავარაუდოდ,ოცდამეერთე საუკუნეში მცხოვრები ადამიანისა. ტვინის უჯრედებიც კარგადაა შენახული. აღსანიშნავია, რომ გვამი იპოვა ჯეკმა,რომელიც რვა წლის წინ აღვადგინეთ. ის დაჟინებით ითხოვს მის აღდგენას.რა ვქნათ, გამოვიძახოთ განადგურების ჯგუფი თუ...

–ეს უაღრესად საინტერესოა. ასეთი რამ,რომ ერთ აღდგენილს მეორე ეპოვოს, ჯერ არ ყოფილა ისტორიაში. დაუკავშირდით საათების ყველა ხელმძღვანელს,სასწრაფოდ გადაწყვიტონ ეს საკითხი.ჩემი აზრით, საჭიროა დავუშვათ გამონაკლისი და აღვადგინოთ..საინფორმაციო სამსახურებს მიეცით შესაბამისი განმარტება.

სიგარა ჩააქრო, წამოდგა და დარბაზში გაიარა. ძველებური სარკის წინ შეჩერდა.სარკიდან მაღალი,თმაშევერცხლილი მამაკაცი მხიარული თვალებით უმზერდა.მეიმ მას თვალი ჩაუკრა და გაუღიმა-არ მოუტყუებია ინტუიციას,ის ისევ კარგ ფორმაში იყო.ინტუიცია იმასაც კარნახობდა, რომ ეს აღმოჩენა დროის ამ მომენტში არ იყო შემთხვევითი, რომ ის ერთ-ერთი რგოლი იყო მოვლენათა იმ ჯაჭვისა, რასაც ამდენ ხანს ელოდნენ ის და მისი თანამოაზრენი. ათიოდე წუთის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდა მორიგე საათის ხელმძღვანელი.

–ღრმადპატივცემული მეი, თქვენი მითითების თანახმად ჩატარდა საათების ხელმძღვანელთა თათბირი ნაპოვნი ქალის გვამის აღდგენის საკითხზე. რვა ხმით ოთხის წინააღმდეგ გადაწყდა, რომ დავუშვათ გამონაკლისი და დაწყოს მისი აღდგენის პროცესი. შემდეგი მითითებები თუ გაქვთ?

–სხეული გადაიტანეთ ექიმი ალის ლაბორატორიაში,მოგვიანებით მას პირადად დავუკავშირდები.

მეის მალე 130 წელი უსრულდებოდა.ოცდასამი წლის წინ ის საათების ერთ-ერთ ხელმძღვანელად აირჩიეს,ხოლო 15 წლის შემდეგ, როდესაც „ჰარმონიული სამყაროს მშენებლები"-ს პარტიის თავმჯდომარე გახდა-კოორდინატორად. მას შემდეგ არაერთხელ უკითხავს თავის თავისთვის,კოორდინატორი რომ ყოფილიყო იმ დროს,როდესაც მისი უფროსი ვაჟი დაიღუპა ავტომფრენებით შეჯიბრებაში,გამოიყენებდა თუ არა ხელთ არსებულ შესაძლებლობებს და აღადგენდა თუ არა მას. გული ერთ პასუხს აძლევდა,გონება და რწმენა კი-მეორეს...

პარკში გასულ მეის თავისი საყვარელი ძაღლი ჯემა მხიარული ყეფითა და კუდის ქიცინით შეეგება.ყვავილებმა თავი დაუქნიეს, ხეებმა ფოთლები ააშრიალეს. ფრინველებიც მხიარული გალობით მიესალმნენ. ავტომფრენამდე ასიოდე ნაბიჯი ჰქონდა გასავლელი. მეიმ ორი ცალი ატამი მოწყვიტა, ავტომფრენისკენ გაემართა, სადაც პირადი რობოტი ჯო ელოდა.

–როგორ ხარ მეი, მთელი ასოცდაათი წამია გელოდები, ხომ არაფერი მოხდა?

–არა ჯო, ყველაფერი რიგზეა, უბრალოდ, შენთვის ატამი მოვწყვიტე, მიირთვი, ძალიან გემრიელია.

–მეი, უკბილო ხუმრობაა, ხომ იცი, რომ არ მიყვარს ატამი, მაგას სჯობდა შემეცნების უახლესი პროგრამები მოგეტანა.

–შენ რა, კიდევ აპირებ სწავლას? არ გყოფნის რაც იცი?

–რატომაც არა, ჩემი პოტენციური რეზერვი ჯერ არ არის ამოწურული.რაც მეტს ვსწავლობ, ვხვდები, რომ კიდევ მეტი მაქვს სასწავლი. თანაც, ღრმადპატივცემული მეის პირადი რობოტობა სულაც არ არის ადვილი–მე ხომ უკანასკნელი აღმოჩენების საქმის კურსში უნდა ვიყო!

–კარგი ჯო, ნუ ბუზღუნებ, მოგაწვდი უახლეს პროგრამებს, ახლა კი ინსტიტუტში წავიდეთ, ხომ გახსოვს, დღეს ბოლო,დასკვნითი ლექცია მაქვს წასაკითხი, თანაც მინდა, რომ საუკეთესო სტუდენტებს პირადად შევხვდე და გავესაუბრო.

–მე ყველაფერი მშვენივრად მახსოვს, მეი, დაჯექი. ოც წუთში ადგილზე ვიქნებით.

-ჯემა,მე მალე დავბრუნდები.ბევრს ნუ იცელქებ და ჩიტებს ნუ აწყენინებ.

ჯემა მორცხვი ყეფით შეჰპირდა.

–გაიზარდა ჩვენი ჯემა,არა?

-გაიზარდა,მაგრამ მაინც სულელია.მთელი დღეები ჩიტებს დასდევს.არ მესმის,რა მოგწონს ამ ძაღლებში,ისტორიას მიაგებ პატივს?მათ ხომ ამოწურეს თავიანთი ფუნქცია ადამიანის წინაშე?!ეხლა ხომ რობოტი ძაღლები ყველა პარამეტრით ჯობნიან. აი,ჩიტები მესმის,ისინი რობოტ ჩიტებზე უკეთესად მღერიან.

„სულელებსაც თავისი ფუნქციაა აქვთ.თანაც,სანამ ძაღლები ადამიანებში სიყვარულის გრძნობას იწვევენ,ისინი საჭირონი იქნებიან"-გაიფიქრა მეიმ,მაგრამ ხმამაღლა თქვა:

–ეჰ,ჯო,რომ იცოდე კიდევ რამდენი გაქვს სასწავლი...

–ეგ მეც ვიცი.ამიტომ, ატმების ნაცვლად სასწავლო პროგრამები მომიტანე.

ჯომ ავტომფრენს საჭირო კოორდინატები უკარნახა და ნებიერად გადაწვა სავარძელში. იგივე გააკეთა მეიმ და თვალები მოხუჭა. ავტომფრენი თითქმის უხმაუროდ აფრინდა და მიცემული მარშრუტით გაფრინდა.

ჯო უახლესი მოდელის რობოტი იყო.გარდა ენციკლოპედიური ცოდნისა, მას ჰქონდა იუმორის გრძნობა, იცოდა ყველა ენა, ყველა დროის ცეკვა და სიმღერა, იყო მშვენიერი მზარეული, მცველი და საერთოდ, კარგი მეგობარი. ერთადერთი, რაც მას არ შეეძლო, ეს თავისნაირების შექმნა იყო, თუმცა დავალება რომ მიეცათ, თავისზე დაბალი კლასის რობოტების წარმოების ხელმძღვანელობას მშვენივრად გაართმევდა თავს.

ერთი შეხედვით ძნელი იყო ადამიანისგან მისი გარჩევა.

* * *

ადამიანის განვითარების ინსტიტუტი დედამიწაზე, ერთ-ერთ თვალწარმტაც კუნძულზე მდებარეობდა. მასში ოცდაათიათასამდე სტუდენტი სწავლობდა. წელს ხუთი ათასი ახალგაზრდა ამთავრებდა სწავლის სრულ კურსს. მათგან ას საუკეთესოს უფრო საპასუხისმგებლო დავალებებს მისცემდნენ, ვიდრე დანარჩენებს, რაც თავის მხრივ, მათთვის უფრო მაღალ პირად ანაზღაურებაშიც აისახებოდა.

ღრმადპატივცემული მეი ყოველწლიურად ულოცავდა კურსდამთავრებულებს ამ დღეს, ხოლო ას საუკეთესოს კი პირადად გადასცემდა დიპლომს. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესოთა შორის მისი შვილიშვილიც იყო, ამჯერად მეის ასეულიდან მხოლოდ ერთადერთი სტუდენტი-შვილიშვილის მეგობარი ჰარი აინტერესებდა, რომელსაც დაბადებიდანვე ადევნებდნენ თვალს „ჰარმონიული სამყაროს მშენებლები"-ს პარტიის ხელმძღვანელები.

მეიმ კიდევ ერთხელ გაიხსენა ჰარის მაჩვენებლები: აზროვნების ისტორია და მართვა-0,95; სხეულის სრულყოფის ხელოვნება-0,96; ასტრომათემატიკა-0,94; გენური ინჟინერია-0,94; ადამიანის განვითარების თეორია-0,.96; თამაშების საშუალო კოეფიციენტი-0,96; ეგოიზმის კოეფიციენტი-0,014:ტვინის მარგი ქმედების კოეფიციენტი-0,67. ამ მაჩვენებლებით ის საუკეთესო ოცეულში შედიოდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი მისი პიროვნული თვისებები იყო. უნაკლო სხეულისა და შესანიშნავი ინტელექტის მქონე ჰარი ბევრ გოგონას მოსწონდა, ის კი რატომღაც ბოლომდე არ უახლოვდებოდა მათ, მოზღვავებული გრძნობები სპეციალური ვარჯიშებით სხვა ენერგიებში გადაჰყავდა. უნდოდა, რომ ქალი მხოლოდ მაშინ შეეცნო ბოლომდე, თუ მის მიმართ დიდი გრძნობა გაუჩნდებოდა; ისეთი, რომელსაც ვერავითარი სპეცვარჯიშით ვერ ჩაიხშობდა. როდესაც მისი მეგობრები სიყვარულის ხელოვნებას პრაქტიკულად ითვისებდნენ, ის ამ დროს საკუთარ თავზე მუშაობდა, ხოლო მათ ირონიულ შენიშვნებზე ღიმილით პასუხობდა, რომ მისთვისაც მოვიდოდა ეგ დრო.

"მეც მომწონდა თეორია „სუფთა აზრთა ძალის"-ს შესახებ,მაგრამ 15 წლის ასაკში თავი ვერ შევიკავე. ის კი უკვე ოცის ხდება".....

–შეგიძლია თვალები გაახილო მეი და შენი საყვარელი ინსტიტუტი დაინახო-შემოესმა ჯოს ხმა.

მეიმ თვალები გაახილა, შეხედა ლამაზ შენობას, რომლის წინა ფასადზეც დიდი ასოებით ეწერა:

გჯეროდეს ადამიანის!

მეიმ ავტომფრენის კარი შეაღო.

–წამოხვალ ჩემთან ერთად, ჯო?

–არა მეი, შენი ლექციები უკვე ზეპირად ვიცი. ჯობია აქ მოგიცადო, ახალი პროგრამებისთვის მოვემზადო, ოღონდ დიდხანს აღარ მალოდინო.

მეიმ გაიღიმა, გადმოვიდა ავტომფრენიდან და დამხვდურებს მიესალმა.

დამხვდურთა შორის იყვნენ ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ლაო, სხვა პროფესორ-მასწავლებლები, საპატიო სტუმრები და, რა თქმა უნდა, სტუდენტები. შევიდნენ დიდ დარბაზში და ადამიანის განვითარების ინსტიტუტის წლევანდელ კურსდამთავრებულთათვის პროფესორმა მეიმ დაიწყო ბოლო ლექციის კითხვა.

* * *

მეი უკვე ასრულებდა ლექციას, როდესაც ერთ-ერთმა სტუმარმა,მე-12-ე საათის ხელმძღვანელმა, შეტყობინება მიიღო: „ჩვენი ინფორმაციით სულის დეშიფრატორის აპარატზე მუშაობა დამამთავრებელ ფაზაში შედის. კოორდინატორის დღევანდელი მისიაც განსაკუთრებულია. გთხოვთ გააძლიეროთ ყურადღება”

მე-12-მ ღრმად ჩაისუნთქა, ორგანიზმის მობილიზება დაიწყო და მთლიანად მეის პიროვნებაზე გადაერთო.

...მიანიჭა რა ადამიანს აზროვნებისა და შემოქმედების უნარი,შექმნა რა თავის მსგავსად,ამით შემოქმედმა მისცა ადამიანს შესაძლებლობა,რომ ამაღლებულიყო მის დონემდე,კოსმოსამდე, რომელიც წარმოუდგენლად დიადია. მაგრამ, ასევე დიადია ადამიანის ტვინის შესაძლებლობები.თუ ადამიანს არ შეუძლია მისი სრულად ათვისება, გამოდის, რომ შემოქმედ კოსმოსს,ბუნებას მისთვის მიუცია ზედმეტი,უსარგებლო რამ. მაგრამ, ჩვენ ვიცით,რომ ბუნებაში უსარგებლო და ზედმეტი არაფერია! როგორც ჩვენ გვიყვარს ჩვენი შვილი და გვსურს, რომ გაიზარდოს და გვაჯობოს ყველა სფეროში, ასევე უყვარს შემოქმედს თავისი შექმნილი,სურს, რომ ის მის დონემდე ამაღლდეს და გახდეს მისებრ სრულყოფილი.არასრულყოფილი ადამიანებისგან განსხვავებით, სრულყოფილებში არ არის შეჯიბრი, ისინი მხოლოდ ამდიდრებენ ერთმანეთს და ამით თვითონაც უსაზღვროდ ვითარდებიან. ამიტომ, ჩვენი აზრით, შემოქმედამდე ამაღლება,გარკვეული აზრით, ადამიანის მოვალეობაა.

გილოცავთ ინსტიტუტის დამთავრებას, გისურვებთ წარმატებებს ცხოვრების რთულ გზებზე. ყოველთვის იყავით მზად ცვლილებებისა და რევოლუციური ნახტომებისთვის. გახსოვდეთ, რომ:

1. რადგან კოსმოსში ადამიანის არსებობა რეალობაა,ამიტომ ის ცვლის კიდეც მას.

2. ადამიანს აქვს შემეცნებისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარი.

3. ადამიანს შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების სრულად ათვისება.

არ დაივიწყოთ ჩვენი ინსტიტუტის დევიზი:

გჯეროდეს ადამიანის!

ბოლო სიტყვები მეიმ ტაშის გრიალში წარმოთქვა.

დაიწყო დიპლომების გადაცემის საზეიმო ცერემონია. სცენაზე ერთ-ერთი პირველი ავიდა მისი შვილიშვილი ტონი.ის,.რაც უფრო იზრდებოდა,უფრო მეტად ემსგავსებოდა ტრაგიკულად დაღუპულ მამას. მეის წამიერად თვალში ნაღველი ჩაუდგა.

-ტონი,მიხარია,რომ ას საუკეთესოთა შორის გხედავ!,იმედია,მესტუმრები,სალაპარაკოც ბევრი დაგვიგროვდა.

-რა თქმა უნდა გესტუმრები,მეც მომენატრა შენთან საუბარი,მაგრამ ცოტა მოგვიანებით. მე და ჩემი მეგობრები ანტარქტიდაში მივემგზავრებით ორი კვირით.

-ნაკლები ექსტრიმი და მეტი დასვენება.გელოდები!

აი ჰარიც.

-გილოცავთ ინსტიტუტის წარმატებით დამთავრებას,მინდა იცოდეთ,რომ თქვენზე დიდ იმედებს ვამყარებთ.თქვენც მიემგზავრებით ანტარქტიდაში?

-რა თქმა უნდა.მე და ტონი ხომ მეგობრები ვართ!? მარტოს ხომ არ გავუშვებ, ხომ იცით,სულ სახიფათო ტრიუკებზე უჭირავს თვალი.

ახალგაზრდას მოეჩვენა, რომ დიპლომის გადაცემისას მეიმ მას რაღაც განსაკუთრებულად გაუღიმა.

.....ახლა კი გისურვებთ სასიამოვნო დასვენებას. ორი თვის შემდეგ ყველა მიიღებთ საპასუხისმგებლო დავალებებს და თქვენს ცოდნას მოახმართ კაცობრიობის განვითარებას.

მეი დაემშვიდობა დარბაზში მყოფთ და მცირერიცხოვან გამცილებელთა თანხლებით თავისი ავტომფრენისაკენ გაემართა.

–ყოჩაღ, მეი, ამჯერად სულ ოციოდე წამი დააგვიანე.

–რა სიახლე გვაქვს?

–მე-5 საათის ხელმძღვანელმა სამი წუთის წინ შეგვატყობინა, რომ ნაპოვნი გვამი უკვე ლაბორატორიაშია და აღდგენითი სამუშაოები დაწყებულია. ისიც აღნიშნა, რომ ექიმთა ჯგუფის აზრით, მის სრულად აღდგენას 40-45 დღე დასჭირდება. ახლა საით, მეი?

–ახლა ჩემთან სახლში, შემიძლია დავისვენო, შეგიძლია შენც დაისვენო.

–გინდა მაწყენინო არა? ხომ იცი მე დასვენება არ მჭირდება, შენ კი არ გგავარ, მე კლუბში შევივლი,ცოტას გავერთობი.

-ამ ბოლო ხანს მოუხშირე კლუბში სიარულს,ხომ არ შეგიყვარდა ვინმე?

-სიყვარული ხელს უწყობს ახალი პროგრამების ათვისებას-უპასუხა ჯომ

-ადამიანებს ხშირად პირიქით ემართებათ,სიყვარულის დროს გონება ეფანტებათ ხოლმე...

-ვიცი,თქვენ ძალიან სუსტები ხართ.

-მე არ გამაცნობ?-

-რა ცნობისმოყვარე ხარ,მეი,როცა საჭიროდ ჩავთვლი,მაშინ გეტყვი ყველაფერს.

-კარგი,როგორც გინდა,ჯო.ეხლა კი მეხუთე საათის ხელმძღვანელთან დამაკავშირე. „საინტერესოა,როგორი რეაქცია ექნება,როდესაც გაიგებს,რომ ეს ჩვენ დავაპროგრამეთ ისე,რომ იოკას სურნელი მოსწონებოდა”...

–ისინი ანტარქტიდაში აპირებენ დასასვენებლად წასვლას. შეარჩიე მცველთა ჯგუფი, ჩაერიონ მხოლოდ გარე საფრთხის დროს. ვფიქრობ, რომ შესაძლო მოწინააღმდეგენი რაღაცას ხვდებიან. არ ვიცი, ეს უბრალოდ მათი სიფრთხილის განსაკუთრებული ზომებია პლანეტების თანხვედრის შემდგომ ეტაპზე, თუ რაღაც მეტი იციან.

მეის ავტომფრენს ყველა ავტომფრენი ავტომატურად გზას უთმობდა.

გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში

ერეკლე საღლიანი

მედეა[4]

(სვანური ვერსია)

არც რამ იყო, არც ხდებოდა არც რა,
დედამიწამ გაიბრწყინა მზისებრ,
მამაჩემმაც, ვით პურადმა კაცმა
ვერძთან ერთად შეიკედლა ფრიქსე.
მე ყველასგან სიმართლის თქმას ვითხოვ,
ვითვლი ზღვაზე თეთრ ტალღების ნაკრავს,
რა არა თქვეს, მამაჩემმა თითქოს,
ოქროს ვერძი მჭრელი დანით დაკლა.
სტუმრისათვის ღია არის კარი,
იკურნება აქ, ვინც არის ავად,
არ დაუკლავთ კოლხებს ფრიქსეს ცხვარი,
ოქროს ვერძი შეგვეწირა თავად.
წყალზე დადის თავის ფეხით მწუხრი,
მცნობი ყოველ სიკეთის და ავის,
გადიფინა ათასწლოვან მუხის
ვარჯ-ტოტებზე ოქროს ვერძის ტყავი.
კი დაუჯდა ფრიქსეს მოსვლა კოლხეთს,
კი დაუჯდა იგი მეტად ძვირად,
მამაჩემმაც გეტყვით, იმ განძს, მოკლედ
გველეშაპი დაუყენა მზირად.
რომ ხედავდა მამა ფრიქსეს მდუმარს,
გულს უკლავდა მეფეს მისი ჟრუოლა,
მამაჩემმაც მოულოდნელ სტუმარს
ქალკიოპე გაატანა ცოლად.
ეტყობა რომ ჩაწვდა იმის ტკივილს,
ახლობელი ფრიქსეს არვინ ჰყავდა,
იმედი თუ ოდნავ მაინც ღვივის,
მოიქცევა კაცი კაცის მსგავსად.
მე კი ვხედავ, იძვრის შორით გემი,
იძვრის გემი მბორგავ ზღვათა ზედა,
რაც არ ითქმის მომაკვდავის ენით,
იმ ყველაფერს განვიცდი და ვხედავ!
ნუ გიკვირთ, რომ ალღოს ვუღებ მყისვე,
ყველა საკითხს, ყოვლის შემცნობ ლოგოსს,
მე ნარსულში ვიხედები ისე,
მომავალში ვიხედები როგორც.
გამოცანას სოფლის ჩავწვდე, ვინძლო,
ჩამოვჯდები გუთნისდედის ქოხთან,
ნურც ის გიკვირთ, რომ იმასაც კი ვგრძნობ,
ათასი წლის წინ უკვე რომ მოხდა.
რა მოხდება ვიცი, ას წლის შემდეგ,
საუკუნის შემდგომ სურათს ვხედავ.
შენ, მკითხველო, წამით მაინც შესდექ,
თუ ჩაწვდები ჩემს საფიქრალს ნეტავ?
არ იფიქრო, რომ თავს ვიმართლებდე,
საკუთარი თავის განსჯას რა მრჯის?
თუ არ ასწევ ტვირთს ასაწევს, ჩემდენს,
ისე ნულარ შემრისხავ და განმსჯი!
მოდის იაზონ, მოდის მისი „ არგო“,
აქ აღწევენ არგონავტთა ხმები,
თვით არ ვიცი, მათზე რისთვის ვდარდობ,
ურთას მინდვრის თივისებრ რად ვხმები?
იაზონს კი ბიძამ პელიასმა,
დავალება მისცა მეტად მძიმე,
შეძლოს ერთმა, რაც ვერ შეძლო ასმა,
ახლოს ხელი სულის ქნარის სიმებს,
ოლიმპოზეც მიწვდეს ღრუბლის ნაჭრებს,
მისი ძმებიც მიუწვდომელს მიწვდნენ,
კორინთოში დიდი არხი გაჭრეს
და ორი ზღვა შეაერთეს მტკიცედ.
იოლკოსში დაუკრავენ ბუკებს,
ყველას თანგავს მოლოდინი ახლის
და პეგასის ნავსადგურში უკვე,
მათ ელოდათ შეკრებილი ხალხი.
ითქვა: ყველამ უნდა დასდოს თავი,
ჯოჯოხეთიც რომ დაატყდეთ თუნდაც,
იაზონმაც ოქროს ვერძის ტყავი
საბერძნეთში დააბრუნოს უნდა.
ბედო, მისი ბედი თავად საჯე,
მოდის „ არგო“ იაზონიც მოდის,
ნაწილია მისი მყარი საჭე,
დოდონის ხის წმინდა მუხის ტოტის.
გაცილებას ახლდა დიდი ლხინი,
არვინ არის მოწყენილი, მწყრალი,
მოხვდნენ, სადაც ორ კლდეს შუა გრგვინვით,
დანავარდობს ჰელესპონტის წყალი.
იაზონი თვის ხალხს ისევ სარდლობს,
თვალები ჰგავს მისი მკვახე ისრიმს,
დაპირქვავდა უცებ ზღვა და „ არგოს“
ოთხივ კუთხივ ნაფოტივით ისვრის.
კარგ ყმას ერი თვლის ღირსების მცველად,
თუ აქვს ძალა იმას ბნელთან დავის,
უნდა შექმნას მოკვდავთაგან ყველამ,
უნდა შექმნას საკუთარი თავი.
მეც ვქმნი ჩემს თავს, ჩემი ღრუბლის ფრთებს ვშლი,
ერთმანეთი კარგად შევათავსეთ,
მე საწმისში, საწმისი კი ჩემში,
გადვიღვრებით და ერთმანეთს ვავსებთ.
ჩემ ხალხისგან განდგომილი ვარ და
ვეპარები საიდუმლოს მალვით,
ის, ვინც გასწევს დღეს იზიდას ფარდას,
ჯემშიდის თასს ვინც ემთხვევა კრძალვით,
იმას ველარ შიშნეულყოფს მწუხრი,
შესწევს ძალა, მთა გადადგას ვინძლო,
ის სიმშვიდით გადმოცემულ წუხილს,
ენით უთქმელ ნეტარებას იგრძნობს.
ფორმის სულებს ებრძვის შეითანი
გააშოროს სურს ქალი და კაცი,
საიდუმლო თუ არ შეიცანი,
ვერ დააღწევ თავს აჩრდილთან ლაციცს.

4 **დასაწყისი იხ. ''ისინდი'' № 13, № 14**

ვერ დააღწევ, თვალს თუ ვეღარ ახელ,
ვერ გაიგებ, აქ ხშირად ქვაც რად ტირს,
ეს საწმისი არის წინასახე,
დაგრაალის თასის პირველ ხატი.

იტყვის ერთი: ამ გზას რაღა გალევს?
თუ გვაქვს თავი ჩვენ ტალღებთან დავის,
ფათერაკის მაძებრებმა ტალღებს,
ერთიანად დააღწიეს თავი.
იაზონი წყალს ნიჩბებით უტევს,
სტიქიასთან გემს საომრად აშლის,
გადალახავს დარდანელის სრუტეს
და ხომალდით შევა პონტოს ზღვაში.
ახმაურდა ქალი, კაცი, ბალღი,
სტუმრებისკენ გზას სუყველა აგნებს,
ქუთაისში შემოსული ხალხი,
მზერას ვეღარ აშორებდა ტაძრებს,
ვერ ნახავდით უპოვარს და გლახებს,
სტუმრებისთვის ზღვა უვლიდა ფერხულს,
უკვირდათ ის, თუ კი რამე ნახეს,
ოდნავადაც რომ არ ჰგავდა ბერძნულს.
კაცი უნდა პატრონობდეს თვის თავს,
გაუძღვება მეფე კოლხებს წინა,
ის მასპინძლის წესსა და რიგს იცავს,
მიუჩინა სტუმრებს მყუდრო ბინა.
მოლოდინი გამერია ხმაში,
ნამს იშრობდნენ მზეზე ჩემი თმები,
აბა, მე რას ვიფიქრებდი მაშინ,
გადამთიელს თუკი ვისურვებდი.
წარსულიდან მომავალი მიხმობს,
მე ვიგონებ გარდასულ დროს ოხვრით,
ნუ გამწირავთ აიეტის პირმშოს,
მხოლოდ ჩემზე ნუ გატყდება ჯოხი!
თვალს მიკრავს მზე ზღვაში ჩასული და,
ვცდილობ ჩავწვდე საწყისსა და ბოლოს,
ვინ დამწყევლა, ჩემი წარსულიდან
მოგონება რისთვის შემრჩა მხოლოდ.
დაეგზნება ცეცხლი ჩემს თეთრ ღაწვებს,
ტყდება ბროლი ჩემი გულის ფიცარს,
მოკვდავთაგან თავს ვერავინ აღწევს,
ეროსისგან ნასროლ ცეცხლის ისარს.
ვიცი, კვლავაც მწარედ მყვედრით, მრისხავთ,
ვიცი, თქვენი სიტყვა ჩემს არ ერთვის,
ადამიანს რატო განიკითხავთ,
როცა სცოდავს, სცოდავს თავად ღმერთი.
ძილის ძალა მოკვდავს ძილს მგვრის, მთიშავს,
აფროდიტე გწამდეთ, უნდო რამ არს,
ზღვის ქაფიდან ქალღმერთი, რომ იშვა,
ძილში შესულს წელზე მაბამს ქამარს.
ქვაში ვმალავ ცეცხლს და დღესაც მესმის,
მესმის ბერძენ ღმერთ-კაცების ქება,
მათ ჩათესეს ჩემში უცხო თესლი
და წამართვეს თვითგანსჯა და ნება.

გასარკვევი გაირკვევა როდის?
თქვი, სიმართლე რად იმალვის, გნუკევ?
მე ხომ ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი,
მე ხომ ჩემს თავს ვეღარ ვფლობდი უკვე.
ვენახიდან გარბის ყველა ლერწი,
თავად სიცხე იწყებს პურის ცხობას,
აქ ერთბაშად ქალღმერთი და ღმერთი
ატარებენ მომაკვდავის ცოდვას.
შევცდი, რომ ჩემს ღმერთებს ვერღა ვუხმე,
ვერ ვასმინე ხმა ჯუმას და თახას,
ვეღარც ობის, ძუღურიას უხნესს,
მარტოხელა დავრჩი ქალი რახან...
საგულეში აღარ მქონდა გული,
ვცან, სულეთის ლანდი თავზე მადგას,
უძლურქმნილი, ძალადალეული,
ბრმა დინებამ გამიტაცა სადღაც.
მსურდა ძალზე, მაგრამ ვეღარ მივწვდი,
ჩემს მფარველებს რაშასა და თეშუბს,
ქალი ვარ და ნატეხი ვარ მიწის,
ვერ გავისვრი, რა ვქნა, მტრისკენ მე შუბს...
თახას ჩვენთვის ჭირნახული მოაქვს,
ჯუმა ცდილობს გამყარებას ძმობის,
ვობის ცაზე მეხთატეხის დრო აქვს,
ძუღურია ზღვას მოგვისევს როდის?
სახლის ფუძეს, კერას იცავს რაშა,
თეშუბი კი ძალგულოვან მხედრებს,
ძარღვში უკვე ცხელი სისხლი გაშრა,
მათ მიღმა თუ მოვხვდი, რა ვქნა, ვერ ვძლებ.
მესევიან სურვილები გუნდად,
უმთავრესი სურვილი ვერ დავთმე,
ვარ ჰეკატეს ქურუმი და უნდა
ვემსახურო თეთრი მთვარის ქალღმერთს.
იმ დღეს, როცა აიშალა კერა,
აღარ ვიყავ როცა ძალზე მშვიდი,
ჩამრჩა სულში უფლისწულის მზერა
და ეროსის მოზიდული მშვილდი.
მე გახედვას მისკენ ჩუმად ვბედავ,
მზე დამნათის და თოვლივით ვდნები,
ჯერ კოლხთაგან არვის შეუხედავს

ჩემთვის ასე მძაფრად, ასე ვნებით.
ცეცხლი გაჩნდა შევარდენის ფრთაში,
თითქოს მაღლა აიწია ზეცა,
თვით არ ვიცი, თუ რა მოხდა მაშინ,
ამისთანა რა პირკატა მეცა.
ვგავარ ახლა უსაშველოდ მძინარს,
ვდგავარ სკილას და ქარიბდას წრესთან,
მარჯვენა ფეხს თუ წარვდგამდი წინა,
მარცხენა მე უკან რატომ მწევდა?
შტოდან შტოზე გადასკუპდა შაშვი,
გადაუსვამ საკრავს ნაზად ხემსა,
ვერ ავხსენი მე ეს განცდა მაშინ,
და ვერაფრით ამიხსნია დღესაც.
შეჩვეული ლაშქრობებს და ომებს,
ჰყვება იაზონ, თავის გმირულ ამბავს,
მოაცილა აქ ჰერაკლეს ღონემ,
ორფეოსის უტკბილესმა ჩანგმა.
მამისაგან ოქროს საწმისს ითხოვს,
ალალია, ფიქრობს იგი, მისთვის,
ისე უბნობს, რომ მზად არის თითქოს,
მიერთმიოს ძღვენი დაღლილ მზისთვის.
ის, რაც ვიგრძენ, ვერავინ ვერ წაშლის,
გადამირბენს მამრის მზერა მკერდზე,
მიკვირს, ხეპრე, ამპარტავან კაცში,
ამაღლებულ სიყვარულს რად ვეძებ?!
ვამბობ იმას, რაც ათასგზის მითქვამს,
ვებრძვი მაინც, მე შემშალა რამაც,
ვიელვე და ავუჯანყდი ჩემს თავს,
ავუჯანყდი ახლობლებს და მამას.
გადვუხვიე მონიშნული გზიდან,
ვაგლახ, ვეღარ ვნახე ჩემი ფარდი,
ქვეყანაზე მაინც ვერვინ ზიდა,
კოლხი ქალის ტკივილი და დარდი.
ვეღარ ვაფრთხობ შემოსეულ სიზმრებს,
ვეღარ ვუთმობ ცხად-ჩვენებებს დიდ დროს,
ერთადერთი რაც ვერ დავივიწყე
იყო ჩემი ძიძის თვალთა სითბო.
ააკვნესე ჩემი ჰანგი, ლირავ,
სურვილი მაქვს არსებულის მსხვრევის,
მე ყველაფერს თუ სიყვარულს ვწირავ,
ორგულობა რატომ მრჩება ხელში?
მაინც, ორთავ ქვეყნად, აქაც-იქაც,
სასჯელს ჩემსას მე არაფრით ვიხსნი,
ვაჟკაცი, ვინც არ გაურბის ხიფათს,
კია ქალის მოწონების ღირსი.
რომ დამჭირდეს მახობელას მარცვალს,
მიწაშიაც კი ვუპოვნი საყრდენს,
დამიჯერეთ იაზონის ნაცვლად
მე რომ შევქმენ, იმ გმირს ცოლად გავყევ.
ასაწონი იწონება წონით,
რასაც ვპოვებთ, გზა - გზა რისთვის ვკარგავთ?
სანატრელი ჩემი იაზონი
ნამდვილ იაზონს სრულებითაც არ ჰგავს,
არ ეძინა ქალკიოპეს ღამით,
დარაჯობდა ის საკუთარ შვილებს,
ოთხივე ვაჟს მრწამსი ჰქონდა მამის,
არ კარგავდნენ ხვალინდელ დღის იმედს.
უცხო ტომი კოლხეთს გადმოსული,
შეხიზნული იყო მეფის კარად.
ხესაც უთქვამს, რას მიზამდა ცული,
თავად ხე რომ არ ეკეთოს ტარად.
ფრიქსესა და ქალკიოპეს ნაგრამს,
წამითაც კი აღარ ქონდათ მოცლა,
კი გაზარდა აიეტმა, მაგრამ
უღალატეს დრო იხელთეს როცა.
გადისვრიან ძმები მარჯვედ ლაზოს,
ჰგვანან სისხლზე მონადიმე ჭილყვავს,
მათი პირით გადაეცა იაზონს,
ყოვლისშემძლე, გრძნეული რომ ვიყავ.
ამ ყველაფერს რომ ვიხსენებ ახლა,
მაკარგვინებს ჩემს შნოსა და იერს,
კი ვაქციე დედამიწა სახლად,
საკუთარ თავს მაინც ვეღარ ვძლიე.
ვაი, იმ კაცს ვინც ყოველთვის ფლიდობს,
ქალში ქალის ნაცვლად ხედავს მზითევს,
მოვიდეს და ახლა იმან ზიდოს,
რა სიმძიმეც მე რომ მისთვის ვზიდე.
გავიფიქრე, რომ ისევ ის მიხსნის,
ამათრთოლა და შემშალა ვინაც,
კოლხეთს მოსულ მაძიებლის სიკვდილს
ჩემს სიცოცხლით ავეფარე წინა.
განმკითხველო, ნუ ჩაგრჩება ხინჯად,
ნუ შეხედავ ზიზღით ჩემს დიდ ოდას,
იაზონიც, თავს რომ იჭერს დინჯად
ვით მე, თვის თავს აღარ ეკუთვნოდა.
მასაც დააქვს განჩინება სხვისი,
დამნაშავე ყველაფერში დროა,
ეროსის მშვილდს ვერ გაექცა ისიც,
მასაც გულში გაუარა ზრომა,
თვალს სჭრის მოსულს ჩვენი ოქრო-ვერცხლი,
ტყუილა ეძებს ის წყვდიადის მძლევარს,
აღარ არის იგი რადგან მსხვერპლი,
ტარიგი და მსხვერპლი მხოლოდ მე ვარ!
ჩემმა ძიძამ შემახსენა ერთხელ,
ელადაზე რომ მომითხრო გაკვრით,
თან სდევთ ყველგან საბერძნეთის ღმერთებს,
კაცის ყველა სიკეთე და ნაკლი.
ოლიმპოზე ნადიმია ფერთა
სიტყვას ვტოვებ მარმარილოს ლოდთან,
რომ ეროსმა არა მარტო ჩემთან
სტუმართანაც უკეთურად სცოდა.
ეს მიტომ, რომ იმის ხელში როა
მაცდურების ბაწარი და მახე
ვიხსნი ნიღაბს, ვამბობ უკვე დროა
დავანახო ყველას ჩემი სახე.

(გაგრძელება იქნება)

როსტომ შამუგია

ილორსა ვარ მონათლული! ...

იმხანად შვიდი წლისა გავხდი. აგვისტოს ნახვატარ-გათანგული დღე სულს ღაფავდა. როგორც ბაბუაჩემს უყვარდა თქმა, მზე გაივლიდა კიდევ ყალიონის ტარისოდენ მანძილს და ზღვის დასალიერთან ჩაუშვებდა ღუზას, ჩვენი სახლიდან სავარაუდოდ, ათიოდე ვერსის მანძილზე, როგორც ეს მაშინ, ჩემი წარმოსახვით, ზუსტ მანძილად მქონდა მოაზრებული ...

ჩვენი დიდი ჯალაბი ვახშმად დასხდა. ხარობდა ოჯახი, რამეთუ გვსტუმრობდა ბაბუაჩემის ძმისწული, ძველი სემინარიელი, ღრმად განსწავლული და ენამჭევრი ასთამურ შამუგია. თამადობა ითავა ასევე ძველმა სემინარიელმა, 90 წლის, მაგრამ ჯანუტეხმა ბაბუა ბეგლარმა. ორიოდე სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდგომ თამადამ მიმართა თავის ძმისწულს: - „ჩემო ასთამურ, ბოლოს და ბოლოს, გაგვიქრისტიანე ჩვენი ღოჩი, ჰა, რას იტყვი?“ (ღოჩი ჩემი ბავშვობის ხანის მეტსახელია, მთელს სამურზაყანოში უპირველესი მონადირის, იშვიათი მეყავრის (ყავრის მთლელის), ახოვნობით გამორჩეული ვაჟკაცის - ვალოდია ბერულავას მიერ შერქმეული) ... ასთამურმაც არ დაუყოვნა პასუხი: - „ბეგლარ ბიძია, გვიახლოვდება დიდებული ილორობის დღესასწაული, მოვითადარიგოთ რამერუმენი და უკეთეს დროს ვერც ვინატრებთ, თუკი კადირ-ბეი ყაბულს იქნებაო“ ... (კადირ-ბეი მამაჩემის მეტსახელია, თავისი ძუძუმტის, შესანიშნავი ისტორიკოსისა და ღირსეული ვაჟკაცის, იშლორ გვაძაბიას მიერ ჭაბუკობისას შერქმეული) ... ბუნებრივია, მამაჩემმაც უმალვე დასტურჰყო ინიციატივა, ხოლო თამადამ მორიგი მშვენიერი სადღეგრძელო ბრილიანტის სამკაულივით ჩამოუგვირისტა ურთიერთმეტრფე თანამეინახეთ ...

... აჰა, დადაგა ის ნანატრი ილორობის დღესასწაულიც - 20 ნოემბერი ... დადქმისამებრ, 20 ნოემბერს, ჩვენი სოფლიდან, ქვემო ბარღებიდან, ალიონზევე დავადექით ილორის წმინდა გიორგის სახელობის საესავი ტაძრისკენ მიმავალ თემშარას ... ჩემს მშობლებს და ასთამურს (ჩემს ნათლიას) წინდაწინვე დაეჭირათ თადარიგი ამგვარი ვითარების შესაფერისად ... გავიარეთ გალი, აჩიგვარა ...

ტრასაზე ტევა აღარ იყო, დიდიან-პატარიანა, ქალი, კაცი, ჭარმაგი თუ ახალგაზრდა,

2

ერთიანად მიისწრაფოდა ილორობის დღესასწაულზე ... მიუახლოვდით ილორის სანახებს, ყველა ჩვენ გვიმზერდა; საბაბიც ჰქონდათ ... საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი სახლიდან ილორამდე გასავლელი მანძილი ჩვენ ვიმგზავრეთ ჩემი ნათლიის, ასთამურის ძველმოდური, წყვილტაიჭშებმული ფაეტონით, რაც იწვევდა ხალხის, განსაკუთრებით ახალგაზრდათა განცვიფრება-აღტაცებას, რამეთუ, ფაეტონი იმხანად ექსპლუატაციიდან ამოღებული იყო და ანტიკვარულ ფუფუნებად ქცეულიყო ... როგორც მახსოვს, მთელ სამურზაყანო—აფხაზეთში ასთამური იყო ერთადერთი, ასე ვთქვათ, უკანასკნელი მოჰიკანი, რომელიც ფაეტონს ვერ შელეოდა ... თუმცაღა, უფრო სხვა, მნიშვნელოვანი მიზეზიც არსებობდა ... ასთამური გახლდათ ძველი დისიდენტი; ვერ იგუა ბოლშევიზმი მისმა ლაღმა, თავისუფალმა გონსაწიერმა; ბოლშევიკებს ეშმაკის ამფსონებად მიიჩნევდა, რაც თავიდან მიკვირდა კიდევაც, რამეთუ, სკოლაში პირუკუ გვასწავლიდნენ ... ისე გადააცილა ასთამურმა ცხრა ათეულს, რომ არასოდეს უსარგებლია „ბოლშევიკების მანქანით“, მეტიც, სადაც სამანქანო გზა არსებობდა, იმ მიდამოში ასფალტსაც არ დააკარებდა ფეხს, ბოლშევიკების დაგებული ასფალტიაო ... ასევე, არასოდეს ჩამდგარა იგი ბოლშევიკთა სამსახურში ...

აი ამგვარი პრინციპის მიმდევარი იყო ჩემი სანუკვარი ნათლია და ეს გახლდათ თავმიზეზი პრეისტორიული ფაეტონით ილორს ჩვენი მგზავრობისა, მით უფრო, ილორობის დღესასწაულზე, მაშინ, როდესაც აქ თავს იყრის არამხოლოდ აფხაზეთის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის გარკვეული წარმომადგენლობა ... ასე იყო იმ დღესაც, ტაძრის ეზო და მისი შემოგარენი სავსე იყო, გავლა-გამოვლა ჭირდა ...

... ის დღე, დღე — ჩემი ქრისტიანულ ყაიდაზე მოქცევისა, ერთ-ერთი უბედნიერესთაგანია ჩემი ცხოვრებისა ... მახსოვს, ილორის წმინდა გიორგის სახელობის თეთრად შეფეთქილი გრანდიოზული ტაძარი აგველანდა თუ არა სივრცეში, დაქვეითება გვთხოვა ასთამურმა; ეტლი ტაძრის გასწვრივ მიმდებარე მოედანზე გადააყენა და ვეება ჭადრის ქვედა, გამონაშვერ ტოტზე მიათასმა ავშარა

...

იქნებოდა დილის თერთმეტი საათი, როცა დაქვეითებულნი მიუახლოვდით უფლისა და კაცთა საესავ ტაძარს. არამიწიერად გასხივიერებოდა სახე

3

იმპოზანტურ და ხიბლითმოსილ ასთამურს; გეგონებოდა სიხარული ზღვად უდგას თვალებშიო ... ბაბუაჩემიც წარმტაცად მოჩანდა, თავის განუყრელ ჩოხა-ახალუხში იყო გამოწკეპილი, წელზე ძველთაძველი მოგრძო და ვერცხლითმოსევადებულ — მოზარნიშული ხანჯლითა და ასევე, მოზარნიშული მაუზერით ...

ბებიაჩემიც საგანგებოდ იყო მორთულ-მოკაზმული; რასაკვირველია, მამაც საგანგებოდ იყო ჩაცმულ-დახურული ... თითოეულის სახეზე განსაკუთრებული სიხარული იკითხებოდა ... მოკრძალებით შევაბიჯეთ ტაძრის ეზოში; ბაბუამმუხლი მოიყარა, ჩვენც მივბაძეთ; საკმაო ხანს ვიყავით ყუჩად ... ბოლოს, პირჯვრის სამგზის გარდასახვის შემდგომ, წამოვდექით და შევედით შიგნით ...

მღვდელმსახური და ასთამური თანასემინარიელები გამოდგნენ; ცოტა ხნით ურთიერთ მოკითხვის შემდგომ, მღვდელმა გასცა განკარგულება და ოციოდე წუთში მზად იყო ყველაფერი ნათლობის რიტუალის საცერემონიოდ ... ნათლობის საგანგებო რიტუალის გასრულების შემდგომ, სამგზის გამატარეს წმინდა გიორგის მშვილდის საბელქვეშ; მახსოვს, დავიხარე და ისე გავიარე ხსენებული მშვილდის საბელქვეშ ... ამის შემდგომ, ხვათა ბებიამ, ტრადიციისამებრ, ტაძრის ეზოში ააფრინა სახლიდან საგანგებოდ წამოყვანილი დედალ-მამალი მტრედი, რომლებმაც ერთხანობას ინავარდეს ჰაერში, შემდგომ კი ჩამოსხდნენ ტაძრის სახურავის კიდეზე და მორთეს საამო ღუღუნი ... იმ დღეს ყველაფერი მეტად საამური და თვალის მომჭრელი იყო, მაგრამ ყველაზე უფრო თავად ნათლობის წმინდა რიტუალი ჩამრჩა გონსაწიერის სიღრმისეულ შრეებში სამარადჟამოდ ... ამასობაში, მამაჩემს სადილის თადარიგიც დაეჭირა, ჭედილა ასო-ასოდ აექნა და სპილენძის კარდალაში ხარშავდა, ტაძრიდან მოშორებით, მიმდებარე ტერიტორიაზე. მავანსა და მავანს უკვე მოესწრო შეზარხოშება და მშვენიერ განწყობაზე იყო ... ბოლოს, ჩვენც დავსხედით სადილად უშველებელი ჭადრის ქვეშ, სახელდახელოდ გაწყობილ სუფრასთან ... უფლის, წმინდა გიორგისა და ხატ-სალოცავთა საესავი, მოკრძალებული სადღეგრძელონი გაახმიანეს უფროსებმა და ბოლოს, ეს სახელდახელო ტრაპეზი გაასრულეს ბაბუაჩემის მოთავეობით ვირტუოზულად შესრულებული გალობით უფლისადმი ... ის-ის იყო ეტლის დაძვრას ვლამობდით, რომ იჩქითად, ჩვენს შორი-ახლო მოტრაპეზეთა ჯგუფს გამოეყო წარმოსადეგი ვაჟკაცი და ჯიქურ მოიჭრა ჩვენთან

4

... მოსული და მამაჩემი მყისვე გადაეხვივნენ ერთმანეთს ... აღმოჩნდა, რომ ეს კაცი იყო ოსმან შელბა, მამაჩემის თანაკურსელი, პურად-გულადი და ავკარგიანი აფხაზი ... არ მოგვეშვა, თავის სუფრასთან მიგვიპატიჟა აფხაზმა ... ოსმანმა სავსე თასით ილორობის დღესასწაულზე მონათლულთა და ნათლიათა სადღეგრძელო შესთავაზა თანამეინახეთ ... შემდეგ მომცრო ჯიხვის რქით უფლის სადიდებელი წარსთქვა ლამაზად, წამებში დასცალა ყანწი, ცერზე დაიპირქვავა, მკლავი ზეაღმართა და ხმამაღლა შესძახა: - კადირ-ბეი, შენთანა ვარ ალავერდს, თუ გული გერჩის, შეავსეო - და ამ სიტყვებთან ერთად ცარიელმა ყანწმა ჰაერში მოხაზა რკალი მამაჩემის მიმართულებით ... იყოჩაღა ამგვარ ვითარებაში გამოჯეკილმა მამაჩემმაც, ჰაერშივე ჰკიდა ხელი ჯიხვის რქის შუაწელს, პირთამდე გაავსო, შემოთავაზებულ სადღეგრძელოს თავის მხრიდან ხიბლი შეჰმატა და სულმოუთქმელად დასცალა თავადაც ... თითო ფიალაც შევსვათ „ვახტანგურად“, ჩვენი ძმობისაო, - არ ეშვებოდა ღვინომოჭარბებული აფხაზი ... მაგაზედაც ყაბულსა ვარო - უპასუხა თავადაც პურადობით გამორჩეულმა მამაჩემმა ...

დალიეს „ვახტანგურიც“, ითქვა ხატ-სალოცავთა სადიდებელიც ... კვლავ გამოსცალა ფიალა საღერღელაშლილმა ოსმან შელბამ ... შემდგომ სიმღერის იშტაზე დადგა აფხაზი, შემოსძახა ძველჟამური აფხაზური „ვარადა“, მხარი აუბა მამაჩემმაც და ასთამურ ნათლიამაც ... ახლა კი ვიცეკვოთ, „ილორობა“ ცეკვის გარეშე არ გამიგია; აბა, კადირ-ბეი, ჭაბუკობა გავიხსენოთო - არ ცხრებოდა მამაჩემის მეგობარი ... ცეკვავდნენ დიდხანს ჩაუქად, თითქმის ქანცის გაცლამდე

... მომავალი „ილორობისაც“ თქვეს და თითო თასიც დააპირქვავეს ... ეტყობოდა, გული მოიოხა ოსმან შელბამ, მამაჩემს მადლობას მოახსენებდა თანამეინახეობის გამო ... დაბოლოს, მოშოშმინებული აფხაზი კოლხურ-აფხაზური (ზოგადკავკასიური) წესისამებრ, მხარზე ხვევნითა და მხარზევე ამბორით დაგვემშვიდობა ...

იმჟამინდელი ილორობისეული მოხმობილი პასაჟი დღესაც ცხადლივ მახსოვს, თვალწინ მიდგას, თითქოსდა, გუშინდელი ამბავი იყოს ... არადა, იმ სულისშემძვრელი და სიყვარულით გასხივნართებული შეხვედრიდან უსაშველოდ გრძელი - 60 წელიწადზე მეტი გაფრენილა ... აფსუს, რაგვარი სიღრმისეული ფესვები ჰქონდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას — მეზობლობას, მეგობრობას,

5

მორდუობა-ძუძუმტეობას, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილობას, ნათელმირონობას, ძმადნაფიცობასა და ზოგადად, კავკასიური ყაიდის ადათ-წესთა, ზნეჩვეულებათა საუკუნეთა განმავლობაში მყარად ჩამოყალიბებულ ერთობლიობას ... მეც ხომ ამგვარ გარემოში დავიბადე, აკვნიდანვე ვისრუტავდი ზოგადკოლხურ ფასეულ კატეგორიათა მარგალიტებს ... ალბათ, ამადაც ეგზომ საყვარლად შემონახულა ჩემი გონსაჭვრეტელის კუნჭულში ილორობის დღესასწაულზე ჩემ მიერ მოხმობილი, მართლაც შესაშური შეხვედრის რემინისცენციური ფრაგმენტები ...

P.S. ბოლო სამიოდე ათეული წელია, ყოვლისწამლეკავი სასოწარკვეთა მეუფლება, გაუსაძლისი ბოღმა მთანგავს და მთრგუნავს იმ სავაგლახო, გულსაკლავი რეალობის გამო, რომლის გამოისობითაც, მე და ჩემს ძირძველ თვისტომს ჯერხნობით აღგვიკვეთეს ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ამბიონთან მიახლოებისა და მანდაურ ზღაპრულ ჰაერეთში განფენილი ღვთიური, ილორობისეული მადლისა თუ სამოთხისებური ნეტარების აღქმის უფლება ... არადა, მანდ განცდილი სანუკველი წუთები ჩემთვის საუკუნის თანაგვარია და სანაცვალგარდო, ამასთან, განუმეორებელი ...

... ილორის წმინდაო გიორგი! მეოხ ეყავ ლიბორღვეულ, პარტახქმნილ და ჟამკარაარეულ ქართველთა თუ აფხაზთა მოდგმას ... ამინ! ...

შექსპირული ჩანახატები[5]
თეიმურაზ ნადარეიშვილი

ჰამლეტი

ფრიად საყურადღებოა პიესაში ლაერტისა და ოფელიას ძალზე ფაქიზი ურთერთობის საკითხი, რისი დასტურიცაა მათი გამოთხოვების სცენა (ძმა უკანასკნელად ხედავს შერაცხად მდგომარეობაში დას!). ლაერტმა კარგად იცის, რომ ჰამლეტს და ოფელიას ერთმანეთი მოსწონთ, მაგრამ ლაერტმა ასევე კარგად იცის მისი ოჯახის ადგილი სამეფო კარზე, რის გამოც მას წარმოუდგენლად მიაჩნია, იმდროინდელი სამეფო ეთიკეტიკის თანახმად, მათი შეუღლება. ამ დარიგებაში ერთგვარი ირიბი კრიტიკაა თავად მონარქისტული იდეის მიმართ, (როდესაც სამეფო ტახტი ''უმტკივნელოდ'', მემკვიდრეობით გადადის მამიდან შვილზე), რისი დასტურიცაა ლაერტის ''მსუბუქი'' ირონია ჰამლეტისადმი: ''ის მძევალია საკუთარი დაბადებისა!''. მართლაც სამეფო ტახტი თითქოს სანუკვარი ოცნებაა ყველასათვის, მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით, ეს მაინც იძულებაა ადამიანზე-იქნებ მას, საკუთარი სურვილით გადამდგარ რომის იმპერატორ დიოკლეტიანესავით, უფრო კომბოსტოს მოყვანა ხელეწიფება, ვიდრე იმპერიის მართვა?! ამიტომ ლაერტი ერთობ ''მსუბუქი ფორმით'' შეახსენებს ოფელიას, რომ იგი უნდა გაუფრთხილდეს საკუთარ უმანკოებას და საერთოდ ფრთხილად იყოს, როგორც ყმაწვილი ქალი, რადგანაც ლაერტიმ კარგად ერკვევა (თუმცა თავადაც ახალგაზრდაა), სიყმაწვილისათვის მახასიათებელ მაქსიმალიზმში; ასევე აღსანიშნავია ოფელიას ცხოვრებისეული სიბრძნით ''დამძიმებული'' და აქედან გამომდინარე მკაცრი, მაგრამ მოსწრებული და გულწრფელი პასუხი (ერთგვარი საპასუხო დარიგება ლაერტისა)

ლაერტი
ჩემი ბარგი გემზეა უკვე;მშვიდობით დაო!
ამას გთხოვ მხოლოდ,რომ ფხიზლად იყო
და თუკი ვინმეს ზურგის ქარი
ჩემკენ უხმობდეს, მას დააბარე შენი ამბავი!
ოფელია
ნუთუ ამაში გეპარება შენ ოდნავ ეჭვი?
ლაერტი
ხოლო ჰამლეტის კეთილგანწყობა
მიიღე როგორც სისხლის ანცობა
ვით გაზაფხულზე ნაადრევად გაშლილი ია
უღონო, ნაზი და მშვენიერი
სურნელით გვატკბობს სულ ერთი წუთით;
სხვა არაფერი.
ოფელია
სხვა არაფერი და სულ ეს არის?
ლაერტი
დამიჯერე, რომ ეს არის მხოლოდ:
მომწიფებისას მხოლოდ ტანით
კი არ ვიზრდებით, არამედ როგორც მაღალ ტაძარში,
სულიც და გონიც სწრაფად გვეზრდება!
მას შეიძლება უყვარდე კიდეც,

5 დასაწყისი, იხ. „ისინდის“ 11, 12,14

უშანგი ჩხეიძე ჰამლეტის როლში

სიცრუესა და ცბიერებას
არ შეუბღალავს ჯერ მისი სული,
მაგრამ შენ მაინც ფხიზლად იყავი -
წარჩინებულს ხომ სულ სხვა წონა აქვს,
მას არ ეკუთვნის თავის სურვილი,
ის მძევალია საკუთარი დაბადებისა,
მას ხომ ჩვენსათვის არ შეუძლია
ისე მოიქცეს, როგორც მას უნდა,
მის არჩევანს ხომ ეფუძნება
თვით სახელმწიფოს უსაფრთხოება, კეთილდღეობა
და ამიტომაც ეს არჩევანი შეზღუდულია
იმ ქვეყნის ნებით
რომლის თავიც თავად ბრძანდება.
თუკი კვლავ გეტყვის, რომ მას უყვარხარ,
ბრმად ნუ ენდობი მის აღსარებას-
იმდენად ენდე, რამდენად ძალუძს
მან აღასრულოს საკუთარი განზრახულობა
და რამდენადაც თავის ხმას მისცემს ამას დანია.
კარგად დაფიქრდი, რას დაკარგავს შენი ღირსება
თუკი ზედმეტად ყურს დაუგდებ მაცდურ გალობას
ან გულს დაკარგავ ან კი გაუხსნი
შენს უბიწო ქალურ საგანძურს
თაუდგრომელ მის აღტინებას.
უფრთხილდი ამას ოფელია,
უფრთხილდი მეთქი, ძვირფასო დაო!
თავშესაფარი გაიჩინე სურვილების
შუაგულ სირღმეში;
როდესაც საფრთხეს ვერ გრძნობს ქალწული,
ის მეტისმეტად მიმდობი ხდება.
უმანკო ქალის უბიწოებას ისიც კი ავნებს
თუკი გაანდობს თავის მშვენებას მთვარის სინათლეს-
ცილისწამების ულმობელ დარტყმებს
სათნოებაც კი ვერ გადურჩება.
გაზაფხულს შობილთ ყვავილთა კოკრებს
მატლი მაშინ ღრღნის, როცა ისინი არც კი გაშლილან,
წუთისოფელის გარიჟრაჟზე კი,
ახალგაზრდობის უმწიფარ ხანას,
ძლიერ მავნეა ავყია ქარის შლეგური ქროლვა
და ამიტომაც იყავი ფრთხილად;
საუკეთესო თავშესაფარი შიშშია მხოლოდ:
ყმაწვილი კაცი საკუთარ თავს მტრობს,
თუნდაც სხვა არვინ ემტერებოდეს!

ოფელია
გულის გუშაგად დავიყენებ
შენს კეთილ რჩევებს,
ოღონდ,ამას გთხოვ, ძვირფასო ძმაო,
რომ არ მიბაძო ცოდვიან მამებს,
რომლებიც ჩვენთვის იმეტებენ
ზეცად მიმავალ ეკლიან ბილიკს,
ხოლო თავად კი, თავაშვეულნი და გარყვნილები
ნაირ-ნაირი ყვავილებით გაწყობილ გზაზე
არშიყ-არშიყით მინარნარებენ
და არც კი ახსოვთ საკუთარი ქადაგებანი''

ამის შემდეგ ლაერტი კიდევ ნახავს ოფელიას, ოღონდ უკვე შეურაცხად მდგომარეობაში და შეუძლებელია არ უთანაუგრძნო ლაერტს, თუ როგორ განიცდის იგი დის სრულიად გაუგებარ, უაზრო მეტყველებას:

''ამ უაზრობას მეტი აზრი აქვს, ვიდრე თვით აზრსა!
. . . . . .
ვერ მომნუსხავდა ასე ძლიერად რომ შეგრჩენოდა
შენი გონება და გექადაგა შურისძიება!
. . . . . .
ო, ღმერთო ჩემო, შეიძლება კი ქალწულის ჭკუა
ისევე ჩაქრეს და მიილიოს, როგორც სიცოცხლე ბერიკაცისა?!
. . . . . .
ფიქრებისა და მოგონებების ურთიერთშერწყმა,
ეს უტყუარი საბუთია სულთაშლილობის!

* * *

ცალკე გამოსაყოფია ოფელიას დაღუპვის სცენა, რომელშიც შექსპირისათვის დამახასიათებელი უბადლო დეტალებით (შექსპირი ხომ დეტალების ''მეფეა''!) აღწერილია ოფელიას დახჩობის შემზარავი სცენა და ლაერტის პირველი ემოცია. შეუძლებელია ადამიანი გულგრილი დარჩეს ამ მონათხრობის შემდეგ, მითუმეტეს თუ ეს ადამიანი დაღუპულის ძმაა! ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია ლაერტის განცდის გადმოცემა. აქ უნდა გამოვყოთ ორი მომენტი; ლაერტის საწყისი შეძახილი: ''დაიხრჩო?!.. სად? როგორ'', მართლაც მისი სულ პირველი სასოწარკვეთილი ემოციაა, ხოლო დედოფლის მონათხრობის შემდგომ, უკვე ბედს შეგუებული, უზომოდ დამწუხრებული ვაჟკაცის მონოლოგია!

დედოფალი:
უბედურებას უბედურება კვალდაკვალ მოსდევს -
ლაერტ, შენი და... წყალმა იმსხვერპლა!
ლაერტი:
დაიხრჩო?!..სად? როგორ?
დედოფალი:
მდინარის პირას ირიბად მდგარი
ტირიფის ფოთლებს
ხარბად ირეკლავს კამკამა წყალი
და ამ ადგილას საცოდავ შენს დას
ხელით დაუწნავს ულამაზესი გირლიანდები
გვირილის, ჭინჭრის და ბაიასი,
რომელთაც მწყემსნი ენაკვიმატნი
ერთობ აუგად იხსენიებენ,
ხოლო გულცივი ქალწულნი ჩვენნი,
მიცვალებულის თითებად რაცხენ
და განუზრახავს, საბრალო ასულს,
ამ სამკაულით ტირიფის მორთვა,
მაგრამ წყეული ჩაუტყდა ტოტი
და სარეველა დავლასთან ერთად
მომტირალ წყალში ჩავარდა თავად.
მისი სამოსი ფართოდ გაშლილა
არ ჩაძირულა იგი უეცრად
და სირინოზის მსგავსი არსება
გალობდა ჰანგებს ძველი ჰიმნების -
ვერ გრძნობდა ხიფათს შეშლილი სული
ან თითქოს იყო წყლის შვილობილი,
მაგრამ ეს დიდხანს ვეღარ გასტანდა
და სამოსელმა დამძიმებულმა უხვი სითხეთი,
შეაწყვეტინა ბედშავს გალობა
და წარიტაცა მღვრიე ფსკერისკენ განსასვენებლად.
ლაერტი:
ო, ღმერთო ჩემო, მაშ ის დაიხჩო?!
დედოფალი:
დაიხჩო ლაერტ, წავიდა ჩვენგან!
ლაერტი:
საკმაო წყლით ხარ შენ გაჟღენთილი, საბრალო დაო
და ამიტომაც წყალს არ შეგმატებ მე ჩემი ცრემლით!
მაგრამ ვაი, რომ ეს წესია ჩვენი ცხოვრების
და ვერ გარდუვალთ ჩვენ ბუნების დადგენილ კანონს
და ამიტომაც არ მრცხვენია ჩემი ცრემლების
რომელთა დაღვრით ჩემგან გავდევნი
ქალურ სისუსტეს და უმწეობას.
მშვიდობით მეფევ! ჩემში ბუდობდა
ამოსაფრქვევად გამზადებული
სიტყვის ვულკანი, მაგრამ ამ ჩემმა უგნურმა
მოთქმამ ჩააქრო იგი!

მართლაც რა დეტალებია:''მომტირალ წყალში ჩავარდა თავად''- თითქოს მდინარეც (!) კი აატირა ოფელიას მდგომარეობამ ან კიდევ წყალში ჩავარდნილი ოფელია სულიერი აშლილობის გამო ვერ გრძნობს ხიფათს (''ვერ გრძნობდა ხიფათს შეშლილი სული ან თითქოს იყო წყლის შვილობილი!'') და განაგრძობს სიმღერას,სანამ წყალი მთლიანად არ დაფარავს მას, რის გამოც ბუნებრივია სიმღერა წყდება!

* * *

მეგობრობის ერთგვარი მანიფესტია ჰამლეტის გულწრფელი მიმართვა ჰორაციოსადმი, რომელშიც ჰამლეტი შესაშური ლოგიკით ხსნის, თუ რა უნდა იყოს მყარი, ნამდვილი მეგობრობის საფუძველი:

ჰამლეტი
ჰორაციო, მე არ მინახავს ამ ქვეყანაზე
შენზე ერთგული ადამიანი
ჰორაციო
რას ბრძანებთ მილორდ!
ჰამლეტი
არ გეგონოს, რომ პირფერი ვიყო!
რა სარგებელი უნდა მქონდეს მე შენგან?!
შენ შენი საღი გონება გკვებავს და გმოსავს
და არა სხვა რამ შემოსავალი.
ღარიბს ხომ არვინ ეპირფერება!

დე დაშაქრულმა ენამ გალოკოს
ყოვლად უაზრო პომპეზურობა,
მუხლის თავები გადაიცვითოს,
სადაც უღირსი ფარისევლობა
სარგებელს ელის!
მისმინე კარგად! რაც ჩემი სული
მფლობელი გახდა საკუთარი არჩევანისა,
შენ აგირჩია თავის რჩეულად,
რადგან შენ ხარ ის ერთადერთი
ვინც ბევრ ტანჯვაში, ტანჯვას არ იმჩნევ,
ვინც ბედისწყრომას თუ მის წყალობას
თანაბრად სწირავს მადლობის სიტყვას!
კურთხეულია ვისი გონებაც
სისხლთან ისეა შეზავებული,
რომ ბედისწერას არ აყოლებს თავის გულისთქმას.
მაჩვენეთ კაცი, ვინც არ არის ვნებების მონა
და მასაც შენებრ აქ ჩავისვამ ჩემს გულის გულში!

ამ მიმართვიდან კიდევ ერთხელ კარგად ჩანს, თუ რა ღრმად იცნობს ჰამლეტი ცხოვრებას და თუ როგორ შეუძლია მას სხვა ადამიანის კარგი თვისებების დაფასება, რაც შემდგომ ჰორაციოსთან მისი დამეგობრების მიზეზი ხდება! ჰამლეტისათვის მთავარი სწორედ ის არის, რომ ადამიანი საკუთარი გონებით, მოთინებით, გულმოდგინეობით გამოირჩეოდეს და არა მემკვიდრეობით თუ ფარისევლობით მიღებული სიმდიდრით მოჰქონდეს თავი! ეს მითუმეტეს დასაფასებელია, რადგანაც ჰამლეტი პრინცია ანუ ადრე თუ გვიან თავად გახდება ხელმწიფე, ძალაუფლება და სიმდიდრე ''ავტომატურად'' გადავა მის ხელში, მაგრამ მისთვის მაინც მთავარია, რომ ადამიანი არ იყოს ვნებების მონა და მასაც ჰორაციოსავით შეიყვარებს, განურჩევლად იმისა თუ რომელ ცხოვრებისეულ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება იგი!

* * *

შექსპიროლოგები დიდი ხანია ცდილობენ დაადგინონ თუ რომელი ადგილი ჩაამატა თავად ჰამლეტმა ცნობილ ''ხაფანგის'' სცენაში. ჩემი აზრით, ქვემოთ მოყვანილი მსახიობი ხელმწიფის მიერ წარმოთქმული მონოლოგი, დიდი ალბათობით, სწორედ ჰამლეტის მიერ დაწერილი მონოლოგია. ამ დასკვნამდე შემდეგმა არგუმენტებმა მიმიყვანა.

ა) ჰამლეტი განიცდის, რომ მამის აჩრდილისადმი დანაპირები ჯერ ვერ აღასრულა და მას უნდა ეს გაიგონოს ''გარედან'' -მსახიობი ხელმწიფის ბაგეთაგან: ''მაგრამ განზრახულს ხშირად ვივიწყებთ -განზრახვა ხდება მოგონებების მონა-მორჩილი''. ფსიქოლოგიაში კარგად არის ცნობილი შემდეგი ''უცნაური'' ფენომენი: როდესაც ადამიანი სხვა ადამიანში ცხადად ხედავს საკუთარ ნაკლს (ანუ როდესაც მისი ნაკლი ''გამოდის'' მისგან და მეორე ადამიანში ''მატერიალიზირდება''!), მაშინ უმეტესწილად ამ ადამიანს ეხნება ხოლმე ეს ის (ჰამლეტის შემთხვევაში ხომ ნაკლი შურისძიების გაჭინაურებაა!)

ბ) ამ მონოლოგში ახსნილია თუ რატომ ხდება, რომ განზრახული დროზე არ აღსრულდება ხოლმე - აქ თავად ცხოვრების სირთულე, მისი ცვალებადობა მოქმედებს ადამიანზე ანუ თავდაპირველი ჩანაფიქრი მოგვიანებით იცვლება, ამიტომ აუცილებელია მოქმედება და ამ ყველაფრის გააზრება ხელს უწყობს ჰამლეტს იმაში, რომ დააჩქაროს შურისძიება!

მსახიობი ხელმწიფე

მაგრამ განზრახულს ხშირად ვივიწყებთ -
განზრახვა ხდება მოგონებების მონა-მორჩილი,
მძლავრად შობილი კარგავს ხოლმე საკუთარ ძალას,
როგორც ხის ტოტებს მაგრად აბია
შემოუსვლელი ჯერ კიდევ ხილი,
შემდეგ კი ხიდან თავად ვარდება, დამწიფებული;
ყველაზე უფრო სამწუხაროა, რომ გვავიწყდება
გადავუხადოთ ჩვენსავე თავსა, რაც ვალად გვადევს,
აღელვებისას რასაც ვპირდებით ჩვენ საკუთარ თავს
დამშვიდებისას სულ აღარ გვახსოვს.
ჩვენში მძვინვარე დარდი და ლხინი
თავადვე სპობენ საკუთარ ნაყოფს,
რადგანაც ხშირად დარდი მოილხენს, დარდი კი ნაღვლობს!
თავად სამყაროც იცვლება მუდამ
და ამიტომაც ჩვენაც არ გვიკვირს,
რომ სიყვარულიც ბედის ცვლილებას ეხმაურება,
მაგრამ მაინც კი გასარკვევია
ვნება მართავს ბედს, თუ ბედი ნებას!
დამარცხებული დიდებული კარგავს მეგობრებს,
აღზევებული მდაბიო კი მტრებს იმეგობრებს!
თუმცა ამ დრომდე სიყვარული ბედს მისდევს უკან,
ვინც არ დაეძებს ბევრ მეგობარს იპოვნის მაინც,
გასაჭირში კი ცრუ მეგობარს მტრად გადაიქცევს!
კარგი იქნება, მით დავასრულო, რითაც დავიწყე:
ჩვენი წადილი და ბედი ჩვენი
განსხვავებულ გზებს მისდევენ მუდამ
და ამიტომაც ჩვენი ზრახვანი
დამარცხებისათვის განწირულია
ფიქრის სათავე ხელში გვიჭირავს,
მაგრამ ბოლო კი დაკარგულია!

ამრიგად, საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ''ხაფანგის'' სცენის მოწყობით ჰამლეტი ერთდროულად ორ ამოცანას წყვეტს. ჯერ ერთი, ადგენს დამნაშავეა თუ არა კლაუდიუსი (**''ეს წარმოდგენა ხელში ჩამიგდებს ნამუსს მეფისას''**.იხილეთ ''ისინდი'' № 11) და მეორეც, უმოქმედობის გამო, საკუთარ თავს კიცხავს მსახიობი ხელმწიფის საშუალებით.

* * *

ხაფანგის შემდეგ ლოცვის სცენიდან, კარგად ჩანს, რომ კლაუდიუსს ყველაზე უკეთ ესმის, რომ ის ვერ მიიღებს უფლის მიტევებას, რადგანაც კვლავ ყველაფერს იმას ფლობს, რისთვისაც კაენის ცოდვა - ძმის მკვლელობა ჩაიდინა (ჭაობში მოხვედრილი ადამიანივით რომელიც, რაც უფრო მეტად ცდილობს განთავისუფლდეს, მით უფრო ეფლობა ჭაობში!) და ყოველივე ამ გააზრების საფუძველზე ის განსაკუთრებით საშიში ადამიანი ხდება.

ხელმწიფე:

ორმაგი ძალა გააჩნია ყოველთვის ლოცვას:
ის ჩვენ გვიფარავს შეცოდებისგან
ან მიგვიტევებს ჩვენს შეცოდებებს!
როგორ ვილოცო? შევთხოვო უფალს.
რომ მაპატიოს ძმის მკვლელობა?
ვერ ვიზამ ამას, რადგან იმას ვფლობ,
რის გულისთვისაც ჩავიდინე მე ეს მკვლელობა:
სამეფო გვირგვინს, ჩემს დიდებას და ჩემს დედოფალს-
ვინც ჩაფლულია ცოდვის მორევში
ვერ ეღირსება ის მიტევებას!

* * *

ჰამლეტს უპირისპირდება ქმედების ადამიანი ნორვეგიის მეფის ძმისწული ფორტინბრასი, რომელიც ''უბრალო'', მცირე მიწის გამო, თავის მეომრებთან ერთად, სიკვდილზე მიდის, ჰამლეტი კი ყოველივე მომხდარის მიუხედავად მაინც კვლავ არ მოქმედებს. ჰამლეტი ჩვეული მჭერმეტყველებით აღწერს საკუთარ ''სისუსტეს''

თვით უმნიშვნელო შემთხვევაც კი
მე ბრალს მიყენებს და აღვიძებს ჩემს მიძინებულ შურისძიებას...
ვინ არის იგი, ვინაც ჭამა და ძილში ატარებს მთელს საკუთარ დროს?
მხეცია მხოლოდ, სხვა არვინ არის!
ვინც ჩვენ გვიბოძა ცნობიერება,
წარსულ,მომავლის აღქმის უნარი,
მისთვის არ მოგვცა გონიერება
რომ ის დაჩლუნგდეს უხმარობისგან!
რასთან გვაქვს საქმე? ურცხვ და ამაზრზენ მივიწყებასთან
თუ მხდალ ყოყმანთან?
როდესაც ვფიქრობთ ზედმიწევნით რაღაც საქმეზე
ამ ფიქრებში ხომ ერთი წილი ერგება ჭკუას,
ხოლო სამი კი სიმხდალეს და სულმოკლეობას
და მე არ მესმის რისთვის ვარსებობ,
სულ რომ ვიძახო:''შურისძიება უნდა აღსრულდეს!''
მაშინ როდესაც ყველაფერი მე ხელს მიმართავს
როგორც მიზეზი, ისე სურვილი, ძლიერება და საშუალება,
და უამრავი მაგალითი მე მაქეზებს მოქმედებისკენ:
თუნდაც ეს ჯარი, ერთობ ძლიერი
ამ ნორჩი პრინცის მეთაურობით,
რომლის სურვილი განდიდებისა
არ ერიდება ქვეყნად არაფერს -
არც შიშს, არც საფრთხეს და თვით სიკვდილსაც,
მაგრამ ეს ლტოლვა თავგანწირული
კვერცხის ნაჭუჭის ფასადაც არ ღირს!
და ჭეშმარიტად დიდებული მხოლოდ ის არის
ვინც არ ირჯება უმნიშვნელო საქმეებისთვის
მაგრამ ბალახის ღეროსაც კი მტკიცედ დაიცავს
თუ შეიღბალა მისი ღირსება!
მაშ რაღას ვდგავარ? რად არ მაფხიზლებს
მამის მკვლელობა, დედის შერცხვენა,
გონების ძალა, სისხლის დუღილი?
ჩემს სამარცხვინოდ კარგადა ვხედავ
ოცი ათასი მეომარის გარდუვალ სიკვდილს:
ფუჭი სახელის მოსაპოვებლად
საფლავისაკენ მიიჩქარიან, თითქოს ლოგინი ელოდებოდეთ
და თავებს დებენ ერთი მტკაველი მიწის გულისთვის
რაც ვერ დაიტევს ყველა მეომარს
და არც იკმარებს მათი ცხედრების დასამარხავად!
ო, ამის შემდგომ ჩემო ფიქრებო სისხლიანი ხართ ან არაფერი!

ესეც პიესის ერთ-ერთი რთულად გასაგები ადგილია და ამიტომ საჭიროა გარკვეული კომენტარების გაკეთება.

1) შეიძლება ასეთი პარადოქსალური აზრი გამოვთქვათ: ყველაზე დიდი მკვლევარი იმისა თუ რატომ არ მოქმედებს ჰამლეტი, თავად ჰამლეტია! ამას ადასტურებს ზემოთ მოყვანილი რამდენიმე ადგილი: მოხეტიალე მსახიობების საშუალებით პიროსის ენით იგი ირიბად იკიცხავს თავს; საკუთარი თავის კრიტიკა მოხეტიალე მსახიობებთან საუბრის შემდეგ; მსახიობი ხელმწიფის მონოლოგში მის მიერ ჩამატებული სიტყვებით საკუთარი თავის გაკიცხვა,ყოფნა-არყოფნის მონოლოგი და ბოლოს კი ეს მონოლოგი.

2) ყველა წინა მონოლოგში ჰამლეტს კვლევა არ ჰქონდა დამთავრებული და ამიტომ მის მიერ საკუთარი თავის კრიტიკა ნახევრადგაცნობიერებულია! მართლაც როდესაც ადამიანი არ მოქმედებს ეს ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ნიშნავდეს იმას, რომ საქმე გვაქვს მისთვის ჯერ უცნობ, გაუგებარ მოვლენათან და ამაში ის საკუთარ თავსაც კი არ უტყდება და თანდათანობით ცდილობს გარკვეული სხვა, დამხმარე მოვლენების გაანალიზების შედეგად (ანალოგიების გატარების საშუალებით!) მიხვდეს თუ რასთან აქვს საქმე (ჰამლეტისათვის ასეთი დამხმარე მოვლენებია მაგალითად, მოხეტიალე მსახიობებთან შეხვედრა, დედასთან საუბარი) და როცა ეს კვლევა მთავრდება მოქმედება მყისვე შეიძლება განხორციელდეს!

3) ამ მონოლოგის წინ ჰამლეტს უკვე გადაწყვეტილი აქვს კლაუდიუსის მოკვლა და ამიტომაც მიიჩქარის ინგლისისაკენ, რომ ხელი შეუშალოს კლაუდიუსის გეგმას (ინგლისში ჰამლეტი წერილებს შეუცვლის "საუკეთესო მეგობრებს" როზეკრანცსა და გილდენსტენს და მოაკვლევინებს მათ!) და აქ უკვე ჰამლეტი შემთხვევით შეხვდება ასევე ინგლისისკენ მიმავალ ფორტრინბასის ჯარისკაცებს ''თითქო ყოველი შემთხვევა მე თვალწინ მესახვის''. ამიტომ ჰამლეტის მიერ საკუთარი თავის კრიტიკა უკვე აშკარად უსამართლოა და შესაძლოა ემოციურ და თან საბოლოო გადაწყვეტილების მაპროვიცირებელ მომენტად აღვიქვათ, რისი დასტურიცაა ჰამლეტის მტკიცე გადაწყვეტილება:

ო, ამის შემდგომ ჩემო ფიქრებო სისხლიანი ხართ ან არაფერი!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)